

1134  
2014

# არილი

ფაბი 2 ლარი


ბათუარი  
თარა - თარგბანი  
ზარია ბადრიძე  
ღათო გაბუნია  
ქეთი ქანთარია  
ხათუნა ცხადაძე  
ნიკა სამუშია  
თვა შურღარია  
ირმა ტაველიძე  
ნათია მიქელაძე

ნიკა ფაჯაშვილი  
ცა

გომოთა იათაშვილი  
ენონა ანჭოჩიანი

გაბრიელ გარსია  
გარქანი  
გარია დოს  
გრასერესი

ნიტარო კაციტო  
სისნრაფე



2014/გარისი

## 3 (223)

## ჭარინან გარსი

საუბარი "არლითან" / ლიტერატურაზე და etc

# სარჩევი

მთავარი თემა - თარგმანი	1	თარგმანის შესახებ თანამედროვე საქართველოში
	13	ირმა ტაველიძე   განირვა და თავგანწირვა
	17	მაშო სამადაშვილი   ინტერვიუ მთარგმნელ ნათია მიქელაძესთან
ინტერვიუ	20	მალხაზ ხარბედია   ჯულიან ბარნის ლიტერატურაზე, ინგლისელობაზე, პირის გემოზე და ფეხბურთზე
პროზა	25	ივა ფეხუაშვილი   ცა
პოეზია	37	შოთა იათაშვილი
	42	დიანა ანფიმიადი
თარგმანი	44	გაბრიელ გარსია მარკესი   მარია დოს პრასერესი ესპანურიდან თარგმნა კატია ვოლტერსმა
	51	იტალო კალვინო   სისწრაფე იტალიურიდან თარგმნა ხათუნა ცხადაძემ
რეცენზია	60	ქეთო ნინიძე   Versus ანუ მოქცევა
	62	ჯაბა ზარქუა   დიდი უარყოფების წიგნი

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Ariili"

რედაქტორები

მალხაზ ხარბედია  
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რადი ამალღობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, თამარ ლებანიძე, ვასილ მალღაფერიძე, ზვიად რატიანი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.



არილი - დასასვენებელი სინამდისა

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე ღამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი

ხალხური



ელექტრონული ფოსტა: [info@arilimag.ge](mailto:info@arilimag.ge)  
ვებგვერდი: [arilimag.ge](http://arilimag.ge)

გამოდის 1993 წლიდან

© ურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ურნალი გამოდის საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით





# თარგმანის შესახებ 192 თანამედროვე საქართველოში

არ მახსოვს, სად წავიკითხე, ჩვენს ეპოქას თარგმანის საუკუნე უწოდესო. შესაძლოა სხვა ქვეყნებში ეს ეპოქა დიდი ხანია დადგა, ჩვენთან კი ჯერ ისევ კუს ნაბიჯებით მიიზღაზნება. მართალია, ბოლო რამდენიმე წელია ვითარება შედარებით გამოცოცხლდა, მაგრამ ფაქტია, რომ XXI საუკუნეში ქართულ ენაზე მსოფლიო ლიტერატურული საგანძურის ბევრი ნიმუში არ გვაქვს. მიზეზი უამრავია. პირველი და ყველაზე მთავარი - კარგი მთარგმნელების სიმწირე, რომელთა როდენობის ზრდას არსებული ვითარება ხელს ნამდვილად არ უწყობს. ამ პრობლემის წარმომადგენლებს დაღმარებული ცხოვრება არსად აქვთ, მაგრამ ქართულ სინამდვილეში მათი ყოფა განსაკუთრებით რთულია. არადა, მხრებზე უზარმაზარი პასუხისმგებლობა აწევთ - მკითხველის ზიარება სხვა ქვეყნის კულტურულ და საზოგადოებრივ სივრცესთან. ვახუშტი კოტეტიშვილი ამ ურთულესი მისიის ოსტატურად შესრულებას სასწაულს ადარებს, სასწაულის მოხდენა კი მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს შეუძლიათ. ყველა ჯადოქარი ვერ იქნება, ამიტომაცაა, რომ მთარგმნელის ხელობა-ხელოსნობაზე მიმდინარე დისკუსიები თითო-დან გამოწოვილი მეჩვენება: ზოგი ხელოვანია, ზოგიც - ხელოსანი (მათივე შესაძლებლობიდან გამომდინარე). გაცილებით მნიშვნელოვანი ის პრობლემებია, რაც ამ სფეროს წარმომადგენლებს აწუხებთ. რა უჭირთ ქართველ მთარგმნელებს, რა უშლით ხელს მუშაობაში, როგორ აფასებენ ამ სფეროში არსებულ ვითარებას და სად ხედავენ გამოსავალს - ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხზე სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები ისაუბრებენ.

ნანა კობაიძე

1. უპირველესად, მთარგმნელობით სფეროში ბოლო 20 წელიწადში მიმდინარე პროცესები გავანალიზოთ - რა გვექონდა და რა გვაქვს. რა შეიცვალა სასიკეთოდ ბოლო წლებში და რაში ხედავთ ამის მიზეზებს?

2. მთარგმნელის საქმიანობა მეტწილად გამომცემლობებზეა დამოკიდებული. სათარგმნე ლიტერატურას ძირითადად ისინი განსაზღვრავენ. კარგია, როდესაც გამომცემლის არჩევანი და მთარგმნელის სურვილი ემთხვევა, თუმცა ეს ალბათ ყოველთვის ასე არ არის. რა ბერკეტები აქვს მთარგმნელს საკუთარი შემოქმედებითი გეგმების განსახორციელებლად - ვგულისხმობ მაღალი მხატვრული ღირებულების ტექსტების თარგმნას, რომელიც შესაძლოა გამომცემლისთვის კომერციულად არ იყოს მომგებიანი?

3. რას ნიშნავს პირადად თქვენთვის "კარგი თარგმანი" ცნება? რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს თარგმანი?

4. წლების განმავლობაში ლაპარაკია მთარგმნელობით სფეროში ერთიანი კონცეფციის არქონაზე, იმაზე, რომ უნდა არსებობდეს მთარგმნელთა გაერთიანება, ერთგვარი შამქარი, რომელიც ამ მიმართულებით გარკვეულ პოლიტიკას შეიმუშავებს და პრიორიტეტებსაც განსაზღვრავს. რამდენად მისაღებია თქვენთვის მსგავსი ინიციატივა? ვინ უნდა აიღოს საკუთარ თავზე ამ პროექტის განხორციელება?

5. ახდენენ თუ არა რაიმე სახის გავლენას ახალი თარგმანები თანამედროვე ქართული ენის განვითარებაზე და რა თვალსაზრისით? შეგიძლიათ დაასახელოთ კონკრეტული მაგალითები?

6. შეგიძლიათ დაასახელოთ წიგნები, რომლებიც არ გვაქვს და აუცილებლად უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე?

7. მთელ რიგ ქვეყნებში სახელმწიფო თავის მოვალეობად მიიჩნევს მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელებისთვის გარკვეული ფორმით დახმარებას - იქნება ეს სხვადასხვა სტიპენდია, ფონდი თუ თარგმანის დაფინანსება. ჩვენთან რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით? არის თუ არა დღეს მთარგმნელობა ის საქმიანობა, რომლითაც პროფესიონალი თავის რჩენას შეძლებს?

8. თარგმანი და საავტორო უფლებები - ეს საკითხი ოციოდე წლის წინათ ნაკლებად იყო აქტუალური, დღეს კი ის ამ სფეროს აუცილებელ შემადგენელ იქცა. ნამყვანი ქართული გამომცემლობები საავტორო უფლებებსაც ყიდულობენ და მთარგმნელებთანაც აფორმებენ ოფიციალურ ხელშეკრულებებს, თუმცა, ამის მიუხედავად, ამ თვალსაზრისით ვითარება არცთუ სახარბიელოა. მთარგმნელთა უმეტესობა ცუდად ერკვევა საკუთარ უფლებებში და არც გამომცემლობებისთვის საკუთარი პირობების ნასაყენებლად არის მზად. აღარაფერს ვამბობ ჰონორარზე, რომელიც ხშირად არაადეკვატურია ან დიდი ხნით იგვიანებს. რაში ხედავთ ამ პრობლემის მოგვარების გზას?

9. მთარგმნელთა ახალი თაობა - რა პერსპექტივებია ამ თვალსაზრისით და რა შეიძლება გავეთდეს იმისთვის, რომ უახლოეს წლებში სხვადასხვა ენებიდან (მათ შორის, ე.წ. "მცირე" ენებიდან) მთარგმნელთა ღირსეული ცვლა მივიღოთ?

10. რას ფიქრობთ თარგმანის კრიტიკაზე, როგორც ლიტერატურული კრიტიკის აუცილებელ მიმართულებაზე? რამდენად ქასარგებლოა მხატვრული თარგმანის სტრუქტურირებული, დასაბუთებული კრიტიკა თარგმანის ხარისხის გაუმჯობესებისთვის?

### მაია ბადრიძე, მთარგმნელი

1. რასაკვირველია, ვითარება უკეთესობისკენაა შეცვლილი. 90-იანი წლები ყველაზე მძიმე, კრიტიკული პერიოდი იყო, როდესაც გამომცემლობები სახლებში იხსნებოდა. ამ სფეროში მხოლოდ ენთუზიასტები მიდიოდნენ. ხარისხს რაც შეეხება, როგორც ყველა ეპოქაში - სხვადასხვაგვარია, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ პროცესები მიმდინარეობს, უკვე საინტერესოა. ძალიან ხშირი და ინტენსიური ურთიერთობა მაქვს ჩემს ევროპულ კოლეგებთან და ვხედავ, როგორ მუშაობენ გამომცემლობები. გასაგებია, რომ მიზეზთა გამო ქართულ სივრცეში იგივე ვერ მოხდება. გერმანიაში მსხვილი გამომცემლობები გარკვეულწილად მკითხველსა და ბა-

ზარზეა ორიენტირებული და ეს გასაგებიცაა - მათ თავი უნდა ირჩინონ, მაგრამ მე არ ვიცი, რას ნიშნავს მკითხველზე ორიენტაცია საქართველოში, რატომის ფგუფები შეიძლება გამოიყოს? ეს არის სივრცე, სადაც პროგნოზირება ძალიან რთულია და ვერც შედეგებს გათვლი. ჩემთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ მუზილის "უთისებო კაცი", რომელიც ურთულესი ტექსტია და გერმანულენოვან ქვეყნებშიც კი ნაკლებად ეტანებოდა, საქართველოში ნაიკითხეს და გარკვეულ წრეებში განხილვის თემდაც იქცა. ასევე მოულოდნელი იყო მკითხველის რეაქცია იუნგის წინაზე - "პასუხი იობს", რომელიც ძალიან სწრაფად გაიყიდა. მუზილი და იუნგი ძალიან კარგია, მაგრამ აუცილებელია თანამედროვე ავტორთა თარგმნა თუნდაც იმი-



ტომ, რომ მსოფლიოში მიმდინარე პროცესების კურსში ვიყოთ. თუმცა იმხელა წყვეტა ჩვენსა და მათ არათუ ლიტერატურულ, ზოგადად, კულტუროლოგიურ და ყოფით გამოცდილებას შორის, დარწმუნებული არ ვარ, ნაკითხავენ თუ არა.

2. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ევროპელ კოლექტორს უკეთ ვერძნობ თავს. მათთვისაც პრობლემაა გამოცემების დარწმუნება ამა თუ იმ ავტორის თარგმნის აუცილებლობაში. მე ის ბედნიერი გამოჩნდებით ვარ, რომლის გადაწყვეტილებას გამოცემელი სიხარულით ეთანხმება. ერთადერთი მიზეზი "უთვისებო კაცო" იყო, რომელსაც "დიოგენეს" ხელმძღვანელის, თამარ ლებანიძის გარეშე ვერ შევხვდებოდი. თანხმობის მიუხედავად, ერთი წლის განმავლობაში ვერ მოვიცილე შოში, რომ ამ წიგნის თარგმნა არ გამოვიფიქროდა.

მთარგმნელისა და გამოცემლის ურთიერთობას რაც შეეხება, ერთია, როდესაც გამოცემელს ესმის კონკრეტული ტექსტის მნიშვნელობა და მეორე - როდესაც ჰყავს მთარგმნელი, ვისთანაც თავის იდეებს განახორციელებს. ან პირიქით: მთარგმნელი, რომელმაც იცის საკუთარი შესაძლებლობები, მაგრამ გამოცემელი ვერ იპოვია. ასეთ შემთხვევებში ევროპაში არცთუ იშვიათია, ჩემი გერმანელი კოლეგები ბევრს წვალბობენ (ლაპარაკია არაკომერციულ პროექტებზე). ჩემი პროფესიის ხალხი დაღვნილი არსად არის, თუმცა ჩვენთან კიდევ სხვა პრობლემები ემატება.

3. ძალიან ძნელია კარგი თარგმანის დეფინიცია. ჩემი აზრით, ეს არის ერთი კულტურული გამოცდილების მეორე კულტურულ გამოცდილებაში გადმოტანა და ადაპტაცია იმ ზემოაღმდეგ, რის შესაძლებლობასაც შენი ენა გაძლევს. პრინციპში, რეკონსტრუქციაა, სხვა კულტურული გარემოს რეკონსტრუქცია შენს კულტურაში. ტექსტის კითხვისას ზუსტად ვერძნობ კულტურულ და უკულტურო მთარგმნელს. შესაძლოა მთარგმნელი ნიჭიერი იყოს, მაგრამ შინაგანი კულტურა აკლდეს, რაც ტექსტს აზარალავს. ნამიკითხავს თარგმანები, სადაც მთარგმნელი ქართული სიტყვების ცოდნით იწონებს თავს, მაგრამ ეს არ არის მისი მიზანი. სიტყვების მოძებნა ლექსკონშიც შეიძლება, მთავარია ავტორის სათქმელი ზუსტად გადმოგითარა და ტექსტის შინაგანი მუსიკა იგრძნოს. ან თვალსაზრისით გერმანულ ენაში უამრავი სირთულეა. ზოგადად, ქართული და გერმანული ენები ტემპერამენტითა და ხასიათით უკიდურესად განსხვავდება: ქართული ერთი გრადუსით ზემოთ სწევს მხურვალეობას, გერმანული კი ცივი ექსტაზების ენაა. გერმანულს ცნებებით აზროვნება ახასიათებს, ქართული - უფრო ხატოვანია, სახიერი, ამიტომ სულ გემონია, ზედმეტი არ მოგივიდეს და რომელიმე დეკადენსთ გულშემჩქელი გერმანელი მხურვალე სამხრეთელად არ გამოიყვანო, რადგან ამ შემთხვევაში დადნისგან სრულად განსხვავებულ პერსონაჟს მიიღეს.

კატეგორიულად ვეწინააღმდეგები ტექსტის გაქართულებას: არ შეიძლება ევროპელი თბილისუ-

რად მეტყველებდეს. ასეთი თარგმანი უზარალოდ არ ვარგა. ალფრედ დიობლინს აქვს გენიალური რომანი - "ბერლინი ალექსანდერპლაცი" (Berlin Alexanderplatz), რომლის მთავარი გმირი ბერლინელია და იქაური ჟარგონით ლაპარაკობს. ძალიან მინდა ამ ტექსტის თარგმნა, მაგრამ ჯერჯერობით ქართულში შესაბამის ინტონაციას ვერ მივაგენი.

4. ეს ძალზე მნიშვნელოვანი თემაა და ალბათ გამოცემლებისა და მთარგმნელების ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს. დღეს მართლაც არანაირი კონცეფცია არ არსებობს და ყველაფერი ცალკეული ადამიანების ვებოგენებაზე დამოკიდებულია. იმდენი თეთრი ლაქა გვაქვს, საიდან დავიწყით, არ ვიცით. ამას ემატება მთარგმნელთა უკიდურესი სიმწირე. ჩვენგან განსხვავებით, ევროპაში მათი რიცხვი ძალიან დიდია, თანაც, "ყარგაბა" არიან დაყოფილი: პროფესიულ ლიტერატურას თავისი მთარგმნელები ჰყავს, მხატვრულს - თავისი და ა.შ. ეს ყველაფერი ფუჭ საუბრად დარჩება, თუ არ არის წინაპირობა - ფინანსები. პირადად ჩემთვის ყველაზე მისაღები ფორმა ფონდებია. კარგად მესმის, რომასეთი ფონდი ძლიერ ბიზნესს ნიშნავს, რომელსაც ვააზრებელი აქვს კულტურის დაფინანსების მნიშვნელობა. ისიც მესმის, რომ არსებულ ვითარებაში ეს ერთგვარი ფუფუნებაა, რომლის "უფლებასაც" მდიდარი ქართველები თავს ვერ აძლევენ. სამაგიეროდ, ზრუნავენ გერმანელები. გულისამაჩუყებელია, როდესაც მათივე სტიპენდიით ჩასულს არაჩვეულებრივ სამუშაო პირობებს გახვედრებენ და თან საკუთარი კულტურის პოპულარიზაციისთვის მადლობას გიხდებიან. ვინ გააკეთებს ამას ჩვენთან? ეს არის კითხვა, რომელიც პასუხი ყველამ წინასწარ ვიცით. ბოლო წლებში გამოცემლობები მეტნაკლებად თავად ართმევენდენ თავს თარგმნილ ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა ეს გზაც მოუჭრეს.

5. მთელი გასული საუკუნე ჩაკეტილ სივრცეში ვიცხოვრეთ. იმდროინდელ ქართულ სოზოგადობას ინცეესტრუალურ საზოგადოებას უწოდებდ, რომელიც არც არაფერს ვასცემდა და არც იღებდა. საბჭოთა პერიოდში ამას თავისი მიზეზები ჰქონდა - სად უნდა გავხსნილიყავით?! მივლამ რიგმა ლიტერატურულმა პროექტმა ისე ჩაგვიარა, არცვი შევცხებთ. ჰაიდგერს რომ დავესვსოთ, ჩვენთან ყოფიერებაში ვერ ილაპარაკა, რადგან არც არსებულა. განსაკუთრებით თვალშისაცემი ეს იუნგის თარგმნისა იყო, რომელიც ფაქტობრივად ცარვილ ადგილზე დავიწყე, რადგან ქართულ ენაზე ყოფიერებების ეს ფორმა არ არსებობდა.

არ ვიცი, რამდენად ახდენს ერთი ან ორი წიგნი გავლენას ენის განვითარებაზე, მაგრამ დროთა განმავლობაში, როდესაც თარგმნილი ლიტერატურის რაოდენობა გაიზრდება, ალბათ მოახდენს. წარმოვიდგინოთ ის ბედნიერი დრო, როდესაც გერმანული ლიტერატურა კარგი ქართული თარგმანით გვექნება და მთელი ეს კულტურა მკითხველის ცნობიერებაში იმ სემანტიკური სამოსელით შევა, რასაც

მთარგმნელი სთავაზობს. როგორ შეიძლება ამან მის ენობრივ ქსოვილზე გავლენა არ მოახდინოს?

6. ფროიდით დავინწყებ, რომელიც მთლიანად სათარგმნოა. ევროპისთვის ფსიქოანალიზი გუშინდელი დღეა, ჩვენ კი თითქმის არაფერი ვეპაქვს. ვაპირებ ვთარგმნო "ტოტემი და ტაბუ". რომელიც ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ნივანია.

სიამოვნებით წავეითხავდი ქართულად ჰაიდელგერს და ბორხესს. სრულად უნდა გეკონდეც კაფუკაც. შენს ენაზე კარგად აუღერებელი ასეთი ავტორები საკუთარი თავის რწმენას გმატებს. ამასი ხარ, რომ მათი სათანადოდ გააზრება შეუძლია. ძალიან მინდა ითარგმნოს დიობრივის "ზერილინი ალექსანდერეპლაკი". პოეტთაგან ქართველ მკითხველს პაულ ცელანსა და გოტფრიდ ბენს შეუთავაზებდი. ცელანს საქართველოში მეტ-ნაკლებად იცნობენ, ბენის შესახებ კი, რომელიც ისევე არაჩვეულებრივი ავტორია, ბევრი არაფერი იცია.

დიდი ხანია ვუტრიალებ ნობელიანტი მწერლის, ჰერტა მიულერის რომანს - **Atomschaukel** ("სუნთქვის საქანელი"). ეს არის საოცარი ნივანი, რომლის მსგავსი მიმშობლა და სიკვდილზე არაფერი წამიკითხავს. ერთი შეხედვით, მარტივი ენითაა დაწერილი, თუმცა მთელი სირთულე სწორედ ამ მოუხელთებელ სისადავეშია, რის გარეშეც ხელში ერთი ატირებული ქალი შერჩება. არიან დიდი ავტორები, რომელთაც საშუალო თარგმანი ვერ აფუჭებს, მაგრამ არსებობს გენიალური ტექსტები, რომლებიც ასეთივე გენიალურმა მთარგმნელმა უნდა ითარგმნოს. "სუნთქვის საქანელი" სწორედ ასეთი რომანია.

7. ამაზე გარკვეულწილად ზემოთ უკვე გიპასუხეთ. ფონდები სახელმწიფომაც უნდა შექმნას და ბიზნესმაც. ნელინადმი ერთი მილიონი ლარის გამოყოფა ამ სფეროს ძალზე წაადგებოდა. კარგად მესმის, რომ ღარიბ ქვეყანაში კულტურა ყველაზე პრიორიტეტული ვერ იქნება, მაგრამ არსებობს რაღაც მინიმუმი, რისი გაკეთებაც, სურვილის შემთხვევაში, სრულიად შესაძლებელია.

8. ამ კითხვის ადრესატად არ გამოვდგები, რადგან ძირითადად ევროპულ მხარეზე ვარ დამოკიდებული, რომელიც არც ჩემს უფლებებს არღვევს და არც ჰონორარს მიგვიანებს. საავტორო უფლებებს რაც შეეხება, სხვაგვარი გამოცდილება ჩემს გამოცემლობასთან არ მქონია. გეთანხმებით, რომ მთარგმნელებმა ნაკლებად იციან საკუთარი უფლებები. ასეთ საკითხებს კარგად გაართმევდა თავს მთარგმნელთა გაერთიანება, რომლის შესახებ ზემოთ ვსაუბრობდით.

9. დავინწყით იმით, რომ გერმანისტიკის ფაკულტეტზე დღემდე არ არსებობს მთარგმნელობითი განყოფილება. ჩემი სტუდენტური გამოცდილებით ერთი სემესტრის განმავლობაში თარგმნილი ერთი მოთხრობით შემოიფარგლება. მას შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა. ამ პრობლემის მოგვარებას

ისევ გერმანელები ცდილობენ. მეოთხე წელია გოეთეს ინსტიტუტში ლიტერატურული აგენტის, რახელ გრაცფელდის თაოსნობით ქართულ-გერმანული მთარგმნელობითი სახელისწო იმართება, რომელშიც ქართველი მთარგმნელები მონაწილეობენ. ევროპაში ეს მიღებული პრაქტიკაა, ჩვენთან - იშვიათობა. სხვათა შორის, ანალოგიური სახელისწო მოეწყო გერმანიაშიც, ოღონდ გერმანელი მთარგმნელებისთვის, რომლებიც ქართულიდან თარგმნიან. ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საქმეა, რადგან ქართულიდან გერმანულად მთარგმნელები ფაქტობრივად არ გვყავს, არადა, 2018 წელს საქართველო ფრანკოფონის წიგნის ფესტივალის მასპინძელი ქვეყანაა. ეს არის არაჩვეულებრივი შანსი, მსოფლიო დავანტერესოთ ჩვენი ლიტერატურით, გაავფრთხოთ კონტრატები, მივიღო ბაზრობა ხომ მასპინძელ ქვეყანაზე ფოკუსირებულ. წესით, ამ ეტაპზე გამოცემლებს არ უნდა ეცალით, მთარგმნელობითი საქმიანობა უნდა დუღდეს, მაგრამ ჯერ ამის შესახებ არაფერი მსმენია.

10. კრიტიკას რაც შეეხება, ფაქტია, რომ არ ვეპაქვს. არადა, აუცილებელია. ახალი თარგმანის გამოსვლის შემდეგ სმენა მაქვს გამახვილებული - ექება არ ვგულისხმობ, ძალიან მჭირდება მსჯელობა, საქმიანი კრიტიკა, თუმცა არსადაც ხმა... მშურს ჩემი გერმანული კოლეგების, რომელთაც ეს პრობლემა არ აწუხებთ, ჩვენთან კი ისე ჩაივლის უზარმაზარი კულტურული ფაქტი, თითქოს არც ყოფილა. მარტო მე და გამომცემელმა ხომ არ უნდა ვიცოდეთ ამის შესახებ? მუზილის თარგმანს 7 წელი შევალე. როდესაც ამხელა საქმეს აკეთებ, გინდა, ემოცია ვიღაცას გაუზიარო, უთხრა, რა პრობლემებს წააწყდი. ისეთი განცდა მაქვს, რომ პროფესიული ლიტერატურული ცხოვრება აქ კი არა, გერმანიაში მაქვს, რაც ძალიან რთულია. ამიტომ პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, დავანგრიოთ მითები, როგორც თავის დროზე - გერმანელებმა.

### დათო გაბუნია, მთარგმნელი

1. ბოლო 10 წელიწადში ვითარება დრამატულად შეიცვალა. სხვა თუ არაფერი, შედარებით განვითარდა ქართულენოვანი წიგნის ბაზარი, გამოცემლობები და ა.შ. რაც თავისთავად ბაღებს მთარგმნელობითი საქმიანობის გააქტიურების აუცილებლობას. 90-იანი წლების სრული უძრაობის შემდეგ ეს დიდი პროგრესია. ცხადია, რაოდენობა ხარისხზე ყოველთვის არ აისახება, მაგრამ სრული გამყინვარებიდან გამოსვლა მაინც კარგია.

2. ამ მხრივ ამინდს მთლიანად საგამომცემლო საქმე ქმნის. დიდი მოცულობის ტექსტების (მაგალითად, რომანების) სათავისოდ, საკუთარი ჭიის გასახარებლად მთარგმნელი იშვიათად ვინმე მეგულება და მათი უმეტესობა პროფესიონალიზმთან



მწყრალადაა. მეჩვენება, რომ მთარგმნელის ფუნქცია ამ შემთხვევაში დაქარავებული შემსრულებლის როლით არ შემოიფარგლება. ხშირად შემითავაზებია გამომცემლისთვის ეს თუ ის ნივნი: ვინაიდან მთარგმნელს აქვს ფუნქცია - ბევრი იკითხოს უცხო ენებზე, რჩევების მიცემა მისთვის დიდ სიროთულეს არ წარმოადგენს. არ მეგულება გამომცემელი (ვისთანაც პირადად ქონია ურთიერთობა), რომელიც მსგავს წინადადებას სრულიად უგულვებლყოფს. ისეც მომხდარა, გამომცემელს რჩევა ჭკუაში დაედგო და შეთავაზებული ნივნი ნლეების შემდეგ გამოეცია. ასე რომ, ბალანსი "კომერციული" და "ლიტერატურული" ლიტერატურას შორის არსებობს. გულწრფელად გითხრათ, კომერციული ტექსტების თარგმნა გაცილებით იოლია, ამიტომ, ისეც ნუ დავსახავთ, თითქოს ლიტერატურის კეთილმოიღ რაინდებს, მთარგმნელებს, მაღალი სტანდარტების დამკვირდება სურთ, მტარავალი კაპიტალისტი გამომცემლები კი ამის საშუალებას არ აძლევენ. ეს ორმხრივი პროცესია.

3. კარგი შეიძლება ეწოდოს თარგმანს, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად მიჰყვება ორიგინალს და თავისუფალია მთარგმნელის "ვანსაკურთხული ხელით" გამართლებული თავებდობისგან. მთარგმნელს არა აქვს უფლება მოატყუოს მკითხველი, რომელსაც დედნის ნაკითხვის საშუალება არა აქვს. იმ შემთხვევაში, თუ მთარგმნელი ხედდება, რომ სიზუსტეს ვერ იცავს და ხელები გაუღრბის, თარგმანს უნდა შეწყვიტოს. არიან მწერლები, რომლებიც ძალიან მიყვარს, მაგრამ ხელს არასოდეს მოეკიდებ, რადგან ვიცი, რომ ზუსტად და ადეკვატურად ვერასდგენ ვთარგმნი. ასეთია ჯონ აპდელი. კარგი თარგმანი იმ შემთხვევაში გამოგდის, როცა ადეკვატური ენის პოვნა შეგიძლია - ორიგინალს ზუსტად მისდევს და ქართულადაც კარგად იკითხება. კომპრომისი შეუძლებელია (პროზის შემთხვევაში მაინც, პოეზიის თარგმანს გაცილებით რთულია და სრულიად სხვა სპეციფიკა აქვს).

4. მთარგმნელობით კოლეგიას შეგნებულ ასაკში ვერ მოვესწარი, თუმცა მის საქმიანობაზე ბევრი ნამკითხავს, თუნდაც ნარა გელაშვილის რომანში "პირველი ორი წერი...". კარგი იქნებოდა მსგავსი ინსტიტუციის არსებობა, რომელიც ყველაფერს თავის სახელს დაარქმევდა, კომპეტენტურად და არგუმენტებით გამყარებული პოზიციით დაადგენდა, რომ მავანი უბრალოდ დანაშაულს სჩადის და დამსახურებლადაა ცნობილი კარგ მთარგმნელად (სამწუხაროდ, ასეთების სიმცირეს არ ვუჩივით). კარგია, როცა არსებობს გარკვეული სტანდარტები, რომელთაც ყველა ესწრაფვის. კარგია რაიმე სახის თანმიმდევრულობაც, თუნდაც ამას პოლიტიკა ერქვას. ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველო, მსგავსი ორგანიზაციისა თუ ინსტიტუციის არსებობა სახელმწიფო სუბსიდირების გარეშე ძნელად წარმოსადგენია. ვეჭვობ, ფილანტროპიის დაბალი კულტურის გამო მისი დაფინანსებით რომელიმე კერძო ბიზნესი ან ორგანიზაცია დაინტე-

რესდეს. არადა, საქორი საქმეა და რაც მალე მოეცლება, მით უკეთესი, სანამ ცუდ მთარგმნელებს არც ისე ბევრი ნივნი გაუფუჭებიათ.

5. თარგმანი რომ ენის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა, მე არ მომიგონია - საკმაოდ ძველი მოსახარება. სხვა თუ არაფერი, თარგმანს ენაში ახალი ვარემო, რეალური, ცნებები შემოაქვს. კონკრეტული მაგალითების გახსენება გამიჭირდება, მაგრამ საფუძვლიანი და ღრმა კვლევის შედეგად არაერთი ასეთი გავლენის მოძიება შეიძლება, რაც მხოლოდ და მხოლოდ სასიკეთოა.

6. პარადოქსია, მაგრამ ნივნები, რომელთაც ახლა დავსახებლემ, ქართულ ენაზე უკვე გვაქვს, თუმცა ეს თარგმანები იმდენად სუსტია, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. პირველ რიგში, დიობლინის "ბერლინი ალექსანდრეპლაცი". კარგი იქნებოდა, ეს გენიალური ნივნი მართლაც კარგად თარგმნილი გვექონოდა და არა ის საშინელი სეროვატი, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ გამოიცა. ძალიან მნიშვნელოვანია ვირჯინია ვულფის რანდენიმე რომანის თარგმნაც. სამწუხაროდ, "მისის დელოუისის" სრულიად უსუსური თარგმანი შემოგვანერეს, რომელსაც ვულფის ბრწყინვალე ენასთან, ფორმის ვირტუოზულ ფლობასთან საერთო არაფერი აქვს. ასევე გვაკლია ქართულ ენაზე მარსელ პრუსტი. იმედია, მასაც იგივე ბედი არ ელის, რაც ზემოთ დასახელებულ შესანიშნავ ავტორებს.

7. სამწუხაროდ, ამ მხრივ ყველაფერი მთლიანად გამომცემლობების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ცხადია, უნდა არსებობდეს პროგრამები, სტიპენდიები და ა.შ. რომელიც ამ მიმართულებას განავითარებს (სხვათა შორის, გამომცემლობებს არაკლებს სარგებელს ნახავენ, მათ ხომ საპრონორარო თანხა დაეზოგებათ). მთარგმნელობით თავის რჩენა კი საქმაოდ რთულია - რუტინული, ყოველდღიური მუშაობით ეს შესაძლებელია, მაგრამ ზარისხის რა მოვახსენოთ. ამიტომაც გვხვდება ქართულად თარგმნილ ნივნებში ბევრი "ხალტურა". ამ მხრივ კარგი გამომცემლობები და მთარგმნელებიც კი ცნობადვენ.

8. ამ საქმეს მთარგმნელთა გაერთიანება უნდა ითავსებდეს, რაზედაც ზემოთ ვსაუბრობდით. საკუთარი უფლებების ცოდნა არავის აწყენს. ცხადია, პასუხისმგებლობების ცოდნასთან ერთად.

9. აუცილებელია ამ საკითხის დასმა საუნივერსიტეტო განათლების დონეზე. მხატვრული თარგმანის თეორია და პრაქტიკა ისევე უნდა ისწავლებოდეს, როგორც ნებისმიერი სხვა სპეციალობა. პირველ რიგში ეს ხელობაა, რომელსაც დაუფლება სჭირდება და მხოლოდ შემდეგ შემოდის ერთობ ბუნდოვანი "ნიჭიერების" ცნება. თარგმანში პროფესიონალიზმი (რომელიც მთარგმნელის ზოგად განათლებასაც გულისხმობს და არა მხოლოდ ორი-

ვე ენის ზედმინევიტო კარგ ცოდნას) საშუალო ხარისხს ნამდვილად უზრუნველყოფს. ამ დონემდე კი ჯერ ბევრი გვიკლია.

10. კრიტიკა სასარგებლო კი არა, აუცილებელია. მხატვრული თარგმანის გაკრიტიკება ობიექტური კატეგორიებით კიდევ უფრო მარტივია, ვიდრე ორიგინალური მხატვრული ტექსტის, სადაც ბევრი არამ სადავოა. კრიტიკის თარგმანებში მოხადეს ბაა, რაც შეიძლება ხმამალა დაარქვას ყველაფერს თავისი სახელი. ზემოთ დიობლინი და ვულფი ვახსენე - არ შეიძლება, მკითხველს ეს ნიგნები თუნდაც საშუალო ხარისხის თარგმანებში მიაჩნდეს. ორივე სრული პროფანაციაა, მაგრამ ამის დასამტკიცებლად არგუმენტირებული კრიტიკაა საჭირო. კარგი იქნება, თუ ლიტერატურული პერიოდიკა, რომელსაც ყველაზე მეტი მოქმედობა ახასიათებს, სერიოზულად დაინტერესდება ამ საქმით და თარგმანის სფეროში უკონტროლობით გამონეველ ზღვარგადასულ არაპროფესიონალიზმს დაუპირისპირდება.

### ქეთი ქანთარია, მთარგმნელი

1. წარსულზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი: მკითხველთა იმ კატეგორიას მივეუთვნები, ვინც ქართულად ნაკლებს კითხულობდა - ხარისხიანი თარგმანები იშვიათობა იყო. ზუსტად ვერც იმას ვამბობ, როდის დაიწყო უკეთესობისკენ მკაფიო სვლა. ალბათ, ათი წელია (შესაძლოა ნაკლებიც) ნავის გატყდა და მასობრივად წამოვიდა კარგი, მიუგადაშიგ - ძალიან კარგი თარგმანები. მიზეზზე ხშირად მიფიქრია. ხანდახან მგონია, რომ ეს ერთ-ერთი სიკეთეა, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობას და საკუთარი სააზროვნო პროცესის მიმართ პასუხისმგებლობას მოაქვს. ამ პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ქართული ენის გაცოცხლება უნდა ყოფილიყო და ნელ-ნელა ასეც ხდება. მე თითო-ერთ სერიოზული ბავშვობის დროინდელი კომპლექსი მოვიმორე, როცა აღმოვაჩინე, რომ სხვა ენაზე დაწერილი ტექსტი ქართულად ლაღად და ბუნებრივად იკითხება. კარგად მახსოვს, როგორ ვიცინოდით სკოლაში ზოგ ქართულ თარგმანზე. მეცინებოდა, მაგრამ თურმე „ბოლმაც“ მიგროვდებოდა და შინ დაბრუნებული საკუთარ ვერსიას ვაყალიბებდი, ისეთი ფრაზები და სიტყვები მახსენდებოდა, რომლებიც ქართულის უპირატესობად მიმაჩნდა. ეს იმპულსი „პირველი მერცხალის“ ფინალურ სცენას ჰყავდა: მარცხის განცდა მქონდა, რომელიც წლების შემდეგ ჩემთვის პროდუქტიული გამოდგა.

ძნელია თქმა, ვისი დამსახურებაა კარგი ქართული თარგმანების მომრავლება. ვფიქრობ, რაღაც ინსტინქტმა იმოქმედა, რომელსაც საკუთარი ენის გაცოცხლების ინსტინქტი შეიძლება ვუნდოდოთ. შესაძლოა ეს თავად ენის, როგორც ცოცხალი ორგა-

ნიზმის, ინსტინქტიც იყო, რომელიც მთარგმნელს საყვარელი ტექსტის საკუთარ ენობრივ სივრცეში გადმოტანის სურვილს უჩენს. ამ საქმიანობით ძირითადად მოხალისე მთარგმნელები იყვნენ დაკავებული. ქართულ გამოცემებებს სხვა, ბიზნეს-სინტერესები ამოძრავებდათ. არ მგონია, რომ მათი წილი ამ პროცესში მაინცდამაინც დიდი იყო.

2. პირადად მე დღემდე მიმართლებს და გარკვეული პრინციპიც მაქვს: არ ვთარგმნი იმას, რაც არ მომწონს. სანყის ეტაპზე გამოცემებებს თარგმანის დასრულების შემდეგ ვუკავშირდებოდი, დღესდღეობით კი „დიოგენე“ საშუალებას მაძლევს მათთვის საინტერესო ავტორებიდან სასურველი შევარჩიო. ასე ვთარგმნი ნიგნები „ამერიკელები-სა“ და „დიოგენე ბიბლიოთეკის“ სერიებისთვის. ეს პროექტები ლიტერატურული გურამების ხელშია და მიუხედავად იმისა, რომ კომერციულს ვერ ვუნდობთ, საკმაოდ წარმატებულია. ზოგადად, ამ გამოცემებში შეწყობილია რისკი და სასარგებლო საქმის კეთების სურვილი, ამიტომაც ვგულმემატიკრობ.

3. თარგმანის თეორიაში არსებობს ადეკვატობის და ეკვივალენტობის ცნება. ეკვივალენტობის დაცვა სხვადასხვა დონეზე შეიძლება: წინადადების, ფრაზის, აზრის. ზოგადად მაინც მთარგმნელის ნებისურებაა დამოკიდებული, თუმცა შეენიშნე, რომ ბევრ მათგანს ადეკვატობასა და ზუსტად თარგმანზე განსხვავებული წარმოდგენა აქვს. პირადად ჩემთვის ამ პასუხის ყველაზე საინტერესო ნაწილი სიტყვა „სილღეს“ უკავშირდება. თმხვედრია არცთუ ურიგო, შესაძლოა ზუსტი თარგმანებიც, რომელთაც ვერაფერი ამიყოლიეს. ნიგნი ისე დამიხურავს, აღფრთოვანება არ განმიცდია. ნორმალური, კარგი თარგმანი სერიოზულ შენიშვნებს არ უნდა აჩენდეს, ძალიან კარგი თარგმანი კი ალბათ ისაა, სადაც მთარგმნელის გადამწყვეტილებები, მიგნებები, მისი ქართული ისევე აღგაფრთოვანებს, როგორც კარგი მსახიობის თანაში. მთარგმნელის ხელთაც ცოტათი რეჟისორის და მსახიობის პროფესიას ჰგავს, სადაც უშუალოა. არ ვიცი, სხვა როგორ, პირადად მე თარგმნისას თითქმის ყველაფერს ვიზუალურად ვხედავ. მგონი, პერსონაჟების ინტონაციებიც მესმის.

4. მთარგმნელობითი კოლეგიის აღდგენა და სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა ღამის ერთადერთი გამოსავალი მგონია. მისი აღდგენის მუშაობის პირველ ეტაპზე უნდოვანა წარმოდგენა მაქვს, მაგრამ როცა მთარგმნელები ერთად დასხდებიან, ყველაზე კარგად გამოჩნდება, რა პრობლემები აწუხებთ და სად სჭირდებათ მხარდაჭერა. ამ გაერთიანებას აუცილებლად უნდა ჰყავდეს იურიტიკები, რომლებიც მთარგმნელების უფლებების დაცვის კონცეფციას შექმნიან.

5. რასაკვირველია, ახდენს და ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ. თუმცა საამისოდ ბევრი კარ-





გად ნათარგმნი ტექსტია საჭირო. იცით, რას ნიშნავს, როდესაც საკუთარ ენაზე კარგი თარგმანები გაქვს? მის მიმართ ნდობის გაზრდას. ენა კომუნიკაციის საშუალებაა, ესე იგი, თვითრეალიზაციის ინსტრუმენტი. რაც უფრო სრულყოფილია ეს ინსტრუმენტი, მით უკეთ ახერხებს საკუთარი თავის გამოხატვას საზოგადოებაში. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ იქ, სადაც მშობლიური ენა ცოცხალი და მოქნილი ვერ არის და მასზე ყოველი აზრი ვერ გამოთქმის, სადაც სხვა ენის ძალადობის კვალს ვერ აშორებენ, ადამიანები ტრავმირებული არიან და მათი სააზროვნო სფეროც არასრულფასოვანია.

6. პირველი - პროუსტი. მეორე - პროუსტი, მესამეც - პროუსტი, ეს ჩემი აპკიატებაა. სირცხვილია, რომ „დაკარგული დროის ძიებაში“ არ გვითარგმნია. ჩამონათვალს ნებისმიერი მეტ-ნაკლებად გაანათლებული ადამიანი გააგარძელებს. ამაზე დროს ნუ დაკარგავთ. სხვა რამე მინდა ვთქვა: ე.წ. არამხატვრული პროზის (nonfiction) თარგმანა საჭირო. ამას კარგად აკეთებდა არასამთავრობო ორგანიზაცია „რადარი“, რომლის მიზანი თანამედროვე დასავლეთის (თუმცა გეოგრაფიის ასეთი პოლარიზებაც არაა სწორი) აზროვნების მნიშვნელოვანი წარმომადგენლების - ტონი ჯატის, ტიმოთი სნაიდერის, ქეთინი შულცისა და სხვათა თარგმნა იყო. უნდა ვთქვოდეთ, რა სახალეებია დღეს პოლიტიკის, ეკონომიკის, ეკოლოგიის, სოციალურ მეცნიერებათა სფეროებში. ამგვარი ცოდნა ჩვენი საზოგადოებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. გამოცემულს, რომლებიც მსგავსი ლიტერატურის თარგმნას გადაწყვეტენ, აუცილებლად საჭირდებათ სახელმწიფოსა და სხვადასხვა ფონდის დახმარება.

7. ზოგიერთს მთარგმნელობა ხელსონობა ჰგონია. ასეთებს ვეტყვი, რომ ჩემთან სამ თვეში ერთხელ სანტეჟნიკოსი დადის. ნახევარ საათში მოითავებს საქმეს, 30 ლარი იღებს და მიზრბს. მისთვის ემოციური დაძაბულობა ან ხელნაწიზე განსაკუთრებული კონცენტრირება არ შემიძინანვს. პროფესიონალი მთარგმნელი კი რომანზე მუშაობის დასრულების შემდეგ განურულ ლიმონს ჰგავს. ქუდის დახურვა და სხვა „გაყვანილობებთან“ ჩინიკრდევლობა არ შეუძლია. აი, რა სხვაობაა მათ შორის.

ადამიანი, რომელიც ათ წელიწადზე მეტხანს დაფინანსდ და ერთგულად თარგმნის, თანდათანობით კარგავს ფანმრთელობას, მხედველობას და ა.შ. შეძენით კი ვერაფერს იძენს და უფრო ნარნარად მცხოვრები მეგობრების თვალში სამართლიანად გამოიყურება იდიოტად. ამ „იდიოტთა“ მიმართ მოზარდობიდან ვგრძნობ უზარმაზარ მონინებას. არ არსებობს პროფესია, რომელსაც უფრო მეტად ვცემ პატივს.

დღესდღეობით არ გვაქვს არანაირი ფონდი და სტიპენდია, რომელიც მთარგმნელებს დაეხმარებოდა, ამიტომაც ასეთი არაჯანსაღი ინტერესი „საბაბს“ მიმართ. საშინელებაა ამ შრომისმოყვარე ადამიანებში არაჯანსაღი კონკურენციის გადავიება. იმდენი რამ გვაქვს სათარგმნი, ერთმანეთის მეტო-

ქეები ვერ ვიქნებით. ერთ ფრონტზე უნდა ვიბრძოლოთ და სოლიდარულები ვიყოთ. გამოსავალს ისევე მთარგმნელთა კოლეგიის აღდგენაში ვხედავ, რისი აუცილებლობაც სახელმწიფომ უნდა გაიაზროს და საამისო სახსრებიც გამოსოს. ამ ფონდიდან ყველა გამოცემული თარგმანის ჰონორარს, რომელსაც მთარგმნელს გამომცემლობა უხდის, სულ მცირე, ერთი იმდენი უნდა დაემატოს. დღეს არსებული ჰონორარი ნიგეზე მუშაობის პროცესს მხოლოდ სანახევროდ ფარავს. ის მთარგმნელიც კი, რომელიც გამუდმებით რალაცას თარგმნის, წლის მესამედს მაინც უფულოდ ატარებს. რას ნიშნავს ეს, მხოლოდ მთარგმნელები გამიგებენ.

8. მთარგმნელებმა არ იციან თავიანთი უფლებები, მათ შორის, მეც. ამაზე მთარგმნელთა პროფესიული გაერთიანების მიერ დაქირავებულმა იურისტებმა უნდა იმუშაონ. კომიკური იქნება მთარგმნელთა უფლებების დაცვა გამოცემლობებს მივანდოთ. რამდენადაც მახსოვს, მცდელობები იყო, სამი-ოთხი წლის წინ ამ საკითხზე მუშაობას კულტურის სამინისტრო იბრალეებდა, თუმცა, როცა „ნიგნის პროექტის“ ფარგლებში ჩემსა და გამოცემელს შორის საავტორო უფლებების თაობაზე კამათი დაიწყო, მთარგმნელის მხარეს არ დამდგარა. ძალიან მინტერესებს, როგორია საქართველოს პრაქტიკა დაკვეთილ თარგმანებთან დაკავშირებით, თუმცა აქაც ბევრი არაფერი ვიცი. ვფიქრობ, საავტორო უფლება ისეთ თარგმანზე მაინც უნდა გეკუთვნოდეს, რომელიც გამოცემლობის შექვევების გარეშე შესარულე. სწორედ ასეთი პრობლემების გადასაჭრელადაა საჭირო მთარგმნელთა გაერთიანება.

9. სახელმწიფოს გარეშე ეს საქმე წინ ვერ წავა. აუცილებელია დამწყები მთარგმნელების გაგზავნა საზღვარგარეთ, იმ ენობრივ გარემოში, რომელზეც თარგმნის, ეს მათთვის მშვენიერი პრაქტიკა იქნებოდა.

10. პირადად მე კრიტიკა ნამდვილად მჭირდება. მხოლოდ ქათინური ან დუმილი საკმარის არ არის. თანაზიანად და კეთილგანწყობით დანერკო კრიტიკულ მოსაზრებებზე ბევრს ვიფიქრებდი და ვისწავლიდი. სხვათა შორის, კარგი რედაქტორიც მშვენიერი კრიტიკოსია. სხვა მთარგმნელებისგანაც შეიძლება რალაცის სწავლა, ქუჩაში მოსმენილი დიალოგებიდანაც, ბავშვისგანაც, რომელსაც ვერ სიტყვების მიმართ დამოკიდებულება არ გაქვევებია. ყველგან ისწავლი რალაცას, სადაც ენას მტკერი არ ადევს.

**ხათუნა ცხადაძე, მთარგმნელი**

1. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ საოცარი სისწრაფით გაიზარდა თარგმნილი ლიტერატურის

რაოდენობა. ეს ტენდენცია, სავარაუდოდ, მომავალ წლებშიც გაგრძელდება. რა თქმა უნდა, ბევრი უზარისხო თარგმანიც იბეჭდება, სამაგიეროდ, ამ ფონზე ხარისხიანი თარგმანის საჭიროება უფრო გამოიკვეთა. გაიზარდა მკითხველის მოთხოვნა და, შესაბამისად, გაჩნდა თარგმანის კრიტიკის ელემენტები. ამას ჯერ კიდევ ვერ ვუნოდებთ არგუმენტირებულ ლიტერატურულ კრიტიკას, მაგრამ მოთხოვნილება აშკარაა.

2. ქართველი გამომცემლობები ხშირად გამოსცემენ სრულიად არაკომერციულ ლიტერატურას და ეს არჩევანი, ქართული წიგნის ბაზრის შეზღუდული შესაძლებლობების გათვალისწინებით, ძალზე დასავსებელია. ცხადია, ეს ყველას ერთნაირად არ ეხება: ზოგი ძირითადად ბაზრის მოთხოვნაზეა ორიენტირებული, ზოგი - შედარებით ნაკლებად, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ყველა გამომცემლობა კომერციულ ლიტერატურას (ან მხოლოდ მას) ეძახება. როგორ გინდა კომერციული უნოდო მუზილი, რომლის თარგმნაც და რედაქტირებაც საოცარი შრომაა? ასე რომ, ნამდვილად არსებობენ ქართული გამომცემლობები, რომელთათვისაც პრინციპები და ლიტერატურული გემოვნება ძალზე მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება შეთავაზებას, რამდენიმე მცდელობა მქონდა და უარი არასოდეს მიმიღია. ვფიქრობ, შესაძლებელია მათი დაინტერესება თუნდაც არაკომერციული ლიტერატურით, თუ ეს მართლა ხარისხიანი ტექსტია და კარგი თარგმანია.

სხვა რა ეთხორათ... თარგმანი პროფესიაა, საქმიანობა, რომელსაც ყველა თავად ირჩევს, მაგრამ მისი წიგნად ქცევა გამომცემლის საქმეა. ცხადია, მთარგმნელს შეუძლია თავად გამოისცეს წიგნი და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ეტაპი (საავტორო უფლებების ყიდვა, ტექსტის რედაქტირება, გამოცემის ტექნიკური უზრუნველყოფა, ბეჭდვა, დისტრიბუცია და სხვა) გაიაროს, მაგრამ ეს უდიდესი შრომაა და პირადად მე, როგორც მთარგმნელს, ამაზე დროის ხარჯვა ვერცეი წარმომიდგენია.

3. ძალიანაც რომ მიინდოდა, ახალს ვერაფერს ვიტყვი. დარწმუნებული ვარ, საბოლოოდ კარგი თარგმანი ყველასთვის ერთი და იგივეა: ორი რამის - თარგმანილი ტექსტის ხარისხისა და სანდოობის სწორი ნახავი. საქმე ისაა, როგორ გვეცხმის "სწორის" მნიშვნელობა, სად გადის ზღვარი. ზოგისთვის ეს ზღვარი სანდოობისკენ იხრება, ზოგს მოხდენილი ტექსტი ურჩევია. პირადად ჩემთვის უმთავრესი თარგმნილი ტექსტის მშვენიერებაა. მხატვრულ თარგმანს ვგულისხმობ და არა სამეცნიერო ლიტერატურას ან ენისტიკას. ჩემი აზრით, შეუძლებელია ლიტერატურულ თარგმანს კარგი მხოლოდ იმიტომ უწოდო, რომ ზუსტია. ან ვინ ადგენს, რა არის სიზუსტე? ცხადია, ფაქტობრივ შეცდომებსა და აზრის დამახინჯებაზე თვალის დახუჭვას არ ვგულისხმობ, ამის დაზუსტება ალბათ ზედმეტეცაა. ამ ყბადაბულ "სანდოობას", "ერთგულებას", "სიზუს-

ტეს" "პასუხისმგებლობით" ჩავანაცვლებდი და ვიტყვოდი, რომ ჩემთვის მთავარია, მთარგმნელი ზათიანად წერდეს ქართულად და პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს თარგმანს. დანარჩენს მოველებო.

უმბერტო ეკო, რომელსაც თარგმანზე ძალიან ბევრი აქვს ნაფიქრი და დუნოდობლად აკრიტიკებს უპასუხისმგებლო, ზერელე თარგმანებს, თავის ბოლო წიგნს - "თითქმის იგივე. თარგმანის გამოცდილება" ასე ამთავრებს: "თუ თავს გამოიღებო და ეცდებით, სიტყვა "ერთგულებას" სინონიმო მოუძებნოთ, ვერცერთ ლექსიკონში ვერ ნახავთ სიტყვას "სიზუსტე". სამაგიეროდ, შეგხვდებათ სიტყვები: პატიოსნება, თანადგომა, პატივისცემა და სიყვარული".

4. ამ თემაზე ბევრი არ მიფიქრია და შეიძლება ვცდები, მაგრამ ამის საჭიროებას ვერ ვხედავ. ისე, მკითხველთა (ანუ შემფასებელთა) შამქარი რომ ბევრად დიდი იყოს, მგონი, თარგმანის ხარისხიც საგრძნობლად აინევდა. თუ ასეთი გაერთიანების არსებობაზე მაინც დავფიქრებდი, თემატური შეხვედრების, დისკუსიების, ახალი თაობის აღზრდის და დახმარებისთვის უფრო წარმომადგენელია, ვიდრე "პოლიტიკის და პრიორიტეტების განმსაზღვრელები".

5. რა თქმა უნდა, ახდენს. თარგმანი ისევე ამდიდრებს ენას, როგორც ორიგინალური პოეზია, პროზა თუ ესეისტიკა. ვფიქრობ, ქართულს ეს განსაკუთრებულად ეხება: ნებისმიერი ენიდან მთარგმნელი იმდენად მრავალფეროვან და რთულ ენობრივ არჩევანს უმკლავდება, შეუძლებელია ეს შრომატევადი პროცესი ენის განვითარების ნაწილად არ ჩათვალოს.

ამ თემაზე საუბრისას, როგორც წესი, მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურას მოიაზრებენ. არადა, ენის გამდიდრებისა და განვითარებისთვის სამეცნიერო და სპეციალური ლიტერატურის თარგმნაც ძალზე მნიშვნელოვანია. ხშირად ვეცხმის ფრაზა - "ინგლისურად მირჩევნია მოვამზადო" (გამოსვლა, სიტყვა, ანგარიში, პრეზენტაცია). იმიტომ, რომ ქართულში სიტყვების ძებნა, წვალება საჭირო, "უთარგმნელ" სიტყვებთან ძიძგვლაობა, სპეციალურ ქსელში მუდარა: "არქი, ფრენდებო, მიშველეთ, როგორაა ქართულად...?" და ასე შემდეგ. ეს სწორედ მაღალ დონეზე თარგმნილი სამეცნიერო და დარგობრივი ლიტერატურის სიმძირის ბრალია. მოკლედ, "უმსჯელობაზე" ხალისი არ კმარა.

6. ჩემთვის ძალიან ადვილია ამ კითხვაზე პასუხი: იტალიური ლიტერატურა პრაქტიკულად მთლიანად სათარგმნია. რომელი ერთი გითხორათ, არც ვიცი. რამდენიმე ავტორს დავასახელებ: გადა, პავეზე, ფენოლიო, კალვინო, ბუცატი, ლევი, შედარებით ახლებიდან ბენი, რიკარელი და ბევრი სხვა, პოეზიაზე რომ არაფერი ვთქვა.

7. მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ამ საქმეს საკუთარ კულტურული პრიორიტეტებს შორის აღი-



რედეს, თუმცა არ მიმანჩია, რომ უნდა აფინანსებდეს მთარგმნელობით საქმიანობას. კარგი იქნება არსებობდეს გარკვეული დამატებითი საშუალებები მთარგმნელებისთვის, მაგალითად, სპეციალური ფონდები თუნდაც იმ "არაკომერციული", მაგრამ მნიშვნელოვანი პროექტების დასაფინანსებლად. სახელმწიფო სახსრები ჩვენი ლიტერატურის თარგმანსა და "გაბანაზე" უფრო უნდა ეხარჯოთ.

რა თქმა უნდა, საქართველოში მხოლოდ თარგმნით თავის გატანა ძალიან ძნელია. ჩემი თარგმნის ტემპი თუ ვაგიოვალის ჩვენით, შეუძლებელიც. თუმცა არა მგონია, ეს მხოლოდ ჩემი ტემპი იყოს. მხატვრული თარგმანი ისეთი საქმეა, რთულია, რუტინაში მოაქციო და დღეში დაგვამილად რვა საათი იმუშაო. ხან გამოვდის, ხან - არა. ვერ იძალადებ. ევროპელი მთარგმნელების მოსაზრებებიც წამოკითხავს ამ თემაზე და ვფიქრობ, მხოლოდ მთარგმნელობითი საქმიანობით ღირსეულად ცხოვრება ყველგან რთულია. უბრალოდ, ჩვენთან ანაზღაურება სასურველზე დაბალია.

8. ზედმინვენი არც მე ვიცნობ სქემებს, რომელიც გამოყენებაც მთარგმნელისა და გამომცემლის ურთიერთობაში შეიძლება. თუ "უფლებებში" ის იგულისხმება, რომ მთარგმნელმა გაყიდვებიდანაც მოითხოვოს წილი, არ ვიცი, ეს რამდენად რეალურია. პირველად ჩემთვის სასურველი და საკმარისი იქნება, თავად თარგმანის ჰონორარი იყოს ღირსეული. ჰონორარი ნამდვილად არაა მაღალი და, ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, დიფერენცირებულიც იყოს: ანუ ყველა მთარგმნელს ერთნაირი ანაზღაურება არ ეკუთვნის. თუმცა ყველას ერთნაირად ალბათ არც უნდოდა. დაგვიანებას რაც შეეხება, ეს პრობლემა არ მქონია. თავად ვუფვიანებ გამომცემლობას, თანაც მუდმივად.

9. პერსპექტივებზე რამის თქმა მიჭირს. ეს ისეთი საქმეა, ძალიან თუ არ გინდა, არ ვიცი, როგორ უნდა აკეთო. ამ კითხვებზე ალბათ უნდა ვუპასუხო, რაც აუთილება, მეტბა ადამიანმა უნდა წეროს და თარგმნოს-მეთქი. ნიჭი და უნარი ყველაფერში მთავარია, მაგრამ წერა წერით ისწავლება. წერით და კითხვით. კარგად ვერ თარგმნის ის, ვინც არ კითხულობს. ამაში სრულიად დანუბუნებელი ვარ. ევროპაში, ამერიკაში, არის სკოლები, სადაც წერას ასწავლიან. ბევრი ჯიუტად თვლის, რომ წერის სწავლა შეუძლებელია. მე ასე არ ვფიქრობ. უამრავი რამაა, რისი სწავლაც შეიძლება, თუ ადამიანი უნარიანია. სწავლა მწერლად ვერავის აქცევს, მაგრამ ბევრ რამეს ასწავლის, მაგალითად, მთარგმნელს. თანაც, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ რომანები და ლექსები ხომ არ გვაქვს სათარგმნი, არსებობს ესეისტკაც, ზღვა სამეცნიერო და სპეციალური ლიტერატურა, რომელიც წელან ვახსენე და რომელიც აუცილებლად გვჭირდება ქართულად.

10. ჩემი აზრით, აუცილებელია. ჩვენთან თარგმანზე აზრის გამოთქმა ლანძღვას ან ქებას თითქმის არ სცდება. "ვარგა, არ ვარგა, საშინელია, გა-

დასარეგია, არა უშავს" აღარ კმარა. უნდა ითქვას, დასაბუთდეს, ჩამოყალიბდეს, რატომ არის კარგი ან არ ვარგა. ეს ნამდვილად არის ლიტერატურული კრიტიკის ნაწილი და, ჩემი აზრით, ახალგაზრდა მთარგმნელებისთვისაც მნიშვნელოვანია. როგორც წესი, ადამიანს საკუთარი ნაწერი უყვარს. არგუმენტირებული კრიტიკა, სულ ცოტა, დაფიქრებს მაინც. თარგმანის კრიტიკა, ისევე, როგორც ზოგადად, კარგი ლიტერატურული კრიტიკა, მკითხველის ლიტერატურული გემოვნების დახვეწისა და განვითარებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. გემოვნების დახვეწა კი ნამდვილად შესაძლებელია.

### ნიკა სამუშია, მთარგმნელი

1. სასიკეთოდ ის შეიცვალა, რომ თარგმნილ ნივთს რაოდენობა იზრდება. მიზეზები: გამომცემლობების რიცხვმა მოიმატა, ძირითადი მოთხოვნა კი უცხოური ლიტერატურის ქართულ თარგმანებზეა. გარდა ამისა, გაიზარდა ისეთ მკითხველთა რიცხვი, ვისაც მისთვის საინტერესო ტექსტის მშობლიურ ენაზე ნაკითხვის სურვილი აქვს. ხშირად მკითხველი არცერთ უცხო ენას არ ფლობს ის კარგად, რომ ესა თუ ის ნაწარმოები ორიგინალში ან უცხოენოვანი თარგმანით ნაკითხოს. ამ მხრივ მთარგმნელისა და ზოგადად გამომცემლის პასუხისმგებლობა განსაკუთრებით მაღალია. აუცილებელია, მკითხველს ხარისხიანი პროდუქტი მიენდოს. ისიც უნდა ითქვას, რომ ახლა უფრო ხშირად ითარგმნება ტექსტები ორიგინალიდან. გაჩნდნენ მცირე ენებიდან მთარგმნელები.

2. მთარგმნელს არანაირი ბერკეტი არ გააჩნია. ან თავად უნდა იყოს მზად ხარჯის გასაღებად, ან გამომცემელი. ან არადა, დაფინანსების წყარო უნდაა მოიძიოს.

3. ჩემთვის თარგმანი მაშინაა კარგი, როცა მისი ორიგინალიდან შედარება მიხდება. როდესაც რომელიც ნინადდება ან თუნდაც სიტყვა ამა თუ იმ პასაჟის შესაფერისად მეჩვენება. შესაძლოა ეს იმით არის გამოწვეული, რომ მთარგმნელი ვარ. ზოგადად, მთავარია მთარგმნელს სტილს და ზომიერებას იცავდეს. თარგმანს უნდა ეტყობოდეს, რომ უცხოელი ავტორის ტექსტია და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდეს, თითქოს ორიგინალს კითხულობ.

4. მკითხველისა და ბაზრის მოთხოვნების შესწავლა და პრიორიტეტების განსაზღვრა გამომცემლობის პერეოგატივია, მთარგმნელთა გაერთიანება კი ალბათ კულტურის სამინისტროსთან ან რომელიმე ლიტერატურულ ფონდთან უნდა თანამშრომლობდეს, რათა კომერციულად არამომგებიანი, მაგრამ ლიტერატურული თვალსაზრისით აუცილებელი ტექსტების მიმართ დაინტერესება გააჩინოს და მათი თარგმნისათვის საჭირო სახსრები მოიძიოს.

5. მრჩევა შთაბეჭდილება, რომ თავად მკითხველი ახდენს ვაგლენას სალიტერატურო ენაზე. ხანდახან ეს პრობლემებს ქმნის. ჩემი დაკვირვებით, ქართულ მკითხველთა დიდი აქტიურ ნაწილს ახალგაზრდები შეადგენს. იმისათვის, რომ ტექსტი მათთვის გასაგები გახადო, ზოგჯერ კომპრომისზე წასვლა გინევს. მაგალითად, "ბექდების მბრძანებლის" თარგმნისას ტექსტიდან რამდენიმე მოძველებული სიტყვა თუ სახელი ამოვიღე და ზოგან წინადადებათა არქაული ნყოფა შეცვალე. ეს გადწყვეტილება მას შემდეგ მივიღე, როდესაც წინასწარ გამოქვეყნებული რამდენიმეგვერდიანი ნიმუშის შესახებ პოტენციურ მკითხველთა აზრს გავეცანი. რთულია, როცა თანამედროვე მკითხველისთვის ნახევარი საუკუნის წინანდელ ან უფრო "ხნიერ" ტექსტს თარგმნი.

6. კონკრეტულად რომელიმეს დასახელება გამოიჭირდება. ჩემი აზრით, უნდა ითარგმნოს უარსულს ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები, წიგნები, რომლებიც მკითხველთა ფართო წრეს დაინტერესებს და კითხვის სურვილს გაუჩნის.

7. რამდენადაც ვიცი, გარკვეული პროგნოზები არსებობს, მაგრამ ეს ვითარებას დიდად ვერ ცვლის. კარგი იქნება, თუ სახელმწიფო პირდაპირ ან ირიბად (გამომცემლის მეშვეობით) დაუფინანსებს მთარგმნელს კომერციულად არამომგებიანი, მაგრამ ლიტერატურული ღირებულების მქონე ტექსტის თარგმანს; ან გარკვეულ დახმარებას დაუნიშნავს მას, რომ მხოლოდ გამომცემლის შეკვეთებზე არ იყოს დამოკიდებული.

8. პირადად ჩემთვის არასდროს დაუგვიანებიათ ჰონორარი და ხელშეკრულების პირობებსაც ყოველთვის ყურადღებით ვცნობი. მართალი გითხრათ, მიჭირს ამ საკითხზე სხვის მაგივრად მფუკობა. აღბრუნებულა მთარგმნელთა გაერთიანების (თუკი მსგავსი რამ შეიქმნება) ერთ-ერთი დანიშნულება სწორედ კოლეგების უფლებების დაცვა და ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარება უნდა იყოს.

9. ამ სფეროში მხოლოდ იმიტომ მოვხვდი, რომ "ბექდების მბრძანებლის" ქართულად თარგმნა და გამოცემა მიხდოდა. თუმცა თარგმნა ძალიან შრომატევადი საქმეა. ჩემი აზრით, მთარგმნელთა პროფესია და ადამიანს ამ პროფესიის დაუფლების სურვილი უნდა გააჩნდეს. მხოლოდ თარგმნის ნიჭი და სიყვარული არ კმარა, ფინანსურადაც მიმზიდველი უნდა იყოს.

10. პირადად მე ცვდილობ ნაკითხობ ყველაფერი, რაც ჩემს თარგმანებზე იწერება. რედაქტორების თანამშრომლობასთან ერთად, ესეც გამოცდილების დაგროვების ერთ-ერთი საშუალებაა. რა თქმა უნდა, დასაბუთებული კრიტიკა აუცილებელია - არა მხოლოდ მთარგმნელის, არამედ მკითხველისთვისაც.

## თეა შურღაია, მთარგმნელი

1. ვითარებანამდვილად სასიკეთოდ შეიცვალა, განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე წელიწადში. იდეალურს ვერ ვუწოდებ, მაგრამ პროგრესი აშკარაა. ამაში მხოლოდ ფანტობრივ მრავალფეროვნებას არ ვგულისხმობ. გაიზარდა იმ ენების რიცხვი, საიდანაც თარგმნის, ავტორთა ჩამონათვალი და ქვეყნები, რომელთა მწერლებსაც ქართულ ენაზე გვთავაზობენ. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში მთარგმნელთა ყველა თაობაა ჩართული. მაგალითად ორპან ფაშუქის შემოქმედება გამოდგება, რომელსაც რამდენიმე შესანიშნავი ქართველი მთარგმნელი ჰყავს. მათ შორის უსუბუცი ლია ჩლიაიძე, ყველაზე ახალგაზრდა - თამარ ალფინიძე.

შეიცვალა მთარგმნელების მიმართ დამოკიდებულებაც. მართალია, დაღვინილ ყოფამდე შორია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ პროფესიას (თუ მოწოდებას) გამოცემელთა სახით მუშტარს გამოუჩნდა. 20 წლის წინ სხვა ვითარება იყო - მთარგმნელები თავად ზრუნავდნენ თავიანთი ნამუშევრის დაბინავებაზე და, ძირითადად, საკუთარი ხარჯით ბექდავდნენ. იმ პერიოდში უფრო მეტად ადრე გამოცემულ და მკითხველის მიერ მოწონებულ ან ეკონომიკური კრიზისის გამო უჯრაში შენახულ თარგმანებს გამოცემდნენ, რომელთა შესრულებიდან საკმაოდ იყო იყო გასული. დღეს მთარგმნელიც და გამომცემელიც ცდილობს, ფეხი აუწყოს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. ძალიან კარგია, როდესაც 2-3 წლის წინათ გამოცემული გახმაურებული ტექსტი ქართულად ითარგმნება. მსგავსი მაგალითი 20 წლის წინ არ მაგონდება.

სასიკეთოდ მიმაჩნია ისიც, რომ წარმატებულმა ქართულმა გამომცემლობებმა წამოიწყეს თარგმნელი ლიტერატურის სერიული გამოცემა (მაგ.: "დიოგენეს" სერია "ამერიკელები", "ინტელექტის" თანამედროვე დრამატურგის ან ნოველიანტების სერია და სხვ.), რითაც მათი გამოცემები მეტ ინდივიდუალობას იძენს. მთარგმნელებსაც შეუძლიათ ირიენტაცია აიღონ ამა თუ იმ გამომცემლობის რომელიმე სერიაზე, შესთავაზონ გამომცემელს კონკრეტული ავტორი თუ ნაწარმოები.

2. მთარგმნელები რაიმე ბერკეტით ნამდვილად ვერ დაეკვივნები. ამ შემთხვევაში პიროვნული ფაქტორები უფრო მოქმედებს. ნდობა ხშირად ერთადერთი ბერკეტია. გამომცემელი ენდობა კონკრეტული მთარგმნელის კვალიფიკაციას თუ გემოვნებას. სხვა შემთხვევაში ეს მტანჯველი პროცესია. საბედნიეროდ, გამომართლა და დაკვეთით ჯერ არაფერი მითარგმნია. ვითარგმნიდი იმას, რაც მიხდოდა. ერთადერთი შემთხვევა გოლი თარგმანი იყო, რომლის კრებულის გამოცემა თამარ ლებანიძის იდეა გახლდათ, თუმცა შემოქმედებით ნაწილი ამ ჩარეულა. სამწუხაროა, მომავალში ალბათ ასე ველარ გავრცელებდა, რადგან საავტორო უფლებები მთელ რიგ სირთულეებს უკავშირდება. მოლაპარაკება ავენტსა და გამომცემლობას შორის მიმდინარეობს, რაც ერთი მხრივ, მთარგმნელისთვის მოსა-



ხერხებელია, რადგან ბიუროკრატიისგან ათავისუფლებს, მაგრამ მთავრად მხრივ, გამომცემელზე დამოკიდებულს ხდის და თავისი პირობების შეთავაზებას ურთულებს. ვფიქრობ, როგორცაა და უნდა განვითარდეს მოვლენები, უახლოეს მომავალში მთარგმნელის მდგომარეობა არსებითად არ შეიცვლება.

3. ეს თემა თარგმანის თეორიაში მრავალნაირად არის განხილული, ახლის თქმა რთულია. ცნობილი პოლონელი მთარგმნელის, სტანისლავ ბარანჩაკის სიტყვებს გაეხსენებ, რომელიც ერთ-ერთ ნაშრომში ("მთარგმნელის მცირე მანიფესტი") პოეზიის თარგმანზე საუბრისას შეფასების ყველაზე ზუსტ კრიტერიუმად სომატურ რეაქციას მიიჩნევს - თუკი თარგმანის კითხვისას ყრუანტილი დაგვიღის, ანუ ისეთივე განცდა გეუფლებს, როგორც მთარგმნელს დედნის კითხვისას, მაშასადამე, თარგმანი კარგი გამოსულა. მართალია, პოეზიისა და პროზის თარგმნის სპეციფიკა სრულიად განსხვავდება, მაგრამ შედეგის აღქმა ხომ მსგავსია?! თარგმანმა ისეთივე ემოციები უნდა აღძვრას, როგორცაა ორიგინალი ბაღებს. აღმოსავლურ სამყაროს დავესვსებე და პარალელს გაავსებ სუფიურ იდეალს და მთარგმნელის იდეალს შორის: სუფიების მიზანი საკუთარი "მესგან" გაათავისუფლება, "თვითგანადგურება" და პირველსაწყისთან, უზენაესთან შერწყმა (ე.წ. ფანა). ასეთივე დამოკიდებულება უნდა იყოს მთარგმნელსა და სათარგმნელს შორის: მთარგმნელი თარგმანში მთლიანად უნდა გაქრეს და "შეერწყას" ავტორს.

კარგი თარგმანი აუცილებლად გულისხმობს მკითხველის პატივისცემას, რაც ყოველთვის არ ხდება. აუცილებელია პასუხისმგებლობის მძაფრი გრძობაც, რადგან ამ დროს პასუხს ავებს არა მხოლოდ ერთი ავტორის, არამედ კონკრეტული უცხო ქვეყნის კულტურის, საკუთარი ლიტერატურისა და მკითხველის წინაშე.

4. ნებისმიერი გაერთიანება ბიუროკრატია და გარკვეულ შეზღუდვებს გულისხმობს. მხატვრული თარგმანი ძალზე სათუთი პროცესია. მთარგმნელისა და ავტორის ურთიერთობა მესამეს გამოირცხავს, ყოველ შემთხვევაში, ნებისმიერი ჩარევა იდილიას არღვევს. მთარგმნელთა ინდივიდუალური საქმიანობა და კოლექტივის ვერ იტანს. ამდენად, ძენილად წარმომიდგენია, როგორ იმუშავენ ასეთი გაერთიანება, რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელებს, ხომ არ იქცევა ეს კრიტერიუმები ზოგჯერ დაბრკოლებად? როგორ მიიღებენ გადაწყვეტილებას რომელიმე ნაწარმოების თარგმან-ართარგმნის თაობაზე? გარდა იმისა, რომ ამ გაერთიანებაში სხვადასხვა ექსპერტებს და მსოფლმხვედველობის ადამიანები იქნებიან, მათი ცოდნაც, ალბათ, რომელიმე ქვეყნის, რეგიონის, კულტურული არეალის ზოგადი ცოდნით შემოიფარგლება. მაგალითად, მე თვითონ რა გარანტია მაქვს, რომ ურიცხვ ირანელ ავტორთაგან რომელიმე მნიშვნელოვანი არ გამოირჩება? განსხვავებულია მთარგმნელთა ხედვა და გამოვლენაც: ცნობილი მთარგმნელი და ირანისტი

მაგალი თოდუა, რომელსაც დიდწილად უნდა ვუმაღლოდეთ სპარსული ლიტერატურის პოპულარიზაციას საქართველოში, თანამედროვე სპარსულ ლიტერატურას, როგორც ფენომენს, საერთოდ არ ცნობს. მე და მზია ბურჯანაძე კი მხოლოდ თანამედროვე ავტორებს ვთარგმნი, რადგან მოგვწონს ჩვენი შორის პრინციპული შეუთავსებლობა და როგორ შეიძლება ამ გაერთიანებაში ერთმანეთს ინტერესს წარმოვადგინოთ? თუმცა ამ იდეას დადებითი მხარეც შეიძლება მოეცოდეს, მაგალითად, მთარგმნელის უფლებების დაცვა. მე პირადად მსგავს ორგანიზაციას სწორედაც ამ კუთხით შევქმნიდი. მთარგმნელი ტრადიციული ფიგურაა, მას დაცვა სჭირდება. თუ თარგმანი კარგად გამოუვიდა, ამას მხოლოდ ავტორის ღირსებად ჩათვლიან; თუ თარგმანი არ ვარგა, ყოველთვის მთარგმნელია დამნაშავე. აღარაფერს ვამბობ ჰონორარზე. მისი შრომა და ნიჭი სათანადოდ არ ფასდება. ამდენად, უფრო უპირანი მთარგმნელთა ინტერესებისა და უფლებების დამცველი ორგანიზაციის შექმნა იქნება.

5. თანამედროვე სამწერლო და სამეცნიერო ენა ძალზე გაღარიბდა (ან გამარტივდა). ფაქტია, რომ უფრო ნაკლები ლექსიური და ფრაზეოლოგიური ფონდით გავდივართ ფონს. თარგმანის შემთხვევაში კი საქმე ასე იოლად არ არის - მწერი ლექსით შორს ვერ წახვალ: ერთი მხრივ, დამოკიდებული ხარ ავტორის ტექსტზე, მეორე მხრივ, მწერი ენა უმალ მთარგმნელს დაბრალდება, ვიდრე ორიგინალის ავტორს. ამიტომ, როდესაც მკითხველი თარგმნილ ტექსტს კითხულობს და ისეთ სიტყვებს აწყდება, რაც ყოველდღიურობაში ნაკლებად ხვდება, უკვე სასიკეთო შედეგია. მისი ენა მდიდრდება ან მიძინებული ლექსიკა კვლავ აქტიურდება.

6. ერთ-ერთი, რაც ქართულ ენაზე აუცილებლად უნდა გვექონდეს და საბედნიეროდ, გიორგი ლობჯინიძის მიერ უკვე ითარგმნება, ჯალალ ედდინ რუმის "არსთა მესნევიას", რომელსაც "სუფიზმის ენციკლოპედიაში" უწოდებენ. ეს არის ურთულესი ტექსტი. გიორგი ჯერჯერობით ფილოლოგიურ თარგმანზე მუშაობს. ამ უზარმაზარი თხზულების ცალკეული ნაწილების მხატვრული თარგმანი ქართულად ადრეც არსებობდა (აქ ისევე მაგალითი თოდუა უნდა ვახსენოთ), მაგრამ რაოდენობრივად ეს ზღვაში წვეთია. "არსთა მესნევის" მხოლოდ პირველი ნივთის ქართული თარგმანი კომენტარებითურთ, რომელიც, იმედია, მალე გამოიცემა, გონის, 500 გვერდს აღემატება. ვფიქრობ, ჩვენი კულტურისთვის ძალიან დიდი შენაქენი იქნება.

ვისურვებდი, რომ ქართულად თარგმნილიყო ს. ბარანჩაკის ის ესე, ზემოთ რომ ვახსენე, თუმცა ეს წარმოუდგენელად რთული საქმეა. "მთარგმნელის მცირე მანიფესტი" მთარგმნელის, კრიტიკოსისა და რიგითი მკითხველისთვის ერთნაირად საინტერესო იქნება. რთულია, მაგრამ მაინც აუცილებლად უნდა ითარგმნოს ი. ბროდსკის ესე "ერთი ლექსის შესახებ", რომელიც მ. ცვეტიანის ერთ-ერთ ლექსს ეძღვნება. აქ ბროდსკი ჭეშმარიტ ჰერ-

მენეჯტიკოსად წარმოგვიდგება და გვაჩვენებს, როგორ უნდა წავიკითხოთ ტექსტი. მთარგმნელიც ხომ, უპირველესად, შერმენეჯტიკოსი უნდა იყოს. ვფიქრობ, ეს ესე კრიტიკოსების სამაგიდო თხზულებადაც იქცევა.

7. ასეთი დახმარება ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ სახელმწიფო სტრუქტურები ძირითადად მიზერულ დაფინანსებას გთავაზობენ, რომლის მისაღებად უამრავი მოთხოვნის შესრულებაა საჭირო და ამდენ დაფინანსებად არ გიღირს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს კულტურის სამინისტროს პროგრამა, რომელიც ქართველი ავტორების უცხო ენებზე თარგმნას ითვალისწინებს. ძალიან კარგი პროექტია, აუცილებლად უნდა გაგრძელდეს და დაფინანსებაც გაიზარდოს. რასაკვირველია, იქ არის შერჩევის კრიტერიუმები, რომლებიც, ვფიქრობ, შეიძლება დაიხვეწოს და უფრო მოქნილი გახდეს. ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან უცხოელ მთარგმნელთა ნახალისება, აღარაფერს ვამბობ ქართველი მთარგმნელების ხელშეწყობაზე.


8. მთარგმნელისთვის საავტორო უფლებები უსაძლოა ერთგვარ დაბრკოლებადაც კი იქცეს, მაგრამ სჯობს ყველაფერი კანონის ფარგლებში მოექცეს. თუკი დაცული იქნება ავტორის უფლება, ადრე თუ გვიან დადგება ეტაპი, როცა მთარგმნელის უფლებასაც დაიცავენ. ამაზე ფიქრი კი დღესვე უნდა დაიწყო.

9. ეს ჩემი ლამის ყოველდღიური საფიქრალია. არიან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთაც ამ სფეროში რალაცის გაკეთება შეუძლიათ. დავასახელებდი ახალგაზრდა მთარგმნელ ნინო თუშიძეებს, რო-

მელმაც ვაბედა და გიორგი ლობჯანიძის შესანიშნავი თარგმანის შემდეგ მშვენივრად თარგმნა ფორუე ფაროზზადის რამდენიმე ლექსი. ნინო აგრძელებს თარგმნას, თუმცა ამას სხვა საქმის პარალელურად აკეთებს (ისევე, როგორც მე ან სხვა ჩვენი კოლეგები). საუბედუროდ, საქართველოში მთარგმნელობით თავს ვერ ირჩენ. ახალგაზრდები, რომლებიც ჩემი თაობისგან განსხვავებით, ბევრად პრაგმატულინი არიან, სამუშაოდ სხვა სფეროებს ირჩევენ. ამასთან, მთარგმნელად ჩამოყალიბებას ნიჭის გარდა უზარმაზარი ცოდნა და თავგანწირვა სჭირდება, რასაც ყველას ვერ მოსთხოვ.

უნდა გაიზარდოს უმაღლეს სასწავლებლებში თარგმანთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საგნების ხანგძლივობაც, რაც არსებულ ფორმით ნამდვილად არ არის საქმარისი. მთარგმნელთა დაოსტატებისთვის ძალიან კარგი საშუალებაა მასტერკლასები. ვახუშტი კოტეტიშვილს შქონდა არაჩვეულებრივი სახელისონო და კარგი იქნება, თუ ეს ტრადიცია გაგრძელდება. ასეთი მასტერკლასები ამ სფეროში არსებულ ყველა პრობლემას ვერ გადაწყვეტს, მაგრამ ბევრი რამის მოგვარება შეუძლია.

10. კრიტიკა საჭიროა, მაგრამ სწორედაც კონსტრუქციული და არა კრიტიკა - კრიტიკისთვის. ყოველთვის მაღლიერებით მახსენდება ის ადამიანები, ვისაც თარგმანთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა მოუცია. ზოგიერთის მიმართ, ვინც მაქებდა, სულ მქონდა განცდა, რომ ან არ წაუკითხავს ჩემი თარგმანები, ან გულს ვარეთ მაქებდა. კრიტიკა უნდა იყოს საქმიანი, რომელიც რალაცის მასწავლის და ერთხელ დაშვებული შეცდომის გამოსწორებაში დაეხმარება.





ირმა ტაველიძე

# განირვა და თავგანწირვა

თანამედროვე ქართული თარგმანები



*მთარგმნელის ამოცანა ბევრად აღემატება თარგმანს.  
ჰანს ვერმეერი*

## უხმო გამტარი, ჩემი ინკვიზიტორი

რამდენიმე წლის წინ ერთი ამერიკელი მწერლის რომანის კითხვისას გამუდმებით ჩამესმოდა ჩემი მეგობრის ხმა, რომელმაც ეს წიგნი ქართულად თარგმნა. მონატრებული მეგობარი ამერიკული რომანიდან მელაპარაკებოდა - ვცნობდი მის ფრაზებს, ინტონაციებს, სითამამეს, გაცხარებას და იმასაც ვაცნობიერებდი, რომ ამ ხმის მოსმენა კითხვის პროცესს ორმაგად სასიამოვნოს ხდიდა. უფრო ადრე ერთი კარგი ქართველი პოეტის თარგმანების კითხვისას აღმოვაჩინე, რომ მისი ნათარგმნი ავტორები ძალიან ჰგავდნენ თავად მას, თუმ-

ცა ამას სულაც არ შეუშლია ხელი ამ ლექსების სიამოვნებით კითხვასა და გადაკითხვაში.

წლების მანძილზე ვთვლიდი, რომ ასეთი თარგმანების მკითხველი ჩემს სიამოვნებას ვერ გაიზიარებდა - მთარგმნელების ხმები ავტორების ხმებში სამუდამოდ აეროვდა და ერთგვარად მოტყუებული დარჩებოდა. როდესაც მკითხველი ხელში ჰერმან მელვილის ან ჰენრი ჯეიმსის წიგნს იღებს, მას სწორედ ამ მწერლების ნააზრვეის გაცნობა სურს და არა მთარგმნელის აზრების. ერთი პატარა უზუსტობა, ერთი ზედმეტი სითამამე და მწერლის მოსაზრებას კი არ შევთავაზებთ მკითხველს, არამედ საკუთარ შეხედულებას, რომელსაც პირა-

დი გამოცდილების დალი აზის და მხოლოდ ჩვენი ახლო მეგობრებისთვის თუ იქნება საინტერესო.

თანამედროვე თარგმანის თეორეტიკოსები ბევრს მსჯელობენ სწორედ ამის შესახებ - უნდა ჩანდეს თუ არა მთარგმნელი ნათარგმნ ტექსტში, უნდა ისმოდეს თუ არა მკაფიოდ მისი ხმა. იმ მათ მხარეს ვარ, ვისთვისაც მთარგმნელი ერთგვარი გამტარია - ის, ვის გარეშეც ენების კომუნიკაცია შეუძლებელი იქნებოდა და ვინც ბოლომდე აცნობიერებს საკუთარ ამოცანას მეტალინგვისტური ოპერაციების დროს. აქ თავისთავად იგულისხმება, რომ ეს ოპერაციები უზმო გამტარს ითხოვს. რაც თარგმნის დროს ხდება, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე რთულად ასახსნელი მოვლენაა მათ შორის, რაც კი სამყაროს შექმნის დღიდან მომდინარე, ენობრივ სისტემებს შორის მიმდინარე პროცესებში კი მთარგმნელი უზრალოდ ის არის, ვინც დუმს - ჩემი, უპირატესი ოპერატორი.

მნამს, რომ კეთილსინდისიერებასთან ერთად სიჩუმეა ის, რაც მთარგმნელს პირველ რიგში მოეთხოვება - საკუთარ თავზე, საკუთარ ხმაზე უარის თქმა. ამერიკელი მთარგმნელი და თარგმანის თეორეტიკოსი ლოურენს ვენუტი კი ცენტრალურ ფიგურად სწორედ მთარგმნელს მიიჩნევს, რომლის გარშემოც ტრიალებს ყველა და ყველაფერი. მისივე რწმენით, მთარგმნელი სრულიად ცნობიერად უნდა ჩაენეროს იმ ტექსტში, რომელზეც მუშაობს - დატაროს ხილული კვალა: აქ იყო ესა და ეს.

ასეთ საკითხებზე დაფიქრება უდავოდ ღირს, რადგან გააზრებული არჩევანი ყოველთვის სჯობს გაუაზრებელს.

სრულყოფილი თარგმანი არ არსებობს - ამ აზრს ყველა ერთხმად ეთანხმება. სრულყოფილების მიღწევა შეუძლებელია მთარგმნელის გენიალურობის, შრომისმოყვარეობისა და მიზანსწრაფულობის მიუხედავად (მეფასება, რომ თარგმანი ორიგინალზე უკეთესია, თავისთავად გულისხმობს ცუდ თარგმანს). მეორე მხრივ, მიზნის მიღწევის შეუძლებლობა სულაც არ უშლის ხელს სრულყოფილებისკენ სწრაფვას და საკუთარ თავზე უარის თქმას, იმ ყველაფრის თანდათან დათმობას, რაც მნიშვნელოვანი იყო გზის დასაწყისში. მთარგმნელობა თავგანწირვაა, რადგან გაცნობიერებულად ისახავ მიუღწეველ მიზანს და ნებაყოფლობით უთმობ სიცოცხლის წლებს ამ საქმეს.

დაიბ, ყველაფერი საკუთარი თავის დათმობით იწყება - იმის გაცნობიერებით, რომ არ არსებობს ღმერთი, გარდა ტექსტისა და თუნც მისიასთან შედარებით უმნიშვნელოა ის, თუ ცხოვრების რამდენ წელსა და თვეს დაუთმობ ამ საქმეს, რამდენს გადაგიხდიან შესრულებულ სამუშაოში (მსოფლიოში ცოტაა პროფესიონალი მთარგმნელი, რომელიც ლიტერატურული ტექსტების თარგმნით მოულოდნელად დღიურ სარჩოს. მთარგმნელები ძირითადად ფრილანსერები არიან და რამდენიმე საქმეს ერთდროულად აკეთებენ. საათობრივი ანაზღაურების მიხედვით, სწრაფი კვების ობიექტში დასაქმებული პირი უფრო მეტს იღებს, ვიდრე პროუსტის

მთარგმნელი), შენი პირადი ცხოვრება, მისწრაფებები, სურვილები.

წარმოუდგენელია, ვინმეს მოსთხოვო, რომ თავი განიროს. წარმოუდგენელია, ეს თუნდაც საკუთარ თავს მოსთხოვო. ამიტომ ვთვლი, რომ მთარგმნელობადა წინდანობამდე ერთი ნაბიჯია.

არ არსებობს ღმერთი, გარდა ტექსტისა.

მეთოხე საუკუნეში მოღვაწე იერონიმე სტრიდონელი წინდდანად შერაცხეს იმის გამო, რომ მან ძველი და ახალი აღთქმის წიგნები ძველბრძნულიდან ლათინურ ენაზე თარგმნა. 1545 წელს კი ფრანგი სწავლული და მთარგმნელი ეტიენ დოლე კოკონზე დაწვეს წიგნებთან ერთად.

ქართულად ნათარგმნი წიგნების კითხვისას არაერთხელ შემიძრაცხავს წინდდანებად მთარგმნელები და კოკონზე დასაწავადაც არაერთი გამიმეტებია - რასაკვირველია, შუასაუკუნეებისთვის აქტუალური არგუმენტების მოხმობით. კოკონს მაშინ ვანთებ, როცა მეტისმეტად თვალსაჩინოა, რომ მთარგმნელები სხვა ღმერთებს ემსახურებიან.

### ერთგულება

როდესაც თარგმნა წინდა წიგნების თარგმნას ერთსხმობდა, სიზუსტეს, სათარგმნი ტექსტის ერთგულებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საუკუნეების მანძილზე მსჯელობდნენ იმის შესახებ, ტექსტი სიტყვასიტყვით უნდა ეთარგმნათ (მეტაფრაზი) თუ თავისუფალი ინტერპრეტაცია (პარაფრაზი) მიენოდებინათ მკითხველისთვის. იქმნებოდა თარგმანის თეორიები, იცვლებოდა თარგმანის ცნების დეფინიცია. მეცნიერება თარგმანის შესახებ (translation studies) გასული საუკუნის შუა წლებში იწყება და სწრაფად ვითარდება, საუკუნის მიწურულს კი ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევები შთამბეჭდავ მასმეტებს აღწევს. არსებობს თარგმანის თეორიასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული უამრავი საუნივერსიტეტო კურსი, მთარგმნელობითი სკოლა თუ სახელსონო, პროფესიული ასოციაციები, პერიოდული გამოცემები და ა.შ. უზრალოდ, ეს ყველაფერი ჩვენგან ძალიან შორს ხდება.

წინდა წიგნებზე ქართულ ენაზე უკვე ნათარგმნია. შესაძლოა ამიტომაც ვფიქრობთ, რომ სათარგმნი ტექსტის ერთგულება ნაკლებად მნიშვნელოვანია, ისევე, როგორც გამოქვეყნებამდე საკუთარი ნაშრომების საფუძვლიანი რედაქტირების.

ჩემი დაკვირვებით, დღეს საქართველოში პროცესი სტიქიურად მიედინება - მთარგმნელია ის, ვინც განაცხადებს, რომ მთარგმნელია; უსწრაფესად ითარგმნება და გამოიცემა მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები; მთარგმნელების დიდმა ნაწილმა არ იცის ელემენტარული წესები, რომლებიც ამ საქმიანობისთვისაა აუცილებელი - ისინი თვლიან, რომ საკმარისია, ტექსტზე მუშაობისას ინტუიციას დაეყრდნონ. არ არსებობს პროფესიული განვითარების შესაძლებლობა - მთარგმნელის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, მოძებ-





ნის თუ არა თარგმანის თეორიება და პრაქტიკასთან დაკავშირებულ ლიტერატურას და გაცნობა თუ არა მას. არავინ, ქვეყნად არავინ არ ამომნებს თარგმანის ხარისხს.

ქართველ მთარგმნელებს ალბათ ჟიდ მენაჟივით, 17 საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსივით, სჯერათ, რომ თარგმანი ქალივითაა - ან ლამაზია, ან ერთვული. ჭეშმარიტად გუბუნებით თქვენ: კარგი თარგმანი ერთიც არის და მეორეც.

იმ შორეულ ქვეყნებში კი თეორეტიკოსები წერენ მთარგმნელის პოლიტიკური პასუხისმგებლობის ზრდაზე, თარგმანის ეთიკაზე, თარგმანზე, როგორც ეთიკურად საექვო მოვლენაზე (განა ტოლსტიომ დანერა "ომი და მშვიდობა"? მან დანერა "Война и мир". ტოლსტიოს ერთი სიტყვაც კი არ დაუნერა იმ ნიგნისა, რომლის ყდაზეც "ომი და მშვიდობა" წერია), თარგმანის პრაქტიკაზე, როგორც ლიტერატურული ინტერპრეტაციის ცნობიერ აქტზე. წერენ იმაზეც, რომ მეცნიერული თვალსაზრისით თარგმანის შესწავლა სულ სხვა სიმაღლეს მიაღწევს მაშინ, როცა გაიორკვევა, როგორ ფუნქციონირებენ ადამიანის ტვინი, როცა ერთი ენის კონცეპტები მეორე ენაზე გადააქვს. არ მალავენ, რომ საუნივერსიტეტო კურსები და თარგმანის სახელოსნოები ძალიან უარ მთარგმნელებს ვერ აყალიბებენ - ასეთები, ჯერალოდ, იბადებიან თანდაყოლილი ნიჭითა და უნარებით (ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ თეორიების გაცნობა და პროფესიული პრაქტიკა ზედმეტია).

გასულ საუკუნეში თარგმანის ერთ-ერთი პირველი თეორეტიკოსი იუჯინ ნაიდა თვლიდა, რომ თარგმანის ადეკვატურობა იმით უნდა შეფასებულიყო, ახდენდა თუ არა ის მკითხველებზე ისეთივე ემოციურ და კოგნიტურ ზემოქმედებას, როგორცაა ორიგინალი. ეს მიდგომა არსებითად სწორი მგონია, თუმცა ნაიდას ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მას ტექსტი მიჰქონდა მკითხველთან, იმის ნაცვლად, რომ მკითხველი მიეყვანა ტექსტთან. უფრო თანამედროვე თეორეტიკოსებზე განსხვავებულ მიმართულებას ირჩევენ - მათი აზრით, სჯობს, ტექსტს ემწიეოდეს, რომ ნათარგმნი, ემწიეოდეს სხვაგვარობა, განსხვავებულობა, ვიდრე ნაშლილი იყოს ზღვარი, რომელიც ნათარგმნ ლიტერატურას ჰყოფს ორიგინალურისგან (ასეთ შემთხვევებში თავისთავად იგულისხმება, რომ მთარგმნელმა ზედმეტად ბევრი რამ დათმო, რათა ამგვარი "ნატურალიზაციისთვის" მიეღწია).

დროა, დავბრუნდეთ იქ, საიდანაც დავიწყეთ - პირველ სინამინდეებთან და ერთგულებასთან.

### განირვის ხელოვნება

ძველი ამაზიკა, რომ თარგმანში ყოველთვის რღდაც იკარგება. ყველა თანხმდება, რომ ყველა ნიუანსის შენარჩუნება ფაქტობრივად შეუძლებელია. მთარგმნელის ოსტატობა სწორედ ამ არჩევანში ვლინდება - იმის გადაწყვეტილას, რას განირავს და რას არა. შეიძლება ითქვას, რომ თარგმნა

განირვის ხელოვნებაა, სწორი არჩევანის გაკეთების ხელოვნება. მეორე მხრივ, იმ ამოცანებს, რომლებსაც გადაჭრაც მთარგმნელს უნევს, ერთი ჭეშმარიტი პასუხი არცა აქვს.

რა არის განირული დღევანდელ ქართულ თარგმანებში? მეტად ზოგადად რომ არ ვისაუბრო, დაკვირვების ობიექტს განვსაზღვრავ: თანამედროვე ინგლისურენოვანი და ფრანგულენოვანი რომანების ქართულ თარგმანებს ვივლისხმებ.

ამ თარგმანებში რამდენიმე ჯგუფს გამოვყოფდი:

1. თარგმანები, რომლებიც ძალიან უახლოვდება, არც მეტი, არც ნაკლები, ბოდეას. სხვას ვერაფერს დავარქმევდი იმას, რაც ამ ნიგნებში წერია. რაღაცას, რაც თარგმანად არის შემოსაღებული, არაფერი აქვს საერთო არც ორიგინალთან და არც ლიტერატურულ ტექსტთან, როგორც ასეთთან. შეცდომების თუ აზრობრივი აცდენების ძებნას აზრი არ აქვს, რადგან თავად ასეთი გამოცემება დიდი შეცდომა და მე თუ მკითხავთ - დანაშაულიც.

2. ცუდი თარგმანები. ესენი ზედაპირულად, უპასუხისმგებლოდ შესრულებული ნაშუქერებია. ცხადად ჩანს, რომ მთარგმნელმა არათუ ის ენა არ იცის, რომელიდანაც თარგმნის, არამედ მოზღოურ ენაზე გამართულად ნერაც არ შეუძლია. არასდროს სმენია სინტაქსის, ფრაზეოლოგიის, იდიომატიკის, ან თუნდაც სტილის შესახებ. არ სცნობს ლექსიკონს. არც ენციკლოპედიას. არც Google-ს ან სხვა საძიებო სისტემებს. მისი ზოგადი განათლება შეზღუდულია და ვერანაირი საუნივერსიტეტო კურსი თუ მთარგმნელობითი სახელოსნო ამ ხარვეზს ვერ გამოასწორებს.

3. საშუალო თარგმანები - მთარგმნელმა მეტ-ნაკლებად იცის ორივე ენა - ის, რომლიდანაც თარგმნის და ის, რომელზეც თარგმნის. აკლია პრაქტიკა, ისევე, როგორც თეორიული ცოდნა. აქვს ლექსიკონის, ენციკლოპედიის, ინტერნეტ-რესურსების გამოყენების გამოცდილება, თუმცა მათ იშვიათად მიმართავს. ძირითადად ეყრდნობა ინტუიციას. აქვს ერთგვარი პასუხისმგებლობის განცდა, ცდილობს, რომ ტექსტს ჰქონდეს მეტ-ნაკლებად მონესრებივლი სახე. ბუნდოვანი ნაშრომდგენა აქვს სტილზე - ყველა ავტორს უმთავრესად ერთი ენით თარგმნის. არ მუშაობს თარგმანზე - თითქმის არასდროს ასწორებს შავ ვარიანტს. პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა რომ ჰქონდეს, არ არის გამორიცხული, შეცვალოს საკუთარი მიდგომები და ათთვისოს ახალი სტრატეგიები, გაუჩნდეს ინტერესი ზოგადანითარებისადმი.

4. კარგი თარგმანები.

5. ძალიან კარგი თარგმანები.

6. სრულყოფილი თარგმანები.

(თუ თქვენ ინგლისურიდან ან ფრანგულიდან თარგმნი თანამედროვე პროზას, შეგიძლიათ საკუთარ თავს უთხრათ, რომ თქვენი თარგმანები სწორედ ასეთია - კარგი, ძალიან კარგი ან სულაც

სრულყოფილი. მე გულწრფელად ვაღიარებ, რომ არცერთი ჩემი თარგმანი აღარ მომწონს. რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად ვგრძნობ მათ არასრულყოფილებას).

სიმართლე ისაა, რომ ჩვენ თვითნასწავლი მთარგმნელი ვართ. ცოტა რამ თუ გვსმენია თარგმანის თეორიების, სტრატეგიების, წესების შესახებ. ძნელად თუ ვინმე კარგავს დროს მოსამზადებელ პერიოდზე, სათარგმნი ტექსტის საფუძვლიანად შესწავლაზე, არჩეული ავტორის სხვა ტექსტების გაცნობაზე, თარგმნის დასრულების შემდეგ საკუთარი ნამუშევრის ყურადღებით ნაკითხვასა და რედაქტირებაზე, სხვა ენებზე არსებულ თარგმანებთან შედარებაზე. არ არსებობს რეფლექსია, პროფესიონალური ანალიზის მოთხოვნილება, ან უბრალოდ, განცდა, რომ ჩვენი ცოდვები ვინმეს დიდად აღუვლებს. არც წმინდანებად შერაცხვის იმიედი გვაქვს და არც კონცნებ დანვის გვეჭინია.

ამ პირობებში მხოლოდ ერთმანეთის დახმარება შეგვიძლია. სწორედ დახმარების სურვილით გაემახვილებ ყურადღებას ყველაზე გავრცელებულ შეცდომებზე (ენის წვერზე ისევე სიტყვა "დანაშაული" მიტრიალებს), რომლებსაც ყველაზე ხშირად ვაწყვდები ქართულად ნათარგმნი პროზის კითხვისას:

1. აზრობრივი აცდენები ორიგინალსა და თარგმანს შორის. ზოგჯერ ნათარგმნი წინადადებასა ერთო აღარაფერი აქვს ორიგინალში მოცემულ წინადადებასთან, ზოგ შემთხვევაში კი ნათარგმნი წინადადება სრულიად საპირისპირო აზრის მატარებელია. ეს არ არის თავისუფალი ინტერპრეტაცია - აშკარაა, რომ მთარგმნელმა ვერ გაიგო, რას გულისხმობდა ავტორი და გაცნობიერებულად ან გაუცნობიერებლად საკუთარი აზრი შემოგვასაღა მის აზრად.
2. მთარგმნელის მიერ საკუთარი წინადადებების, ფრაზების, მეტაფორების, შედარებების, ეპითეტების ჩამატება ნათარგმნი ტექსტში - სრულიად უადგილოდ და უფუნქციოდ. როგორც წესი, ასეთ ჩანართებად ტროპული მეტყველების მეტად გაცვეთილ ნიმუშებს იყენებენ ხოლმე, რაც ძირითადად იმას ემსახურება, რომ ტექსტი "კარგად იკითხებოდეს" და "ორიგინალს სჯობდეს".
3. მთარგმნელის მიერ იმ პასაჟების შემოკლება ან საერთოდ ამოღება ტექსტიდან, რომლებიც მას რთულად ან უინტერესოდ ეჩვენება. უთარგმნელად დატოვებული მთელი წინადადებები, გამოტოვებული აბზაცები.
4. ტექსტის გაქართულება, რასაც უმრავლეს შემთხვევაში კომიკური ეფექტი ახლავს. პერსონაჟები გურულად ან ზემო მიერულად უქცევენ, მეტყველებაში დიალექტიზმებს იყენებენ, მსჯელობისას რუსთაველის აფორიზმებს იხმოვენ და ა.შ.
5. სხვადასხვა სტილის, სხვადასხვა ეპოქის სლენგის არევა ერთი და იმავე პერსონაჟის მეტყველებაში, ან ზოგადად, ტექსტში, რომელიც ორი-

გინალში მკვეთრი სტილური განსხვავებებით არ ხასიათდება.

და ა.შ.


ზედმეტად ბევრი ხომ არ გავწირეთ?

### ორი რჩევა

არის მოსაზრება, რომ 10 წელია საჭირო თარგმანის ხელოვნების მეტ-ნაკლებად დასაუფლებლად. უდავოდ საკმარისი დროა იმისათვის, რომ მიხვდე, წმინდანობის გზაზე შედგომა და მიუღწევლის მიღწევისკენ სწრაფვა შენი ჭეშმარიტი მისწრაფებაა თუ არა. თუ ჩემსავით ხელს ჩაიქნევთ და ამ საქმიანობას სამუდამოდ შეეშვებით, შეგიძლიათ თავი იმით დაიმშვიდოთ, რომ იმეცყენად ნალებ ცოდვას მოგკითხავენ.

დასაბრუნლს კი ერთი პატარა ამბავი, რომელიც ჩვენს თემას უკავშირდება:

დუბლინის ანგლიკანელმა არქიეპისკოპოსმა რიჩარდ უოთლიმ, რომელიც 1787-1863 წლებში ცხოვრობდა, დიდად გააკვირვა თავისი ეპარქიის სამღვდელთება, როცა ინგლისურად ნათარგმნი ბიბლია აიღო ხელში და თქვა: "არასდროს დაგავინწყდეთ, ბატონებო, რომ ეს ბიბლია არ არის", რამდენიმე წამის შემდეგ კი დაამატა: "ეს მხოლოდ ბიბლიის თარგმანია".





# ინტერვიუ მთარგმნელ ნათია მიქელაძესთან

## მაშო სამადაშვილი

ნათია მიქელაძე - გოეთეს ინსტიტუტის თბილისის კულტურული პროგრამების განყოფილების ხელმძღვანელი, მთარგმნელი. თარგმნილი აქვს აკა მორჩილაძის "სანტა ესპერანსა", ნანყვეტები "ვენერას სიზმრიდან", "ბათუმი" (მოთხრობა), თამთა მელაშვილის "ვათელა", მოთხრობები; ზურაბ ლეჟავას "დიდი, შავი კატა", ლაშა თაბუკაშვილის "ასტეროიდი" და სხვა. ნათია მიქელაძემ 2013 წელს მიიღო ლიტერატურული პრემია "საბა" ქართული ნაწარმოების საუკეთესო უცხოური თარგმანისთვის, ხოლო ამავე წლის 11 ოქტომბერს საუკეთესო ახალგაზრდული ნიგნის (თამთა მელაშვილის რომანი "ვათელა") თარგმანისთვის დაჯილდოვდა გერმანიის ახალგაზრდული ლიტერატურული პრემიით.

- ნათია, მოდი, მცირე ისტორიული ექსკურსით დავიწყით და შევაჯამოთ, გერმანულ ენაზე თარგმნის რა ტრადიცია გვაქვს და პირიქით - ვისაუბროთ გერმანულიდან ქართულად თარგმნის ტრადიციაზეც.

- მთარგმნელობითი ტრადიცია 1970-იანი წლებიდან იწყება. ჩვენ ძალიან ძლიერი გერმანისტები გვყავდა და, საბედნიეროდ, ბევრი რამაა თარგმნილი გერმანულიდან, შედგენილია არაერთი ანთოლოგია. რამდენიმე წლის წინ ლალი ქეცბამ შეადგინა ანთოლოგია, რომელშიც შესულია ინფორმაცია თითქ-

მის ყველა თარგმანის შესახებ და მინდა გითხრაო, რომ მათი რაოდენობა საკმაოდ სოლიდურია. პრობლემა არის ქართულიდან თარგმნა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროს არსებობდა ურთიერთობები გერმანულ ავტორებთან, ხორციელდებოდა ერთობლივი პროექტები, ქართველი მთარგმნელები აკეთებდნენ ლექსების ბნ. კარდებს, რომელთაც შემდეგ გერმანელი პოეტები ამუშავებდნენ. რამდენად კარგად იკითხება დღეს ეს თარგმანები, საკამათოა, ამბობენ, რომ არც ისე კარგად და თავიდან უნდა ითარგმნოს, თუმცა ესეც ისტორიაა. დღეს გერმანიაში ორი ქალბატონია, რომელიც ქართულ ლი-

2013 X



ტრატურას თარგმნის: კრისტიანე რომტენფელდი და შტეფეი ხოტივარი-იუნგერი მელულესთან ერთად. ისინი უფროსი თაობის მთარგმნელები არიან, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ქართული ლიტერატურის თარგმნაში. საეტაპო მნიშვნელობისაა 1990-იან წლებში ნაირა გელაშვილის მიერ შედგენილი ქართული ლიტერატურის ანთოლოგია - "XX საუკუნის ქართული მოთხრობები", რომელიც "ზურკამპმა" 2000 წელს გამოსცა. მაშინ მეც მომართა ქალბატონმა ნაირამ, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ მაინც დაევიანბნე და გიორგი მისაგონისა და დანო ჩხილაძის მოთხრობები ვთარგმნე, დანარჩენები გერმანისტიკაში თარგმნე. შემდეგმ პერიოდში ვებედავდი, რომ თარგმანის ხარისხის პრობლემა გადაუჭრელი რჩებოდა და ორის წინაგმნაობაში, გერმანულ მთარგმნელ რომზარი ტიტცესთან ერთად, გოეთეს ისტიტუტში ვაბტრებდით ვორკოშოებს ახალგაზრდა და გამოცდილი მთარგმნელებისთვის. ამ ვორკოშოის ფარგლებში გვექონდა სავარჯიშოები და მათგან ერთ-ერთი სწორედ ეს ანთოლოგია იყო. ამ თარგმანების ხელახლა ნაკითხვისას მივხვდით, რომ ის სუსტი და ნაქტარევი რედაქტორით იყო გამოცემული. უმნიშვნელოვანისა, რომ ყველა თარგმანს ჰყავდეს კარგი და მცოდნე რედაქტორი გერმანული მხრიდან, რომლის გარეშეც წიგნი არ გამოიცემა. რა-ეცნის ჩქარა გაკეთებას, სჯობს ხარისხზე გაკეთდეს აქტივობა. თუ თანამედროვე პერიოდზე ვისაუბრებთ, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მანანა თანდაძვილის დიდი წვლილი, რომელიც ფრანკფურტში ცხოვრობს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ქართული წიგნი გამოიცეს გერმანულად. ორი ანთოლოგია უკვე გამოიცა მისი ხელშეწყობით, ახლა ცდილობს პიესები ითარგმნოს. სულ ახლახან გერმანიაში გამოვიდა ანა კორძია-სამადაშვილის მოთხრობების კრებული "მე მარტარია", რაც ძალიან მახარებდა, თუმცა ვიცი, რომ თარგმანთან დაკავშირებით აქაც პრობლემა იყო, მოკლედ, ძალიან რთული და კომპლექსური საკითხია და შრომასთან ერთად, თარგმნას დროც დიდი სჭირდება.

**- მუდმივად საუბრობდეს ქართული მთარგმნელების დეფიციტზე, მათ კვალიფიკაციორბაზე და მთარგმნელობითი სკოლის არარსებობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ყველა უნივერსიტეტში არსებობს გერმანისტიკის ფაკულტეტი. ამ პრობლემის გადაჭრის გზას როგორ ხედავთ? როგორ უნდა ჩამოყალიბდნენ ამა თუ იმ ენის სპეციალისტები პროფესიონალ მთარგმნელებად?**

- ძალიან კარგი იქნებოდა სპეციალური კურსის ჩატარება. ჩემი აზრით, ამის გაკეთება ორ ადამიანს შეუძლია - ალექო კარტოზიას და ანა კორძია-სამადაშვილს, ისინი თავადაც ამ სფეროში მოღვაწეობენ და გამოცდილებაც დიდი აქვთ. გერმანულად ქართულად თარგმნა პრობლემაა, არათუ პირიქით. გოეთეს ისტიტუტში უკვე სამი წელია ტარდება ორენოვანი ვორკოშოები მთარგმნელებისთვის და ურიგო არ იქნება, თუ ისინი გაფართოვდება და უმაღლესი სპეციალისტების კურიკულუმში შევა. გერმანელებისთვის, რომლებიც ქართველოლოგიას აქ სწავლობენ,

ძალიან სასარგებლო იქნებოდა კურსის მოსმენა ქართული ენის სპეციფიკის შესახებ.

**- ქართული ენის სპეციფიკა ახსენით, რითი გამოირჩევა ქართული ენა სხვა ენებისგან, რა განსაკუთრებული თავისებურებები ახასიათებს?**

- პირველ რიგში - ზმნის სირთულე. ქართული წინადადების წყობაც რთულია, განსხვავებულიც; ასევე ნაცვალსახელები. როდესაც გერმანულადან ქართულად თარგმნი, სირთულე ისაა, რომ გერმანულ ენაში მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესი არტიკლებით ერთმანეთისგან განსხვავდება, ქართულ ენაში კი ეს განსხვავება არ არის. თან იცით, მხოლოდ გრამატიკაზეც არ არის, თუ აქ არ ტრიკლებ და რეალობასთან შეხება არ გაქვს, ქართულ ტექსტში ბევრ რამეს ვერ გაიგებ. მე თვითონ ყველა თარგმანს შიშით ვინყებ, იქნებ ვერ მოვულო, იქნებ ვერ დაეძლიო... ეს განცდა მუდმივად მაქვს.

**- ხშირად ქართული ლიტერატურის პრობლემა ხუსტად ისაა, რომ ადგილობრივ რეალობას ვერ სცდება და ჩაკეტილ წრეში ტრიალებს. როგორ გგონიათ, რამდენად საინტერესოა ეს ეგზოტიკა ევროპელი მკითხველისთვის?**

- ეს ნამდვილად პრობლემაა, რომ ჩაკეტილები ვართ და ხშირად ჩვენთვის ბუნებრივი რამ გერმანულ მკითხველს საკმაოდ უცნაურად ეჩვენება. სწორედ მთარგმნელმა უნდა განსაზღვროს, რამდენად ბუნებრივად შეიძლება აღვადგინო რაღაც, ისეთი ფორმა უნდა მოიგონოს, რომ ევროპელ მკითხველს ჩვენთვის ძალიან შობლივი დეტალი მისთვის გასაგებად მიანდოს. თამთა მურლაშვილის "გათელა" სწორედ იმიტომ გაიგეს ასე კარგად, რომ ის უნივერსალურია, ომთან დაკავშირებული განცდები ყველასთვის ნაცნობია. თამთა, როგორც ავტორი, ძალიან ჭკვიანურად მოიქცა, რომ ამაზე არ მიზაა კონკრეტულ ადგილს და დიალექტს, რისი ადაპტირებაც, ზოგადად, სერიოზული პრობლემაა. ძალიან მინდა ვთარგმნო კოტე ჯანდიერის "გლობალიზაცია" და ჩემთვის უმნიშვნელოვანესია, რომ გასაღები მოვეძებნო. ის კახური დიალექტი, რომელზეც აწყობილია მთელი ეს მოთხრობა, სოციოლექტით არის გადასატანი გერმანულში, რადგან ვერცერთ კონკრეტულ დიალექტს ვერ აირჩევ, არაბუნებრივი გამოვა. გადავწყვიტე სოციოლექტი მოვიფიქრო, რომელიც გამოჩნდება, რომ მოქმედება პროვინციაში ხდება და რომ ეს ადამიანი არ საუბრობს სალიტერატურო ენით; თუმცა, ფიქტორებ, მოთხრობის მთავარი სათქმელი იმდენად გლობალურია, მკითხველი მას აუცილებლად სწორად გაიგებს. როდესაც "სანტა ესპერანსას" ვთარგმნიდი, საქმე მარტივად იყო, იმის გამო, რომ დიალექტი თავად წიგნშიც გამოგონილია, მეც გერმანულად გამოვიგონე დიალექტი, ცხადად ჩანს, რომ დიალექტია, მაგრამ მოგონილი.

**- თქვენ მუდმივად ეცნობით თანამედროვე ევროპულ ლიტერატურას და იცით, რა მოთხოვნებს უყენებს თანამედროვე მკითხველი მხატვრულ ლიტერატურას?**



**ტერატურას. როგორი უნდა იყოს ქართული ნიგანი, რომ დღეს ევროპულ ბაზარზე ადგილი დაიკვიდროს?**

- ძალიან რთული კითხვაა, რომელსაც ბოლო დროს ხშირად სვამენ. ვფიქრობ, კარგი ლიტერატურა არის ის, რომელიც არ არის ლოკალური, თუმცა ლოკალური შეიძლება იყოს, მაგრამ საკუთარ თავში არ უნდა იხარშებოდეს, ოთხ კედელს შუა არ უნდა იყოს გამოკეტილი. კარგი ლიტერატურა უნივერსალური ლიტერატურაა, რომელიც აზროვნებისკენ გიბიძგებს, შენზე შინაგანად მოქმედებს, რაღაცით გამდიდრებს.

**- ვის თვლით მსოფლიო ლიტერატურიდან ისეთ ავტორად, რომელიც ყველაზე შიძლება ერთიანი ნარმატივით წაიკითხოს?**

- მე თვითონ ბოლო დროს ძირითადად არამხატვრულ ლიტერატურას ვკითხულობ და ამ უანრის ლიტერატურიდან ჯოან დიდონოია ისეთი ავტორი, რომლის ქართულად თარგმნასაც ვისურვებდი. აუცილებლად უნდა ითარგმნოს მისი ესეები, თუ გვინდა, რომ რამე გავიგოთ 1960-1970-იანი წლების ამერიკაზე. ასეთივე ავტორია ლარს ფუსტაჯისონი და აუცილებლად ხორხე ლუის ბორხესი, ის ნამდვილად უნივერსალური მწერალია.

**- ქართველი ავტორებიდან რომელ ავტორებს თარგმნიდთ გერმანულ ენაზე? თქვენს სამუშაო მაგადაზე ვისი ნიგნები დევს?**

- მე დიდი დასტა მიდევს, თუ გავაკეთებდი ჩემს ანთოლოგიას, XIX საუკუნის ავტორებიდან მოვკვებოდი. ამ ანთოლოგიაში აუცილებლად შევიდოდა მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობები, კლდიაშვილი და ლორთქიფანიძე, ილიას და ვაჟას მოთხრობები; ვაჟა ძალიან ორიგინალური მწერალია, ცოტა უნდა დავმნიფდ, რომ მისი მოთხრობები ვთარგმნო, იქნებ ოდესმე გამოვიდეს, ვნახოთ. თანამედროვე ავტორებიდან - კოტე ჯანდიერი, მის მოთხრობებს ვთარგმნიდი და ვისურვებდი, რომ საერთოდ მეტი წეროს. აკა მორჩილაძის "ობოლე", "ძველი გულებისა და მზლისა", ანა კორძაია-სამადაშვილის "ვინ მოკლა ჩიკო", გოგი გვახარაის "ცრემლიანი სათვალე". ბართაშვილის ერთი-ორ ლექსზეც მოვსინჯე თავი და არ არის გამორიცხული კიდევ ვცადო. აი, ეს არის ჩემი პროგნოზი მინიშუმი. საერთოდ, რაღაც არის შენი და რაღაც არა, რასაც ვგრძნობ და მოგწონს, მხოლოდ ის შეიძლება თარგმნო კარგად.

**- ვინ არიან ის ავტორები, რომლებსაც, თქვენი აზრით, აუცილებლად უნდა იცნობდნენ საქართველოში?**

- ასეთი ავტორია ახალგაზრდა გერმანელი მწერალი იულიტ შლანსკი ან თუნდაც გიუნტერ ონემუსი, რომელიც 2013 წელს ლიტერატურის გრძელი ღამის მონაწილე გახლდათ. ეს არ არის ძალიან დიდი სახელები, მაგრამ ორივე საინტერესოდ იკითხება


და, ვფიქრობ, ქართველ მკითხველს მოეწონებოდა. შეიძლება სუბიექტურობაში ჩამითვალოთ, მაგრამ მეტად საინტერესო სტილის ავტორია შტეფან ვაკევიცი, რომელიც აშკარად გოეთეს ინსტიტუტის დირექტორია. ის წერს არამხატვრულ ლიტერატურას. მისი პერსონალური ესეები განსხვავებულია გადმოსცემს რეალობას, ის სიერნობს და თან აკვირდება და აღწერს ვარემოს; თანაც ეს არაა უბრალოდ სიერნობა, ეს არის გასიერნება ფილოსოფიაში, არქიტექტურაში, ისტორიაში; ეს შემეცნებითი ლიტერატურაა, რომლის ნიკითხვისას დიდ სიამოვნებას იღებ. მისი ახალი ნიგნის პრეზენტაცია, რომელიც აღწერილია თბილისში, ბუქოსა და ერევანში მოგზაურობა, თებერვალში თბილისში გაიმართა. ნიგნში შესულია ესეები თბილისის არქიტექტურაზე, 17 მაისის მოვლენებზე, ერთი ესე 1920-იანი წლების საქართველოზეა. ეს ტექსტები ალბათ ძალიან დაინტერესებდა ქართველ მკითხველს.

**- ბოლოს მინდა კვითხით, როგორ უყურებთ პერპექტივას, რომ ძალიან მალე, სულ რამდენიმე წელში, საქართველო ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობის სტუმარი ქვეყანა იყოს?**

- შიშით, რომ რამე არ გამოვიდეს ცუდად. ეს არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და დიდი მანსი, რომელსაც თუ ხელიდან გავუშვებთ, დიდი ხნით გავუშვებთ. როდესაც კონტრაქტს ხელი მოეწერება, როგორც ვიცი, ეს თებერვალში უნდა მოხდეს, მაშინვე უნდა დაკომპლექტდეს ბორდი, კულტურის სამინისტრომ უნდა აიყვანოს ადამიანები, რომლებიც სამინისტროსთან ერთად იმუშაებენ კონცეფციაზე. საერთოდ ყველაფერს მოედგება, ყველაფერი შეიძლება კარგად გაკეთდეს, გარდა ლიტერატურის თარგმნისა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია და რასაც ყველაზე დიდი დრო სჭირდება და, ვფიქრობ, ამ სფეროში მომუშავე ადამიანებს დღეს უკვე უნდა ჰქონდეთ მონახაზი იმისა, რა და რამდენი უნდა ითარგმნოს. ლაშა ბაქრაძეს ჰქონდა იდეა, რომელიც მეც მომწონს, რომ რაც უკვე თარგმნილია, უნდა მოიძებნოს და კარგი რედაქტორება გაუკეთდეს, თარგმანები არ უნდა დაიკარგოს. შესადაგნია იმ ადამიანების სია, ვინც დამოუკიდებლად თარგმნის, ვისაც ტანდემში შეუძლია მუშაობა. გეგმა ძალიან სკრუპულოზული უნდა იყოს და შემდეგ გამოწინდება, რა ტემპით უნდა ვიმუშაოთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო საქმე სწორედ თარგმნაა, ვერ წარმომიდგენია, რომ გოეთეს ინსტიტუტს თავი უნდა დავანებო; შემიძლია ღამის 10 საათზე დავჯდებ 2 საათამდე ვთარგმნო, დღით კი 6 საათზე ავდგე. თუმცა სამუშაოს პარალელურად ახლა თარგმნას 24 საათს ვეღარ მივუძღვნი. "სანტა ესპერანსას" რომ თარგმნიდი, ერთი წელი ვიმუშავე ამ რეჟიმში - დღით 4 საათზე ვდგებოდი, 6 საათამდე ვთარგმნიდი, მერე მთელი დღე სამსახურში ვიყავი; მეექვსეა, ვინმე 5 წელი გაუძღოს ასეთ დატვირთვას, ეს ძალიან რთული იქნება. მოკლედ რომ ვთქვათ, სწრაფად გადნევილებების მიღება, გეგმის დახატვა და მუშაობა, მუშაობა და მუშაობა - აი, ესაა ჩვენი ამოცანა.

მაღსამ ხარბედი

# ჯულიან ბარნსი ლიტერატურაზე, ინგლისელობაზე, პირის გემოზე და ფეხბურთზე



ნელს, მაისის დასაწყისში, ლონდონში მომინია ჩასვლა. ჩასვლის ძირითადი მიზანი ღვინო და ღვინის განათლება იყო (ამაზე ცალკე მოგიყვებით სხვა პერიოდული გამოცემის ფურცლებზე), თუმცა წინა ვიზიტისგან განსხვავებით, რომელმაც მთლიანად ტრენინგებსა და გადარბენებში ჩაიარა, ამჯერად, გადავწყვიტე ლიტერატურული ვენებისთვისაც დამეთმო დრო და ერთი-ორი შეხვედრის დაგეგმვაც ვცადე. ინგლისში რამდენიმე თანამედროვე მწერალი ცხოვრობს, რომლის შემოქმედებასაც დიდი ყურადღებით ვაძევებ თვალს და ვისაც სიამოვნებით შეხვებდებოდი, ვისაუბრებდით მის ძველ და ახალ ნიგნებზე, საყვარელ თემებზე, წარსულის, თანამედროვე და მომავლის ლიტერატურაზე. სხვას რომ თავი დავანებოთ, იმედგაცრუებდა მაინც ღირს ასეთი შეხვედრები, თუმცა, უფრო მეტად, ცხადია, ზუსტ პასუხებს ან ვრცელ, საინტერესო ნიაღვრებს მოველი კარგად ნაცნობი მწერლისგან.

სამწუხაროდ, ამ შეხვედრების დაგეგმვა გვიან დავიწყე, თუმცა მაინც გამიმართლა. დაგეგმვას მე და ჩემი მეგობარი, ნიკი თარხან-მოურავი, აპრილიდან შევუდექით, ჯერ იან მაკიუენის აგენტს მივწერა ნიკიმ, რომელმაც ძალიან ზრდილობიანი უარი შემოგვიტოვალა, თანაც დასძინა, მაკიუენი ახალ რომანზე მუშაობას ამთავრებს და ახლა ვერ მოიცლი-

სო, შემდეგ კი თამრიკო ლებანიძეს დაურეკე „დიოგენეში“ და ვუთხარი, არიქა, თამარ, ლონდონში მივდივარ და მოდი რამენაირად იქნებ ჯულიან ბარნსთან შეხვედრა დაგვეგმოთ- მეთქი. თამარს ძალიან მოეწონა იდეა, თანაც ბოლო 2 წლის მანძილზე ბარნსის ორი უმნიშვნელოვანესი ტექსტი გამოსცა ქართულად, „ფლობერის თუთიყუში“ (წინო ქაჯიას თარგმანი) და „დასასრულის განცდა“ (ზაზა ჭილაძის თარგმანი), ეს ნიგნები კი საუკეთესო მიზეზი იყო ამ გამორჩეულ მწერალთან შესახვედრად, მწერალთან, რომლის შემოქმედებასაც კარგად ვიცნობ და იმ ათამდე რომანიდან, რომელიც წაკითხული მქონდა, ათეულობით საინტერესო შეკითხვის გამოძნობა შეიძლებოდა. მოკლედ, ბარნსის იმედად დავრჩი და გამომცემლობა „დიოგენეს“ პროექტების მენეჯერის, ზაზა შენგელიას ცხადმა და გამომცემლობის რედაქტორის, გურამ ბერაძის ფარულმა აქტიურობამ შედეგი გამოიღო, ბარნსის აგენტისგან დადებითი პასუხი მოვიდა. არადა, ზაზას პირველ წერილზე აგენტმა მოინერა, ტყუილად გაქვთ იმედი, მაინც არ დათანხმდება, თუმცა მე მაინც გადავცემო. მოკლედ, ორ დღეში გაკვირვებული აგენტი დაგვიკავშირდა და მაგარი ამბავი გვახარა, 4 მაისს, კვირა დილას, ბარნსი თავის სახლში გველოდებოდა.

ჩემი და ნიკის მზადება ახალ ფაზაში შევიდა. წინასწარ მომზადებული კითხვები ინგლისურად გა-  
ვამლაშინეთ, აგენტს გადავუგზავნეთ: ნიკი ლონ-  
დონშია, მე თბილისში, იქით ნიკი უტრიალებს ბარ-  
ნის ნიგნებს, აქეთ მე ვამბოვალავე ჩემი ბარნის  
თარო და ვათვალთვლებ სხვადასხვა წლებში დაფან-  
ქრულ რომანებს.

შეიძლება, გვიან ღამე მინევედა ლონდონში ჩაფრე-  
ნა (სუკე 4 მაისს), და ვგრევე, მეორე დღეს, დილას-  
ვე უნდა მივსულიყავი ბარნსთან. 4-ში დილას ნიკიმ  
გამომიარა, პოქსტონში. გამოუძინებელი ვიყავი,  
მაგრამ ანთებული. დიდხანს ველოდეთ ავტობუსს,  
შემდეგ მეტროში გავაგრძელებთ მგზავრობა და ნა-  
ხეყარ საათში ჩრდილოეთ ლონდონის უმყუდრო-  
ვეს, სთავაკებთან უბანში ამოვედი.

ბარნსთან კარგ ხასიათზე მივედი, იმიტომ,  
რომ ზად ერთ სიმპატიურ ოჯახს გადავეყარეთ,  
რომლებსაც მისამართის დაზუსტება ვფიქრებთ და  
როცა გაიგო, ქართველები ვიყავით, ღვინოზე ჩა-  
მოგდო ერთ-ერთმა ოჯახის წევრმა სიტყვა. მოკ-  
ლედ, ერკვეოდა კაცი საკითხში, ქართული ღვინო  
გაცილებით კარგად იცოდა, ვიდრე საქართველოს  
მოქალაქეების დიდად უმრავლესობამ. სამწუხაროდ,  
იმ მომენტში ჩემი Georgian Wine Guide 2014-ის  
შეზღუდვით ერთი ეგზემპლარი მელო ჩანთაში, ბარ-  
ნისთვის, თორემ, აუცილებლად ვაჩუქებდი.

კარი ჯულიან ბარნსმა ვაგვილო, ხახში მარ-  
ტო იყო, ნიკის სახე შეეფაკლა სიხარულისგან, მეც  
კმაყოფილი ვიყავი და კარგი წინათგრძობა მქონ-  
და. დასხედით მისალებ ოთახში და ინტერვიუს ჩა-  
წერას სანამ დავიწყებდით, ბარნსს ეგრევე ვაჯახე,  
უნდა მაპატიოთ, ვერა ვარ მაინცდამაინც სხარტი  
მონიგლისურ-მეთქი და ასე მიპასუხა: მაგაზე არ  
იდარდო, My Georgian is terrible-ო. გავიციინეთ და  
დავინწყეთ.

- პირველ რიგში მინდა თქვენი რომანების  
ქართული გამოცემების შესახებ ვკითხოთ, რომ-  
ლებიც ცოტა ხნის წინ გამოვიდა ჩვენთან. რამ-  
დენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ის, რომ მაგ.  
„ფლობერის თუთიყუში“ ან „დასასრულის წინათ-  
გრძნობა“ ითარგმნა ისეთ „მცირე“ ენაზე, როგორ  
იც ქართულია? და კიდევ, რომელია თქვენთვის  
ნიგნი (სულერთია მხატვრული თუ არამხატვრუ-  
ლი), რომლითაც ისურვებდით, რომ არაინგლი-  
სურენოვან მკითხველს გაეცნო თქვენი შემოქ-  
მელება?

- ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია იმე-  
ათ ენაზე გამოცემა. ყოველთვის დიდი სიხარულით  
ვხედავთ ყოველ ახალ გამოცემას. როცა წერა და-  
ვინწყე, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩემი ნიგნები  
ინგლისის გარდა კიდევ სადმე გამოიცემოდა. ჩემი  
ნიგნების თარგმნა, ჩემი მეოთხე რომანით, „ფლო-  
ბერის თუთიყუში“ დაიწყეს და დღემდე აღმაფ-  
როთიანებს ყოველი ახალი თარგმანის გამოცემა.  
ჩემი სამყარო ინდივიდუალური კავშირებისგან შედ-  
გება, ხოლო როგორც მწერალს, ეს კავშირები  
მკითხველთან მაქვს გამბეული, მე არ აღვიქვამ სამ-  
ყარო როგორც ერთი მთლიანობას, ამიტომაც არის  
ასეთი გასაოცარი, როცა მესმის, რომ სადაც სა-

ქართველოში იმ რომანით დაინტერესდნენ, რომე-  
ლიც მე ოცი წლის წინ დაეწერე ინგლისურად. მე  
ვფიქობ, ეს შესანიშნავია.

- და თქვენს რომელ ნიგნს ურჩევდით უცხო-  
ელ მკითხველს, პირველ რიგში წასაკითხად?

- ძნელია ამაზე გიპასუხოთ, რადგან ჩემი ნიგ-  
ნები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. შესაძ-  
ლოა, ერთი ნიგნი მოგეწონოს, მეორე არა, მკითხვე-  
ლი ყოველთვის რისკავს. ალბათ უფრო „ფლობე-  
რის თუთიყუში“ ურჩევდი. როცა დაეწერე, მეგო-  
ნა, მხოლოდ ძალიან ვინრო წრეს მოეწონებოდა,  
სპეციალისტებს, მაგრამ სინამდვილეში პირიქით  
მოხდა. და მეორეს, რასაც ვურჩევდი, ალბათ ამის-  
გან ძალიან განსხვავებული რომანია, Talking it over,  
რადგან ეს რომანი სიყვარულზე და სიყვარული,  
მისი სირთულეები, ყველას აინტერესებს. ამიტომ  
მგონია, რომ ამ ნიგნით დაწყება ადვილი იქნებოდა.  
სხვათა შორის, მინდოდა მეკითხა, ერთიდაიგივე  
მთარგმნელმა თარგმნა ორივე ნიგნი?

- არა, „ფლობერის თუთიყუში“ წინო ქაჯაიათ  
თარგმნა, „დასასრულის განცდა“ ზაზა ჭილაძემ...  
აქვე ვკითხავთ, საიდან გაჩნდა ფლობერის თუ-  
თიყუშის დაწერის იდეა?

- ფლობერი ყოველთვის მიტაცებდა, მას შემდეგ  
რაც პირველად წავიკითხე 15 წლის ასაკში. სულ მინ-  
დოდა მის შესახებ რამე დამეწერა. ის ჩემთვის მწერ-  
ლის სიმბოლოა, ერთგვარი ტოტემური მწერალია, და  
პირველი თანამედროვე რომანისტი. მაგრამ, ზუს-  
ტად ვიციოდი, რომ რამე განსაკუთრებული უნდა მო-  
მეფიქრებინა და არა ჩვეულებრივი ბიოგრაფია ან  
მისი ცხოვრების ამსახველი ცოტა შემხატვრულე-  
ლი ვერსია. ეს არ მაინტერესებდა. სწორედ მაშინ მი-  
ვახვია განსაკუთრებულ ფორმას - ფაქტობრივ სუ-  
პერსტრუქტურას და მხატვრულ ინფრასტრუქტუ-  
რას, რასაც მივალნი ვაქტივობა და გამონაგონის  
შერწყმით. პირველად მაშინ გამოვიყენე ეს მეთოდი  
და მივხვდი, რომ თურმე შესაძლებელია გამოგონი-  
ლისა და ნამდვილის აღრევა ერთ ნიგნში. და შემდეგ  
ეს მეთოდი მოგვიანებით არაერთხელ გამოვიყენე.

- სარტრის ნიგნზე რას იტყვით ფლობერის  
შესახებ რაც დაწერა?

- სარტრის ამ ნიგნის ნაკითხვა ფაქტობრივად  
შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დი-  
დი ადამიანი იყო.

- თქვენს ბოლო რომანში, „დასასრულის გან-  
ცდა“ პირველივე ვერსიებზე ვხვდებით ასეთ  
სიტყვებს, რომელიც დროს შეეხება: „[დროს] ზო-  
გი განცდა აჩქარებს, სხვა, პირიქით, აუტანლად  
ანელეებს“. ძალიან მომწონს დროისადმი თქვენი  
ასეთი მგრძნობიარე დამოკიდებულება და ასე  
მგონია ამაში თხრობაც შევკვიძლა ვიგულის-  
ხმით, თხრობის ტემპებიც ხომ ასევე იმართება?  
გავიხსენოთ შაჰმურვანადა, რომელიც თხრობით  
თავისი აღსასრულის გადავადებას ახერხებდა...  
თქვენ რას იტყვით ამის შესახებ, დროისა და  
თხრობის განცდის შესახებ?

- ცხადია, რომ თხრობა და დრო ერთმანეთთან კავშირშია. მაგრამ ისიც ვიცი, რომ თხრობა ვერ აყვება დროს. თხრობა სხვადასხვა სიჩქარით შეიძლება განვითარდეს, განსხვავებით დროისა. შეუძლებელია წიგნის დაწერა, სადაც მოვლენები იმავე სინრაფით განვითარდება, როგორც რეალურ ცხოვრებაში ხდება. ნორვეგიელმა ნოველისტმა, სახელი დამიანი ხდება, კ-ზე იწყება\*, დაწერა ოთხტომეული, სადაც ის დეტალურად აღწერს ყველაფერს, რომ თხრობის რიტმი არაფრით ჩამოუვარდება მისი ცხოვრების რიტმს. რა თქმა უნდა, აბასაც აქვს დადებითი მხარე, მაგრამ ლიტერატურული თხრობის მთელი არსი იმაშია, რომ ის განსხვავებულად უდგება და აღიქვამს დროს. ფლობერის „გრძნობა ახლზრდაში“ ერთ-ერთი თავი იწყება ასე: „ის მოგზაურობდა“. გადასარევი! ორ სიტყვაში გავიდა 5 წელი. მწერალი ნელ-ნელა სწავლობს, როგორ მართოს რომანში ან მოთხრობაში დრო. ახალბედა მწერლებს ეს კარგად არ გამოსდით. მაგალითად ჯონ ადვითი და ალის მანრო, უკვე გვიანდელ ასაკში დროით მანიპულირების დიდოსტატები გახდნენ. კითხულობ მათ ნაწერს და უცებ აღმოაჩენ, რომ თურმე 40 წელი გავიდა. „დასასრულის განცდა“ იწყება იმ ეპიზოდით, როცა მთავარი გმირი 15 წლისაა და 5 წლის მანძილზე ვითარდება ამბავი და შემდეგ 40 წელი მთლიანად გამოტოვებულია. ძირითადი ამბავი სწორედ მაშინ იწყება, როცა მთავარი გმირი 61 წლისაა.

- და კიდევ ერთი კითხვა, რომელიც ასევე ლიტერატურის თეორიის საკითხს შეეხება მეტ-ნაკლებად. როდესაც თქვენი ბოლო რომანის სათაური გავიგე პირველად, სანამ წავიკითხავდი, მაშინვე ფრენკ კერმოდის წიგნი გამახსენდა, „დასასრულის განცდა“ (The Sense of an Ending: Studies in the Theory of Fiction). და სხვათა შორის, მალე დავრწმუნდი, რომ ეს მსგავსება შემთხვევითი არ იყო. რატომ გადაწყვიტეთ ლიტერატურის თეორიის კლასიკოსი ნაშრომის სათაური მიეცათ რომანის თეორია?

- გეტყვით როგორ იყო. თავდაპირველად სულ სხვა სახელწოდებაზე ვფიქრობდი, რომელიც მოკლე იყო, ერთსიტყვიანი - ესაა ბოლო სიტყვა რომანიდან. შფოთვა (unrest). მაგრამ სათაური ისე უღერდა, როგორც სტეფან ცვაიგის მოთხრობის სათაურის თარგმანი და ამიტომ გადაწყვიტე სხვა სახელწოდებაზე მეფიქრა. ბოლოს, მეგობარს რომ რადეც განსაკუთრებული, ორიგინალური მოვიფიქრე, რომელიც აქამდე არაფერს გამოუყენებია - „დასასრულის განცდა“ (Sense of an ending) და ვეკითხებოდი ადამიანებს, თუ როგორ მოსწონდათ სათაური. არააკადემიური წრეებიდან ყველას ძალიან მოეწონა სათაური, აკადემიური განათლების ადამიანებმა კი მაშინვე მიითრეს, ო, ეს ხომ კერმოდის წიგნის სათაურია! მე თავად არაფერი მსმენოდა ამ წიგნის შესახებ, რადგან უნივერსიტეტში რუ-

სულ და ფრანგულ ლიტერატურას და ფილოსოფიას ვსწავლობდი. ვიფიქრე, კერმოდმა ხომ ამ სათაურით 50 წელი ისარგებლა, ახლა ცოცხალიც ადრ არის (მხოლოდ შორიდან ვიცნობდი და დიდ პატივსაც ვცემდი), და რადგან სათაურებზე არაა საავტორო უფლება დაცული, გადაწყვიტე ჩემი წიგნისთვის ასე დამერქმია.

- მაგრამ ამ ორ წიგნს შორის არის რაღაც კავშირი...

- მე არ ნამიკითხავს, ამიტომ ვერ გეტყვით. როცა ჩემი წიგნი გამოვიდა, მხოლოდ მაშინ დავფიქრდი იმაზე, რომ კრიტიკოსები კერმოდის წიგნის კონტექსტში განიხილავდნენ ჩემს წიგნს, თუმცა არამგონია იყოს რაიმე კავშირი.

- რა განსხვავებას ხედავთ „ფლობერის თეიუსის“ და „მსოფლიო ისტორია 10/2 თავად ავტორ ჯულიან ბარნსსა და Love, etc და Talking It Over-ის ავტორ ჯულიან ბარნსს შორის? უკაცრავად ასეთი დაჯგუფებისთვის, მაგრამ ჩემი ზნერი, ეს ტექსტები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისა. რამ გამოინაჯვრე Talking It Over-ში და შემდეგ Love, etc-ში ასეთი რადიკალური ცვლილებები?

- როგორც ადრე ვთქვი, ჩემი წიგნები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. პირველ-ორ ნაწარმოებში სიუჟეტი თანმიმდევრულად ვითარდება, ხოლო ბოლო ორში, რადიკალური, დატყეხილი ფორმა ავირჩიე. Love etc და Talking It Over სიყვარულის, მეგობრობის და ლაღატის ამბებია ძალიან ახლოდანიანხული, ხოლო დანარჩენ ორს უფრო ფართო სპექტრი აქვთ და ბევრ არამხატვრულ, ესეისტიურ მომენტსაც შეიცავს. მაგრამ რადგან ყველა ჩემი დაწერილია, მე უფრო მსგავსებას ხედავ მათ შორის და არა განსხვავებას. ერთ-ერთი მთავარი მსგავსება ამ ოთხივე წიგნში ის არის, რომ თხრობის ფორმა ძალიან მნიშვნელოვანია. ოთხივე მათგანი ერთი პრინციპით დაიწერა: წერის დაწყებამდე უკვე უზუსტად ვიცოდი, როგორ მიმეწოდებინა კონკრეტული ამბავი მკითხველისთვის ახალი მეთოდით. მაგალითად, ამ ორ რომანში Love etc და Talking It Over წიგნის გმირებს პირდაპირ მკითხველთან აქვთ ურთიერთობა, ისე რომ ავტორი საერთოდ არ ერევა. ვფიქრობ, რომ ეს ფორმა უფრო ლიბერალურს ხდის თვითონ ამბავს. საერთოდ, ძალიან ძნელია ავტორმა საკუთარი წიგნი ვაკონტროლოს, მაგრამ ერთსაც დავაპატივდები, მეგობარი! ორ ჯგუფში გავაერთიანოთ ეს ოთხი წიგნი. პირველ კატეგორიაში მთავარი გმირის ხმა ჩემსაც ჰყავს, ხოლო მეორე ჯგუფში, Love etc და Talking It Over, ავტორი არ მონაწილეობს, მისი ხმა არ ისმის, მხოლოდ გმირები ყვებიან ამბავს და ერთმანეთში დავობენ. აქ არავინ იჭრება, რომელიც იტყვად, ერთმა თქვა, რომ დღეს წვიმაა, მეორემ თქვა, რომ მზითა და დღე იყო და მე ვეტყვით სიმართლეს... სიმართლე მკითხველმა უნდა გაარკვიოს. ასე რომ, მკითხველი თვითონ იქცევა ამ წიგნების ავტორად.

- არაერთხელ ნამიკითხავს მიმოხილვებში და ინტერვიუებშიც, რომ თქვენ ბრიტანელები ვ-

\* სავარაუდოდ იგულისხმება კარლ ოვე კნაუსგაარდი და მისი რომანი მინ კამ (2009-2011).



რომელად აღვიქვამენ და პირიქით, ევროპაში, ევროპელი მკითხველის თვალში ბრიტანელობის კვანძუნელების წარმოადგენით (სხვათა შორის, ჩემთვისაც). რაში ხედავთ მთავარს ბრიტანელებში, ინგლისელებში და რა არის მთავარი ევროპელებში. მაგალითად, უმბრეტო ეკო ერთგან შეგვახსენებს, რომ ევროპის ფესვები ბერძნამდე მიდის და იგი ფრანცისკანელთა ორდენსაც ასხენებს. ხოლო ე.წ. საერო ღირებულებები, მისი აზრით, ევროპის შედარებით ახალი მონაპოვარია, საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი. ბრიტანელობის ფესვები სად უნდა ვეძებოთ?

- ძალიან რთული ისტორიაა. პირველ რიგში უნდა გავმიჯნოთ ბრიტანული და ინგლისური ერთმანეთისგან, რადგან ეს ორი რამ ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. მე თუ მკითხავთ, ჩემს თავს პირველ რიგში ინგლისელთან ვაიგივებ, შემდეგ ევროპელთან და ბოლოს ბრიტანელთან. ბრიტანეთი პოლიტიკურად, სამხედრო და კომერციული ნიშნაა, რომელიც მე-17 საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა და რომელიც ოთხ ეროვნებას აერთიანებს, ინგლისელებს, უელსელებს, შოტლანდიელებს და ირლანდიელებს, ოთხ სრულიად განსხვავებულ ერს სხვადასხვა ტემპერამენტით. მე არ ვიცი როგორია ბრიტანელი, ბრიტანელის ფესვები პოლიტიკულ-ეკონომიკური ნიშნიდან მოდის. ინგლისელობას უფრო ახასიათებს ეროვნული ნიშნები. ინგლისელი გამოირჩევა თავშეკავებულობით, ოფიციალურობით, აქვს ირონია და სპეციფიკური იუმორის გრძობა. ასევე ახასიათებთ ემოციების შეკავება, ჩვენ არა ვართ ფეთქებადი ხალხი. ჩვენ ნელ-თბილი ხალხი ვართ. ინგლისელობა ენასაც უკავშირდება და ამიტომაც ვარ პირველ რიგში ინგლისელი. შემდეგ მოდის გარემო პრობები და ლანდშაფტი, და ყველაფერი ამის შემდეგ ისტორია, რომელიც მოგვიანებით გარდაიქმნება ბრიტანეთის ისტორიად. ასევე დავამატებდი, რომ ინგლისელებს მაინცდამაინც არ უყვართ საკუთარი თავის შეფასება და ანალიზი (ანუ არ აკლებთ რას ფიქრობენ მათზე). ისტორიულად ინგლისელს უფრო უადვილდება, გაემიჯნოს ვილაცას ან რაღაცას, ვიდრე მიაშვავოს თავი. შემდეგ, უკვე ბრიტანელებიც ამ გზით ნავიდნენ - ყოფილიყვი ბრიტანელი, ნიშნავდა არ ყოფილიყვი ფრანგი, არ ყოფილიყვი გერმანელი. და ნაწილობრივ ეს განაპირობა იმანაც, რომ ბრიტანეთი მსოფლიოს შემორჩაველი ძალა იყო. რაც უფრო დიდი ძალაუფლება გავს, მით ნაკლებს ფიქრობ, როგორ ხარ. მაგალითად ამერიკელები ახლა ყველაზე ნაკლებდ თვით-რეფლექსური ხალხია მთელს მსოფლიოში, იმობრო, რომ ყველაზე გავლენიან სახელმწიფოში ცხოვრობენ და ყველა მათზე ფიქრობს და მათ აღარ უწევთ ფიქრი. მას შემდეგ, რაც ბრიტანეთმა დაკარგა ძველი სტატუსი, ვფიქრობ რომ, ადამიანებმა უფრო დაიწყეს საკუთარი კულტურული იდენტობის ძიება, რამაც შესაძლოა სახელმწიფოს დანაწევრებამდე მივიყვანოს - მაგალითად, მალე შეიძლება შოტლანდია გამოეყოს და ა.შ.

- მოდით ლიტერატურას დაუბრუნდეთ. მინდა გკითხოთ, თანამედროვე ავტორებიდან ყვე-

ლაზე მეტად ვის გამოარჩევდით? და რატომ? რითა მნიშვნელოვანი და ახალი მათი შემოქმედება?

- ყველაზე მნიშვნელოვანსა და ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანს შორის განსხვავებაა. 2-3 წლის წინ გეტყვიდით ჯონ აბდაიკი, მისი განსაკუთრებული უნარის გამო, გაეხება ჩვეულებრივი ამავე არაჩვეულებრივად. ბევრი ცოცხალი ავტორია ჩემთვის მნიშვნელოვანი და გამიჭირდება საუკეთესოს დასახელება. ეს არაა კონკურსი. ხანდახან როცა ვამბობ, ეს კარგა, ეს ისე რა, ჩემი მეგობარი, ლეინის მწერალი ჯენსის რობინსონი ყოველთვის ასე მპასუხობს, ეს არაა კონკურსი. შენ უნდა დაინახო ლინსება თითოეულ ლეინის ჭქაში. მგონია, რომ ძალიან ჭკვიანური ნათქვამია. ახლა, როცა ასაკი მემატება, მითუმეტეს მიჭირს ნომერ პირველი მწერლის დასახელება. ცოცხალი ავტორებიდან ძალიან ვაფასებ ფილიპ როუს, მიშელ ტურნიეს, ალის მანროს და ასე შემდეგ.

- მიშელ უაღლებზე რას ფიქრობთ?  
- მე ადრე დაძინებია უაღლებზე. ვფიქრობ, რომ ძალიან საინტერესო შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ძალიან ფრანგულ შემთხვევასთან. ის ძალიან ჭკვიანი ადამიანია, მაგრამ არა მგონია, რომ ის იყოს ძალიან ჭკვიანი მწერალი (რომანისტი). მგონია, რომ პროვოკატორია და შესანიშნავად ჯდება ნამდვილი ფრანგი პროვოკატორების ტრადიციაში. მე მსიაზმონებს მისი რომანების კითხვა, მაგრამ არა მგონია, როგორც მწერალი ტექნიკურად ისეთივე მაგარი იყოს, როგორც ინტელექტუალა.

- ფრანგულად ნაკითხვად თუ ინგლისურად?  
- ერთი რომანი ფრანგულად, ორი ინგლისურად.

- მისი ბოლო რომანი თუ ნაკითხვად, „რუკა და ტერიტორია“?  
- არა, არ ნამიკითხავს.

- მე ვფიქრობ, შეიძლება ეს მისი საუკეთესო რომანიც იყოს.  
- ძალიან კარგი.

- არ შემიძლია კულინარიაზეც არ გკითხოთ. რატომ დაინტერესდით თავის დროზე ამ თემით? ხანდახან მგონია, რომ საფრანგეთი გასტრონომიული და ლეინის კულტურის გამო გიყვართ ასე.  
- როცა პირველად ჩავედი საფრანგეთში, ფრანგული სამზარეულოში და ლეინის შემეშინდა, საერთოდ არ მიმეჩინა: მაგალითად ვინცარემუსზელი სალათი ან სისხლიანი ხორცი. მითუმეტეს, იმ დროს ბრიტანელები ხორცს მანამდე წვავენ, სანამ არ დანახშირდებოდა. თანაც 17-18 წლის ასაკში საერთოდ არ მიყავდა ლეინი, ნელ-ნელა შემეყვარდა. ასევე უნდა აღვნიშნო, რომ ისეთი ოჯახიდან გამოვედი, სადაც სამზარეულოში ქალი ტრიალებდა. ოჯახში ვიყავით მე, ჩემი ძმა და მამაჩემი, სამი მამაკაცი და ერთი ქალი და ისე გამოვიდა, რომ სამზარეულო მხოლოდ მისი ტერიტორია იყო. არასდროს დამჭირებია საჭმლის მომზადება, სანამ უნი-

ვერსიტეტში არ ჩავაბარე და ლონდონში არ გადმოვიდი საცხოვრებლად... როცა მარტო ცხოვრობ, ხვდები, რომ სახლში მომზადება უფრო იაფია, ვიდრე გარეთ ქაზა, და მერე იწყებ კერძების მზადებას. გარდა ამისა, აქ რესტორნის კრიტიკოსად ვმუშაობდი და ჟურნალისთვის ვწერდი.

ლენინსადმი ინტერესი საკმაოდ გვიან გამიჩნდა, ალბათ უფრო 30 წლის ასაკში. ტრადიციულად ბრტანელები ალკოჰოლს ეტანებიან უფრო დასათრობად, ვიდრე სიამოვნების მისაღებად. ჩემს ახალგაზრდობაში ეს ორი ერთმანეთს ემიჯნებოდა: დასათრობი და სნობური, სანრუპავი ღვინო, დახვეწილი ღვინო. ესლა ეს ორი თემა ერთმანეთს რადიკალურად აღარ ემიჯნება და ადამიანებს ბევრად მეტად აინტერესებთ ღვინო, რაც ნაწილობრივ ჟეტნას რობინსონის დამსახურებაა, რომლის პუბლიკაციებსაც ძალიან დემოკრატიული შედეგი მოჰყვა ხალხის ღვინოსადმი დამოკიდებულები ჩამოყალიბებაში. რალაც მომენტში მივხვდი, რომ რამ ერთი ღვინო უმობდა მეორეს და სხვადასხვა ეფექტი ჰქონდათ პირში. იმ მაშინ დავიინტერესდი ღვინით. პირველი ღვინო, რომელიც მომეწონა, ფრანგული იყო. შემდეგ დავიწვი ფიქრი, საფრანგეთის რომელიც კუთხიდან მოდიოდა ის თუ ის ღვინო. ამაზე ფიქრი მსიამოვნებდა, აი, მაგალითად, ეს ღვინო არის რონის ნაირებებიდან, ეს ბორდონად, ლუარდან და ასე შემდეგ... შემდეგ შევხვდი ჩემს მამავალ მეუღლეს, რომელიც შესანიშნავი მზარეული იყო. მისი გავლენით დავოსტატიდი. ახლა ბევრი მეგობარი მყავს, რომლებიც საჭმლის და ღვინის ინდუსტრიაში არიან. აი, მაგალითად, ამ მაგადის გარშემო მწერლები რომ ისხდნენ, ატყდებოდა ჩხუბი და აყალ-მყალი, მეღვინეების გარემოცვაში კი სულ სხვაგვარადაა საქმე. ღვინის ინდუსტრიაში ხალხი ძალიან კეთილგანწყობილია ერთმანეთის მიმართ. ცხადია, არის კონკურენციაც, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს არის თანამშრომლობის და ურთიერთგაზიარების სამყარო. ღვინო და სამზარეულო ადამიანებს ეხმარება კარგად, მეგობრული ემოციების გამოსატყვამში, ღვინო არის არაჩვეულებრივი გაზა, ირიბად უთხრა ადამიანს რას ფიქრობ მასზე.

**- დღეს დამაინყნა ნამოლება და ამ დღეებში აუცილებლად გამოვიგზავნით ერთ კარგ, ძლიერ საფერავს.**

- მე ხომ უფასოდ ვიძლევი ინტერვიუს და ფიქრობ, ამაზე კარგ ანაზღაურებას ვერც წარმოვიდგენდი (იცინის).

**- და ბოლოს, ფეხბურთე. წელს "ლესტერ სიტის" გადმოიღის პრემიერ ლიგაში, თქვენი საყვარელი გუნდი, და მინდა მოგილოცოთ. არ მაცინყნდება თქვენი ფინალური ეპიზოდი რომანიდან "მსოფლიო ისტორია 10/2 თავად", როცა მთხრობელი აღმოაჩენს, რომ "ლესტერ სიტის" ასოციაციის თასი აიღო.**

- თქვენც ლესტერ სიტის გულშემატკივარი ხომ არ ხართ?

**- არა, მე "მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივარი ვარ, მაგრამ მიხარია ამ გუნდის დაბრუნება. ასეთ პატარა და მეგობრობ გუნდებს დიდ პატივს ვცემ.**

- დიას.

**- ამიტომ მინდა გკითხოთ ფეხბურთის შესახებაც, ამასთანავე მახსენდება კამიუს და პაზოლინის სიტყვებიც ფეხბურთზე, ორივე საკმაოდ განსხვავებულად აღიქვამდა ამ თამაშს... თქვენთვის არ არის ფეხბურთი? მხოლოდ თამაში?**

- სიმართლე გითხრა, არ მაქვს არანაირი ფეხბურთის ფილოსოფია. ფეხბურთის გულშემატკივრობა ჩემთვის ტანჯვის ერთ-ერთი ფორმაა. კამიუს თქვა, რომ ყველაფერი, რაც ცხოვრებისეული მორალის შესახებ იცის, ადამიანური ზნეობისა და ვალდებულების შესახებ შესახებ, ფეხბურთიდან ისწავება. არა მგონია, ჩემთვის რამე მაგდაგვარი ესწავლებინა ფეხბურთს. უბრალოდ, ბავშვობაში ვითამაშობდი ფეხბურთს. ბოლოს, როცა ვითამაშე, კარში ვიდექი, ჟურნალ **New Statesman**-ის ლირსონის დიკავდი. კარგად არასდროს ვითამაშობდი, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი უსწავლებია ფეხბურთს, ამას მხოლოდ სიამოვნებისთვის ვაკეთებდი, განსატვირთად. წელიწადში ორჯერ მივდივარ ხოლმე დიდ თამაშებზე, სტადიონზე. ხვალ ვაპირებ მაგალითად, „კრისტალ პალასისა“ და „ლივერპულის“ თამაშის სანახავად წასვლას...

**- ეს გადამწყვეტი თამაშია ლივერპულისთვის...**

- დიას, ძალიან. ჩემი ერთ-ერთი მეგობარი, სხვათა შორის, ღვინით მოვაჭრე, ამ გუნდის, „კრისტალ პალასის“ 25%-ს ფლობს და მან დამპატივა, ასე რომ, წელიწადში ერთხელ მას მივყავარ ხოლმე „კრისტალ პალასის“ თამაშზე. ასევე ჩემი ბუღალტერი „არსენალის“ თამაშებზე მესატყვება წელიწადში ერთხელ. მომავალ სეზონზე ალბათ ლესტერის კრისტალ პალასის და ლესტერის-არსენალის თამაშებზე მოვხვდები. „ლესტერ სიტის“ გულშემატკივრობას რაც შეეხება, უნდა ვთქვა, რომ ეს ყოველთვის დიდი ტკივილი და წერეოლობაა, რადგან მათ არასდროს არაფერი მოუვიათ და 10 წელია პრემიერ ლიგიდან გავარდნილები იყვნენ და ჩემიონიშიში თამაშობდნენ. თასის ფინალში ოთხჯერ გავიდნენ, მაგრამ ვერცერთხელ ვერ გაიმარჯვეს. ჯერ „არსენალთან“ ნაავს, მერე „ტოტენჰემთან“, მოკლედ, ამ გუნდს ძალიან კარგად გამოსდის მაგარ გუნდებთან ნაკება. ლესტერ სიტის გულშემატკივრობა მოსამზადებელი ვარჯიშითაა, თუკი გსურს ინგლისის ნაკერებს უგულშემატკივრო. საუკეთესო რეპეტიციაა. რადგან ინგლისი მხოლოდ რაღაც ეტაპამდეა კარგი გუნდი, მაგრამ მათ აკლიათ ხოლმე ალო, წარმოსახვის უნარი და პოეზია. წელს ჩვენ ძალიან ცუდად ვითამაშებთ მსოფლიო თასზე: იტალიასთან ნაკებატ, შემდეგ ურუგვაისთანაც, რადგან მათ ჰყავთ საუკეთესო თავდასამხელი ინგლისში, ლუის სუარესი, კოსტა-რიკასთან, რომელიც ასევე საკმაოდ კარგი გუნდია, ფრედ ვითამაშებთ, 1:1 და ნამოვალთ სახლში. ასეთია ჩემი პროგნოზი.

ივა ფეხუაშვილი

ცა



პირველი თავი

სახლიდან გასვლის წინ ტრუსიკი ტრაკზე შემომეხა. ძალიან უცნაური და საშიში მომენტი იყო, სავარძელში ვჯდებოდი და ნაჭრის გახვევის ხმა გავიგე, რალაცნაირი ირაციონალური შიში დამეუფლა, გული ამიჩქარდა და პანიკაში ჩავევარდი. ორისამი წამი დამჭირდა იმის გასაანალიზებლად, რომ არაფერი საფრთხე არ ან აღარ მემუქრებოდა და

რომ ყველაფერი ჩემი გასუქების ბრალი იყო... მაგრად გავსუქდი, როგორ მოვახერხე არ ვიცი. თითქმის ერთი წელია რაც არ ვმუშაობ და უფულოდ დავხეტიალობ, მამიდაჩემის კისერზე ვარ და მისი გადამკიდე ისეთ უმსგავსო საქმელებს ვუმუშაობ, როგორც ხორციანი ბორში და მწვანე ლობიოა. მოკლედ რომ ვთქვათ, გავსუქდი და ტრუსიკი ტრაკზე შემომეხა, არადა, ერთ არც თუ ისე კარგ, მაგრამ პოპულარულ ტელევიზიაში გასაუბრებაზე უნდა

მივსულიყავი და ამ ტრუსიკის თუ სიმსუქნის გა-  
დამკიდევავიანებდი. მაშიდაჩემს გავძახე და ტრუ-  
სიკის მოტანა ვთხოვე. არ ეცალა, სადილს აკეთებ-  
და, მგონი ბადრიჯანს ან ყვავილოვან კომბოსტოს  
ან რამე ეგთე უშემკრს, მაშიდის კმაყოფაზე მყოფი  
კაცი რომ შეტყობას მხოლოდ...

მეთვითონ მომიწია ტრუსიკზე გატანტალემა.  
იტალიურ ეზოში ვცხოვრობ, აქ ფანჯრებთან ჩავ-  
ლა სახუმარო საქმე არ არის, ფანჯრების თვალთ-  
ვლია მოხუცი მეზობლების ერთ-ერთი საყვარელი  
გასართობია, ისეთი ინტერესით და დაჟინებით უყუ-  
რებენ ეზოს ფანჯრებს, რომ პიჩოკის პერსონა-  
ჟესაც შემურდებოდათ. მოკლიდ, ამათ ვერაფერს  
გამოაპარებ და თუ რაიმე ცუდის გაკეთების აბი-  
რებ, ჯობს რომ ფანჯარას მოშირდეთ თორემ მეორე  
დღეს ყველას ეცოდინება შენი "ვაკეკაციის" შესა-  
ხებ. იტალიურ ეზოში ფანჯრები ტრაკიშველი კა-  
ცის მთერე მტერია (პირველი სიმსუქნე).

ფანჯარასთან ფეხაკრეფით ჩავლას ვაპირებდი,  
როდესაც ეზოში რაღაც ახალი და ძალიან უცნაუ-  
რი შეენიშნე, ისეთი უცნაური, რომ მეზობლებს ჩე-  
მი სიმისველ გამოეპარათ. ეზოს ცენტრში მდგარი  
დახვეული კიბისკენ, რომელიც ჩემი სართულის  
აივანზე ამოდის, აზიური გარეგნობის კომპაქტური  
და სეზონისთვის შეუფერებლად ჩაცმული სამი გო-  
გო მოდიოდა, უკან კი მუშა ტიპები მოყვებოდნენ.  
ეს მუშები ამ ქალებისთვის ძალიან დიდ და უხეშ  
თეთრ ავეჯს მოათრევდნენ.

ამ აზიელებიდან ერთ-ერთი ულამაზესი, ძალი-  
ან გამზნადი და გრძელი, შავთმიანი გოგო იყო. მისი  
სახე შევათვალეიერე, ესეთი ლამაზი გოგო მგონი  
ცხოვრებში არ მყავდა ნანახი. მითუმეტეს ჩემს მე-  
ზობლად და მითუმეტეს აზიელი. ჩემი მეზობლე-  
ბიც ამ გოგოებს უყურებდნენ, რაღა მოკლავთ?! ამ  
დღეებში ძალიან ბევრი სალაპარაკო ექნებათ, მთელ  
უბანს აწიოტებენ ამ ახალი ამბით. ამ აზიელების  
გადამკიდევ დაძველსა ჩემი სიმსუქნე, გრძელ-  
თმიანაა გოგომ პოეტურად რომ ვთქვათ, მომაჯა-  
დოვა... რაღაცნაირად გაგებდნიერდი და ბედნიერ-  
მა დავინყე ტრუსიკის ძებნა.

ტრუსიკი როგორც ექნა ვიპოვე, როგორც იქნა  
ჩაეცივი და სახლიდან ჩავიღებ. აივანზე მუშებს ნა-  
ვანყდი, გოგოების ვინაობა ვკითხე, გავარკვიე, რომ  
ჩინელები იყვნენ.

- ეგენი უეჭველი მასაჟისტები იქნებიან - ერთ-  
ერთმა მუშამ მითხრა და თვალი ჩამიკრა.

- კაი შეკრული მასაჟისტი მეზობლები გეყოლე-  
ბა - მეორედ დაამატა.

- ეეჰ, ჩინელი "მასაჟისტები" არ ვიცი მარა, ად-  
რე იყო ვიეტნამური მანუბი და ის უნდა გენახა, ყვე-  
ლაფერს არჩენდა - გინდა კუნთის დაჭიმულობა,  
გინდა ფაღარათი.

- ჩვენს საქმეში კიდევ ორივე ძალიან ხშირია, მო-  
გესხენება, ან კუნთი უნდა დაგეჭიმოს, ან უნდა გავ-  
ძერეს... - ჰე, ჰე, ჰეო - ესე გაიცინა. ეს ისევე ის პირ-  
ველი მუშა იყო.

უცნაური ხალხი იყვნენ, გავუღიმიე და წამოვე-  
დი, თან ამ ჩინელებზე ფიქრი არ მავსენებდა. რა  
ჯანდაბა უნდოდათ ამ ქალაქში? ტაქსი გავაჩერე.

ტაქსისტმა,

- ეგენი, წინა პრეზიდენტმა ჩამოიყვანა, იმას  
მოვუტყვან სუ ყველაფერი, ეგენი? ჩვენ... ვის? მაგა-  
თი დედამოტყვან, ინდოელები მიწებს ყიდულობენ  
კახეთში...

- ესენი ჩინელები არიან-მეთქი, ვუთხარი,  
- ვინ ეგენი? ჩვენ? გადაგყვალაპევენს... ეგენი  
ჩინურ სამასაჟოებში ტყნაურობენ, ეგ რა არის, ჩი-  
ნელ ბიზნესს რა უშავთ, შენ ის უნდა ნახო, ინდური  
და ერაყული დისკოტეკები რო გამომართეს ჩემს  
ქალაქში, ქართველობას გვართვევენ და ქართვე-  
ლებს შიგნით არ გვიშვებენ, ქართველ ქალებს უცხო-  
ელებს ატყვენეინებენ გესმის შენ...? - მერე რწმე-  
ნაზე ილაპარაკე, მერე კიდევ მითხრა, რომ თითო-  
ნაც დადიოდა ამ ჩინელებში... მაგათო, მოჭრა აქეთ  
მაგარიო, ქართველ ქალებს ფათახი არ უჭერათო...

ბილნი ტაქსისტი იყო, არც მე ვარ ანგვლოზი,  
მაგრამ ბილნი ტიპები არ მიყვარს, რა თქმა უნდა,  
ხუთიანის ხურდა არ ჰქონდა და ის ლარინც მითთი-  
სა...

დედაც ვატრეო... ტრუსიკი და ლარინი ვიზა-  
რალეო...

ტაქსიდან გადმოვედი და ამამიდაჩემმა დარეკა,  
რეჰანი უნდოდა... რა საშინელებებს მაჭმევს ეს ქა-  
ლი? ან რატო ვსუქდება? მაშიდაჩემის მერე ბანკი-  
დან დაბრუნეკი, დაჯლიანების გადაუხდელობის გა-  
მო დაპიტრეკი პოეტური დამაკიერეს. სამსახუ-  
რის დაკარგვის შემდეგ ვალს ველარ ვიხდი, ყოველ  
დაგვიანებაზე და გადაცილებულ დღეზე კი ვალი  
მემატება და მემბატება, მგონი თავდაპირველ თან-  
ხაზე ათჯერ მეტი მაქვს გადასახდელო. არ ვიცი რა  
საშინელება უნდა შემომთავაზონ არც თუ ისე კარგ  
ტელევიზიაში, რომ არ დავთანხმდე. ისე, სამსახუ-  
რი რომ დავკარგე ჩემი ბრალია, მორალურ პრინ-  
ციპებს გავყვები და ამიტომ მაქვს ამდენი ვალი.

ოცდათერთმეტი დეკემბერი იყო... სამსახურში  
ვიყავი, გადაცემის მონტაჟი გვქონდა. ჯერ მე-  
მონტაჟეს, მერე კი ჟურნალისტს დაურეკეს და სამ-  
სახურიდან დათხოვნის შესახებ აუწყეს... მემონ-  
ტაჟე ორმოცს გადაცილებული კაცი იყო, ოთხი შვი-  
ლის მამა, წარმოგიდგენიათ რა დღეში ჩავარდებო-  
და? ჟურნალისტი ერთი გაზულუქებული მდიარი  
მამიკო გოგო იყო, საშუალო განათლებით და აწყო-  
ბილი ფიზიონომიით, დაბერილი ტუჩებით და აპრე-  
ხილი თვალებით, გასართობად მუშაობდა, მაგრამ  
მანაც მწარედ განიცადა დათხოვნა, ალბათ იმიტომ,  
რომ ოცდათერთმეტი დეკემბერი იყო და ყველა რა-  
ღაცას, კარგს ველოდებოდი და არავითარ შემთხ-  
ვევაში სამსახურიდან გავდებო. თან როდესაც საქ-  
მეში ვიყავი და სალამოსთვის გადაცემა გექონდა  
გასაღები... ძალიან უცნაური გრძნობა დამეფულა  
მამინ. თან ამათზე ვენერვიულობდი და თან იმაზე  
მეფიქრებოდა, ვიდა მეც დამირეკონ და მეც გა-  
მიშვან-მეთქი... ბუნებრივია რომ ვენერვიულობდი,  
მაგრამ ამ ნერვიულობასაც განვიცდიდი, თან თაფ-  
ლის წასმა მინდოდა და თან ვენერვიულობდი, რომ  
კოლეგები დამკებნდნენ (თუ რამაც დაკბინეს)... მოკ-  
ლედ, რამდენიმე წუთში მეც დამირეკეს და მითხ-  
რეს, რომ როგორც კარგ პროდიუსერს, სამსახურს  
მინარწუნებდნენ, ახალ გადაცემასაც მიმატებდნენ  
და ხელფასს სამასი ლარით მიმცირებდნენ. ჩვენს

დირექციას ცინიზმი მოაწვა საახალწლოდ... ცივად დაკვიდე ტელეფონი და დაეფიქრდი, რამდენიმე საათში გადაცემა უნდა გასულყოფი ეთერში, ჟურნალისტს და მემონტაჟებს ვთხოვე, რომ გადაცემის ბოლომდე დამონტაჟებაში დამხმარებოდნენ, ჟურნალისტს ერთი გემრიელი ტექსტი დავუწერე, დაახლოებით დადა მანიფესტის სტილით და რვა საათის მოხვლას დაველოდე. ისე მოვახერხე, რომ გადაცემა ბოლო წამს მივანოხრე საეთეროს, რედაქტორებმა შემონებდა ვერ მოახერხეს და ჩვენი მანიფესტი "პრაიმ ტაიმში" გააუფრდა... ესე მიუვლაცეთე ახალი წელი სამსახურს.

„თქვენ ყველას ოყენა გჭირდებათ...“  
 ამ ინციდენტიდან ერთი წელი გავიდა და არცერთ ტელევიზიაში სამუშაოდ აღარ მივბრუნდნენ. ეხლა კი რაღაც ახალ და გრანდიოზულ პროექტს გეგმავდა ერთ-ერთი, არც თუ ისე კარგი, მაგრამ ძალიან პოპულარული ტელევიზია და ჩემი, როგორც ექსცენტრიკული პროდიუსერის დამხარება სჭირდებოდათ, რამდენადაც ტელეფონზე გავკარკვი, ძალიან კარგ ხელფასსაც მთავაზობდნენ და ჩემი უშუალო უფროსი ჩემი ყოფილი თანამშრომელი იქნებოდა...

კი ჩემი ახალი უფროსი ჩემი ყოფილი თანამშრომელი იყო. ბებერი წოდი, „სწერვა“ სახით, დაბერილი ძუძუებით და ალბათ ყველაზე დიდი სექსუალური გამოცდილებით. ჩემს წინა სამსახურში ამბობდნენ „ტელევიზიონშიკი“ პატარა ბიჭები ამ ქალთა ვაჟკაცდებოდნენო. ეხლა კი მარტო უფროსობას აძლევსო...

ჩემი ყოფილი თანამშრომელი ვიზუალურად ძალიან შეცვლილი იყო, ძველებურად აღარ ნაშობდა. საერთოდ, ეს ძველებური ნაშობა უკვე მოდაში აღარ არის, ეხლა რაღაც მოპოპსტერო ნაშები გაჩნდნენ... მე ჩემდათვად ეს მოპოპსტერო გამხდარი, უმკერდე და მოკლეთმისანი გოგონები მაგრად არ მიზინდავს, ისევე ის ძველებური სტანდარტული ნაშები მირჩევნია, გამოხვევად ჩაცმულები და ძუძუბამოყრილი დეკორაციებით. ამ ახალი თაობის ნაშებს ვერ დაუფუძლებ, შეიძლება ჩემი ბრალია, იმიტომ, რომ ჩემი საუკეთესო ძმაკაცი ესეთებთან ყოველ პარასკევს ატარებს და მუშნება, რომ ძველი სტანდარტული ნაშებისგან განსხვავებით ეს პოპსტერი ნაშები ბევრად სექსუალურები არიან. ალბათ ეგრეცაა, არას გაიგებ. მე ვერ გაიგებ.

ჩემს ძველ თანამშრომელს და მომავალ ჩემს უფროსს დავებრუნედი. იმ პერიოდმა, რაც ერთმანეთი არ ვიზინახავს, ორივე ძალიან შეცვალა - პოპსტერი ნაშების მიმართ ჩემი ანტიპათიის მიუხედავად, ჩემი ახალი უფროსი უფრო უკეთესობისკენ იყო შევლელი, ვიდრე მე. ვიზუალურადაც უფრო კარგად გამოიყურებოდა და ჩემზე უკეთესი სამსახურიც ჰქონდა. ბოლობოლო ეგ იყო უფროსი და არა მე.

სტანდარტული ტექსტებით, პირდაპირ მელაპარაკა. მითხრა, რომ გავსუქდი, რომ არ მიხდება გასუქება, რომ ბევრს ვენევი და რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მამინდილი გამოხტომის და სითავხედის გამო მიყვანდა სამსახურში, აქ გეგეთები არ გამივიდიდა. მითხრა, რომ ახალ, გრანდიოზულ მო-

უს იწყებენ, სადაც ადამიანებს საკუთარი ნიჭის ან უნიჭობის წარმოჩენა შეეძლება. ეს რომ მითხრა, გულწრფელად გამიხარდა, წარმოვიდგინე რამდენადამიანს გავუსწავდი ზხას, მაგრამ ოცნებებიდან მალე გამომარკვია, ნიჭისთვის ფართო გზის მიცემა ჩემი წილი არ იყო, მე უფრო შერეული ტიპები უნდა მეოჯრა, რომლებიც ათას სისულელეს გააკეთებდნენ პოპულარობის ან თუენიერ მიხლოდ ტელევიზიორში გამოსვლის სანაცვლოდ. შემეძლო ვირუს ვიდეოებს ჩავჯდომოდი და ინტერნეტის გმირები მიმეყვანა შიდა ქასთინგზე. თუ მისი უდიდებულესობა ჩემი უფროსი და მისი „იობარი“ მეგობარი, რომელიც ასევე ჟიურის წევრი იყო, გადაწყვეტდნენ, რომ მონაწილე საკმარისად შერეული და ყველაფერზე ნამსულელია, მას შოუში მოვახვედრებოდი. მოვახვედრებოდი და ხალხი იცინებდა, შოუს რეიტინგი ექნებოდა, მე კი თითო მოყვანილ სუპერმერევილზე კარგი ბონუსი. ხმის ამოუღებლად ვუსმენდი და ვერ ვხვდებოდი, რატომ არ უნდაოდა მართლა ადამიანისა ტალანტები. მიუხედავად იმისა, რომ სულ რამდენიმე მეგობარი მყავს, მაინც დიდი სანაცნობო წრე მაქვს და შემეძლო კარგი ტიპების მოვნა. როცა ჩემი ფიქრები გაუფიქრი, მითხრა, რომ მე ვაგაზე არ უნდა მეზრუნა. ტალანტი არ დაიკარგებოდა და თავისით მოვაგნებდა ქასთინგს, ესეთი შერეული ტიპები კი თავისით არ მოვიყოფდნენ. მერე დაამატა, თან როგორ გგონია, მაყურებელს რომელი უფრო მოეწონებაო, საშუალოდ კარგი მომღერალი, რომელიც ამ ქვეყანაში ვედრო ლარად ყრია თუ ვინმე ისეთი ტიპი, როგორც ჯერ არავის არ უნახავსო? „ტელევიზიონშიკებს“ მაყურებელი თავის გამაზრდება რომ ამ შევძლოთ, ალბათ არცერთ კითხვაზე არ ექნებოდათ პასუხი. შენადა, ქალბატონო პროდიუსერო, რატომ ვაკეთებთ ესეთ ყოველგვარებს, სადაც ნამყვანები პირდაპირი მნიშვნელობით თავზე გვასვლებ ან ყალბად და პათეტიკურად განიხილავენ ჩვენს სატკივარს, სვამენ იდიოტურ კითხვებს, ქმნიან თავიანთ ანიმიაციურ კლონს. ერთსა და იმავე გადაცემაში გვიყვებოდა ომში დაღუპულ გმირზე და მერე ანეკდოტებს აყოლებენ ყოველად არაესთეტიკურ ტიპებს, რომლებმაც ვერ გაიგებ, როგორ და რანაირად ამ რა ვითარებაში ან რისი წყალობით მიადნის პოპულარობა. მოკლედ, ეს „ტელევიზიონშიკები“ ძალიან დიდ მარაზში არიან გადავარდნილები და თან გიმტკიცებენ, რომ ამ მარაზს უყურებთ ხალხი. ხალხი კი ძალაუბრებურად უყურებს იმას, რასაც ანედიან, აბა რა ქნან, არაფერს არ უყურონ?

არ ვიცი რატომ გამიცრუვდა იმედი ჩემი ახალი უფროსისგან ნამოსულს. ყველაფერი ხომ ესე ნაცნობი და მარტივი იყო, პრინციპში ადრეც იმავეს ვაკეთებდით? იმავეს, ანუ არაფერს აზრიანს და სასარგებლოს... ეს ცხოვრება ძალიან უცნაური კომპრომისია, მასხობის ჩემი წინა სამსახურიდან ერთი ბიჭი იმიტომ გაუშვეს რომ ზედმეტად ინტელექტუალაო. რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო აპარატი ერქმევა თუ ტელევიზიის ბორდი, ყველაფერი რაღაც არასწორ სისტემაზე დგას და ამ სისტემაში იმ ადამიანების ადგილი უბრალოდ არ არის, რომლებიც ფიქრობენ... არადა, ბანკის ვალი მოაზროვ-

ნებს და ერთუჯრედიანებს ერთნაირად აქვთ და ერთნაირად გვჭირდება მუშაობა. ერთს იმისთვის, რომ იარსებოს ან უკეთეს შემთხვევაში იცხოვროს, მეორეს იმისთვის, რომ "ბენეფიციარს" ვალი დაფაროს... რაღაც გავაგრესიულდი.

ქუჩაში მოვიდოდი, განვიმდა და ის რაღაც კარგი სუნნი დადგა წვიმას რომ მოყვება. ისე კარგი იყო ქუჩაში, რომ აუცილებლად უნდა გამოჩენილიყო ვინმე ნაცნობი და ვინმე ნაცნობიც ისე კარგად ჩამოხატა ავტობუსიდან, რომ ამ საღამოს დაღვეის გარეშე კაცი ვერ გადავაგორებდა.

თან წვიმდა და თან ცოტა კონიაკი იდგა სამზარეულოს მაგიდაზე.

- თბილისი იყო ურთიერთობა - ვთქვი და გამეცინა, დავლიეთ და ვილაპარაკეთ, ახალი ამბავი ვუთხარი. ვუთხარი, რომ მართლა შემეძლო ნიჭიერი ხალხის პოვნა და მართლა შემეძლო კარგი საქმის კეთება, ესლა კი ისე გამოდის-მეთქი, რომ ფულის გამო ყველაფერს ვაკეთებ-მეთქი. არაფერის კეთებას რაღაც აკეთო ეგ მაინც ჯობსო. როდემდე გინდა მამიდაშენი გარჩენდესო და თან ხომ ხედავ, ეს ბანკიც ხვალ ან ზეგ აუქციონზე გაგიტყვის ბინა-სო. ეს ჩემი მეგობარი თავის მხრივ ახალგაზრდა გეოგრაფი იყო და გიდად მუშაობდა ტურისტულ კომპანიაში. მე შემომხედე საერთოდ რას გვაგარო და შენ ხომ არ იცი კიდევ რეების ატანა მიწვესო. რა იყო, რა მოხდა-მეთქი, ვკითხე.

- მოკლედ, ამასწინათ ებრაელების ჯგუფი მყავდა მცხეთაში, ერთ-ერთ ფრესკაზე ვუყვებოდი და საუბარში პარალელები გავავლე იუდაიზმთან და ასტროლოგიასთან, ხოდა ეს ჩემი ლამაზაკი მესანთლემ ქალმა გაიგო და მამაოსთან ჩამიშვა; ხოდა მომივარდა ეს მამაო და კაირობა დამიწყო, როგორ ბედავ და მართლმადიდებლურ ტაძარში იუდაიზმზე ლაპარაკობო. მე და ჩემი ტურისტები ერთიანად გავგყარა ტაძრიდან. ამ ტურისტული ჯგუფის თარჯიმანი გადაიარა, რა უფლებით გვეყრით ტაძრიდანო, გარეთ ხალხი მომგვარდა, შენო ბიჭო, აქ ამ ტაძარში, ვინ ებრაელები მოვიტყობო, მაგათ კი არ ვერჩით, ქრისტეს დედა ებრაელი იყო, მარა შენ ხარ მოსაკლავი, ეს სულელები, ეს გაუნათლებლები ცოდნას ებრძვიანო, ქვები გვესროლეს და ისე გამოგვყარეს ტაძრიდანო. მე ჩემს მეგობარზე ვაპოყუყვი განათლებულობის გამო რომ გამოუშვებს სასახურდან, რაღაცნაირად მწარედ ჩაგვეცინა და დავლიეთ.

ცხოვრება უცნაური კომპრომისია. იმდენი თემია სააზროვნოდ, იმდენი რამეა დასაწერი და სათქმელი, მე კი ტალანტების შოუსთვის უნიჭო ხალხის პოვნა მევალება, რომ გადაცემის რეიტინგი ავაძალო...

კონიაკს ვსვამდით და რაღაცნაირად ოთკუთხედად და მრუემედ ვიგრძენი თავი... დავთვერი...

### მეორე თავი

მე არაფერი განსაკუთრებული ნიჭი არ გამაჩნია, მუშტსაც კი ვერ ვიდებ პირში. სპორტში და ტექნიკურ საგნებში ბავშვობიდან უნიჭო ვარ, სკო-

ლაში არც ბუნტისთავი ვიყავი და არც შატალოებზე დავდიოდი, არც ბავშვებს არ ვახტუნავებდი ხურდის გაჩხრიალების მოლოდინში გარინდული, ვითარცა ვინმე ძველი ბიჭი, უბრალოდ, ყოველთვის სიმართლეს ვამბობდი. ვამბობდი, რომ მასწავლებლები კარგ ნიშნებს მხოლოდ მაშინ გინერენ, როდესაც მათთან კერძო დაკავებულებზე ან უარეს შემთხვევაში "წრეზე" გაცივებდნენ, ვამბობდი, რომ ქართულის მასწავლებლის ლექსების კრებულის მეოთხე ტომს აღარ ვიყიდდი იმიტომ, რომ ძვირი იყო და იმიტომ, რომ წინა სამზე გული მერეოდა, ვამბობდი, რომ მესამე სართულზე ამოყობილი პარკეტი მარტო იმიტომ უნდა ჩააჭედონ, რომ... ა. ბავშვებმა აღარ იჩხუბონ ამ ლურსნებიანი ცივი იარაღით და ბ. იმიტომ, რომ ბიჭოვანის მასწავლებელმა არ მოხიზოს ნაოჩრდი პარკეტები და თავის კაბინეტში თვითნებურად დადგმულ ფეჩში არ შეუკეთოს. სხვათაშორის, ეს ის ბიოლოგიის მასწავლებელია, სექსზე არაფრის დიდებით რომ არ გველაპარაკებოდა. მეო, ქმარი ოცი წლის წინ მომიკვდაო, არგუმენტი ჰქონდა ესეთი. მოკლედ, ჩემი სამართლიანობის წყალობით სამჯერ თუ ოთხჯერ მომიჩინა სკოლის შეცვლა და საბოლოოდ ნაცნობობა-ახლობობით დავამთავრე. უნივერსიტეტი კინოსარეჟისოროზე ვსწავლობდი, ოთხი წლის განმავლობაში კამერა თვალით არ მქონდა ნანახი, ჭორის დონეზე დადიოდა, უნივერსიტეტს კამერა აქვს, მაგრამ ქორნილობის გადასაღებად აქირავებსო - არ იყო გამოირიცხული. ერთხელ სტუდენტებმა ლექტორებს დაეცხეთ კამერასთან დაკავშირებით, დაგვირდნენ, ამ დღეებში ჩავიტარებთ კამერასთან ლექციასო. მესამე თუ მეოთხე დღეს მართლა მოიტყანეს კამერა, ოღონდ ფურცელზე ამოპრინტერებული... იმ დღეს პირველად შევაგინე ბაბუის ტოლა კაცს... სწავლის დამთავრების მერე როგორღაც გამომართლა, რაღაც ახალგაზრდადული პროექტის ფარგლებში ერთი მოკლემეტრაჟიანი ფილმიც გადავიღე და იმის მერე ტელევიზიაში ვმუშაობ. ჩემზე არავის უთქვამს, რომ ნიჭიერი რეჟისორი ვარ, რომ ყველაფერი წინ მაქვს, ჩემზე და ჩემს ფილმზე ერთი ახალბურთე ფრანუც კი არავის დაუნერია. ცხოვრებაში ხეირიანად მგონი მხოლოდ ნიგნების კითხვა და მჯავლობა გამომიძის. ხო, კიდევ, ერთხელ ჩემი ყოფილი მეგობარი გოგოს მაგივრად ჩავატარე ხელოვნების კავკეთილი და საკუთარი თავით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. მოსწავლეებმა კი მოხიხრეს, რომ ხელოვნებაში მხოლოდ ფერთა გამას და მხატვრული მიმდინარეობების დასახლებებს სწავლობებს და რომ ჩემი მონოლოგი ეტრუსკებიდან - ბენქსიმდე, კულტურულად რომ ვთქვათ, ფეხებზე ეკიდათ.

მოკლედ, არაფრის ნიჭი არ მქონია, ან რაღაცეები მქონდა და დავკარგე. მგონი ტალანტი იმ გაგებით, როგორც ამ მევა შოუს აწყობს, ძალიან უცნაური რამეა, ან უნდა მღეროდე, ან უნდა ცეკვავდე ან მართლა მუშტს "იდეავს" პირში.

მე როგორც იცით, მუშტის პირში ჩამდებთა მოქმენა დამევალა. ეგ კიდევ არცთუ ისე ადვილი აღმოჩნდა, ამ ქალაქში ყველა გიჟი და გადარეული უპრობლემოდ გახდა პოპულარული და ესლა ცხვირის მიბზუბუნება. ზოგიერთი ტელეფონზე მხოლოდ მა-



შინ მასაუბობდა, როცა რომელიმე თანამშრომელი გოგოს "სვეციკი" ნომრიდან უურეკავდა. გადაგრეეს ეს ხალხი...

სამსახურში ვზივარ, მთელი დღე ინტერნეტში დავძვრები და ახალ გმირებს ვეძებ. ინტერნეტთან ხშირ კონტაქტზე საშინელი არაფერი ყოფილა, რა წყნარად ციხოვრობდი აქამდე, როდესაც ამდენი რამის ნაკითხვა, ნახვა, "დალაიქება" და "დაპაიღენა" არ მიწევდა, აქამდე არც ვიცოდი თუ ამდენი ინტელექტუალი მეგობარი მყავდა, რომელთაც ნებისმიერ მოვლენაზე თავიანთი კომპეტენტური აზრი აქვთ და აზრს სოციალური ქსელების საშუალებით დღეში რამდენჯერმე გამოხატავენ.

მართლა არასდროს არ მიმიგობობია ინტერნეტთან ესე ხშირად და ამ დღით, საინფორმაციო საავტენტორიზაციო საერთოდ დადამრივს. მათ ვებგვერდებზე ჩვეულებრივი პათოლოგი მომხმარებლები არიან დარეგისტრირებული, რომლებსაც ვერ გაიგებ საიდან აქვთ ინტერნეტზე წვდომა და ვერ გაიგებ, ვინ აქვთ რამე გააზრობა ესე. ცხოვრება ინტერნეტში უფრო რეალური და ნიღბებჩამოხსნილია, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში. ფსევდონიმებს ამოფარებული ხალხი ისეთ რაღაცეებს წერს, რომ თავი საგიჟოში მგვრემბა და ვერც წარმოიდგენ, თუ ესენი ქუჩაში გიყის პერანგის გარეშე დადიან. ინტერნეტის ის სივრცე გამოდგა, რომელიც ტურისტებს არ უნდა ვაჩვენო და ზემოდან მწვანე ნაჭერი შემოვაფიქრო "მიმდინარეობს სარეგისტრაციო სამუშაოები".

მოკლედ, ტლანტს ვერც ჩემს თავში და ვერც ინტერნეტში ვერ ვპოულობ. ამ ქალაქის ყველა გიჟმა და გადარეულმა როგორღაც უკვე მიიღწია პოპულარობას, ვინც შოუბიზნესში ვერ მოხვდა, პოლიტიკაში წავიდა, მე კი არავინ აღარ დამრჩა. ამიტომ დასაქვარეთ მომიზნა წასვლა. ამასწინათ ვილა დასავლეთელი ტლანტი მყავდა შიდა ქასთინგზე მსოფლიო... ძალიან მტურისხადი გამოდგა, თან არცერთი სიმღერის ტექსტი არ იცოდა, ვერც ბოთლებს ჭამდა... მოკლედ, სრულიად უნიჭო იყო. გადაცემის თეთრში გასვლამდე სამი თვეა დაჩიწნილი. ჩემმა კოლეგა პროდიუსერებმა უკვე საკაიფო ბონუსებს მოუყარეს თავი, მე კიდევ შეიძლება ხელფასიც ვერ ავიღო. ეს გამომუშავების სისტემა საშინელი რამეა.

კიდევ ერთ ტლანტს გადავანყდი, ნუჩაგოს ირტყამდა პრესში. ისიც მოვიყვანე კასტინგზე, სხვათაშორის მოუწინაო, მაგრამ განვითარება არ გაქვსო, უთხრეს. პირველ ტურში კაი, ნუჩაგოს ჩაირტყამ, მაგრამ მეორეში რას იზამო? მეორეში ორ ნუჩაგოს ჩაირტყამო, ნუჩაგოებით პინგ-პონგის თამაშიც შემიძლია. ოხ, პინგ-პონგს ვერ ვიგნებო, ჩემი უფროსის "იობარმა" მეგობარმა თქვა. რა არ მონდა პინგ-პონგში ვერ ვაიგებო, საერთოდ ყველაფერს ეგრე წყევტდა, რაც თვითონ მოსწონდა და რაც თვითონ არ მოსწონდა. მე აშკარად არ მოეწონდა, ჩემზე ხელი ჰქონდა ჩაქნული, შენო, უნიჭოების ძებნაში მაგარი უნიჭო გამოდგეო.

ქუჩაში მოვდიოდი. რაღაცნაირი ყაიისფერი დღე იყო და მეც საშინელ ხასიათზე ვიყავი. აი ისეთზე, არაფერი რომ არ ვახარებს და ბევრი ფიქრი რომ დავაქვს. ეს ქალაქი რაღაცნაირი რთული და ოთ-

კუთხედია, ერთი დიდი განაშენიანებული სივრცე, უსულო და უმულამო. ალაგ-ალაგ წვიმა უხდება ხოლმე, მაგრამ ეხლა ეს ქალაქი არ მიყვარს, იმდენად არ მიყვარს, რომ აუსცილებლად უნდა გამოიწინდეს ვინმე ნაცნობი და ვინმე ნაცნობიც ისე მოწყენილი ჩამოხტა ავტობუსიდან რომ საღამოს დაღვეის ვარველი კაცი ვერ გადააგორებდა.

ორი კაცი ჩამუდგა რომ სვამს კონიკას და ყველაფერი რომ ისედაც გასაგებია, ეგაა ყველაზე რთული მომენტი. ჩემს მეგობარს ჩემთვის ორი სიახლე ჰქონდა. პირველი: ხერხემალზე რაღაც პრობლემები შეემქმნა გადაადგილებისგან და სტრესისგან მთელი ზურგი დაჭიმული მაქვსო, ექიმმა მასაფები დამინიშნა, მაგრამ ვილაც ბეხლენი ტიპები რომ მსრესავენ დიდად არც მომზნის და ვერც მშველიოსო. მეორე: ცხოვრება-გამოვიტოხე, იოგა და აზიური მასაჟი შემომთავაზესო. ცოტად დავლიოთ და გავიდეო. მერე პაუზა ჩამოწვა. მეორე-მეთქი, მეორეო, ჩაფიქრდა, მეორე, სამსახურიდან გამომიშვესო... სამსახურიდან გამოშვესო, მისი უფროსისთვის ვილაცას ენა მიუტანია, რომ თურმე ჩემი მეგობარი მართლმადიდებლობას აკნინებს, არადა, მე ჩემს მეგობარზე მორწმუნეს არავის ვიცნობ. წინა ინციდენტის დროს, როდესაც ებრაელები ტაძარში არ შეუშვეს და ქვები ესროლეს, საკუთარი თავის დადამსაშულებად დანიჭო, იქნებ მართლა რამით გავალიზიანე ეს ხალხი. მოკლედ, ჩემი მორწმუნე მეგობარი ფარისევლებმა ურწმუნობაში დაადანაშაულეს. უფროსს ჩემი მეგობრისთვის უთქვამს, შენი ტურისტებს ეუბნები, რომ ქრისტეს უნდა დავემსავსოთო, მაგას როგორ ბედავო? შენ თავი ვინ გავლიზიანო. ჩემი მეგობარი ძალიან ვაკვირვებულ იყო, ქრისტიანი ადამიანი ქრისტეს თუ არ დაემსავსა აბა ვის უნდა დავემსავსო? ვერ აუხსნი მაგა ვერაფერს, დაიკიდ-მეთქი... ეეჰო, მითხრა და იმის მერე ჩუმად დაეჯექით, ვსვამდით და მე ხანდახან ფანჯარაში ვიყურებოდი. ფანჯარაში ქალაქია, რომელიც სავსეა ტლანტებით და მე უნიჭო ხალხს ვეძებ, ჩემმა მეგობარმა სამსახური დაკარგა, მე ბანკის ვალი მაქვს გადასახდელი და მაიმდაჩემმა სადილად ფხალს დაგახვედრებო.

ფხალს!  
მე და ჩემი მეგობარი ცოტა შევთვერით. ქალაქში ვიდედი, ჩემს მეგობარს ნული საშინლად სტკიოდა. ვილაცისგან კაი სამსახურს მისამართი ჰქონდა და გავებულე. ავტობუსში ჩავსხედით. ეს ავტობუსი ქალაქის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ჯერ ერთი რომ ძალიან მახინჯია, მეორეც უკვე სასაშუალოდ მორყეული და მონჯდრეულია, ფანჯრებზე რეკლამები ისეა გაკრული, რომ ვარეთ რა ხდება ვერაფერს ვერ დანახავ, ვითომ დახვერტილია ეს რეკლამები, მაგრამ არაფერს არ შევლის, თვალს გიჭრებებს და თავს გატკივებს. ნახევარზე მეტ ავტობუსში საღარი აპარატი არ მუშაობს, არადა, ეს ავტობუსები ხუთი-ექვსი წლის წინ არის ნაყიდი. ქალაქის მერი იდიოტია. ავტობუსში ასვლამდე მასაჟი თუ არ გჭირდება, ჩამოსვლისას აუსცილებლად დაგჭირდება.

ჩემი მეგობრის ნაქები სამსახური ჩემს სახლთან ძალიან ახლოს აღმოჩნდა. შებინდებულზე ჭრელაჭ-

რულა განათებებიც აენით, თვალს ახარებდა, მიგ-  
ნით შევედი. მისაღებში ვილაც აზიელი დაგვხვდა,  
ძალიან გაუხარდა ჩვენი დანახვა, რაღაცეები ქარ-  
თულ-ინგლისურად გველაპარაკა - "მასაზი? მასა-  
ზი - ოლმოცი ლალი, ოლმოცი ლალი". ფული მივე-  
ცით და ქვემოთა საართულზე ჩავიყვანა, სხვადას-  
ხვა ოთახებში შევივხვეს. ოთახებში რბილი, დაბა-  
ლი განათება და მასაჟის დივანი იდგა, გავიხადე,  
პირსახოცი შემოვიხვიე და დივანზე დავნექი, რამ-  
დენიმე წამში ოთახში უღამაზესი, გამხდარი, შავ,  
გრძელთმიანი აზიელი გოგო შემოვიდა. სახეზე მი-  
ვაშტერდი ჩემი მეზობელი იყო. იმანაც დიდხანს მი-  
ყრო და მიცნო, გამიღმა. ყველაზე ლამაზი ღიმი-  
ლი აქვს.

### მესამე თავი

შაბათია, დასვენების დღე. აივანზე ვზივარ და  
ემუშობ, ანუ ინტერნეტში ვიქექები და ტვლიანტებს  
ვეძებ. ხო, სამსახურმა ნოუთბუქი მომცა, ძალიან  
კარგი ფირმის, უახლესი მოდელი, თასქრინით, მრავ-  
ალფუნქციური და ძალიან კომფორტული. ამ ნო-  
უთბუქმა ადამიანის ხარბ ბუნებაზე დამაფიქრა, ად-  
რე მის გარეშეც ჩვეულებრივად ვცხოვრობდი, ეს-  
ლა კი უცებ დამოკიდებული ვაგხდი ამ ნივთზე, მომ-  
წონს და მამიდაჩემს სიამაყით განვუცხადე, რომ  
სამსახურმა ახალი ნოუთბუქი მომცა, რაღაც მო-  
მენტში თავი დაფასებულად ვიგრძენი, არადა, ესე-  
თი ნოუთბუქი ჩვენი შოუს ყველა პროდიუსერს მის-  
ცეს, ჩემი უფროსის "იობარი" მეგობრის საერთოდ  
მოიქურთა ტელეფონი აჩუქეს, ვა ისეთივე დონის  
მარაზშია, როგორც ახალდანიშნული მაღალჩინოს-  
ნების მიერ ახალ-ახალი და ძვირიანი ტელეფონე-  
ნის ყიდვა. პრინციპში "იობარი" მეგობარი იმ ბო-  
ბოლებსგან განსხვავებით კიდევ ნესიერი კაცია,  
კერძო კომპანიამ აჩუქა და აილო, მსუქანი ბიუროკ-  
რატები ჩემს და "იობარი" მეგობრის ფულს იღებენ  
ჯიბეში და დეპოზიტზე. ჩვენთვის, უბრალო პრო-  
დიუსერებისთვის, ეს ნოუთბუქები არცკი უჩუქე-  
ბიათ, რომ გავაფუჭო ორჯერ მეტს გადამხადევი-  
ნებენ, მაგრამ მე მაინც რაღაც უაზრო სიამაყით  
ვივსები, "სამსახურში ნოუთბუქი მომცეს, თასქრ-  
ინი აქვს". ჩვეულებრივი იდიოტი ვარ, რომელსაც  
სამსახური და ნოუთბუქი სადღაც გულის სიღრმე-  
ში მაინც სოციალური სტატუსი ჰგონია. ამ ნოუთ-  
ბუქის მთავარი პლუსი ის არის, რომ მეორე ნოუთ-  
ბუქი გამომითავისუფლდა და რომ გავიჭედები, და  
აუცილებლად გავიჭედები, შემიძლია დავალომბარ-  
დო და ბანკის ვალი დავფარო ხოლმე. ეგრეც მოვი-  
ქეცი, უკვე დავალომბარდ და ბანკის პროცენტები  
გადავიხადე.

მოკლედ, აივანზე ვზივარ და ინტერნეტში ტა-  
ვლიანტებს ვეძებ, რა თქმა უნდა, უშედეგოდ. წამოვ-  
დექი და ყავა მოვხვი, ეზოში დავინყე ყურება, ეზო-  
შიც არაფერი არ ხდება. მეზობლები რატომღაც  
სახლებში არიან შეყუჟულები. შაბათია, ისინიც ის-  
ვენებენ. ერთმანეთისგან. ერთადერთი აზერბაიჯა-  
ნელი ქალი ფუნს სარეცხს, მიყვარს ეს ქალი. ტკბილ  
ფლავს რომ ხარშავს ჩემთანაც ამოაქვს ხოლმე, წამ-

დელი შავი ჩაიც პირველად მასთან დავდი. სამ-  
ზარეულოს კედელზე ჭრელი ნოხი აქვს ჩამოკიდე-  
ბული, ძალიან ლამაზი. ბავშვობაში ტკბილეულს  
მაჭმევდა, მე ამ ნოხის თვალეირება მიყვარდა, ნოხს  
კარგად თუ დაკვირდებოდი, აბსტრაქტულ ფიგურ-  
ებში ათასნაირი სურათის დანახვა შეგდო. მეც  
ვუყურებდი და ვუყურებდი. მაშინვე მამბო-  
ნენ რომ ეგ ქალი კუდიანიაო. კუდიანი კი არა, ყვე-  
ლაზე კარგი ქალია-მეთქი, ვეუბნებოდი. მამიდა-  
ჩემს ამ ქალის არ ემინოდა, პოოქით ემეგობრებო-  
და. მამიდაჩემმა მომიყვა, როგორ უმკითხავა ამ  
ქალმა ახალგაზრდობაში ღრუბლებზე, ღრუბლებ-  
ზე-მეთქი, ვკითხე. ხო, ღრუბლებზე მკითხაბოა შე-  
უძლიაო. ამორჩევ ღრუბელს, რამეც მიამსგავსებ  
და იმის მიხედვით ვმკითხაბო, მაშინ მართლა  
მჯეროდა, რომ ამ ქალს ღრუბლებზე მკითხაბოა  
შეუძლო. ესლა აღარ ვიცი მჯერა თუ არა, ესლა იპო-  
თეკის და უნიჭო ტიპების უფრო მჯერა, ვიდრე  
ღრუბლების.

ჩემი მეზობელი ყველაზე კარგი ქალი სარეცხს  
ფუნდა. არის რაღაც ჯადოსნური ოდნავ ნიაშო თოკ-  
ზე გაფენილ ამრიადიულ სარეცხში. ზუსტად რა  
არის ჯადოსნური არ ვიცი, შეიძლება ხმა. უცებ რომ  
დაიტკაცუნებს გახამებული თეთრეული და ვილა-  
ცის ღამის სიზმარი გატყდება თეთრ ზენარზე. ეს  
სარეცხის გასაფენი თოკები ეზოს ერთი ბოლოდან  
მეორეზე დრამატურგულადაა გადაჯაჭვებული, ერთ  
თოკს ერთი ოჯახის ისტორიის მოყოლა შეუძლია.  
ადამიანზე სარეცხის თოკზე გაფენილი ტანსაცმ-  
ლი უფრო მეტს გაიკვებ, ვიდრე სტანდარტულ რე-  
ზინეში.

იტალიურ ეზოში ცხოვრებამ დამარწმუნა, რომ  
სარეცხის თოკზე ტანსაცმლის გაფენმა თავისი ნე-  
სები აქვს. სარეცხის თანმიმდევრობა ყოველთვის  
დაცულია და ასაკის მიხედვით არის ჩამოკიდებუ-  
ლი. ბავშვებით ინყება და მოხუცებულებით მთავრ-  
დება. თოკზე ვერსად ვერ ნახავთ ფაქტულ ქალის  
თეთრეულს. ჩვენს ეზოში ეგეთი ვაქცი ერთადე-  
თხელ მოხდა, მეორე საართულზე ჩემ პირდაპირ ქ-  
რით ცხოვრობდა ერთი ოჯახი და იმის დისახლსი  
ფუნდა ხოლმე თავის თეთრეულს, რითიც მამიდა-  
ჩემის გაბრაზების ინგველი, მამიდაჩემისთვის მა-  
მიდამის მოუყოლია, ადრე, სოფელში, აბრაგების  
დროს, ეზოში საცვლებს მარტო "ისეთი" ქალები  
ფუნდენენ. ჩამოაკონსილადუნენ თოკზე ნიილ  
ფოხანს და აბრაგები ამით ხვდებოდნენ, რომ აქ ღა-  
მის და ფიქრის დასაკავებელი ადგილი იყო. მამი-  
დაჩემი მოსალოდლე ფოლკლორის ენციკლოპედია.

აივანზე ვდგავარ, ვენევი. ამ დროს მოპირდაპი-  
რე ბინიდან ჩინელები გადმოდიან, უფრო სწორად,  
ჩემი, ლამაზი ჩინელი. ერთმანეთს ვუყურებთ, ვუ-  
ლიმით. იმ დღის მერე ხშირად ვხვდებით ერთმა-  
ნეთს, ცა ჰქვია. ვუთხარი, ქართულად ცა რასაც  
ნიშნავს. ლამაზი სახელი გქვია-მეთქი, ვუთხარი.  
თბილისი დაავთვალეირებინე და მილიონი კითხვა  
დავუსვი. ძალიან გვიჭირს კონტაქტი, ცამ არც ინგ-  
ლისური იცის და არც ქართული ხეროიანა. თბი-  
ლისში დავსთან და დედსთან ერთად არის ჩამოსუ-  
ლი, ჩინეთში რას აკეთებდა არ ვიცი, აქ ბიძამისის  
რჩევით ჩამოვდენენ, ბიძამისის მაღაზია აქვს გახს-



ნილი. ჩვენ რახან ქალები ვართ, ამიტომ მასაჟის ცენტრი გავხსენითო, მასაჟი ბებიჩემმა გვასწავლაო, ბებიჩემს ბიოდენები ჰქონდა და კიდევ ათას-ნაირი მკურნალობა იცოდაო. ცა და მისი ოჯახის სამასელო კარგი რეპუტაციით სარგებლობდა. ამ ქალაქში მასაჟის ცენტრების უმრავლესობაში ბორდელია-მეთქი გახსნილი, ვუთხარი. გაუკვირდა და უყინა. მე ჩვენს გარდა აქ ჩამოსულ სხვა ჩინელებს ბევრს არაფის ვიცნობო.

ცას ღანჯთან ხალი აქვს და სულ ილიმის. ეხლაც გამოიღმა და სარეცხის გასაფენად გავიდა. ცას სარეცხის თოჯინა მაგივრად წვრილი ტროსი აქვს გაბმული. ვუყურებ, მაინტერესებს გაფენს თუ არა საცვლებს, უცნაური განზარაბვა მაქვს ვიცი, მაგრამ თვალს ვერ ვარიდებ. ამ დროს აივანზე მამიდამეტი გამოიღმა. შუბო, თევზი ვჭამოთო. ვერ ვიტან თევზს... მამიდამეტი ჩინელებს, ესენი ნავგლეჯავენო, მეუბნება. ვპასუხობ, რომ მისი შიში ირაციონალურია. შენ მასწავლე ჩემი შიშებიო,

- აი, ამასწინათ ხომ ვამბობდი თავგია ბინაში, თავგია-მეთქი.
- კი ამბობდი.
- ხო აღმოჩნდა რომ მართლა არის?
- აღმოჩნდა.

- ეახსნე უნა ჩემს შიშს ირაციონალური. ირაციონალური შიში შენ გაქვს თავგების. - რა გქნა, მეშინია, ზოგს ძაღლის ეშინია, ზოგს კატის, მე თავგის მეშინია... იმდენად არ მეშინია, რამდენადაც მეზოხილება, არ ვიცი რა უნდა უქუანა, როგორ უნდა მოვივებო. რაღაცნაირი პატარა და მღრღნელია. ღრღნის. ბინაში შევდივარ. ვერ დავინახე გაფინა თუ არა საცვლები ცაბ.

ნავახშმევს ჩემს მეგობარს დაფურეკე. რაღაც ფული მომრჩა ნოუთბუქიდან და გამო თითო ლუდი დავლითო-მეთქი. გამოვიდა. ერთ საშუალოდ "ტრაკი-პერო" ადგილას წავიდე, დამავიწყდა რომ მბათით იყო და მთელი ქალაქი გართე იქნებოდა. დასაჯდომ ადგილს ვინ ჩივის, დასადგომოც არ იყო, მაგრამ მე და ჩემი მეგობარი რატომღაც მხიარულები ვიყავით, თან უამრავ ნაცნობს შევხვდით, მილიონი თემა ნაშრომები და დავსურეთ. ყველაზე ხშირად უმუშევრობაზე გვიჩვენდა ჩვენს ნაცნობებთან ლაპარაკი. აღარ ვნერვიულობ, ყველა უმუშევარიო, სად ჯანდაბაში უნდა ვიშოვო ვისაფურთო. ტაქსობა დაინწყე-მეთქი, შევთავაზე, ნაფურთე მაგაზეო, მაგრამ ქუჩები ეგრე კარგად არ ვიციო. ისწავლი ნელ-ნელა-მეთქი. ისე, იცი რა მაინტერესებს? რა აბა-მეთქი? აი, ამით თუ საბუშო არა აქვთ, ლუდის ფულს სად მოულოდნელი. გამეცინა. აგროვებენ-მეთქი. შენ იციენ, იციენ და, არ არის გამოცხადებული ამხელა მოზვერები ოჯახს ართმევდნენ ფულს, მთელი კვირა აგროვებდნენ და პარსკეკვ-მბათის ლუდში და არაყში უშვებოცნებო. მე მყავს მეზობელი-მეთქი, ვუთხარი, მგონი ოცდაათის არის-მეთქი, თავს ონლაინპოკერის თამაშით ირჩენს-მეთქი. ირჩენს რა, ისიც ეგრე პარსკეკვამდე აგროვებს რომ მეორე ორ დღეში დახარჯოს-მეთქი. ბარათი ადგილი გათავისუფლდა, ჩამოვჯვსო. არაყი ხომ არ დაგველია-მეთქი, კკითხე. დავლიეთ. ჯერ ერთი, მერე მეორე. მერე მესამე, ლუდს ვაყოლებდით, მერე

მეოთხე შევუკვეთეთ, მერე მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ერთად შევუკვეთეთ, მერე იქაურობა მთვრალი და ხმაურიანი ხალხით აივსო და სხვა ადგილას წავივდი. ლაპარაკის მულაში ვიყავით და იქ, იმ ახალ ადგილას უფრო სინყაროდ გვეგულდებოდა. ჩემი ფეხები! ალტერნატიული მუსიკის ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, მუსიკის ალტერნატივის მსგავსი ხმაურის საღამო დაგვხვდა, ამ მომდღრლებს რაღა ჭირთო? ამდენი თემა რაზეც შეუძლიათ იმღერონ, სოციალური პონტი მოხობენ, გაერთიანდნენ და შეუბერონ ჯიგურული, სოციალური რამე, თუგინდ ორაკორდიანი, მაგრამ საჭირო და სწორი, რა ჯანდაბა დაემართათ გასულობაზე რომ მღერიანო! არ ვიცი-მეთქი. არ ვიციოდი და რა უნდა მეთქვა. მე და შენ ხომ არ გავხვდეთ რეპერები და სოციალური თემაზე ნამოვნით-მეთქი? გაეცინა. ორი ლუდი ავიღეთ და კუთხეში დავდექით, მიუხედავად იმისა რომ მომდღრლები ჩემი თაობის ტყვე იყვნენ, ბევრ ნაცნობებს მაინც არ გადავყრილვართ, აუდიტორია ძირითადად სტუდენტებისგან შედგებოდა. ჩემი თაობის ტიპები ამათი მუსიკის ასაკიდან გამოვიდნენ ან მულაში შეეცვლათ, ჩემი თაობის პანკროკერების უმრავლესობა დღეს ბანკებში, ან ბევრად უფრო მურტალ კაპიტლისტურ დაწესებულებებში მუშაობს. ბევრ ისეთ ტიპს ვიცნობ, ვინც ამ ჯგუფს ეხლა არც აფურთხებს, არადა, ზუთი-ექვსი წლის წინ გიჟდებოდნენ ამათზე. ჩემს მეგობარს გაუზიარე ჩემი ფიქრები. ცოტა შეთვრა. მეფსიაო, მეც მაგრად მეფსმოდა და ტრულატიც ვნავედი.

ტულაღის ცოცხალ რიგში ქალი, კაცი, ბავშვი და მოხუცი ერთად ვიდექით. უცებ ვილაცამ მოსაწვევი გადმომანდა, რაღაცნაირად ირიბად გამიხარდა, ნაფხო დავარტყი და ჩემს მეგობარს გადავანოდე, იმანაც მონია და სხვას გადაანოდა. ზუსტად თორმეტი წამი დამჭირდა, რომ მუხლებში მოვეკცილიყავი, ისეთი ძალით დამარტყა, რომ ძლივს გავსწორდი. პირველმა შოკმა რომ გადაიარა, ტვინი სიკეთისგან ამეღეს. ჩემს მეგობარს გადავხვდებოდა კეთილად მიღიმოდა. მერე ჩემს წინ მდგომს ვკითხე, რა მოველი-მეთქი, იმან მის წინ მდგომს ჰკითხა და ესე მივედი მოსაწვევის პირველსამომდე. "პირველი ხელი" ჩვეულებრივი ჯანჯი ტიპი გამოდგა, დაბალი, გამხდარი, ჩავარდნილი თვალეზით და გაზნული თმით, ეს რა მოგვანევიენ-მეთქი. ბოი მოსაწვევიო, ხოდა მეც ჩემი პირისპირი დავუმატეო, რა პრინასეტი-მეთქი? მოვხვნილში ჩაი და ყელის ტკივილის წამალი მაქ ჩაყრილი გემოს პონტშიო. დიმედროლიანი აგროზოლი მომანევენა ამ ჩემისამ, ჩემს მეგობარს გავხვდე გესის-მეთქი? არ ესმოდა. ძალიან შორს და კარგად იყო, ვილაც მისპეტერ ნაშას ეჭუჭუჭუკებოდა. შევხედე, გამეცინა და მფორჯერ ჩავიკეცე. ძალიან ჩავიკეცე.

მერე ტულაღის რიგში გაცნობილ ჰოსპიტერ ნაშასთან და მის ასევე ჰოსპიტერ მეგობართან ერთად კიდევ სხვა კლუბში მოვხვდით, ამჯერად ელექტრომუსიკის პონტში აღმოვჩნდი. ვცეკვავდი, უფრო სწორად ტანს უაზროდ ვაქნევდი, არ მიყავს ცეკვა, მაგრამ სიმთვრალე კომპლექსს მიხსნიდა. ჰოსპიტერა გოგომ ჯიბიდან რაღაც აბი ამოიღო, ძალიან ცუდად გამოიღმა და აბი ენის წვერზე დამი-

დო(ამერიკული ფილმების გავლენა). მერე მახსოვს, რომ ცოტა ხანი ვიცეკვე, მერე აღარ მახსოვს თუ ვცეკვავდი, მერე მახსოვს ტუალეტი და როგორ ერეოდა ვილაც ტიპს გული. მახსოვს რომ მტკვრის პირას თავდა ტრიპერთან შეინდა დაუცვლი სექსი, მერე ცოტა რომ გამოვფხიზლდი, ეს ტრიპერი ის პიპსტერი გოგო აღმოჩნდა, მერე ჯვრლტმენობა და სიფიზიზმეყო და ეს გოგო სახლში ტაქსით გავუშვი, ალის ვარ აღტრუსიტი და სოციალურ ქსელში დამამატეო.

მე სახლისკენ წამოვედი. ქუჩა იყო იმდენად ცარიელი და დილისკენ მიმავალი, რომ აუცილებლად უნდა მომხდარიყო რამე სასწაული. ცაში ავიხიდე, ღრუბლის ნაგლეჯიც კი არ ემჩნეოდა. მაგრამ სასწაულს რატომღაც მთელი ტანით ვგრძნობდი. ეზოში შევედი და კიბისკენ ჩვეული მექანიკური მოძრაობით წავედი. ცაზე ავიხიდე, სასწაულის მოლოდინში ისევ ღრუბელს ვეძებდი, ღრუბელი არა, მაგრამ ცის ფონზე ცა მართლა დავინახე, ხელში წონასწორობის შესანარჩუნებელი გრძელი ჯვოხი ეჭირა და ეზოს ერთი ბოლოდან მეორეში სარეცხი თიოკით გაბმულ ტროსზე გადი-გამოდიოდა. მერე ეს ჯვოხი ქვევით მდგომ დედამისს გადმოუგდო და თითონ სალტოების კეთება დაიწყო. ყბა ჩამოივიარდა, ძალიან მივარალი და ბედნიერი ვიყავი. ამ სანახაობას ჩუმად ვუყურებდი, ვერც ცას დედა და ვერც მისი და ვერ მხედავდნენ. ცამ სალტოების კეთება დაამთავრა და ჩემდაუნებურად ტაში დაეუკარი. სიჩუმეში ტაში ისეთი ხმაბალალი იყო, ცა ტროსიდან კინაღამ ჩამოვარდა.

**მეთხე თავი**

ცას ბენვის ხიდზე გავლა ბებიაშისმა ასწავლა, ბებიაშის - ბებიაშისმა, ბებიაშისის ბებიაშ იმისმა ბებიაშ და ესე... ბენვის ხიდზე გავლის და ცეცხლთან თამაშის ცოდნა ცას ოჯახში თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ქალაქ პეკინის გარეუბანში ძალიან პატარა და არც თუ ისე პოპულარულ ცირკში გამოვდიოდითო, ცამ მომიყვანა... ბავშვობაში მახსოვს, დარბაზი ხალხით იყო გადაჭედული, მერე და მერე კი მაყურებელი წელ-წელა გვაკლდებოდაო. ბოლოს იქამდე მივედი, რომ ცირკი საერთოდ დაიხურაო. სხვა ცირკში არსად არ მიგვიღეს. ზიბაჩემს თბილისში პატარა ბიზნესი შეინდა ანკობილი და აქით წამოსვლა შემოვთავაზაო. აქ რომ ჩამოვედი, აღმოჩნდა, რომ ამხელა ქვეყანას ცირკი საერთოდ არა აქვსო. ხო, დაიხურა რამდენიმე წელია, მარა ისევ აღდგება-მეთქი. რამდენიმე წელი ვრე დაველოდებით და ისევ სამასაყო გავიხსენეო.

დაახლოებით ორი დღე ვეხვეწებოდი ცას ქართულ, ინგლისურ და ჩინურ ენებზე, რომ შოუში გამოვყოლოდა. ცა მისხლია, რომ ცირკი პეკინში დატოვდა და სულ რომ გულით მოენდომებინა, კარგად მაინც არ გამოუვიდოდა.

აქ ტროსზე რომ დადიხარ-მეთქი? აქ უბრალოდ ვერთობი და ამდენი ხალხის წინაშე მაინც სულ სხვააო. გადასარევი გასართობი გაქვს-მეთქი. გაე-

ცინა.  
ორდღიანმა ხვეწნა-მუდარამ გაჭრა და ცა ქას-თინგზე მივიყვანე. ჩემი უფროსი და მისი "იობარი" მეგობარი ჯერ იმაზე გადაიარინენ სამი ჩინელი რომ დაინახეს და მერე ამ სამმა ჩინელმა გამოკლებაზე რომ სირბილი დაიწყეს, ამაწ საერთოდ ტროსქლიავათ. ეს რა მაგარი ხალხი გიპოვიაო, ჩემი უფროსი გადაერული იყო და სილიკონიანი ტუჩებით ტაშს ურცყამდა. მისი "იობარი" მეგობარი კი საქველად ჩაფიქრებულად იყდა. ყოჩალო, მერე მითხრა. ძალიან მაგარ რალაცას მიაგენი, ესენი შეიძლება შოუს ვარსკვლავები და რეიტინგის დედოფლები გახდნენო.

მოკლედ, აქვს და ადიდეს ეს ჩემი ჩინელები, ლამის კრძო ცირკის მონყობას და რაიცი რას აღარ დაპირდნენ, მეც მეფერებოდნენ, ბონუსებს მპირდებოდნენ. ეს ჩემი უფროსის "იობარი" მეგობარი ზედმეტად დაინტერესებულ ჩანდა ამ ჩინელებით, მათ შესახებ ყველაფერი დაწერილებით მომეყოლა. ცას ოჯახის ისტორიას რომ ვუყვებოდი ჭკვიანური სახით მისმენდა და თავს მიქნევდა, სადაც საჭირო იყო, შეწუხდებოდა, როცა გასაცინი იყო - იცინოდა. მოკლედ, იმდენად სწორად იქცეოდა, რომ მართო მაგით მაინც უნდა გამჩნოდა ეჭვი, მაგრამ ხომ ვამბობ, ყველაფერი სწრაფად მოხდა. პირველი ქას-თინგის მერე ცხენებით ავშოშავდით, დეკორაციები, რეჟისორები, კოსტუმები, გრიმი, ახალი ბიოგრაფიის მოგონება, ვითომ ჩვენს ჩინელებს ქალაქ პეკინის გარეუბანში საგვარეულო ცირკი დაენათ და გაკორტულები აქ ჩამოვიდნენ იმიტომ, რომ ინტერნეტი შეინდათ ნახახი აქაური ტროს შოუს რეკლამა. მოკლედ, ჩვეულებრივ ტყუილს ვაცხოზოდით, რომელიც ჩვეულებრივ მაყურებელს ჩვეულებრივად უნდა დაეჯერებინა. ამ პატარ-პატარა საქმეებმა გამაფანტეს და გულწრფელად დავიჯერე, რომ სამ ნიჭიერ ადამიანს ვესმარებოდი.

გადაცემის ჩანერის დღემ მოაღწია. ჩინელები პირველი დღის ქასთინგზე ვითომ შემთხვევით შებოდილდნენ, ვითომ შემთხვევით, გადაცემის უფრნალისტებმა მათთან მოკლე ინტერვიუ ჩაწერეს და ტელევიზიასაც ვითომ შემთხვევით აღმოაჩნდა მათზე წინასწარ მომზადებული სიუჟეტი, სადაც ჩინელები ჩემ მიერ დაწერილ ბიოგრაფიას ყვებოდნენ. ამ ისტორიამ ტელევიზორთან მჯდომ მაყურებელს უეჭველი მოულობო გული და ზოგმა შეიძლება იტირა კიდეც.

მოკლედ, ქასთინგის პირველი დღის გმირები ჩინელები იყვნენ. დარბაზში მათ აპლოდისმენტებით შეხვდნენ, აბა რა იქნებოდა, დარბაზში სპეციალური მონიტორებზე დაკიდებული, სადაც ინერტა რადოს რა უნდა ქნა, სად ტაში უნდა დაუკრა, სად "ფუუ" იძახო და სად გააკუო. ჩემმა მეგობარმა მარჩუქა ბრეტენვის ერთ-ერთი გამოსვლის ბედდური ვერსია, იქაც მითითებული იყო სად უნდა დაგეკარა ჩვეულებრივი ტაში და სად მხოვრავალ. მოკლედ, უბრალო ხალხს, უბრალო ინსტრუქციებით გვაცხოვრებენ.

გადაცემის პროდიუსერმა და მისმა "იობარმა" მეგობარმა მეც მომიცეს ინსტრუქციები. ცა და მისი ოჯახი, პირველი გამოსვლის შემდეგ, უფრომ აიყვანა. შემდეგი ტურისთვის კი ბევრი რამე გეჭონდა



მოსაფიქრებელი. ხო ხედავო არა, რა ხალხი მოვიდაო, ამათი ოთხმოცდაათი პროცენტი საშუალოდ ნიჭიერიც კი არ არისო, ის ათი პროცენტი კი ამ შოუს უცხოური ანალოგებიდან იპარავს რამეს და ამგზით უნდათ გაძვრომაო, არავინ გვყავს ვისაც ჩავეჭიდებით, არადა, ნელს მაინც არ გვინდა, რომ ვინმემ დაუმსახურებლად მოიგოსო. გავქაჩოთ იქნებ ეს ჩინელები, თუ არადა, ის მომლერალი ბავშვი ხო გვყავსო, არა. მეთქი ამ ჩინელებს ვინ დაუმესიჯებს-მეთქი. ოო, მაგაზე მინდა მეც შენთან ლაპარაკიო. რა ხდება-მეთქი. მოკლედო, ძალიან მაგარი შოუ კიდევ სექსუალობის გარეშე არ გამოდისო. მივხვდი საითაც უბერავდა.

საბოლოოდ მაინც ეგერე მოხდა, ცამ კი იჭიჭყინა, მაგრამ კონტრაქტზე ჰქონდა ხელი მოწერილი და მოუნია თითქმის გამჭვირვალე კოსტუმით ბუნკის ხიდზე გაელა. ამას სპეცეფექტები, მუსიკა და განათება დაემატა და შოუ მართლა შთამბეჭდავი გამოდგა. ამ ყველაფრის კულმინაცია კი ფიურის დილემის წინაშე დაყენება იყო, მათ ან ჩინელი აკრობატები უნდა აერჩიათ, ან ჩვენები. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დადგმული ამბავი იყო, ჩვენი აკრობატები რა დასამალია და, ძალიან უნიჭოები იყვნენ, მაგრამ ხალხი მაინც ბოლომდე დაძვბეთ, დარბაზი ყვირილით და შეძახილებით ქართველებს გულშემატიკვრობდა, გულის სიდრემში კი ერთი სული ჰქონდათ, შემდეგ ტურში ნახევრად მიშველი ცა ენახათ. ვერც ვერაფერს ვერ იტყვი, ცა იმდენად

ლამაზი და ეფექტური იყო სცენაზე, რომ თვალს ვერ მონწყვეტდი.

ვერც ვწყვეტილი...

სამი დღე გადაბმულად თათბირები გვექონდა. გადაცემაზე ძალიან დიდი ფული დაიხარჯა, მაგრამ რეიტინგს ვერა და ვერ დებდა. ცას გარდა განსაკუთრებული ნიჭის პატრონი არ გვყავდა, ისეთი ტიპებიც ვერ იპოვეს, რომ მაყურებელს დიდხანს ეცინა, ორი სამი "ჩუდაკი", ერთი-ორი კვირა პოპულარულები იყვნენ და მერე გაქრნენ. არადა, ნახევარფინალი ახლოვდებოდა. ერთ მხარეს ცა და უნიჭო აკრობატები იდგნენ, მეორე მხარეს მგალობელთა ანსამბლი და პატარა მომლერალი გოგო. ფინალისტიები ამჟამად იყო. პატარა გოგო და ცა ერთმანეთს ფინალში შეხვდებოდნენ, მაგრამ ტელევიზიის მეპატრონეები ყველაფრით უკმაყოფილო იყვნენ, საერთოდ ყველაფრით. რეიტინგით, შემოსული ზარებით, ჩემი უფროსით, მისი "იობარი" მეგობრით ხომ მითუმეტეს, მას იმდენი ხანი ლანძღავდნენ, რომ თავმოყვარე კაცი ფანჯრიდან გადახტებოდა. მოკლედო, ტელევიზიის დირექტორმა თქვა, რამე მოიფიქრე თორე მოგიტყნავ დედის ტრასკო, შენო კიდევ, შე იხვნისკარტა, რას ჩამომიჯიჭი სვეცკი მულტივიციო, ადევ ააჯვი რეიტინგი დადეო.

სამი დღე ვისმენდი, როგორ აგინებდნენ ჩემს უფროსებს მათი უფროსები, სამი დღე ვერ გამოვდიოდი ტელევიზიიდან. ჩემი უფროსები როცა არ აგინებდნენ, ოთახში ისხდნენ და ფიქრობდნენ შემდეგ კვირამდე საიდან მოეტანათ რეიტინგი. სამი

დღე ამ ყველაფერს გაუძეული, მეოთხე დღეს დასა-  
ბანად გავეთავისუფლე და სახლში წამოვედი.

მამიდარჩემი სახლში არ დახვებდა. სხეული ისეთი  
დანგრეული ჭკობდა, რომ საწოლზე წოლა კუნთებს  
მტკნულად ფეხზე ავდევდა და სიგარეტს მოვუკიდე,  
კარზე დაავაკუნეს. ცა იყო. სუფთა მეზობლური ინ-  
ტერესები ჰქონდა, შაქარი უნდოდა, მაგრამ ჩემს  
დანახვას არ ელოდებოდა. ხალთი ოდნავ შეხსნი-  
ლი ჰქონდა, ძალაუვნებურად მისი მკერდისკენ გა-  
მექცა თვალი. უცებ გამოვფხიზლდი და ბინაში შე-  
მოვიპატყე, საშაქრე ცარიელი დახვებდა. მამიდა-  
ჩემი შაქარი ზემოთა თაროზე ინახავს, სკამზე ავე-  
რომა მომინია, კარგად მაინც ვერ ვხვდებოდი და  
ხელი რომ გავშალე კარადის გამოსაღებად ისე სა-  
შინლად დამეჭიმა კუნთი და ისე მეტკინა, რომ კი-  
ნაღამ ჩამოვარდი. ცა ჩემი შემხედვარე შეწხვდა,  
ღივიზზე წამომანვინა და მასაყის კეთება დამჩნყო.  
მერე მე გავუკეთე ჩაი ცას, მერე ცოტა ხანი ვისხე-  
დით, შოუზე ვლამპარაკობდით. ცა ვერაფრით ვერ  
ხვდებოდა, რატომ ერქვა შოუს ტლანტების შოუ,  
რომცა მასში მონაწილე ხალხს არაფერის ტლანტი  
არ ჰქონდა. ეგ მეც არ ვიცო-მეთქი, ვუთხარი. დი-  
ვანზე ვიყავი წამოწოლილი და ჭერს ვუყურებდი,  
ცამ ჩაი დალია, შაქარიც ჰქონდა, მაგრამ ნასვლას  
აჭიანურებდა. მხარი როგორ გაქვსო კითხვა. შევა-  
მონმე, შედარებაც არ არის-მეთქი, ვუპასუხე. კაი  
მაშინ, ნავალო, დაიძინე, უკვე გვიანი არისო, ისეთი  
გადაღლილი ვარ და ტვინი ისე მაქვს აღვზნებული,  
რომ ვე აღვიღად არ დამეძინება, თუ გინდა დარჩი  
არ შემოშლი, პირიქით გამიხარდება-მეთქი. დაი-  
მორცხვა და კაი, დავრჩებო. ჩაი კიდევ გინდა-მეთ-  
ქი, არა, არა, არ ადგე, ინექტო. მოდი რა განახლ-  
მეთქი. ჩემს გვერდით დავაჯინე, ზემოთ აიხედ-  
მეთქი, აიხედა. ჭერზე მფრინავი თევზის მაგარი  
რალაც იყო უანგისფრად გამოსახული, ჩემს ბავშ-  
ვობაში სახურვიდან წყალად გამოყოფა და ეს ნახა-  
ტი დაიხატა-მეთქი. ჭერის სხვა ნაწილი შევაითე-  
რეთ და ეს დავტოვეთ-მეთქი. ცამ გამილიმა, მე კი-  
დევე ვაკოცე, ძალიან ლამაზი იყო და ვერ მოვითმი-  
ნე, თავიდან ძალიან გაუკვირდა, მერე ლოყაზე მო-  
მიფერა და თვითონაც მაკოცა.

### მეხუთე თავი

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში იშვი-  
თად მალოსოს მომეწიტი, როდესაც რამეზე არ ვფიქ-  
რობდე ან არ ველეადე. რატომღაც სულ შემფო-  
თებული ვარ. ცალკე ბანკის კრედიტი, ცალკე სამ-  
სახურის უაზრო პრობლემები, ნიჭიერი და უნიჭო  
ხალხი, ცალკე ყოველდღიური საფიქრალი, პლუს  
ამას, ბავშვობიდან გამოყოფილი ნერვოზი, რამდე-  
ნიმე ნერვული ნიკი და გავლიძებიდან ოც-ოცდა-  
ხუთ წუთში უკვე ძალიან დაღლილი ვარ ხოლმე...  
დღეს კი ყველაფერი სხვაგვარად მოხდა, დასვენე-  
ბულმა და ვნებადაცლილმა გავიდოქი, სიგარეტის  
მონევეც კი არ მომდომებია.

ცას გავხედე, მშვიდად ეძინა, ვიფიქრე, სანამ  
გაიღვიძებს წამოვდგები და ჩაის მოვამზადებ-მეთ-  
ქი, მაგრამ საწოლში მირთმეული ჩაი ზედმეტად ბა-

ნალური მეჩვენა, ისევე კოტორიალი ვარჩიე. მზე რომ  
იყოს კარგი იქნებოდა, მაგრამ არ არის, რალაცნაი-  
რად უფშური ამინდია, საწოლში წოლა რომ უხდება  
ისეთი. ბანალურობა იქეთ იყოს და ჩაის კი დღევე-  
და კაცი. ვდგები და სამხარეულოში გავდივარ, გაზ-  
ქურაზე ჩაიდან დავადგი, რა უცნაურად უფშური  
და ნაცრისფერი დღეა. ჭიქები ჩამოვიღე და მაშინ  
გავივე პირველი შეძახილი - "დაიხუროს ცოდვის  
ბუნდე, დაიხუროს ცოდვის ბუნდე" - ეზოდან რამდე-  
ნიმე ათეული ადამიანის ხმა შემოდიოდა. ფანჯა-  
რასთან მივედი, ფარდა შემინებულმა გადავინე და  
ეზოში მდგარი "ფანატისკოს მშობელთა კავშირი"  
დავინახე. ფანატისკოსები ხელში პლაკატები ეჭი-  
რათ, სადაც იმ ტელევიზიას, რომელშიც მე ვმუშა-  
ობ, ლანძღავდნენ და ტლანტების მეგა შოუს და-  
ხურვას მოითხოვდნენ, "ქართველობას ვერ ნავგარ-  
თებენ, დაიხუროს ცოდვის ბუნდე, დაიხუროს ცოდ-  
ვის ბუნდე". ამ ყველაფერს გაოგნებული ვუყურებ-  
დი, ფანატისკოსი მშობლები ყველა მოთხოვნა გა-  
საგებნი იყო მაგრამ ვერაფრით ვერ ვხვდებოდი ტლ-  
ანტების მეგა შოუს დახურვას ჩემს ეზოში რატომ  
მოითხოვდნენ. ხმაურზე ცამ გამოიღვიძა, გაკვირ-  
ვებული იყო, მეგონა ცუდი სიზმარი მესიზმრებო-  
დაო. არა ცუდი სიზმარი ეხლა იწყება-მეთქი. რა  
სახლია, რა აყვირებთ, ჩემი ტლანტების შოუს  
დახურვას მოითხოვთ-მეთქი, რა უცნაურია, აქ რა-  
ტომ მოითხოვენო? ეტყობა გაიგეს, რომ შენ აქ  
ცხოვრობ-მეთქი. მე რა შუაში ვარო? არ ვიცი, მაგ-  
რამ ამ ხალხის აქ მოსვლის ერთდერი მიზეზი ეგ  
უნდა იყოს-მეთქი. ტელევიზორი ჩავრთეთ, ჩემი  
სამსახურის ნინაც აქციები იყო, მაგრამ იქ ბევრად  
მეტი ხალხი იდგა და მოთხოვნებიც სხვა ჰქონდათ.  
ტელევიზიასთან მდგომი ხალხი "სიძვის ჩინილს"  
გაღებებს მოითხოვდა. ხელში ცას და მისი სამასა-  
ყოს ფოტოსურათები ეჭირათ. გაოგნებულმა და-  
დახვებე ცას, ის შეშინებული მიყურებდა. თავიდან  
ვერ მივხვდი რა ხდებოდა, ცოტა ხნის ფიქრის მერ-  
ე, ბანერებზე და მოთხოვნებზე დაკვირვებით და-  
ვასკენი, რომ მქცისი მონაწილეებს ადგილები აერი-  
ათ, ტელევიზიასთან მდგარი ფანატისკოსი მშობლე-  
რი ჩემს ეზოში უნდა მდგარიყვნენ და ჩემს ეზოში  
მდგარი ფანატისკოსები კი ტელევიზიასთან. სრული  
იდიოტები არიან-მეთქი, ცას ვუთხარი. კი მარა ჩე-  
მი ფოტო რატომ უჭირავთო? არ მინდოდა მეთქაც,  
მაგრამ უნდასად ამ დროს ტელევიზორში ფანატე-  
ბის ლიდერის ინტერვიუ დაიწყო, ის ცაზე ამბობდა,  
"საქართველოში ჩინელი ბოზების ადგილი არ არის,  
მაშინ როდესაც იმავე შოუში დგას მაგალითელთა  
გუნდი, მე არ მესმის რატომ უნდა იყოს იქ ბოზი აკ-  
რობატი, ეს არის დაცინვა, ამ ევროპელებს უნდათ,  
რომ ქართველობა ნავგართვან..." ცას ცრემლები  
წამოუვიდა, მიუხედავად იმისა, რომ ქართული კარ-  
გად არ იცოდა ყველაფერს მიხვდა, თან მეც მქონ-  
და ახსნილი სამასაყოების არასანდო რეპუტაციის  
ამბავი. ცა ტიროდა და მე რალაც უცნაურად მეკუმ-  
შებოდა გული. გოგობაში არ უნდა იტირონ, ყოველ-  
შემთხვევაში, კაცის თანდასწრებით. ცა რომ ტი-  
როდა, მეგონა ყველაფერი ჩემი ბრალი იყო, მე რომ  
არა, ივლიდა ცა სარეცხის ტროსზე აქეთ-იქით და  
იქნებოდა ყველაფერი მისტიური და ლამაზი. მე ჩავ-



როც ცამ ამ მარაზში, რომელიც უმართავი გახდა და აქამდე მივიდა. ვივაც ფანატიკოსების ჯგუფი ცას იმიტომ ავიგებდა, რომ ჩინელი იყო და რომ საზასყო ჰქონდა და რომ სცენაზე მაგალობელთა გუნდის წინააღმდეგ იდგა.

ცა ტიროდა და მე არ ვიცოდე რა შექნა. ფანატკოსები არაფრის დღეებით არ მიდიოდნენ. მინდდა ვადავმდგარიყავი და მათთვის მევიცინებინა, მევიცინებინა მათი გაუნათლებლობის და უმეცრეობისთვის, სიბრძნის და ჩემი რელიგიის არასწორად გაგებისთვის... ზუსტად ვიცი, რომ ესენი არიან ის ხალხი, ვინც ინტერნეტში საშინლად ივინებდა, ვინც ავტობუსის ბილეთის არ იღებებს, გაქურებებს ლენჯის სიმფრალეში, ვინც მინისქვეშა გადასასვლელებში ფსანს და მანქანას და ჩემი რელიგიის აბარკივებს, ვინც სტალინის კულტს ამართლებს და რუსეთს დედ ძმას ეძახის, ვინც თავს ინამავლავს და შეილებსაც წამლავს ცრურწმენებით და გაუნათლებლობით.

სამსახურიდან დამორჩევის, ჩემი უფროსის "იობა" მეგობარი იყო, ესეთი და ესეთი ამბავით, მეც ვუთხარი ჩემს ზომში რაც ხდებოდა, მოიცა, მან-დაც გამოუშვებთ გადამღებ ჯგუფსო. ხი არ გა-დარეოთ, აღარასდროს არ ნავლენ აქედან-მეთქი, საიდან გაივებს სად ვცხოვრობთ-მეთქი? თბილისია, რა უნდა მაგის გაგებასო... ეხლა რა ექნათ-მეთქი? რა უნდა ექნათ, საღამოს ნახევარფინალის ჩაწერა გაეჭვს და როგორმე უნდა მოხვდეთ რეპეტიციასო. ეხლა რომ გართვ გამოვიდეთ ცოცხლად შეგ-ჭვებმე, ისეთ რაღაცებებს ყვირობ-მეთქი. მოიცა, დაცვის ბიჭებს გამოუშვებო. დაიცვის ბიჭები ტელევიზიებთან ერთად მოვიდნენ. ცა უარზე იყო, არ უნდადა ნაოსნო, ვინაღმდეგული იყო, ცრემ-ლებს ვერ იკავებდა, ცას შემეხდებოდა მული მიკვ-დებოდა. ცას დედა და დაც ტიროდნენ, როგორი ამ-ბავია, ათობით კაცია შეკრებილი და ბოზს გეძახის, შენი მოუღან და ქვეყნიდან გაგებთა უნდათ და სა-შინელი სიტყვებით გლანძღავენ. ცამ მოუში გამოს-ვალზე უარი განაცხადა, ძალიან დიდხანს ვუხსნი-დი, რომ კონტრაქტი ჰქონდა და დედული და შოუში მონაწილეობაზე უარის თქმა არ შეიძლებოდა, რომ მე ნახევარფინალში არ გამოვიდოდა, ძალიან დი-დი თანხის გადახდა მოუწევდა. ცა ტიროდა, ცას დედა და დაც ტიროდნენ, დაცვის ბიჭები გაოგენ-ბულები იყვნენ, მართლა ბოზები არიანო, ერთ-ერთ-მა მკითხა, ისეთი სახით გავხედე, რომ ეგრევე ბო-რდნი მოიხადა. "ძირს ჩინელი ბოზები!" ისმობდა გა-რდენა. ეტყობა, პანერები და სლოგანები გადაცეა-ლეს, ერთუფრედინებები, ამებები, ამათ დედა მოვ-ცეს! ამათ მართლა იყვნა ჭირვებები! ქართველებს ავიგებ ამ ჩინელ ბოზის გამო, ერთ-ერთმა მცველ-მა მითხრა. ცამ გაიკონა, ვერ მოიხინა, წამოხტა და მცველს მუშტები დაუშინა. მცველმა ცა მოიქნია და კედელს მიანარცხა, მეც ივივე ბედი მენია. მერე როგორღაც სხვა მცველებმა გაგაშაყველეს. ცა და მისი ოჯახი შედარით დავითანხმე, თან ვუხსნიდი, რომ ტელევიზიაში უფრო უსაფრთხოდ ვიქნებო-დიოთ.

ცა დამთანხმდა. ჭიდაობა-ჭიდაობით "ბო ზე ბო, ბო ზე ბოს" ძახილით გავაკივლა ხალხმა, რამდენი-მე მათგანმა ქვევით დაგვიშინა. ჩემი წყნარი ცხოვ-

რება ამ უბანში დამთავრდა...

ტელევიზიის შესასვლელში უარევი ხდებოდა. კიდევ კარგი იქ პატრულის თანამშრომლები დავე-ხვდნენ, თორემ დიდი ალბათობით ფანატიკოსი მშობლები თავიანთი შვილების უუკეთესი მომავლის-თვის ცოცხლად შეგჭვამდნენ.

სტუდიაში რომ შევედი ქანიც გვერონდა განყ-ვეტილი. პროექტის ყველა მონაწილე ჩვენ შემოგ-ვეხვია, ცა ტიროდა და ყველანი მის დაწყურებებს ცვდილობდით... მაგალობელის გუნდმა ბოდიში მოგვიხადა, არ გვეკონო ჩვენ ამ იდიოტებთან რამე გვაკავშირებდესო.

მოსალამოვდა და ფანატიკოსი მშობლებიც და-ისაღუნენ. ეტყობა სახლებში ნავიდნენ ჩვენი შოუს საყურებლად. დღის განმავლობაში ყველა საინფორ-მაციო გამოშვებებში და ინტერნეტ პორტალებზე, ჩვენ-ზე ლაპარაკობდნენ. შოუს რეიტინგმა ერთ დღეში ათჯერ მოიმატა. რეიტინგების მიხედვით, შოუს დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, თითქმის მი-ლიონამდე ტელევიზორი იყო გადართული ჩვენს არხზე.

ცა შედარებით დაწყურებული იყო, მაგრამ თვა-ლებში მაინც ვერ ვუყურებდი. საგრძობრობში ვი-ყავით, შოუს დაწყებამდე ოცი წუთი იყო დარჩენი-ლი, შემომიტრიადა, ხელი ხელზე მომიჭირა და მითხრა, რომ არ მენერვიულა, რომ ჩემზე გაბარაზე-ბული არ იყო. მაკოცა. ვაკოცე. ცას დამ თველი აგ-ვარული და ჩაიღინა. ცუდი ხალხი იყო, საშინელი-მეთქი, ვუბასუხე.

დარბაზი და ტელევიზიის მიმდებარე ტერიტო-რია გადაჭედოლი იყო. დარბაზში მცველებს რაო-დენობა სამჯერ გაუზარდეთ. ცა ქართველი აქრო-ბატების შემდეგ უნდა გამოხდებოდა და გვინდოდა, რომ შოუს ექსცესების გარეშე ჩაველო. მცველები შემომსვლელებს საგულდაგულოდ ამოწმებდნენ, რომ მათ შორის რომელიმე ფანატიკოსი არ შემო-პარულიყო.

პირდაპირ თეორიი ვიყავით, ფიურის ნეერებმა დღის განმავლობაში მომხდარი ამბების გამო შეშ-ვითება გამოიტყვეს, შემვითება ამ ბოლო დროს მოდური გახდა და უმფთევლობა ცუდ ტონად ით-ვლებოდა. გადაცემის წამყვანებმა პირველი გამოშ-სეგული გამოაცხადეს, აკრობატი ბიჭები სცენაზე გამოვიდნენ, რაღაცები იჯახობენ, საშუალო დო-ნის სანახაობა მოახყვენ... ფიურში შეაქვს და კული-სებისკენ გააშუბა. წამყვანებმა სარეკლამო შაუზა გამოაცხადეს, მუშებმა ცას დეკორაციის შეტანა და დამონტაჟება დაიწყეს, ძალიან ვერეფრილობდ და გული რატომღაც ცუდს მიგრძობდა. თან ცა დაზღ-ვევს გარეშე გამოვიდა, თან ძალიან რთული ნო-მერი წამყვანებმა შესასრულებელი.

რეკლამიდან დაგერუნდით, კულისებში ვიდე-ქით, ცას ხელი მაგრად მოუჭირებ და ფრთხილად იყავი-მეთქი, ვუთხარი. ნუ ნერვიულობ. წამყვა-ნებმა ცას ნომერი გამოაცხადეს. ფიურში ცას ქარ-თველი ხალხის სახელით მოუბოძნა. ამას დარბა-ზის უკმაყოფილება და სტვენა მოჰყვა, ცა კიდევ აიბრდა, მცველებმა როგორღაც მოახერხეს ხალ-ხის დამშვიდება. სცენაზე შუქი ჩაქრა და ცამ ნომ-რის შესრულება დაიწყო. ათი მეტრის სიმაღლეზე

გაჭიმულ ტროსზე უნდა გასულიყო და რამდენიმე ილეთი გაეკეთებინა, არც ჩაბმული იყო და არც დამცავი ბადე იდგა ტროსის ქვემოთ. გული თითქმის გაჩერებული მქონდა...

კულისებში ვიდექი, საშინლად ვნერვოულობდი. უცებ ჩემმა პროდიუსერმა შემოიბრინა, სახეზე ფერი არ ედო. რა მოხდა-მეთქი. ცა დაზღვევის გარეშე გავიდაო? ხო-მეთქი, კი მარა, ტროსი რომ უნდა განყდესო? რა უნდა მოხდეს-მეთქი? ზუსტად იმ მომენტში განყდა ტროსი...

მახსოვს საზარელი ხმა, მერე ყვირილი, ისტერიკა, მახსოვს რომ სცენაზე შევეარდი და ვილანდებოდი, მახსოვს, რომ ექიმებმა საკაცეზე დაანვინეს ცა... მახსოვს რომ სცენაზე ტროსის ნაგლეჯი ეგდო და ჩემი უფროსის "იობარ" მეგობარს ამ ტროსით ვახრჩობდი. მერე უკნიდან ვილაცამ ჩამარტყა და მეტი არაფერი არ მახსოვს.

ყველაფერი ჩანყობილი იყო, "ფანატიკოსი მშობლებიდან" ტროსის განყვეტამდე, ყველაფერი ჩემმა უფროსმა და მისმა "იობარმა" მეგობარმა დადგეს, უბრალოდ ერთი რამ ვერ გაითვალისწინეს, ცას მართლა ჰქონდა ტალანტი და ტალანტების შოუსთვის მართლა რთულ და ექსტრემალურ ნომრებს დგამდა.

ცას ცხოვრების ბოლომდე ეტლით მოუნევს სიარული, ჩემი უფროსი და მისი "იობარი" მეგობარი დაიჭირეს.

გადაცემის ნახევარფინალი პირდაპირ ეთერში თითქმის მილიონმა მაყურებელმა ნახა, ხოლო ცას ჩამოვარდნის ვიდეოს მილიონნახევარი ნახვა ჰქონდა.

"ფანატიკოსი მშობლების გუნდს" ქალაქის ინტელიგენცია რამდენიმე დღე ლანძღავდა, ისინიც ცოტა ხანი მიიმალნენ. ორი სამი დღის შემდეგ კი,

ალბათ, ისევე ისე წყნარად და მშვიდად დაიწყეს ცხოვრება, ისევე ისე ფსამდენ მინისქვეშა გადასასვლელებში და ისევე ისე არ იღებდნენ ავტობუსში ბილეთებს.

მე არ ვიცი რა დამემართა. ალბათ არც არაფერი. სირაქლემასავით დავიმალე, თავი სმაში ჩაგრე და ვფიქრობდი, რომ აღარ ვფიქრობდი, არ ვშფოთავდი, რომ ვშფოთავდი. ბოლო წლებში ჩემს ყველაზე წყნარ დღიას ვიხსენებდი და მეჭირებოდა, გოგოსავით ვტიროდი, ვტიროდი, ვსვამდი და არ ვფიქრობდი...

ცასთან საავადმყოფოში ვერ დავდიოდი, მერიდებოდა, არ შემეძლო დედამისის და მისი დის დანახვა, არც სანოლს მიჯაჭვული ცას ნახვა მინდოდა. ყველაფერს ჩემს თავს ვაბრალებდი და ალბათ იმიტომ ვსვამდი, ალბათ იმიტომ არ მინდოდა ცას დანახვა. გოგო რომელიც ბენვის ხიდზე დადიოდა, ჩემ გამო მინაზე ველარ გაივლიდა... ვსვამდი...

ძალიან მთვრალი დავბრუნდი სახლში. ყველანაირ განსჯის უნარს ვიკავი მოკლებული, ინერციით ავედი კიბეზე და ცას საჩეცხ ტროსთან გავჩერდი. მოაჯირზე აძვრომა მინდოდა, როცა ჩემი მეზობლის ხმა გავიგე - უღრუბლო ამინდია, სასნაულებს არ უნდა დაუჯეროო. თქვენ რომ კედელზე ნოხი გაქვთ, ეგ ხომ მფრინავი ხალიჩაა-მეთქი? თუ გჯერა კიო! მჯერა რომ აქ თუ გავივლი, ცაც გაივლის-მეთქი... ღრუბლები რომ იყოს, გეტყვოდი, მაგრამ უღრუბლო ამინდია და სასნაულების არ უნდა დაიჯეროო.

გავივლი-მეთქი  
სცადეო  
ვცადე...



# მთა იათაშვილი

## ლექის წერის მეთოდი

აურიე ადამიანები ნივთებში,  
მერე გამოაცალკევე-  
სანამ გამოაცალკევებ,  
ერთმანეთის თვისებები გადაედებათ.  
პოდა, მერე წერე ადამიანებზე, როგორც ნივთებზე და  
რაც მთავარია - პირიქითაც.

აურიე მწვანე და ყვითელი ერთმანეთში,  
მიიღებ მწვანეს.  
ან ლურჯი და ნივთილი -  
მიიღებ იასამნისფერს.  
ბევრ პოეტს უყვარდა ფერები.  
განსაკუთრებით თრაკლს.  
სულ ერთმანეთში ურევდა,  
თუმცა ალბათ იყვნენ ისეთებიც,  
ფერები რომ სძულდათ.

აურიე სამოთხე და ჯოჯოხეთი ერთმანეთში -  
მიიღებ ბლექს.  
ან მინიმუმ - მილტონს.  
თუმცა თუ აურევ, იცოდე,  
მერე გაგიჭირდება გამოცალკეება.

აურიე. ერთი სიტყვით - აურიე.  
კარგად, ბოლომდე აურიე.  
და მერე შეეცადე გამოცალკეება.


ეგაა, მეტი არაფერი  
პოეზია.

## ცვლილება



გაჩერებაზე მდგომმა ავიხიდე და  
ჩემი უსახური რვასართულიანი კორპუსი,  
სადაც 40 ნელზე მეტია ვცხოვრობ,  
საოცრად ლამაზი მომეჩვენა.  
ეუყურებდი...  
ეუყურებდი...  
თვალი ვერ მოვწყვიტე,  
სანამ ნომერმა 15-მა "მარშრუტკამ"  
არ ჩამოიარა და  
საქმეებისკენ არ დამიძახა.

## ოდა სანთებელებს

სანთებელები ცეცხლის ანთებით იღლებიან  
და მალე კედებიან.  
აღრე სხვანაირად იყო -  
ძალაგამოცლილი სანთებელები  
პატარა, გაქუცულ ჯიხურებში მიჰქონდათ  
და მათ თავიდან ტენიდნენ  
მინიმალური ქართული ვალუტის გადახდის ფასად,  
და სანთებელები კვლავ ცოცხლდებოდნენ,  
და ჩვენც შეგვეძლო  
სხეულში თავიდან ცეცხლჩამდგარი ამ სანთებელებით  
ისევ მოგვეკიდა ჩვენი ცხოვრების მამინდელი მწარე თუთუნისთვის  
და არც კი გვეფიქრა,  
თუ რა კარგია, როცა დალილ სანთებელებს  
ნაგვის ყულში კი არ ყრიან,  
არამედ მკვდრეთით ალადგენენ  
და ისინიც აგრძელებენ პრომეთეს მისიას...



როცა ძალიან დათვრები,  
 მეორე დილით ჯიბეში  
 სავარაუდოდ აღმოაჩენ  
 ხუთიდან ათამდე სანთებელას,  
 ისინი შარვლის მარცხენა და მარჯვენა ჯიბეებიდან,  
 ქურთუკის შიდა და გარე ჯიბეებიდან ამოდიან,  
 ინთებიან, ინთებიან  
 და ცდილობენ რაღაც მნიშვნელოვანი გითხრან,  
 მაგრამ სათქმელს პასუხი არა აქვს,  
 რადგან ვერცერთ ჯიბეში ვერ პოულობ  
 ვერცერთ ლერ სიგარეტს...  
 და ეს სანთებელები,  
 როგორც ოლიმპიადის უხეირო ჩირაღდნები,  
 ინთებიან და ქვრებიან და წვლობენ,  
 შენ კი უცებ დაგიძახებს მოხუცი დედა,  
 რომელიც დილაადრიან, სიცხეში ადგა და უნდა,  
 ჩაი აადულოს და დალიოს,  
 მაგრამ ასანთს ვერ პოულობს ვერანაირად.  
 ის გეკითხება: შეილო, ცეცხლი ხომ არა გაქვს?  
 და აი, ამ დროს ცოცხლდებიან  
 შენი მთვრალი სანთებელები,  
 პრომეთეს იდეა ცოცხლდება მათში.  
 შენ მიდიხარ, მიზნისაკენ გაზქურასთან,  
 და ყველაფერი უკვე წესრიგშია:  
 სამყარო ლაგდება,  
 ცეცხლი თავისას აკეთებს,  
 შენ შენსას აკეთებ,  
 ჩაი დულს და  
 მწარე ცხოვრებაც მიედინება...



**აივნის ლექსები**

**სამყაროს საყვედური**

აივანზე გავედი და მოვუკიდე.  
 ადრინდელივით იყო თითქოს ყველაფერი:  
 განწყობაც, ხეიც...  
 მანქანებიც ძველებურად დაქროდნენ და  
 არღვევდნენ სმარს.  
 მაგრამ უცებ შემომომესმა:  
 "რა ცუდი ბიჭი ხარ!  
 რამდენი ხანია, ჩემზე ლექსი არ დაგინერია!  
 ჩემზე კი არა და, ჩემზე მდგომსაც არ დაგინერია  
 ვინმე ან რამე სხვაზე ლექსი..."  
 ამას ჩემი ძველისძველი მეგობარი -  
 აივანი მეუბნებოდა.  
 და მივხვდი, რომ  
 დღის ბოლოსკენ ჩემდამი დაგროვილ  
 უთვალავ საყვედურს  
 ის კიდევ ერთს ტყუილად არ ამატებდა.

მოვისროლე სიგარეტი,  
 შემოვედი სახლში,  
 დავჯექი,  
 და დავენერე ეს სტრიქონები.

მერე ისევ გარეთ გავედი.  
 დიდი ხანი ველოდი, რას მეტყოდა იგი.  
 ველოდი, რომ მეტყოდა: "ბიჭო,  
 ადრე უფრო კარგ ლექსებს წერდი,  
 რა დაგემართა..."

ვიდექი და ველოდებოდი...



აივანი ჩუმად იყო, ძალიან ჩუმად.

მაგრამ უცებ ერთი მანქანა გაჩერდა, აღმუვლდა,  
და სულ სხვა რამ მისაყვედურა...

**ციმციმი**

ადამიანები არჩევდნენ საქმეს.  
პატრულის მანქანა ციმციმებდა.

ადამიანები არჩევდნენ საქმეს.  
პატრულის მანქანა ციმციმებდა.

ადამიანები არჩევდნენ საქმეს.  
პატრულის მანქანა ციმციმებდა.

ადამიანები ციმციმებდნენ.  
პატრულის მანქანა კი არჩევდა საქმეს.

ადამიანები ციმციმებდნენ.  
პატრულის მანქანა კი არჩევდა საქმეს.

ადამიანები ციმციმებდნენ.  
პატრულის მანქანა კი არჩევდა საქმეს.

ადამიანები ციმციმებდნენ.  
პატრულის მანქანა კი ციმციმებდა.

ადამიანებები ციმციმებდნენ.  
პატრულის მანქანა კი ციმციმებდა და ციმციმებდა.

ადამიანებები ციმციმებდნენ.  
და მანქანაც ციმციმებდა.

ადამიანებები ციმციმებდნენ.  
და მანქანაც ციმციმებდა.

მე კი ვიდექი აივანზე და ვციმციმებდი.

მე ვიდექი აივანზე და ვციმციმებდი.

მე ვიდექი აივანზე და ვციმციმებდი.

მე ვიდექი აივანზე და ვციმციმებდი.



ანუ:

ადამიანები ციმციმებდნენ.  
მანქანა ციმციმებდა.  
მე ვციმციმებდი.

ხოლო ზემოთ  
ვარსკვლავები წვლობდნენ  
რომ ეციმციმათ

ისე  
როგორც  
ჩვენ.

### ჯოხი ცაში

ვიჯექი და ვუყურებდი -  
ციდან ჯოხი ჩამოდიოდა.

გაკვირვებული ვუყურებდი,  
მზერას ვძაბავდი.  
არაფერი იცვლებოდა -  
ციდან ჯოხი ჩამოდიოდა.


დილა იყო.  
აივანზე ვიჯექი და,  
როგორც წესი, ვენეროდი.  
ნაწვიმარზე, სიჩუმეში,  
ჟიჟივებდნენ ჩიტები და -  
ციდან ჯოხი ჩამოდიოდა.

რა უნდოდა ჯოხს ზეცაში,  
ან ზემოდან რანაირად ჩამოდიოდა  
ვერ ვხვდებოდი -  
მზერას ვძაბავდი,  
და ეძაბავდი გონებას, მაგრამ  
არაფერი იცვლებოდა,  
არც პასუხი მოდიოდა,  
ჩიტები ფრენდნენ, ჭიკჭიკებდნენ,  
მეზობლები ფუთფუთს იწყებდნენ,  
ციდან კი ჯოხი კვლავ ჯიუტად ჩამოდიოდა.

„ფანქარი ცაში“ რომ დავწერე,  
ალბათ ამიტომ მამასხარავენებს  
ახლა ლმერთი (თუ ეშმაკი)  
უნდა რომ „ჯოხი ცაში“ დავწერო  
და საბოლოოდ გადავგვარდე, როგორც პოეტი -  
დავასკვენი.  
გავედი, ფურცელი და კალამი ვიპოვე და  
უკან დავბრუნდი.  
მოვემზადე, ხელი შევუნყვე  
საბოლოო გადაგვარებას.

ციდან ჯოხი ჩამოდიოდა -  
დავწერე ერთხელ.  
ციდან ჯოხი ჩამოდიოდა -  
დავწერე კიდევ.  
ციდან ჯოხი ჩამოდიოდა... -  
აი, ფრაზა, რაც ადასტურებს  
ჩემს საბოლოო შემოქმედებით გადაგვარებას.

ამასობაში ჯოხის სიგრძეც გაიზარდა.  
ჩამოეშვა.  
ნამონაზარდიც გაუჩნდა: რგოლი.  
მერე ფეხებიც.  
ანუ ნისლი გაიფანტა.



და ვიჯექი მოწყენილი,  
დათრგუნული,  
ანძას ვუმზერდი მთანმინდაზე.  
ჩიტები ფრენდნენ,  
მეზობლები ყაყანებდნენ,  
პოეზიის ბოლო ნასახი -  
ჯოხი ცაში -  
უცებ მოკვდა.

მე გადავგვარდი?  
თუ პოეზია გადავგვარდა?  
თუ ერთდროულად გადავგვარდით?  
თუ გადავჩრით?  
თუ უბრალოდ ნისლი ჰაერში გაიფანტა? -  
ვერაფერს მივხვდი.

იმას კი მივხვდი,  
მაინც რა კარგი იყო, როცა

ციდან ჯოხი ჩამოდიოდა.

### ცალმხრივი მოძრაობა

ორმხრივი იყო მოძრაობა ჩემს ქუჩაზე ჩემს ბავშვობაში.


ზოგი "ჟიგული"  
გმირთა მოედნიდან  
ფილარმონიისკენ ამოუხვევდა.  
ზოგი "ვოლგა" ჩაუხვევდა ფილარმონიიდან  
ქვემოთ,  
გმირთა მოედნისაკენ.  
მოძრაობდნენ, გვამოძრავებდნენ:  
აქედან - იქით, იქიდან - აქეთ...  
ზემოდანაც დაეყურებდი, აივნიდან,  
ამ მისვლა-მოსვლას.  
ახლაც დაეყურებ...  
დაუხატავთ შუაგზაზე ვექტორები  
მხოლოდ ერთი მიმართულების.  
ყველა მანქანამ ასე უნდა იმოძრაოს - გვეუბნებიან.  
მანქანებიც უჯერებენ ახალ ნესებს -  
რაზრაზებენ მშვიდად, ტკბილად,  
ახალი ნესი სისხლში გაუფლავთ  
(თუ ბენზინში).

ცალმხრივია მოძრაობა უკვე ახლა.  
ცალმხრივია მოძრაობა ჩემს უბანში,  
ჩემს ქალაქში,  
ქვეყანაში,  
დედამიწაზე...

მოწყენილი აივანზე ვდგავარ და ვფიქრობ:  
რაც მეტია მოძრაობის საშუალება,  
რატომ ჩნდება უფრო მეტი ვექტორი გზებზე?  
მხოლოდ აქედან იქით, მხოლოდ იქიდან - აქეთ...  
იმოძრავე, მაგრამ ნესები დაიცავი აუცილებლად!

ნესი კი ამბობს:  
მოძრაობა ცალმხრივია,  
მარჯვნიდან მარცხნივ ვერ ჩაუხვევ,  
ან მარცხნიდან ვერ აუხვევ მარჯვნივსაკენ -  
რაც გინდა ქენი!

იყავი ბოლომდე თავისუფალი!  
მაგრამ ცალმხრივ მოძრაობას  
დაექვემდებარე  
აუცილებლად!



## დიანა ანფიმიადი

### მედუზა-გორგონა

როცა გითხარი, არაფერი ხდება-მეთქი,  
უბრალოდ მოგატყუე  
ხდება, ყოველდღე ხდება  
ხიდეზი,ხედები...  
რადგან სიყვარულს დაემორჩილდი  
დავდივარ, ვისთვის - თავმოჭრილი  
ვისთვის კი სარკე - შეხედვისას  
ქვეედები,  
ხევდები.

როცა გითხარი, არაფერი ხდება-მეთქი,  
უბრალოდ დამავიწყდა. იმ დღიდან  
ყველა ცხენოსანი, ანდა ქვეითი  
ჩემს სახელს,  
(სახელს თავმოჭრილის)  
ატარებს ფარად...  
თუ ქვას მესვრიან  
იბრუნებენ პასუხს ქვებითვე...

რომ გითხარი, არაფერი ხდება-მეთქი, უბრალოდ მოგატყუე,  
არაფერიც კი აღარ ხდება, ვსუნთქავ, ვარსებობ,  
გული - მხოთავი სიმსივნეა მკერდში, ძუძუსთან,  
მელოდიები ამოვჭერი, მუსიკის ავი თვისებები, მეტასტაზები,  
რომელთაც მოაქვთ დაკარგული დღეების ხმები  
გული - ქრისტესისხლას ბუჩქია,  
ხმება.

ეჰ, ღირდეს მაინც - ღამით კისერს ჰკიდია ბენვით  
თავი - დილით კი მორჩენილი ჭრილობა მენვის,  
მერე, თავიდან...


### მრავალძარღვა

ნეტავ რომელი მრავალძარღვა შემიხორცებდა  
თვალებს. სისხამზე  
განთიადის ტყეში მოვკრეფდი,  
გეიზერები პირს შეკრავდნენ,  
გაიშლებოდნენ მკერდის კოკრები.  
თვალის სიღრმეებს ვილაც ცვილით ამოვავებდა,  
და მცირე კვალი - თითქოს ფრჩხილით მონიშნეს ფრთხილად -  
ეს დარჩებოდა თვალებიდან,  
რომელთაც სურდათ  
მიწას მლილივით შესეული ნამის მოხილვა.  
ცხვირიდან წამომსკდარ  
ალისფერ გირლიანდებს  
გადამსკდარ მუხლებზე  
- ყვავილებს ძონისფერს -  
ნეტავ რომელი მრავალძარღვის წვენი, მოცისფრო...

იმას, რაც არასდროს არ მასვენებს,  
კლდეებს გამოვტეხე აღმასები,  
რომელი სკალპელი, ალესილი..

სხვის მოჭრიატე სინათლეებს - ხალიბთა რკინას,  
(რაც სულ მტკიოდა, სულ მენვოდა და სულ ვიტანდი)  
მოვიშორებდი,  
და სხეულის მყუდრო კელიას  
გავინათებდი საკუთარი ლაზურიტებით...

და ამ სიჩუმეს და სიგრილეს - უძველეს კედლებს,  
რომელსაც ეჭვის ღამურებიც აღარ კანრავენ,  
ყველა სიტყვის და ყველა ლექსის



მარაგს - საძვალეს,  
დავინყების რომ დავადე ლოდი,

როგორც სამოთხის ბალებს გველი -  
ან იქნებ სიო,  
შეარბევდა სხვა მელოდია,  
სულ სხვა, უცნობი მელოდია.....

ნეტავ რომელი მრავალძარღვა....

### კავშირი


ხმაში თაფლიანი იელი ჩამიხმა  
ხორხში - იავნანის სურო,  
მივდივარ და სიტყვებს მაყოლებ - "ჩემი ხარ"!  
იცი, ვბრუნდებოდი სულ რომ.  
ვუყურებ -  
გადაძვინი - მეტობის ნიშნები - ჩიტები -  
ბანალური ქარგა -  
როდესაც მიდინარ - სამშობლოს იტოვებ,  
როდესაც ბრუნდები - კარგავ.  
გავდივარ ცარიელი, უშენო სახლიდან...  
გასვლისას ოქროს თევზებს ვაქრობ  
ჭერზეც და ზღვის ფსკერზეც -  
მბუჭავს დავტოვებდი -  
შენ დაბრუნდებოდე აქ რომ...

### ბავშვი

ეს უცნაური სიყვარული როგორ უჩვენოდ,  
როგორ თავისით  
ამჩნევს ხეებს ქდეებს, სახელებს,  
თითქოს სანთელი ჩამიწვეთეს გახელილ თვალში  
ისე მწველია დილის სხივი  
თვალის გახელის  
სწორედ ამიტომ მემშინია,  
და ვცხოვრობთ ბინდში  
დილით ყავის ან საღამოთი ცხელი ჩაის სმით  
და გვიკვირს,  
როგორ გაიზარდა ნეტავ ამხელა  
ეს უცნაური სიყვარული,  
ისე, თავისით.


### მერამდენელაცა იავნანა შვილს

გყურებ, ვითვლი  
ლიმილის მარცვლებს,  
ფრთხილად გითესავ ლოყის ღრმულებში  
ამ სიხარულის კრატერებში.  
მე უფრო მეტი მმართებს შენი  
ვიდრე - შენ - ჩემი -  
იმ ცხრა თვისათვის,  
ამ წიაღით რომ გატარებდი.  
სხივი - პეპლების მცირე გუნდი  
ტაშის შემოკვრით დავიჭირე  
ხელისგულებში მოვისრისე.  
ბედნიერება აქვე არის  
გაერთიანდა ყველა სიტყვა,  
ყველა ნაწილი ოსირისის.  
ხელისგულების ყვავილები,  
კანის უტკბესი ბუტკოები  
დილის სხივებზე გეხსნებიან.  
გულიდან ტვირთად მეხსნებიან  
ბორკილებივით მეხსნებიან  
არდაწერილი ლექსები.



# გაბრიელ გარსია მარკესი მარია დოს პრასერესი

ესპანურიდან თარგმნა კატია ვოლტერსმა



გაბრიელ გარსია მარკესის გარდაცვალების ამბავი ფრანკფურტის აეროპორტში შევიტყვე. თვითმფრინავის მოლოდინში ნაცნობ წიგნების მალაზიაში შესულმა მისი მომლიმარი ფოტო დაკინახე - მომცრო მაგიდაზე ერთმანეთზე აკოკოლავებულ, მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე გამოცემულ თავისსავე წიგნებზე იყო მიყრდნობილი, რომლის წინაც გამყიდველ ქალბატონს პატარა, თეთრი სანთელი აენთო. მისი მოთხრობების ესპანურენოვანი კრებული - "თორმეტი პილიგრიმიც" იქ ვნახე პირველად და დაუფიქრებლად შევიძინე.

კრებულში თავმოყრილი მოთხრობების დაწერის იდეა ავტორს სამოცდაათიან წლებში გასჩენია, ერთი, როგორც წინასიტყვაობაში თავად ამბობს, "გამოსაფხიზლებელი სიზმრის" შემდეგ: "დამესიზმრა, რომ საკუთარ დასაფლავებაზე ვიყავი და სამგლოვიარო ტანსაცმელი გამოწყობილ მეგობრებს შორის მივაბიჯებდი, რომელთაც ერთობ საზეიმო განწყობა ჰქონდათ, მათ შორის კი ყველაზე ბედნიერი მე ვიყავი. სიკვდილმა ჩემს ერთად თავმოყრილ, ლათინურ ამერიკაში მცხოვრებ და, აქედან გამომდინარე, ყველაზე ძველ, ყველაზე საყვარელ და დიდი ხნის უნახავ მეგობრებთან შეხვედრის საშუალება მომცა. სუფრიდან რომ წამოიშალნენ და წასასვლელად ემზადებოდნენ, მეც წამოვდექი, მინდოდა მათ გავყოლოდი, მაგრამ ერთ-ერთი მათგანმა მაკაცრა და შემახსენა, რომ ერთმანეთთან შეხვედრის ეს დღესასწაული ჩემთვის უკვე დამთავრებულიყო. "შენ ერთადერთი ხარ, ვისაც ჩვენთან წამოსვლა არ შეუძლია", - მითხრა მან. მაშინ-ღა მიხვდი, რომ სიკვდილი სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ შენს მეგობრებთან ყოფნა აღარ შეგიძლია".

რატომაც, სწორედ ამ სიზმრის საშუალებით გაუცნობიერებია მწერალს თავისი "კუმპარითი წარმომავლობა" და ისეთი მოთხრობების დაწერაზე უფიქრია, სადაც კითხველს "ლათინური ამერიკის სივლიების" ევროპულ თავგადასავლებზე მოუყვებოდა. "ყველა მოთხრობაზე ერთდროულად მუშაობამ და სურვილისამებრ ერთიდან მეორეზე გადასაცვლვებამ, მთლიანი პანორამის დანახვის საშუალება მომცა, ერთიმეორეს მიყოლებული დასაწყისებით გამოწვეული დალილობისგან, ზედმეტი გამეორებებისა და დამლუპველი წინააღმდეგობებისგან მიხსნა. დარწმუნებული ვარ, სწორედ ამ გზით, მოთხრობების ისეთი კრებული შევექმენი, რომელიც ყველაზე ახლოა იმასთან, როგორის დაწერაც ყოველთვის მინდოდა", - ამბობს ავტორი.

გაბრიელ გარსია მარკესის კრებულში შესულმა ამ თორმეტმა პატარა მოთხრობამ მეც ისე მომხიბლა, რომ წაკითხვისთანავე გადავეწყვიტე, ყველა თუ არა, რომელიმე მათგანი მაინც აუცილებლად მეთარგმნა. არჩევანი "მარია დოს პრასერესზე" შევაჩერე. ალბათ იმიტომ, რომ ის ყველაზე უფრო მარკესისეული მეჩვენა - მცირე მოთხრობა, რომელიც დიდი რომანის ემოციას იტევს, რომელიც შორეულ, მაგრამ ამავე-როულად თითოეული ჩვენგანისთვის ძალიან კარგად ნაცნობ, ადამიანური განცდით, ტკივილითა და სიყვარულით სასვე სამყაროს აღწერს.

დამკრძალავი ბიუროს თანამშრომელი ისე პუნ-  
ქტუალურად მოვიდა, მარია დოს პრასერესმა, რო-  
მელსაც ჯერ კიდევ დილის ხალათი ეცვა და თმები  
ბიგუნდებით ჰქონდა სავსე, იმის დრო ძლივს და მო-  
ხიბლათა, ყურს უკან თმაში წითელი ვარდი ჩემბაგ-  
რებთა, ძალიან შეუხედავია რომ არ გამოჩენილიყო.  
თავისი მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად ინანა,  
როდესაც კარი გააღო და მოღუშული ნოტარიუსის  
ნაცვლად - მარიას სიკვდილის გამყიდველი სწო-  
რედ ასეთი მამაკაცი მიუღია, ახლა უჩვეულოდ დარცხ-  
ვენილი იდგა, უკვე სამოცდაათქვამეტ წელს ითე-  
ვლიდა და დარწმუნებული იყო, მობამდე უნდა მომ-  
ყვაროყო. არადა, ცოტა დააკლდა, გამოღუბული  
კარი სახანაოდ მიუხურა და დამკრძალავი ბიუ-  
როს თანამშრომლისთვის ეთხოვა, რამდენიმე წე-  
სით გარეთ მომიტაცადეო, რომ ტანთ ჩაეცვა და სა-  
კადრისი დახვედრისთვის მომზადებულიყო. მერე  
იფიქრა, ამ ბნელ სადარბაზოში გაიყინებაო და შინ  
შეიპატიჟა.

“მომიტვეთ, ასე ლამურასავით რომ გამოგეცხა-  
და”, - უთხრა კაცს, - “მაგრამ ორმოცდაათ წელზე  
მეტა კატალონიანი ვეცხოვრობ და ეს პირველი შემ-  
თხევეაა, როდესაც ზუსტად დათქმულ დროს მოვი-  
და ვიღაც”.

“უნაკლო კატალონიურით ლაპარაკობდა, რო-  
მელსაც არქაულობისა და მივიწყებული პორტუგა-  
ლიურის მელოდიურობა გასდევდა. ასაკისა და ბი-  
გუნდების მიუხედავად, ჯერ კიდევ მოხდენილი და  
სიციცხბილი სავსე მულატი ქალი იყო, უხეში თმით  
და ცვეცლოვანი ყვითელი თვალებით, მაგრამ  
მამაკაცებს კარგა ხანია აღარ თანაუგრძობდა. ქუ-  
ჩიდან შემოსული სინათლით თვალმოჭირდი სტუ-  
მბი მულტი არაფერი უთქვამს, ჯუტის ტილოზე ფე-  
ხები გულმოდგინედ დაინმინდა, დაიხარა და მარია-  
ას ხელზე ეამბორა.

“ისეთი მამაკაცი ხარ, ჩემს ახალგაზრდობაში  
რომ იყვნენ ხოლმე”, - უთხრა მარიამ და სიცილი  
სეტყვასავით გადმოსცვივდა, - “დაჯექი”.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი არ იყო რაც  
ამ საქმიანობას ეწეოდა, დამკრძალავი ბიუროს თა-  
ნამშრომელი დილის რვა საათზე ასეთ ხალისიან  
დახვედრას მაინც არ ელოდა, თანაც მოხუცისვან,  
რომელიც, ერთი შეხედვით, სადღაც ზღვის გაღმი-  
დან გადმოხვენილ შურაცხადს ჰგავდა. ამიტომ,  
სანამ მარია დოს პრასერესი ფანჯრებიდან პლუსმის  
მიმე ურადებს გადასცვდა, კართან მდგომს ად-  
გილიდან ფეხი არ მოუცვლია და არც რაიმე უთქ-  
ვამს. აპრილის დილის მერქალმა შუქმა მსუბუქად  
გაანათა მყუდრო ბინა, რომელიც ანტიკურების მა-  
ღაზის ვიტრინას უფრო ჩამოჰკავდა. ბინა, არც მე-  
ტი არც ნაკლები, ყოველდღიურ მოხმარების ნივ-  
თებით იყო სავსე, მაგრამ თითოეული მათგანისთ-

ვის ისეთი სიზუსტითა და დახვეწილი გემოვნებით  
მიეჩინათ ადგილი, რომ უკეთესი საცხოვრებლის  
პოვნა, თუნდაც ისეთ ძველსა და იდუმალი ქალაქში,  
როგორც ბარსელონაა, გაეჭიჭირდებოდათ.

“მაპატიეთ, - თქვა ბოლოს, - დარწმუნებული  
ვარ, კარი შექმნალა”.

“კარგი ექნებოდა, - მიუფო მარიამ, - მაგრამ სიკ-  
ვდილს არასოდეს ეშლება”.

მოხელემ მაგიდაზე საზღვაო რუკასავით უამ-  
რავჯერ დაკეცილი, სხვადასხვა ფერის ნაკეთებით  
და აურაცხელი ჯვრითა და ციფრით აჭრელებული  
ქალაქი გაშალა. მარია დოს პრასერესი მაშინვე  
მიხვდა, რომ ეს ქალაქი სხვა არაფერი იყო, თუ  
არა მონჟუიკის უზარმაზარი სასაფლაოს სრული  
გეგმა და ძველმა შიმშა თავი გაუხსენა - მანასოს  
სასაფლაო მოაგონდა, ოქტომბრის თავსხმაში საფ-  
ლავის უსახელო ბორცვებსა და თავდადასავლების  
მაძიებელთა ფლორენციული ფერადი მინის მავზო-  
ლეუმებს შორის დაგუბებულ წყალმა მოჭყუპაულ  
ტაპირებით. ერთ დილასაც, მაშინ სულ პატარა გო-  
გო იყო, ნაპირებიდან გადმოსული ამაზონი მერალ  
ჭობად გადაიქცა. ადიდებულ წყალმა მათ პატი-  
ვი დახეთქილი კუბოები შემოაცურა, ღრიჭივები-  
დან ამოჩრილი დაქმნილი ქსოვილებითა და მიც-  
ვალბეულთა თმებით. სწორედ ამ მოგონების გამო  
იყო, რომ ახლომდებარე და მისთვის კარგად ნაც-  
ნობი სან-გერვასოს პატარა სასაფლაოს ნაცვლად,  
სამუდამო განსასვენებლად მან მონჟუიკის მთაზე  
მდებარე უმეტესბელი პანთეონი აირჩია.

“ისეთი ადგილი მინდა, წყალი რომ ვერასოდეს  
მიუღვეს”, - თქვა. “აგერ, ინებეთ, - უპასუხა მოხე-  
ლემ და დასაკეცი საჩვენებელი ჯოხით, რომელსაც  
კალამით გულიანჯობით ატარებდა, რუკაზე მიუ-  
თითა. “ამსიმაღლებე ზღვა არასოდეს ადიდებდა”.

მარია დიდხანს ათვლიერებდა რუკას, სანამ  
მთავარი შესასვლელი არ იპოვა; აქ სამი ერთნაირი  
უსახელო საფლავი ეგულებოდა, სადაც ბონავენ-  
ტურა დურუტი და ანარქისტების კიდევ ორი სხვა -  
სამოქალაქო ომში დაღუპული წინამძღოლი განის-  
ვენებდა. ყოველ ღამით საფლავის ქვებს ვიღაც  
მიცვალბებულთა სახელებს და გვარებს სრულად  
შესაბამისი თანმიმდევრობით ანერდა ჩვეულებრი-  
ვი თუ წარბების ფანქრით, საწვავით, ნაწირობით  
ან ფრჩხილების ლაქით. დარაჯები კი ყოველ დი-  
ლით შლიდნენ დანერდის, რათა არავის შეეტყო,  
ვინ ინვა მდურუტი მარმარილოს ქვეშ. თავის დრო-  
ზე მარია დოს პრასერესიც მონაწილეობდა დურუ-  
ტის დაკრძალვაში, ბარსელონას მესხიერებაში ყვე-  
ლანდ სევდიანად და ამაღლებულ მოვლენაში, და  
უნდოდა თითონაც სადმე იქვე, მისი საფლავის სი-  
ახლოვეს დაემარხათ. მაგრამ ახლომახლო თავისუ-  
ფალი ადგილი აღარ დარჩენილიყო და ისიც შესაძ-  
ლო არჩევანით დაკმაყოფილდა. “ოღონდ ერთი პი-  
რობით, - თქვა, - რომ იმ ხუთწლიან უჯრამში არ მო-  
მათავსებთ, სადაც მიცვალბებულებს ისე აწყობენ,  
როგორც საფოსტო ყუთში”. მერე კი, რადგან კი-  
დედ ერთი მნიშვნელოვანი რამ გაახსენდა, ნათქ-  
ვამს საჩქაროდ დაუმატა: “და, უპირველეს ყოვლი-  
სა, მინდა დანაწილო დამარხონ”.

საქმე იმაში იყო, რომ საფლავების განვადებით

შეძენის მყვირალა რეკლამის შემდეგ ქალაქში ხმა დაირხა, ადგილის დაზოგვის მიზნით მიცვალეზულეს ფეხზედგომელეს მარხვენიო. მოხელემა ც, ნინასან და ზემორებული და მრავალგზის გამეორებული ტექსტით სიტყვა-სიტყვით განუმარტა, რომ ამგვარ ჭორებს ძველი ყაიდის დამკრძალავი ბიუროები ავრცელებდნენ, რათა საფლავების განადგობით გაყიდვის ახლად ფებმოკლებული ტრადიციისთვის სახელი გაეტეხათ. ამ ლაპარაკში იყო, რომ კარზე სამჯერ დააკაკუნეს. მოხელე შეყოყმანდა და გაჩუმდა, მაგრამ მარია დოს პრასერესმა ანიშნა, განავრძეო.

“ყურადღებას ნუ მიაქცევთ, - თქვა ჩუმიად, - ეს ხოია”.

მოხელე ისევ დაუბრუნდა შეწყვეტილ საუბარს და მარია დოს პრასერესიც კმაყოფილი დარჩა მიღებული ახსნა-განმარტებით. მაგრამ მანამდე, სანამ კარის გასაღებად წაეიდოდა, გადაწყვიტა, ყველა იმ ფიქრისათვის, რომელსაც მანასში მომხდარი საპინელი წარღვის შემდეგ ამდენი წელი გულში ინახავდა, ერთბაშად გაეხსნა გზა.

“კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ, - თქვა, - “ისეთ ადგილს ვეძებ, სადაც მიწაში მყოფს წყალდიდობის სამიშროება არ დამემუქრება, ზაფხულში კი სადმე ხეების ჩრდილში წოლას ვისურვებდი, და კიდევ, მიწა იმაშიც დარწმუნებული ვიყო, რომ გარკვეული დროის შემდეგ არავინ ამომთხრის და სანაკვეზზე არ მომისვრის”.

მერე შემოსასვლელი კარი გააღო და ოთახში წვიმისგან თავიდან ფეხებამდე გალუმეული და ბინისთვის შეუფერებლად მოუვლელი პატარა პუდელი შემოვარდა. დილის გასვირებიდან დაბრუნებული და შინ შემოსული ძალი ერთბაშად გახალისდა. უმიზნო ყეფით მაგიდაზე ახტა და მისმა სველმა, ტალახიანმა თათებმა კინალამ სასაფლავოს გეგმა შეინორა. დიასახლისის ერთმა გამოხედვამ სასწრაფოდ ალაგმა მისი სიანცე.

“ნოი, - თქვა მან, ისე რომ ხმისთვის არ აუწყვია, - “Baixa d’Aci!” ცხოველი მოიკუნტა, შშით ახედა დიასახლისს და ცხვირზე რამდენიმე გამჭვირვალე ცრემლი ჩამოუგორდა. მარია დოს პრასერესი განცვიფრებულ მოხელეს მიუბრუნდა.

“Collons!” - ნამოიძხა მან, - “ძალი ტირის!”

“უბრალოდ აღგზნებულია, რადგან ამ დილადრიან უცხო ადამიანი დახვდა სახლში”, - ჩუმიად მოიბოდიშა მარია დოს პრასერესმა, - “საერთოდ კი, როგორც წესი, მამაკაცებზე უხმოდ შემოდის ხოლმე სახლში. შენი გამოკებით”.

“ძალი ტირის, დასწყევლოს უშმაკმა! - ისევ გაიმეორა მოხელემ, მერე უცებვე მიხვდა, რომ უხეშად გამოუვლდა და სახეზე ერთიანად ნაწონთებულმა მოიბოდიშა: “მამაკეთე, მაგრამ ასეთი რამე კინოშიც არ მინახავს!”

“ნებისმიერ ძალს შეუძლია, თუკი ასწავლი”, - მიუგო ქალმა, - “ცხოველების პატრონები კი უამრავ დროს ხარჯავენ იმაში, რასაც საბრალო არსე-

ბებისთვის ტანჯვის მეტი არაფერი მოაქვს - ასწავლიან თუნუქის ქლიდან ჭამას, მათსავით ერისა და იმავე დროს და ადგილას მოსაქმებას, ამ დროს კი, ისეთ ბუნებურ რამებს, მავალითად სიცლის და ტირილს, რაც ცხოველებს სიამოვნებას მოჰყვრიდათ, არავინ ასწავლის. სად ვიყავით?”

გასარკვევი ბევრიც აღარაფერი დარჩენილიყო. მარია დოს პრასერესს ზაფხულში ხეების ჩრდილქვეშ წოლაზე უარის თქმა მოუხდა, რადგან სასაფლაოზე მდგარი რამდენიმე ხის ჩრდილით მოსაზღვრული ადგილი არსებული რეჟიმის წევრებისთვის ყოფილიყო დაჯავშნილი. ხელშეკრულებით ჩამოთვლილი სხვა პირობები და მუხლები კი მას აღარ ეხებოდა, რადგან მარიას ასეთი შემთხვევისთვის გათვალისწინებული ფასდაკლების გამოყენება და საფლავის ნაღდი ფულით შექენა ჰქონდა გადაწყვეტილი.

საქმეს რომ მორჩნენ და საბუთები ისევ პორტფელში შეინახა, მოხელე კიდევ ერთხელ მოავლი ბინას თვალს და მისი მავგურს სურთქეთი მოიხილა. მარია დოს პრასერესიც ისეთი დაკვირვებით შეათვალეირა, თითქოს პირველად ეს წუთია დაინახაო.

“შეიძლება ერთი უხერხული კითხვა დაგისვავთ? - იკითხა, როდესაც ქალი უკვე გასასვლელისკენ მიაცილებდა.

“რა თქმა უნდა”, - მიუგო მარიამ, - “თუ ის ჩემს წლოვანებას არ ეხება”.

“იცით, ერთი ახირებულობა მჭირს. ვცდილობ, ბინაში არსებული წიგნების მიხედვით მათი მფლობელის პროფესია ამოვიცნო ხოლმე, ამ შემთხვევაში კი, უნდა გამოვიტყუდო, არაფერი გამომივიდა. არ გამიმხელთ, რას საქმიანობთ?”

“მეძავი ვარ, შეილო. თუ უკვე აღარც მეტყობა?”

მოხელე ყურებამდე გაართლდა.

“ვწუხვარ”.

“შენ კი არა, მე უნდა ვწუხებ”, - თქვა და მოხელეს მხარით ხელი ჩავალო, კარს რომ არ დასჯახებოდა, - “და თავს გაუფრთხილო. ძალიან ვთხოვ, კისერს მანამდე ნუ მოიტეხ, სანამ ღირსეულად არ დამასაფლავებ”.

კარი დახურო თუ არა, პუდელი ხელში აიყვანა, თითქმის ბუნევი აუჩქრა და მომხიბლავი, აფრიული ხმა საბავშვო გუნდის სიმღერას ააყოლა, რომელიც ახლომდებარე საბავშვო ბაღიდან მოჰქონდა ქარს. სამი თვის წინ ხილვა ჰქონდა, რომ უნდა მომკვადარი იყოს და მას შემდეგ, რაც დრო გადიოდა, ძალი სულ უფრო და უფრო მეტად მიაჩნდა თავისი მარტოობის თანაზიარად. მარია ისეთი ფელმოდგინებით შეუდგა სიკვდილის შემდეგ ქონების განაწილების საქმეს და საკუთარი ცხვირის მომავლის დაგეგმვას, რომ ამიერიდან რა წუთსაც უნდა გარდაცვლილიყო, ამ ფაქტით აღარავის შეანუხებდა. ნელ-ნელა, თითქმის ყოველგვარი მსხვერპლის გაღების გარეშე დავროვილი ფულადი სახრების წყალობით ის ჩვეულ საქმიანობას ჩამოშორდა და საცხოვრებლად ძველი და ღირსებით სავსე სოფელი გრასია აირჩია, რომელიც თვალსა და ხელს შუა მზარდ ქალაქს მესწინრო და ლამის მთლიანად ჩა-

1. “ახლავე დაბლა ჩამოდი!” - კატაბონიურად.  
2. საღანძღავი სიტყვა ესპანურად.



ყვლაა. ეს მოუვლელი, მაღალი პარტერიც, რომელიც შეზოვილი ქაბაყის სუნი იდგა და რომლის გოგონადმთავით ამოქმელ კედლებსაც ჯერ კიდევ აჩნდა უსახელო ბრძოლების კვალი, თვითონ იყიდა. შენობას მეკარე არ ჰყავდა და მიუხედავად იმისა, რომ ყველა სართულზე ვიღაც სახლობდა, მის ბნელსა და ნოტიო კიბეებს საფეხურები აკლდა. მარია დღს პრასერესმა სამზარეულო და სააბაზანო გაახლებინა, კედლები მხიარული ფერის შპალერით შემოსა, ფანჯრებში თლილი მინები ჩაასმევინა და ხავერდის ფარდები ჩამოაფარა. სულ ბოლოს გემოვნებისა ავეჯი, არაერთი აუცილებელი და ბინის მოსართავი ნივთი, აბრეშუმითა და ფარჩით სავსე სკივრებიც მოატანინა, რომლებიც ფასისტებს რესპუბლიკების დამარცხების შემდეგ ნაჩქარევად მიტოვებული რეზიდენციებიდან დაეტყობინათ, მას კი, მარიას, ნღების განმავლობაში საიდუმლო აუქციონებსა და ხელსაყრელ ფასებში შეეძინა და საგულდაგულოდ ეგროვებინა.

ნარსულთან დამაკავშირებელი ერთადერთი ხიდი კარდონას გრაფთან მისი ნაცნობობა იყო, რომელიც მარიას, ჩვეულებისამებრ, ყოველი თვის ბოლო პარასკევს სადილად, სადილის შემდეგ კი უნდოლი სიყვარულისთვის სტუმრობდა. მარია ამ ახალგაზრდული ნღების ნაცნობობასაც გადამეტებული სიფრთხილით ეკიდებოდა. თავის მხრივ, გერბებიდა და ემბლემებით დამკრთვული მანქანას გრაფიც ყოველთვის საკმაოდ შორს ტოვებდა მისი სახლიდან და ჩრდილდაფენილ ქუჩაზე ფეხით მიმავალი, საკუთარი და ქალის ღირსების დასაცავად, შეუმჩნეველად ცდილობდა ბინამდე მიღწევას. მარია დღს პრასერესი სახლში არავის იცნობდა ახალგაზრდა ცოლ-ქმრის გარდა, რომელთაც ცხრა წლის გოგონა ჰყავდათ და მის მოპირდაპირე ბინაში ცოტა ხნის წინ გადმოვიდნენ საცხოვრებლად. როგორი ძნელი დასაერესებელიც უნდა იყოს, სხვა ვინმეს ის კიბეზეც კი არასოდეს გადაყრია.

ანდერძით ქონების განაწილებისას, მარიამ აღმოაჩინა, რომ ადამ-ნების პატივისცემული კატალინიების საზოგადოებაში, რომელთა ეროვნული სიამაყის გრძნობაც უპირველესად ზნეობას ეფუძნებოდა, თავის დამკვიდრება მოეზერებინა. სულ უმნიშვნელო წვრილანებიც კი ამ ადამიანებს მორის გაანაწილა, რომელთაც მის გულში ეძლიო ბინა, ისინი კი, თავის მხრივ, მარიას ბინასთან ახლოს სახლობდნენ. მართალია, საკუთარ სამართლიანობაში ბოლოს ცოტა ეჭვი შეჰქარა, მაგრამ იმანში ნამდვილად დარწმუნებული იყო, რომ იმათგან, ვინც მის ყურადღებას იმსახურებდა, არავინ გამოირჩევა. ანდერძის ოქმი ისეთი სიზუსტით იყო მომზადებული, ნოტარიუსი კაიე არბოლიდან, რომელსაც თავი მოჰქონდა, ამქვეყნად აღარაფერი გამაკვირვებსო, სახტად დარჩა; თვალებს არ უჯერებდა, როგორ დეტალურად და უშეცდომოდ კარნახობდა მარია მდივნებს კუთვნილი ნივთების ძველკატალინიურ სახელწოდებებს, მომავალი მკაპრონების სრულ გვარ-სახელებს, მისამართებს და პროფესიას, იმ ადგილთან ერთად, რომელიც ამ ადამიანებს მარიას გულში დაემკვიდრებოდა.

დამკრძალვი ბიუროს თანამშრომლის ვიზიტის

შემდეგ მარიაც ერთ-ერთი იმ მრავალთავანი გახდა, კვირაობით სასაფლაოს რომ სტუმრობდნენ. თავისი "მეზობლებით", პატარ-პატარა კვლებში ისიც თესავდა წელიწადის დროების შესაფერის ყვავილებს, რწყავდა ახლად ამოზინებულ ბალახს და მაკრატლით მანამდე კრეჭდა, სანამ ქალაქის მმართველობის შენობაში დაფიქრებულ ხალხს არ დაამსგავსა; ბოლოს კი, საკუთარ საფლავზე ისე მინაურულად იგრძნო თავი, რომ გაუკვირდა, აქაურობა თავიდან ასე უნუგეგმოდ რატომ მომჩვენაო.

პირველი მოსვლისას მთავარ შესასვლელთან სამი უსახელო საფლავის დაინახვაზე გული შეუქანდა, მაგრამ არ შეჩერებულა, რადგან იქვე ახლოს მუდამ ფიხელი მცველი იდგა. მესამე კვირა დღეს კი მცველი წუთიერი უყურადღებობით ისარგებლა და ნითელი სუთინის ცახტით წვიმით გადარეცხილ პირველივე საფლავზე წაანერა: "ღურუტი". მას შემდეგ, შეძლებისდაგვარად, როგორც მოუხერხებოდა, იმავებ ხან ერთ, ხან სამივე საფლავზე იმეორებდა მუდამ მტკიცე ხელით გამოყვანილი ასობითა და მონატრებისგან აჩქარებული გულით.

ერთ-ერთ კვირა დღეს, სექტემბრის ბოლოს, ბორცვზე პირველი დასაფლავების მომხმეც გახდა. სამი კვირის შემდეგ, ნამუფადევს, ყინულივით ცივი ქარი რომ ქროდა, მეზობელ საფლავში ახალგათხოვილი ახალგაზრდა ქალი დამარხეს. წლის ბოლოს უკვე მარია ნაკეთი იყო დაკავებული, მაგრამ ზამთარმა ნაჩქარევად გადაიარა, ისე რომ, მარია დღს პრასერესი სრულიად უგნებელი გადარჩა; არაფერს უჩიოდა და როდესაც გარეთ თანდათანობით დათბა და ღია ფანჯრიდან სიცოცხლის ხმაურმა დაიწყო შემოსვლა, კიდევ უფრო ცხელი ხალისი და ენერგია მიეცა ნანახი სიზმრისა და მასში მოცემული მინიშნების დასაიწყებლად. კარდონას გრაფს, რომელიც ცხელ თვეებს მთებში ატარებდა, დაბრუნებისას ის კიდევ უფრო მეტად მომზიბვლილი მოეჩვენა, ვიდრე ახალგაზრდობაში, ორმოცდაათი წლის წინ.

რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ მარია დღს პრასერესმა როგორ იქნა იმას მიაღწია, რომ ნომი ისწავლა მისი საფლავის გამორჩევა სასაფლაოს ბორცვზე მდებარე სხვა მსგავსი საფლავებისგან. ამის შემდეგ შეეცადა, ძალისთვის საფლავთან ჯდომბა და ტირილი ესწავლებინა, რათა მისი სიკვდილის შემდეგ ეს ჩვეულება ერთგულად გაეგრძელებინა. სახლიდან სასაფლაომდე ძალთან ერთად რამდენჯერმე ფეხით წავიდა, თან გზადაგზა საორიენტაციო პუნქტებზე უმხივლებდა ყურადღებას, რომ სანამ სასაფლაოზე მარტო გაშვებას გაეცდებოდა, მისთვის რამზლას ავტობუსის მარშრუტის დამახსოვრება გაეიოლებინა.

ბოლო რეპეტიციისას, კვირას, შუადღის სამ საათზე, მან ნოის საგაზაფხულო პელირინა გახადა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ზაფხული ახლოვდებოდა, მეორე კიდევ, გამვლელთა ყურადღება რომ ნაკლებად მიეცყო, და გარეთ გაშუშა. ერთხანს გასცქეროდა, როგორ მოუყვებოდა დაჩრდილულ ტროტუარს მსუბუქი ნაბჯითი, მოქიცინე კუდილი და დამუშავებული ვინრო და სედიანის უქანალის ქნევით, სანამ ცხოველმა კაიე მაიორის კუთხის ზღვისკენ არ შე-

უხვია და თვალს არ მიეფარა; და ამდენი ერთად გატარებული წლის, უამრავი გაცრუებული იმედის გამო, უცებ ისეთი სიბრალულის გრძობა შემოაწვია საკუთარი თავისა და მის მიმართ, რომ ცოტა დააკლდა არ ატირებულიყო. თხუთმეტვიდე წუთის შემდეგ მარია ახლომდებარე ლესეპსის მოედანზე რამბლას ავტობუსში ჩაჯდა და ცდილობდა, ნოი ავტობუსის ფანჯრიდან დაენახა, ისე, რომ თვითონ შეუმჩნეველი დარჩენილიყო ძაღლისთვის. დაინახა კიდევ, შორეული და სერიოზული, საკვიროვად გამოწყობილი ბავშვებით გარემორტყმული - პასეოდე გრასიაც შეუქნიშნის გადათვას რომ ელოდებოდა.

“ღმერთო ჩემო, - ამოიხზრა, - როგორი მარტოსული ჩანს”.

თითქმის ორი საათი ელოდა ნოის გამოჩენას მონეტის მუხრანალებელ მზეში. აქა-იქ ჭირისუფალს ესალმებოდა, რომლებიც სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანი კვირადღეებიდან ახსოვდა მარიას. თუმცა მათთან პირველი შეხვედრებიდან იმდენი დრო გასულიყო, აღარც კი იცოდა ვინ ვინ იყო; აღარც შავები ეცვათ, აღარც ტიროდნენ და საფლავის ქვებზეც მიცვალებულზე ფიქრის გარეშე აწყობდნენ ყვავილებს. ცოტა ხნის შემდეგ საყვირის ყრუ ხმა გაიგონა, რომელმაც თოლიშები დააფრთხო და უკიდვანო ზღვაში თეთრი თობოშავალი დაინახა - ბრახილის აფრიანალებული დროში. მიეღი სულითა და გულით ინატრა, რომ გემს იმ კაცისგან გამოეზავნილი ბარანი მოეტანა, რომელმაც მისთვის პერანამბული საპყრობილეში დალია სული. ხუთს უკვე გადაცდენილი იყო, რომ ნოი გამოჩნდა - სავარაუდოდ, თორმეტი წუთით ადრე - სიცხისა და დაღლილობისგან ენაგამოვადებული, მაგრამ საკუთარი თავით ძმაცყოფილი, ბავშვითი შექების მომლოდინე. ძაღლის შემხედვარე მარია დოს პრასერეს საშინელი შიში დაეფულა, რომ არავინ რჩებოდა ქვეყნად, ვინც მის საფლავზე იტირებდა.

შემოდგომა დადგა თუ არა, მარია დოს პრასერესმა ყველგან და ყველაფერში მოსალოდნელი უბედურების ნიშნების ძებნა დაიწყო, რომლებიც არსადა ჩანდა, მაგრამ გული მაინც ერთიანად დამძიმებული ჰქონდა. პლასა დელ რელოსი ოქროსფერი აკაციების ქვეშ ძველბურად სვამდა ყავას, მელიის კუდის საყვალს და ხელოვნური ყვავილებით შემკულ ქუდს ატარებდა, რომელიც ამასობაში ხელმოკლე შემოსულიყო მოდაში. სმენაც უფრო მეტად გაუმძახილდა. ცდილობდა, როგორმე თავისი უჩვეული ფორი-აქის მიზეზისთვის მიეგრა. ყველაფერის აყურადგება: რამბლასზე ჩიტების გამყვინველი ქალების ვაცხარებულ ჭორაობას, წიგნების დახლებთან შგეროივილი მამაკაცების ჩურჩულს, რომლებიც აგერ უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც ფეხბურთზე აღარ ლაპარაკობდნენ, ომში დასახინრებულების ჯოუტ ღუმის, რომლებიც მტრედებს პურის ნამცეცხვს უყრიდნენ და, ამ ყველაფერში სიკვდილის ნიშანს ხედავდა. საშობაოდ აკაციებს შორის ფერად-ფერადი ნათურები აანთეს, აივნებიდან მუსიკისა და მხიარულების ხმა ისმოდა და ტურისტების ყრიაშულმა, რომელებიც აქაურების ხვედრს არად დაგიდევდნენ, კაფეები აავსო. მაგრამ ამ სადღესასწაულო ხმაურშიც

კი იგრძნობოდა ძველი, ერთგვარიძულებით ჩახშობილი დაძაბულობა, რომელიც თითქოს იმ დროს გამოქცეოდა, როცა ანარქისტებმა ბარსელონის ქუჩები დაიპყრეს. მარია დოს პრასერესმა, რომელიც ამ დიდი ვნებებით აღსავსე პერიოდის მოწმე იყო, სხეული ჩაბუდებულ მოუსვენრობას ვერაფერი მოუხერხა და ცხოვრებაში პირველად, შუა ძილში მყოფი, საშინელმა შიშის გრძობამ გამოაღვიძა. ერთ ღამესაც სახელმწიფო უშიშროების აგენტებმა მისი ფანჯრის წინ სტუდენტს ესროლეს, რომელსაც მოესწრო და მსხვილი ფუნჯით კედელზე მიანერა: *Visca Catalunya llure!*<sup>3</sup> “ღმერთო ჩემო, - უთხრა თავს გაკვირვებულმა, - “თითქოს ყველაფერი ჩემთან ერთად აპირებს სიკვდილს!”

ასეთი შიშნარევი მოუსვენრობა ბავშვობაში მანასში ჰქონდა ხოლმე. გათენებამდე სულ რამდენიმე წუთით ადრე, როდესაც ღამეული ხმები მოულოდნელად წყდებოდა, წყალი ჩერდებოდა, დროც ზანტად მიიზღაზნებოდა და ამაზონის ქალები ისეთ დემლიმდ იძირებოდა, რომელსაც მხოლოდ სიკვდილი თუ შეედგებოდა. სწორედ ასეთ უტანელ და დაძაბულ მდგომარეობაში მყოფს, ისე რეაგირაც ყოველი თვის ბოლო პარასკევს, მარიას სადილად კარდონას გრავი ეწვია.

ამდენი წლის განმავლობაში გრავის სტუმრობა ერთგვარ რიტუალად ქცეულიყო. ის საღამოს შვიდსა და ცხრა საათს შორის პუნქტუალურად, ერთსა და იმავე დროს გამოჩნდებოდა ხოლმე ადგილობრივი შამპანით - რომელიც ცნობისმოყვარე თვალისგან დასაფარავად საღამოს გაზეთში გადაბეჭული ეჭირა - და ერთი კოლოფი მოკოლადის ტრუფელით ხელში. მარია დოს პრასერესი მას ღუმელში კანელონის უცხობდა, ძველი, კარგი დროიდან მოყოლებული, თავმომწონე კატალონიელთა საყვარელ კერძს, ბულიონში ნახად ჩაშუშულ ქათმის ხორცს უშზადებდა და თასს სეზონური ხილით უვსებდა. სანამ მარია სამარულულომ საქმიანობდა, გრავი იტალიური ოპერების ისტორიული ჩანანგრების ნანყვეტებს უსმენდა გრამოფონზე და ჭიქა პორტვინის ნრუპავად ნელ-ნელა.

ასაიამოფი საუბრის თანხლებით დასრულებული ხანგრძლივი ვაშმის შემდეგ გაზეირებულ სასიყვარულო ალერსს ეძლეოდნენ, რომელიც თითოეულ მათგანში ნალექითი ტოვებდა ხელმოცარულობის განცდას. შუალამისას, წასვლის წინ, აქაურებული გრავი საძინებელში მდგარი საფურცლების ქვეშ ოცდახუთ პსეტას ტოვებდა. ეს იყო მარია დოს პრასერესის ფსი მაშინ, როცა პარალელის სტუდენტურ სასტუმროში პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, და ერთადერთი რამ, რასაც დროს ფანგი არ ეკიდებოდა.

არცერთ მათგანს არასოდეს დაუსვამდა კითხვა საკუთარი თავისთვის, თუ რაში გამოიხატებოდა მათი მეგობრობა. მარია დოს პრასერესი გრავს რამდენიმე პატარა სამსახურს უშადლოდა. ის რჩევას აძლევდა ხოლმე, სად და როგორ დაეზანდებინა და-

3. ვაუმარჯოს თავისუფალ კატალონიას - (კატალონიურად).

ზოგილი თანხა, ასწავლა თავისი რელიქვიების სწორად შეფასება და ისიც, როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ არავის შეეცყო მის მიერ შექმნილი მოპარული ნივთების წარმომავლობის შესახებ. უპირველეს ყოვლისა კი, გრაფი სწორედ ის ადამიანი იყო, ვისი წყალობითაც სიცოცხლის ბოლოს გრასიაში აღმოჩნდა, როდესაც ბორდელიმ, რომელიც მთელი ცხოვრება გამოჰაობდა, ერთ მშვენიერ დღეს უპირველყოფილად გამოუცხადეს, თანამედროვე გეომეტრიას აღარ აკმაყოფილებო და მოინდომეს მისთვის ხანძი შესული მეძავეების საიდუმლო თავშესაფარში ეკრათ თავი, სადაც ბიჭებს ხუთი უსეტვის საფასურად სიყვარულს ასწავლიდა. მარია მ გრასი ისიც უამბო, როგორ გაყავი და თითხმეტი წლისა დედამ მანოსის პორტში, როგორ ჟინმორეული იცხრობდა ვენბას მისით თურქული გემის პირველი ოფიცერი ატლანტის ოკეანის გადაკვეთისას, მერე კი გემიდან ჩამოვა და პარალელის ჭაობებში დატოვა უფულო, უსახელო და ენის უცოდინარი. ორივემ მშვენიერად იცოდა, რამდენად ცოტა ჰქონდათ საერთო, რომ თავს ისე მარტოსულად არასოდეს გრძობდნენ, როგორც ერთად ყოფნისას, მაგრამ ვერცერთი ვერ ბედავდა ჩვეულების ჯადოსნური წრის გარღვევას; ეროვნული მოძრაობა კი იმაში წაადგათ, რომ ერთდროულად ეგრძნოთ, თუ რამხელა სიძლიერით და სინხათი სძულდათ ერთმანეთი მთელი ამდენი წლის განმავლობაში.

ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. კარდონას გრაფი სასიყვარულო დეტუს უსმენდა ოპერიდან "La Boheme" ლისია ალბანესესა და ბენიამინო გილის შესრულებით, როდესაც სამზარეულოდან, სადაც მარია დოს პრასერეს რადიო ჰქონდა ჩართული, "ახალი ამბების" ხმა შემოესმა. კარს ფეხაკრებით მიუახლოვდა და ყური მიუგდო. გენერალი ფრანსისკო ფრანკო, ესპანეთის მარადიული დიქტატორი, საუკეთარ თავზე იღებდა სიკვდილისჯილი სამი ბასკი სეპარატისტის იბლების გადაწყვეტას.

"ეს იმას ნიშნავს, რომ სამივეს დაუყოვნებლივ დახვერტენ," - შვებით ამოისუნთქა გრაფმა, "რადგან caudillo" სამართლიანი კაცია".

მარია დოს პრასერესმა სამეფო კობრას სიბრავით ანთებული თვალეტი შეანათა გრაფს და ოქროსჩარჩოიანი სათვალის მიღმა მისი ვენებისგან დაცლილი უსიცოცხლო გუგები დაინახა, მტაცებელი ცხოველის კლავები, სიბნელები ცხოვერებას მიჩვეული მხეცის კლანჭები - ისეთი, როგორიც ის სინამდვილეში იყო.

"გირჩენია ღმერთს შევედრო, რომ ასე არ მოხდეს", თქვა მარიამ, "თორემ ერთიც რომ დახვერტონ, ჩემი ხელით ჩაგიყრი სანამალავს კერძში".

გრაფს შეეშინდა.

"კი მაგრამ, რატომ?"

"იმიტომ, რომ მეც სამართლიანი ბოზი ვარ".

კარდონას გრაფი აღარ გამოჩენილა, სამაგიეროდ, მარია დოს პრასერეს ისეთი შგერძნება დაეუფლა, რომ მისი სიცოცხლის უკანასკნელი წრეც შე-

იკრა. სულ ცოტა ხნის წინ საშინლად აღშფოთებოდა ხოლმე, თუ ვინმე ავტობუსში მისთვის ადგილის დათმობას დააპირებდა, ქუჩაზე გადასვლაში დახმარებას შესთავაზებდა ან კიბზე ასვლისას ხელს შეამკებებდა, ახლა კი მსურველს არაფერ უფლებას აღუვდა, რალცნაირი საძულველი, მისთვისე უტყუნელი კატეგორიულობით, მათგან ამას მოითხოვდა კიდევ. მერე ადგა და ანარქისტების შესაყვრისი, უსახელო და უთარილო საფლავის ქვა გააკეთებინა და დაწოლის წინ კარს ურდულითაც კი აღარ კეტავდა - ძილში რომ გაპარულიყო, ნოის გურთი გასვლა და ვინმესთვის ამბის შეტყობინება შეუძლებოდა.

ერთი კვირა დღეს სასაფლაოდან დაბრუნებულს და სახლის სადარბაზოში შესულს კიბის მოსახვევთან ის პატარა გოგონა შემოხვდა, რომელიც მას მოპირდაპირე ბინით ცხოვრობდა. რამდენიმე ქუჩა ერთად გაიარეს, მარია ბავშვს ყველაფერზე და არაფერზე ბებიებისთვის დამახასიათებელი ტონით ელაპარაკებოდა და თან თვალს არ ამორებდა, როგორ შეხმატკობილებულად, ძველი მეგობრებით ანაცოტუნებ გოგონად და ნიო. როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა, პლასა დელ დიამანტეზე ბავშვი ნაყინზე დაბატოდა.

"გიყვარა ძალელები?" - ჰკითხა.

"ძალიან", - მიუგო გოგონამ.

მარია დოს პრასერესიც ადგა და წინასწარ მომზადებული სიტყვებით უთხრა:

"რამე რომ დაემართოს, ნიო შენთან ნაიყვანე", ოღონდ ერთი პირობით, კვირაობით გარეთ მარტო უნდა გაუშვა ხოლმე და უკან არ გაჰყვე. მან თვითონ იცის, რაც უნდა გააკეთოს".

გოგონა ბედნიერი იყო. თავის მხრივ მარია დოს პრასერესიც გახარებული დაბრუნდა შინ. მის გულში რამდენიმე წლის განმავლობაში მომწიფებული კიდევ ერთი ოცნების ასრულებასაც აღარაფერი ედგა წინ, მაგრამ ეს ოცნება ვერ აისრულა და ამის მიზეზი არც ასაკობრივი გადაღლა ყოფილა და არც თვით სიკვდილის სიზანტე, სიმართლე ითქვას, ამ ყველაფრის გადაწყვეტას მას არც არავინ ეკითხებოდა.

სიცოცხლეს მარია დოს პრასერესი ნოემბრის ერთ სუსხიან ნაშუადღევს გადაეყარა. სასაფლაოდან რომ გამოდიოდა, უცერად ქვეა-ქუხილი ატყდა. სამივე საფლავის ქვაზე სახელების დაწერა მინც მოიანსრო და თავით ფეხამდე გალუმკული თავდაღმართში, ავტობუსის გაჩერებისკენ დაეშვა. როგორც იქნა მოახერხა და ერთი მიტოვებული უბნის კარიბჭის თალს შეაფარა თავი, რომელიც გვერდობდა სულ სხვა ქალაქის კუთვნილებათ. მისი სანახვეროდ დანგრეული სანყობების, დამტვერილი ფაბრიკებისა და ვეებერთელა სატვირთო მანარებლების ფონზე მარიას ქვეა-ქუხილის გრგვივთა კიდევ უფრო საშინელი ეჩვენიებოდა. სველ ძალეს გულში იკრავდა და ცდილობდა, როგორმე გაეთხო. თან ხალხით გატენილ ავტობუსებსა და ცარიელ, მაგრამ შუქ-აქმარალ ტექსტებს თვალს ადევნებდა და უსიათოდ იქნევადა ხელს, მაგრამ ეს არავის ადარდებდა. მოულოდნელად, როდესაც მარია სასწაულსაც კი აღარ ელოდა, დაისისფერმა თვალწარმტაცმა მანქანამ წყლით დაფარულ ქუჩაში თითქმის უხმოდ ჩაიარა,

4. მეთაური, ბელადი (იგულისხმება გენერალი ფრანსისკო ფრანკო).

უცერად გაჩერდა, უკან დაიხია და მარიას წინ შეჩერდა. თითქოს ჯადოსნური კვერთხის ერთი აქნევით, ფანჯრის მინა დაბლა დაინია და მძღოლმა ნაყვანა შესთავაზა.

“ძალიან შორს მივდივარ,” - გულახდილად თქვა ქალმა, - “მაგრამ ძალიან დამავალდებო, გრძელ გზას ცოტათი მაინც თუ შემომოკლებო”.

“მითხარით, სად მიბრძანდებით,” - ჩაეკითხა მძღოლი.

“გრასიაში”, - მიუგო.

თითქოს მანქანის კარიც თავისით გაიღო.

“მეც სწორედ იქით მივდივარ”, - თქვა, - “დაბრძანდით”.

სალონი, სადაც რომელიღაც წამლის სუნი იდგა, წვიმა შეუსაბამო მოჩვენება მარიას. ქალაქი ფერს იცვლიდა, ის კი შორეულ და ბედნიერ სამყაროში იმყოფებოდა, სადაც ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო. მძღოლიც, თითქოს მაგიურ ძალას ფლობდა, ისე მარჯვედ მიიკვლევდა გზას ტრანსპორტის ლაბირინთში. ცოტა იმისი რცხვენოდა, რომ ფიქრობდა, მეც და ჩემს კალთაში გატრუნული ძაღლიც შესაბარლისად გამოიყურებოდა.

“მანქანა კი არა, შორეული ნაოსნობის ხომალდი”, - აღნიშნა ქალმა, რადგან იგრძნო, დრო იყო, რამე ღირებულს ეთქვა. “მსგავსი რამ სიზმარშიც კი არ მინახავს”.

“მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს, კერძოდ კი ის, რომ მე არ შეკუთვნიან”, - მიუგო მძღოლმა დამტვრეული კატალიონურით და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ესპანურად დაუმატა: “ამის საყიდლად მთელი ჩემი სიცოცხლის გასამრჯელოც არ მიყოფა”.

“ნარმოიხდგენია”, - ამოიხრა მარიამ.

გვერდიდან შეათვალიერა მძღოლი, რომელსაც სალონის წინა დაფიფი არეკლილი შუქისგან სახეზე მომწვანო ფერი დასდებოდა და მამინდა შეაშინია, რომ თითქმის ყმანვილი კაცი იყო, მოკლე ხეველი თმითა და რომაული ბრინჯაოს ქანდაკების პროფილით. გაიფიქრა, რომ ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ თავისებური ხიბლი არ აკლდა, და ის უბრალო ტყვისგან შეკერილი, გაცვეთილი ქურთუკიც ძალიან უხდებოდა. ალბათ დედამისის გული სიხარულით ევსებოდა ხოლმე შინ დაბრუნებულს შვილის ნაბიჯების ხმის გაგონებაზე. მხოლოდ გლეხური ხელები მასცემდნენ საიდუმლოს, რომ მანქანა, რომელსაც ვარჯიშად, მას არ ეკუთვნოდა. მთელი გზა დემდნენ. ერთი გვ იყო, ხანდახან მარია მძღოლის შეფარულ მზერას გრძნობდა და სულ უფრო მეტად იწვიდა სირცხვილისგან, ამ ასაკში ჯერ კიდევ ცოცხალი რომ იყო. წვიმისგან დასაჯავად თავზე ნაქარავი და შემოხვეული ქურქის ცილითი და გაქუცულ საშემოდგომო ლაბადაში - გამუდმებით სიკვდილის მილოდიმში მყოფს ახლის შექმნა აზრადაც არ მოსვლია - თავი ამაზრზენი და საბრალო ეჩვენებოდა.

გრასიაში რომ მოუახლოვდნენ, ცა მოინწინდა. თან ღამდებოდა და ქუჩას ფარნები ანათებდა. მარია დოს პრასერესმა მძღოლს სთხოვა, მანქანა სახლთან შორიასლეს, ქუჩის კუთხეში გაეჩერებინა, მაგრამ კაცმა დაიფიხა, სადარბაზოს კარამდე მივიყვანო; ის კი არა, ტროტუარზეც კი შეაყენა, გადმოსვლისას ფეხი რომ არ დასველებოდა. მარიამ ძაღლს ხელი გაუშვა

და შეეცადა მანქანიდან შეძლებისადაგვარად ღირსეულად გადმოსულიყო, ისე, როგორც ამის საშუალებას სხეული მისცემდა, და როცა მადლომის გადასახდელად შემობრუნდა, მამაკაცის ისეთ მზერას შეეფთო, რომ სუნთქვა შეეკრა. დაბნეულმა ერისიანს გაუძლო კიდევ ამ შემოხვევას, თან ცდილობდა გამოეცნო, რას მოელოდნენ მისგან და რატომ. მერე კაცმა მტკიცე ხმით ჰკითხა: “მალა ამოგყევით?”

მარია დოს პრასერესმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.

“მადლობელი ვარ, რომ შინ მომიყვანეთ”, - თქვა, - “მაგრამ ჩემი მასხარად ადგების უფლებას ნამდვილად არ მოგვცემთ”.

“არავის მასხარად ადგებას არ ვაპირებ”, სრული თავდაჯერებულობით მიუგო მძღოლმა ესპანურად, და “განსაკუთრებით ისეთი ქალისას, როგორიც თქვენ ბრძანდებით”.

მარია დოს პრასერესს უამრავი მისნაირი მამაკაცი ენახა, მასზე ბევრად უფრო გაბედულები თვითმკვლელობისგანაც გადააჩრჩინა, მაგრამ თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე გადაწყვეტილების მიღება ასე არასოდეს ვასჭირვებია. “მალა ამოგყევით?” კიდევ გაუშეორა კაცმა კითხვა. არაფერი ეტყობოდა საიმისო, რომ აზრის შეცვლას აპირებდა.

მარიას კარი არ დაუხუროვს, ისე მოსცილდა მანქანას, და იმაში დასარწმუნებლად, რომ მის ნათქვამს გამგები სწორად გაიგებდა, ესპანურად უპასუხა: “რაც გინდათ ის ჰქვითთ”.

ქუჩიდან შემოსული ირიბი შუქით მკრთალად განათებულ სადარბაზოში შევიდა და კიბის პირველი მონაკვეთი ისეთი აკანკალებული მუხლებით და შიშისგან სულშეგუბებულმა ათავა, რომ ამ განცდებს მოახლოებულ სიკვდილს თუ შეადგენდა. კარის წინ შეჩერებულს - როდესაც მულევარებისგან მივლი ტანით აცხაცხაცხებულ ხელჩანთაში გასაღების პოვნას ცდილობდა - მოესმა, როგორ იჯახებოდა ქუჩაში მდგარი მანქანის ჯერ ერთმა და მერე მეორე კარმა. ნოიმ, რომელიც კიბეზე ახლალა ამორბოდა, ყეფა ატეხა. “ხმა გაიკმინდე”, აფორიაქებულმა ჩურჩლით დატყუა ძაღლი და კიბის მორყულ საფეხურებზე პირველი ნაბიჯების ხმა რომ შემოესმა, შეეშინდა, გული არ გასკდომოდა. წამის მეთათსედში კიდევ ერთხელ ამოქექა მესსიერებიდან თავისი წინასწარმეტყველიანი სიზმარი, რომელმაც სამი წლის შემდეგ ერთიანად შეცვალა მისი ცხოვრება და მისევე აღმოაჩინა სიზმრის ახსნაში გაპარული შეცდომა.

“ღმერთო ჩემო”, გავგნებულმა უთხრა თავს, “თურმე სი სიკვდილს არ ნიშნავდა!”

როგორც იქნა მიაგნო გასაღების ქუჭრუტანას. ყურში კი სიბნელეში დაბლიდან მომავალი ნაბიჯებისა და იმ კაცის გახშირებული სუნთქვის ხმა ჩაესმოდა, ვინც წყვილად მასზე არანაკლებ შემინებული უახლოვდებოდა, და მიხვდა, რომ ღირდა ამდენი წლის ლოდინი, ღამის სიმარტოვეში განცდილი ტანჯვა და ტკივილი, თუნდაც მხოლოდ იმად, რასაც ახლა, ამ წუთებში განიცდიდა.

იტალი კალვინო

# სისწრაფე

იტალიურიდან თარგმნა ხათუნა ცხადაძე



იტალი კალვინოს არასოდეს არაფერი უთქვამს და დაუწერია "ამერიკულ ლექციებზე", რადგან მუშაობის დამთავრება ვერ მოასწრო: მეექვსე ლექციის დასრულებამდე გარდაიცვალა.

1984 წლის 6 ივნისს ჰარვარდის უნივერსიტეტმა ოფიციალურად მიიწვია კალვინო ცნობილი "ნორტონის პოეზიის ლექციების" წასაკითხად. ის პირველი იყო იტალიელ ლიტერატორთაგან, ვისაც ეს პატივი ერგო. შემდეგი იტალიელი სტუმარი უმბერტო ეკო იყო. 1927 წლიდან დღემდე, მათ გარდა, "ნორტონის ლექციებმა" მხოლოდ ორ იტალიელს უმასპინძლა: არქიტექტორ პიერ ლუიჯი ნერვის და კომპოზიტორ ლუჩანო ბერიოს.

"ნორტონის ლექციებში" "პოეზია" არათუ მხოლოდ პოეზიას, არამედ ლიტერატურასაც კი არ ნიშნავს. ამ სიტყვაში პოეტური კომუნიკაციის ყველანაირი ფორმა იგულისხმება: ლიტერატურული, მუსიკალური, სახვითი. "შეპყრობილი იყო ამ საქმით", იგონებს კალვინოს ცოლი და მეგობარი, მთარგმნელი ესთერ კალვინო. "ამბობდა, რვა შეხვედრის მასალა მაქვსო. მერვე ლექციის სათაურიც იცოდა: "რომანის დაწყებისა და დამთავრების შესახებ...". მაგრამ ქმრის გარდაცვალების შემდეგ ესთერ კალვინომ ტექსტს ვერსად მიაკვლია. დაუსრულებელი დარჩა მეექვსე ლექციაც, რომელიც ჰერმან მელვილის "ბართლმის" ეძღვნებოდა.

კალვინოს ამ წიგნისთვის იტალიური სათაური არ ჰქონდა მოფიქრებული. ესთერ კალვინომ სავალდებულოდ ჩათვალა, ინგლისური სახელი ქვესათაურად შეენარჩუნებინა: "ექვსი ფასეულობა დამდეგი ათასწლეულისთვის". "...ამერიკული ლექციები" კი იმიტომ შევარჩიე, რომ იმ ზაფხულში, დილაობით, პიეტრო ჩიტატი მოდიოდა ჩვენთან სტუმრად და ეკითხებოდა: "როგორ მიდის ამერიკული ლექციები?" ისიც უყვებოდა. მხოლოდ ამაზე - ამერიკულ ლექციებზე - ლაპარაკობდენ..." ის ზაფხული უკანასკნელი აღმოჩნდა კალვინოსთვის.

კალვინო არა მხოლოდ მხატვრული წერის დიდოსტატია, ის მხატვრულ წერაზე წერის დიდოსტატიცაა. მისი თეორიული ნაშრომების ენაც ისეთივე საესე და ჯადოსნურია, როგორიც - რომანების. როგორ უნდა თარგმნო ოცგვერდიანი ტექსტი სისხარტზე? იმაზე, რომ წერა იმ ერთადერთი, შეუცვლელი სიტყვის, შეხამების, რითმის მიგნებაა, რომლის წყალობითაც შინაარსიცა და ფორმაც მკაფიო, კამკამა და სამუდამოდ დაუვიწყარი ხდება? როგორ უნდა თარგმნო ნაწერი ნაწერი სილამაზებზე, ისეთ სიკოტავესა და სილღეზე, რომელიც თავისთავადაა შეუცვლელი ფასეულობა?

"ამერიკული ლექციები" საოცარი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება, თეორიული ნაწერიც მშვენიერი იყოს; იმდენადვე მოხდენილი და ელევანტური, რამდენადაც - მასში გამოხატული აზრი. კალვინოს თეორიული ნაწერი ამ მხრივ მართლა გაუკონარი სირთულის წინაშე აყენებს მთარგმნელს. უთარგმნელი, ვფიქრობ, არაფერია, მაგრამ რამდენიც არ უნდა იმუშაო, შეუძლებელია, ისე გადაიტანო სხვა ენაში იტალი კალვინოს ტევადი და კოჰჰია ნააზრევი, რომ უკმარისობის გრძნობა არ გიხუთავდეს სულს, თუ, როგორც კალვინო იტყოდა, სიტყვით, ნაწერით ტკბობის უნარი და მგრძობილება გავაჩნია.

მთარგმნელი

ერთი ძველი ლეგენდით დავიწყებ.

იმპერატორ კარლოს დიდს მცხოვან ასაკში გერმანელი გოგონა შეუყვარდა. შფოთვამ მოიცვა სახეფო კარი: სიყვარულით ფრთაშესხმულ მიფვს ტახტის ღირსებაც გადაავიწყდა და იმპერიის საქმეებიც. გოგონა მოულოდნელად გარდაიცვალა. სასახლეში შეებიტ ამოსუნთქეს, თუმცა სიმშვიდე ხანმოკლე აღმოჩნდა: სატრფოს გარდაცვალებამ კარლოს დიდს გრძნობა ვერ მოუკლა. იმპერატორმა გოგონას ბალზამირებული ცხედარი თავის ოთახში დაასვენებინა. წამით არ სცილდებოდა საყვარელ სხეულს. ამ მაკაბრულმა ვენებამ შეაშფოთა არქივის კოპოხის ტურპინი: დაეჭვდა, იმპერატორი მოჯადობებულიაო, გვამის დათვალიერება ისურვა და დიუკავლებულს ენის ქვეშ ძვირფასთვლიანი ბეჭედი უკოვა. როგორც კი ბეჭედი ტურპინის ხელში აღმოჩნდა, კარლოსმა სატრფოს ნეშტი დაასაფლავებინა და არქივის კოპოხის კენ მიმართა თავისი ვენება. ამ უხერხული ვითარებისაგან თავის დასაღწევად ტურპინმა ბეჭედი კონსტანცას ტბაში მოისროლა. კარლოსს ახლა ტბა შეუყვარდა. ვეღარ ამორდებდნენ მის ნაპირს.

"მაგის ნიგინდის" ამოღებული ეს ლეგენდა ფრანგი რომანტიკოსის, ბარბე დორვილის გამოუქვეყნებელ ნაწერებში იყო ნახსენები ("ბარბე დორვილის რომანები", გამომცემლობა Pléiade, I, გვ. 1315), ბევრად უფრო მოკლედ, ვიდრე მე მოგიყვით. ამ ეპიზოდის ნაკითხვის შემდეგ ამეკიანება შეგრძნება, რომ ბეჭდის ჯადოსნური ძალა თხრობით გადადის და მოქმედებას განაგრძობს.

ვეციდები, ახსნა, რა არის ამ ამბავში მომზიბლავი: ესაა შთამბეჭდავი მიმდევრობა უჩვეულო მოვლენებისა, რომლებიც ჯაჭვის რგოლებივით ებმიან ერთმანეთს: მოხუცის სიყვარული გოგონასადმი, ნოროფილური აკვიატება, ჰომოსექსუალური ვენება. ბოლოს კი - მელანქოლიური ჭკერება, დამცხრალი და დამშვიდებული: მცხოვანი მეფე მღუმარედ გაჰყურებს ტბის ლილეია ზედაპირს. "კარლოს დიდი, ახალ სატრფოზე - კონსტანცას ტბაზე ზღვევებით მიჯაჭვული, უხილავ სიღრმეზე თავდავინწყებით შეყვარებული" - ნერს ბარბე თავის რომანში "უკანასკნელი საყვარელი".

მოვლენათა ამ ჯაჭვს სიტყვიერი კავშირი ამთლიანებს: სიტყვა "სიყვარული" ან "ვენება", რომელიც მუდმივად, ლტოლვის სხვადასხვა ფორმებში ნარჩუნდება. არსებობს ნარატიული კავშირიც, ჯადოსნური ბეჭედი - სხვადასხვა ეპიზოდის ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი მაკავშირებელი. არარსებული ობიექტის ნდომა, მისდამი მწველი ლტოლვა, სანატრელი არსების დაკარგვა, მისი მონატრება და ამ დაკარგვით დარჩენილი სიცარიელე, რასაც სიმბოლურად ბეჭდის რგოლი არსებული სიცარიელე განსახიერებს - ეს ყველაფერი თხრობის რიტმით უფროა გადმოცემული, ვიდრე ფაქტებით. თითქმის ლეგენდას სიკვდილის სუნთქვა გასდევს, თითქმის ჩაგვსმის, როგორ უძლიანებდა მას კარლოს დიდი, როგორი სასონარკვეთით ებლაუჭება სიცოცხლეს. ბოლოს კი ეს მოქანცული, გულამოვარდნილი ჭიდილი ტბის უძრავი ზედაპირის ჭკერტაში ცხრება და იკარგება.

ამ ამბის ნამდვილი მოქმედი გმირი ჯადოსნური ბეჭედაა: მისი გადაადგილების კვალდაკვალ მოძრაობენ პერსონაჟები, ის ადგენს ადამიანებს შორის ურთიერთობას, ემოციურ კავშირებს. ამ მაგიური ნივთის გარშემო ერთგვარი დაძაბულობის ველი იქმნება, იგივე - თხრობის ველი. შეიძლება ითქვას, მაგიური ნივთი ის ხილული ნიშანია, რომელიც ადამიანთა და მოვლენათა შორის კავშირს განსაზღვრავს: ჯერ კიდევ ძველი ჩრდილოური საგნებისა და რაინდული რომანებისთვის კარგად ნაცნობმა ამ ნარატიულმა ხერხმა რენესანსის ეპოქის იტალიურ პოეტიკშიც გადაინაცვლა. არიოსტოს "გამშავებულ როლანდში" ბოლო არ უჩანს ხმლების, ფარების, ჩაჩქების, ცხენების უსასრულო გადაცემ-გადმოცემას: ამ ნივთებიდან თითოეულს საკუთარი თვისებები აქვს, ასე რომ, თავისუფლად შეიძლება ეს ამბავი ნივთებისა და საგნების თვისებების ცვლილებებით იყოს მოთხრობილი და ეს ცვლილებები განსაზღვრავდეს პერსონაჟებს შორის ურთიერთობასაც.

რეალიტურ პროზაში მამბრინის ჩაჩქანი დალაქის ჯამად გვევლინება, მაგრამ არც ფუნქციას კარგავს და არც მნიშვნელობას; ასეთივე დატვირთვა აქვს ყველა იმ ნივთსა და ხელსაწყოს, რომელთაც რომანზონ კრუზო დალუპული გემიდან გადაარჩნის ან თავად შექმნის კუნძულზე. როგორც კი საგანი თხრობაში შემოდის, ის განსაკუთრებული ძალით იტვირთება და ერთგვარი მაგნიტური ველი პოლუსად, უხილავი კავშირების ბადის ერთერთ კვანძად იქცევა. საგნის, ნივთის სიმბოლური მნიშვნელობა მეტად ან ნაკლებად ხილული შეიძლება იყოს, მაგრამ მისი არსებობა გარდაუვალია: თხრობაში ნებისმიერი ნივთი ჯადოსნურია.

კარლოს დიდის ლეგენდას დავუბრუნდეთ. მან უდიდეს ტრადიციას დაუდო სათავე იტალიურ ლიტერატურაში. "ოჯახურ ნერიღებში" (I, 4) პეტრარკა ნერს, ეს "მომზიბლავი და ნაღვლიანი ამბავი" აახენში შევიტყვე, როცა კარლოს დიდის საფლავი მოეჩინა ხელეო. პეტრარკას ლათინური ტექსტი მართლა შთამბეჭდავია: მასში საოცარი დეტალებია, რომლებიც ცოცხალ, ფიზიკურ შეგრძნებას გადმოგცემს (დაუფიქარია სცენა, სადაც კიოლნის ეპისკოპოსი, ზეციდან მიღებული მინიშნების თანახმად, ენის ქვეშ თითს უყოფს გაქვავებულ გვამს). პეტრარკას ნაწერი კომენტარებითაც მდიდარია, მაგრამ პირადად ჩემზე უფრო მძაფრად მოქმედებს სიტყვატყენი, ლაკონური თხრობა, სადაც წარმოსახვას ეძლევა ასპარეზი და ფაქტების სწრაფი მიმდევრობა ბაღებს გარდუვალაობის შეგრძნებას.

კარლოსის ლეგენდა XVI საუკუნის აყვავებულ იტალიურში ისევ ბრუნდება. მისი მრავალი ვერსია არსებობს და ყველაში განსაკუთრებულადაა გამოკვეთილი ნეკროფილური ვენება. ვენეციელ მწერალი სებასტიანო ერიზო რამდენიმე ცვილს უთმობს მკვდარი სატრფოს წინ დამოზიბილი, სასონარკვეთი იმპერატორის გოდებას, ეპისკოპოსისადმი ჰომოსექსუალურ ლტოლვას კი მხოლოდ გაკვრით ახსენებს. სავარაუდოდ, ეს მონაკვეთი ცენზურის ხელშია გავლილი, ისევე, როგორც XVI საუკუნის სასიყვარული ტრაქტატებიდან ერთ ყველა-

ზე ცნობილ - ჯოვანი ბეტუსის - ტექსტში, სადაც თხრობა ბუქდის პოვნით მთავრდება.

პეტრარკა და მისი იტალიელი მიმბაძველ-გამგრძობლები ფინალში კონსტანცია ტბას არ ახსენებენ, რადგან მოქმედება აახენში ხდება და ეს ლეგენდა ხსნის, თუ რატომ ააშენა იმპერატორმა იქ სასახლე და ტაძარი. ბუქდს ჭაობში აგდებენ. ჭაობის სუნს ძვირფასი სუნისაა დასუსტებული შიუსუნთქავს იმპერატორი და "საოცარ ნეტარებას განიცდის" (ეს ვერსია სხვა ადგილობრივ ლეგენდებსაც ეხმანება, რომლებშიც ბუნებრივი ცხელი წყაროება ნახსენებია). ეს დეტალები კიდევ უფრო მუქ ფერებში ხატავს ამ ისედაც შავებულ ამბავს.

ამ ყველაფერს წინ უსწრებდა შუა საუკუნეების გერმანული ლეგენდები კარლს დიდის ტრფობაზე მკვლარი ქალისადმი, რომლებსაც გასტონ პარი შიუსნავლიდა. ამ სიუჟეტის ათსავგარი ვერსია არსებობს: ქალი ხან იმპერატორის კანონიერი ცოლია, რომელიც ჯადოსნური ბეჭდით ქმარს ერთგულებას შეპყობავს, ხან ფერიაა და ხანაც - ნიშნა, რომელიც ბუქდის მოხსნისთანავე კვდება. ზოგან ის ჩვეულებრივი ქალია, რომელიც, ბუქდს რომ მოიხსნის, მკვდარი აღმოჩნდება. ეს ყველაფერი, როგორც ჩანს, სკანდინავიური ზღაპრიდან იღებს სათავეს: ნორვეგიის მეფეს, ჰარალდს, მკვდარ ცოლთან ერთად სძინავს. ქალი ჯადოსნურ მოსასახამშია გახვეული, რომელიც გვამს გახრწნილგან იცავს.

გასტონ პარის მიერ შეგროვებულ, შუა საუკუნეების ვერსიებს მოვლენათა ჯაჭვური მიმდევრობა აკლია, პეტრარკასა და რენესანსის ავტორების ლიტერატურულ ვარიანტებს კი - სისწრაფე. ამიტომ ისევ ბარბე დორვილის ვერსიას ვამჯობინებ, მოუხედავად იმისა, რომ მოუხეშავია და სახელდახელოდ, ნაუცბათევეად შეკონსტრუქტულს შავს. მისი საიდუმლო ლაკონურიბაშია: მოვლენები, მათი ხანგრძლივობის მიუხედავად, ნერტილოვანია, ნრფივი სეგმენტებით უკავშირდება ერთმანეთს და ზოგჯერ ქმნის, რომელიც უწყვეტ მოძრაობას გამოხატავს.

ამით არ ვგულისხმობ, რომ სისწრაფე თავისთავადი ღირებულებაა: ნარატიული დრო შენელებულიც შეიძლება იყოს, ან - ციკლური, ან, სულაც, უძრავი. ყველა შემთხვევაში თხრობა ხანგრძლივობაზე მოქმედებაა: ჯადოსნობა, რომელიც აჩქარებს ან ანელებს დროს. სიცილიურ ზღაპრებში ხშირია გამოთქმა, "თხრობას დრო არ სჭირდება". ამას მაშინ ამბობენ, როცა ზღაპარში მოვლენათა მიეღი რთვი ან ხანგრძლივი პერიოდი გამოტოვებული. ზეპირი თხრობის ტექნიკა ხალხურ ტრადიციაში ფუნქციონალობას ემსახურება: ზედმეტ დეტალს უგულვებლყოფს, სამაგიეროდ, დიდ ყურადღებას უთმობს გამორჩეუბებს. მაგალითად მაშინ, როცა ზღაპრის სიუჟეტი სირთულეების, დაბრკოლებების ჯაჭვზეა აგებული. ლექსებსა და სიმღერებში რიტმი რითმა განსაზღვრავს, პროზაში კი მოვლენები ერთმანეთს ერთმანეთს. კარლს დიდის ლეგენდის ნარატიული ეფექტი სწორედ ამასია: მოვლენები ისე ეწყობა ერთმანეთს, როგორც რითმა - ლექსში.

ზღაპრები ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ არა

ეთნიკური ტრადიციის ერთგულების გამო (ჩემი ფესვები თანამედროვე, კოსმოპოლიტურ იტალიაშია). ის არც ბავშვობისდროინდელი ნივნების მონატრება ყოფილა: ჩემს ოჯახში ბავშვს მხოლოდ საგანმანათლებლო, შემეცნებითი ლიტერატურა უნდა ეკითხა. ზღაპრები მხოლოდ და მხოლოდ სტილისტური, კულტურული ინტერესისა და ცნობის-მოყვარობის გამო მიზნობდა: მომჭირნე ენის, რიტმის, შინაგანი ლოგიკის გამო. როცა ხელახლა ვწერდი გასული საუკუნის ფოლკლორის მკვლევართა შეგროვებულ იტალიურ ზღაპრებს, განსაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებდა მოკლე ტექსტებზე მუშაობა. მომწონდა ამბის თავიდან მოყოლა მისი ლაკონურობის დაცვიით, მაქსიმალური ნარატიული ეფექტის და პოეტური ხიბლის შენარჩუნებით. მაგალითად:

*მეფე აეად ვახდა. ექიმებმა უთხრეს: "ხელმწიფო, მხოლოდ დევის ბუმბული ვიკველით, მაგრამ არ გვეგულება ადამიანი, ვინც ბუმბულის მოტანას შეძლებს, დევის სიახლოვეს სულიერი ვერ გაჭაჭნდება". მეფე ქვეშევრდომი იხმობს, დახმარებას სთხოვს, მაგრამ დევთან შეერკნებას ვერაფერ ბედავს. მაშინ ხელმწიფე თავის ერთგულ, საყვარელ მსახურს სთხოვს შეეღას. ის დასთანხმდება. მთის წვერზე, შვიდი გამოქვაბულიდან ერთ-ერთში ცხოვრობს დევი. კაცი გზას გაუდგება. შემოღამებულზე ფუნდუსს შეაფარებს თავს... ( "იტალიური ზღაპრები", 57).*

არაფერია ნათქვამი იმაზე, რა სენი სჭირს მეფეს, რატომ აქვს დევის ბუმბულები ან რანარიცა ის გამოქვაბული. მაგრამ რაც კი ნახსენებია, სიუჟეტისთვის ფუნქციონად ყველაფერი მისწავლითაა. ხალხური ამბის უმთავრესი მახასიათებელი მომჭირნე თხრობაა. ყველაზე დაუჯერებელ ამბავშიც კი მხოლოდ არსებითზეა ყურადღება გამახვილებული. ზღაპარში მუდამ არის დროსთან ქდილი, დაბრკოლებების დაძლევა ნატვრის ასასრულებლად ან საბრთილობის აღსადგენად. დრო შეიძლება სულაც გაჩერდეს, როგორც, მაგალითად, მძინარე მზეთუნახავის სასახლეში. საქმარისია, შარლ პერომ დაწეროს:

*...ზღაპარში მოტრიალე შამფურებიც კი, ზედ წამოგებული ხობებებითა და კაკებით, ძილს მიეცემა. ცეცხლიც იძინებს. ყველაფერი წამში ხდება: ფერიებს დროის გაწელვა არ სჩვევიათ.*

დრო თითქმის ყველა ხალხურ ამბავში ფარდობითია: სხვა სამყაროში მოგზაურობა ხშირად ერთი გასეირნებასავითაა აღწერილი, ამასობაში კი უამრავი ნელი ვადის და უკან დაბრუნებული ადამიანი მშობლიურ ადგილებს ვეღარ სცნობს. სხვათა შორის გავიხსენებ, რომ ამერიკული ლიტერატურის გარიჟრაჟზე სწორედ ეს მოტივი ადვილ საფუძვლად ვამინტონ ირვინგის "რიო ვან ვიკლს" და ცვლილებაზე დამყარებული ამერიკული საზოგადოების მითად გადაიქცა.

ეს მოტივი ნარატიული დროის ალგორითადც შეიძლება გავიგოთ, იმად, რომ თხრობის დრო რეა-

ლურ დროს ვერ მოერგება. იგივე ხდება მაშინაც, როცა დრო, პირიქით, განელილია, როცა ერთი ამბიდან მეორე იბადება, რაც აღმოსავლური პროზისთვისაა დამახასიათებელი. შეკერზადა ყველა ამბავს, რომელშიც მოთხრობილია ამბავი, რომელშიც მოთხრობილია ამბავი და ასე შემდეგ.

შეკერზადას ოსტატობა, რომლის წყალობითაც ის სიცოცხლეს ინარჩუნებს, იმაშია, რომ ერთ ამბავს მეორე გადააბას და თან ზუსტად მაშინ გაჩერდეს, როცა საჭიროა. ამ ამბავში ერთდროულად დევს დროის უსასრულობაც და წყვეტაც. სწორედ ესაა რიტმის საიდუმლო, დროის "დაჭრა", რომელსაც ლიტერატურის სათავეებთანვე ვხვდებით: ეპიკურ ლიტერატურაში ეს ლექსის მეტრიკით მიიღწევა, პროზაულ თხრობაში კი იმ ფეხვით, რაც ცნობისწადლის ბადება და აცოცხლებს მკითხველში. ყველასათვის ნაცნობია საშინელი უხერხულობის გრძობა, რომელიც გვეუფლება, როცა ანეკდოტს ყველა ხს, ვისაც მოყოლა სრულიად არ ეხერხება. ასეთ დროს აღმოიან სწორედ ფეხვები ეშლება: ბმები, თხრობის რიტმი. ამას გაჭასუნებს ბოკაჩოს ერთ-ერთი ნოველა (Vi, 1), რომელიც ზეპირსიტყვიერების ხელოვნებას ეხება.

დამეხება და რაინდების ხალხისანი ჯგუფი მდიდარი ფლორენციელი ქალის სასახლეში მკრეხილად. სადილის შემდეგ ახალგაზრდები ქალაქარეთ გასეირნებას გადაწყვეტენ. ზამთრ-ერთი ყმანვილი ამბის მოყოლას შესთავაზებს მასპინძელს:

*"დონა ორეტა, თუ ნებას მომცემთ, რომ არ მოვიწყინოთ, ერთ საინტერესო ამბავს მოგიტხრობთ". ქალი პასუხობს: "მესერ, საიმედოებით, ძალიან დაგვაკლებთ". ყმაწვილი მოყოლას იწყებს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ თქვით ჩამოკონწილელულ დაბლაგვებულ ხმალზე მეტად არც სიტყვა უჭრის. საინტერესო ამბავს ყველა, მაგრამ ცოდვილობს, სამჯერ, ოთხჯერ, ხან ექვსჯერაც იმეორებს იმავეს, თავიდან იწყებს, ხანაც იბოდიშებს, კარგად ვერ ვთქვიო, სახელეთ უშლბა, ერთმანეთს ვერვა. მოკლედ, სრულიად წაახდენს ამბავს, საშინელბა მისი მოსმენა. დონა ორეტას სიმწრის ოფლი ასახამს, ლამისაა, გული შეუღონდეს, თითქოს ავადა და საცაა, სული ამოხდებოა. ბოლოს ქალი ტანჯვას ველარ აიტანს, თანაც ხვდება, რომ ყმაწვილი დაუხმარებლად ვერ დააღწევს თავს თავისსავე დაგებულ ზაფანგს და თავაზიანდ ეტყვის ახალგაზრდა კაცს: "მესერ, ამ თქვენს ცხენს მეტისმეტად მძიმე ჩორთი ჰქონია, გათხოვთ, გააჩროთ და ჩამომსვათო..."*

ამბავი იგივე ცხენია, გადაადგილების საშუალება, ხან ჩორთი მდის, ხანაც - ჭენებით, ზღის მიხედვით აჩქარებს ან ანელებს ნაბიჯს, მაგრამ სისწრაფეში აქ, პირველ რიგში, გონებრივი სისწრაფე იგულისხმება. ბოკაჩოსთვის უფერავილო მთხრობელის მთავარი ნაკლი, სტილური ხარვეზების გარდა, სწორედ რიტმის დარღვევაა: შეუსაბამო გამოთქმების გამოყენება პერსონაჟების, მოქმედებების ასაღწერად. თუმცა, კარგად თუ დაუეკვირდებით, სტილის მოხდენილობისთვისაც აუცილებელია სიტყ-

ვის მოქნილობა, აზრის სისხარტე.

ცხენი, როგორც სისწრაფის (გონებრივი სისწრაფისაც) სიმბოლო, ლიტერატურის ისტორიაში უძველესი დროიდან არსებობდა და იმ საკითხებსაც განასახიერებდა, რაც თანამედროვე, ტექნოლოგიურ ხანას ახასიათებს. გადაადგილებას და ინფორმაციის გავრცელებას სწრაფ საშუალებათა ხანა ინგლისური ლიტერატურის ერთ-ერთი საუკუნეც ვხვდებით იღებს სათავეს. ესაა თომას დე ჟუინსის "ინგლისური საფოსტო ეტლი". იმ შორეულ, 1849 წელს დაწერილ ამ ტექსტში ყველაფერია ნათქვამი, რაც თანამედროვე სამყარო იცის ჩქაროსნულ ავტობანებზე, სატრანსპორტო საშუალებებზე, სასიკვდილო ავტოკატასტროფებსა და თავბრუდამხვევ სიჩქარეზე. დე ჟუინსი აღწერს უსწრაფესი საფოსტო ეტლით მგზავრობას ლაბით. მგზავრი კოფრე ზის, მის გვერდით, ვეებერთელა მეტელის ღრმად სძინავს, ასე რომ, მგზავრს ეტლის ტექნიკური გამართულობის იმედი თუ ექნება. დე ჟუინსი, რომელსაც ოპიუმის ზემოქმედებით შეგარნებები კიდევ უფრო აქვს გამძაბრებული, ხვდება, რომ ცხენები ცამეტი მილის სიჩქარით მიქრიან, თანაც - გზის მარჯვენა მხარეს, ეს კი გარდაუვალ კატასტროფას ნიშნავს. მკვიდრად ნაგებ საფოსტო ეტლზე მეტად საფრთხე იმ უზებურს ელის, ვინც მას გზაზე გადაეყრება. მართლაც, ცოტა ხანში, ხეივნის ბოლოს ხის ორთავალა გამოჩნდება. კოფრე ახალგაზრდა წყვილი ზის. ორთავალა ნელა, ალბათ ერთი მილის სიჩქარით მოინწევს წინ. "რამდენიმე წამი აშორებთ მარადიულობას". დე ჟუინსის თავგანწირული ღრიალი აღმოხდება. "პირველი ნაბიჯი მე გადახვდა. მეორე იმ ყმანვილზე იყო, მესამე კი - ღმერთზე."

ამ რამდენიმე წამის თხრობაში ასახვა სრულიად შეუძლებელია: დღესაც კი, როცა თავბრუდამხვევი სიჩქარე ადამიანთა ყოველდღიურობის მნიშვნელოვანია ნაწილია.

თვალის დახამხამება, აზრის გაღვება, ანგელოზის ფრთის აქნევა: რა იქნებოდა იმდენად სწრაფი, რომ შეკითხვასა და პასუხს შორის ჩატეულიყო, ერთმანეთისგან გაემიჯნა ისინი? სინათლის სიჩქარეზე სწრაფად ახლოვებოდა საბედისწერო წამი და არაფერი იყო უფრო გარდაუვალი, ვიდრე ჩვენი ეტლისა და იმ საბრლო ორთავალს შეჯახება.

დე ჟუინსი დროის იმ უმოკლესი მონაკვეთის აღწერასაც ახერხებს, თუმცა წამის მეთავედში ეტევა ყველაფერი: იმის გაცნობიერება, რომ შეჯახება ტექნიკურად გარდაუვალა და ის რაღაც აუხსნელიც (ღმერთის ნილი), რომლის წყალობითაც შეჯახება არ ხდება.

მაგრამ ამ ეპიზოდში ფიზიკური სიჩქარე კი არ გვანტერესებს, არამედ - კავშირი ფიზიკურსა და გონებრივ სისწრაფეს შორის. ეს კავშირი აინტერესება დე ჟუინსის თაობის ერთ დიდ ოპტიკურ მოქსაც. ახალგაზრდა ჯაკომო ლეონარდო, სახლში გამოკეტილი და მარად სევდიანი, ერთგან მისთვის უჩვეულო ხალისით წერს: "სისწრაფე, მაგალითად, ცხენით თავდავინებულ კჭნების სისწრაფე, ნანა-



ხიქნება თუ პირადად განცდილი, (...) თავისთავად სასიამოვნოა, რადგან ეს შეგრძნება ულვეი სიცოცხლით, ენერგიით, ძალით აგვავსებს. სისწრაფე უსასრულობის იდეას აღვივებს ადამიანში, სულს ამაღლებს, აღვივებს..." ("ძიბაღონე", 27 ოქტომბერი, 1821 წ.)

"ძიბაღონეს" შენიშვნებში, რომლებიც მოგვიანებითა დაწერილი, ლეოპარდი კვლავ უბრუნდება სისწრაფეს, როცა სტილზე ლაპარაკობს: "სტილის სისხარტე, მკაფიოობა მომზიბდავია, რადგან აზრების უსასრულო კორინატელს აშლის, რომლებიც იმდენად სწრაფად ენაცვლებიან ერთმანეთს, რომ სინქრონული გვეჩვენება; სისწრაფე აზრების, შეგრძნებების, სურათ-ხატების ისეთ მრავალფეროვნებაში არწევს ჩვენს სულს, რომ ის ვერც ყველა ერთად აღიქვამს და ვერც - რომელიმეს ცალკე. მაგრამ ნამითაც არ რჩება გულხელებდაკრეფილი, შეგრძნებებისგან დაცვილი და მოსვენებული. პოეტური სტილის ძალა მხოლოდ სისწრაფეშია, მხოლოდ ამით გვანიჭებს ნეტარებას. აზრები, შეიძლება რომელიმე ერთმა, სწორად შერჩეულმა სიტყვამ აგვიმალოს, რომელიცა მეტაფორამ, წინადადებაში სიტყვათა განსაკუთრებულმა განლაგებამ, ან თავად ფრაზის თავისებურმა აგებამ, შეკუმშვამ, დანმენდამ და ასე შემდეგ." (3 ნოემბერი, 1821 წ.).

გონებრივი სისწრაფისთვის ცხენის მეტაფორა, ვფიქრობ, პირველად გალილეო გალილეიმ გამოიყენა. "სინჯის ოსტაძში", როცა მეტოქეს ეკამათებდა, რომელიც კლასიკურ ლიტერატურის იმედიებს თავისი მოსაზრების დასაცავად, გალილეო წერს:

"რომ შეიძლებოდას რთული მსჯელობა სიმძიმების ანეკას შევადაროთ (მაგ: ცხადია, რომ ბევრი ცხენი მეტ ტომარას აიკიდებს, ვიდრე ერთი), დაგეთანხმებოდით, რომ ბევრი ლაპარაკი სჯობს სიტყვაძუნწობას. მაგრამ ლაპარაკი სირბილს უფრო ჰგავს, ვიდრე ტვირთის ტარებას: ერთი ბედაური უკეთ დარბის, ვიდრე ასი ჯავაღაი"(45).

"ლაპარაკი", "მსჯელობა", გალილეოსთვის აზროვნებას ნიშნავს და ხშირად - დედუქციურ აზროვნებას. "ლაპარაკი სირბილს ჰგავს" - ეს გალილეოს ერთგვარი სტილიზებული პროვოკაციაა. სტილი, როგორც აზროვნების მეთოდი, როგორც ლიტერატურული გემოვნება, სხარტე, მოქნილი, მოხდენილი აზრი, ლაკონურად წარმოჩენილი არგუმენტები, მაგრამ ამავე დროს მდიდარი, მრავალფეროვანი მაგალითების მოყვანის უნარი: ესაა გალილეოსთვის კარგი აზროვნების მთავარი მახასიათებლები.

გალილეოს მეტაფორებსა და აზრობრივ ექსპერიმენტებში ცხენის სიყვარული აშკარაა: ერთი კვლევაში, რომელიც გალილეოს მეტაფორებს მივუძღვენე, თერთმეტი მაგალითი მომყავს, სადაც გალილეო ცხენს ახსენებს. მისთვის ცხენი მოძრაობის განსახიერება და, ამრიგად, კინეტიკის ექსპერიმენტების ობიექტია, ბუნების ქმნილება მთელი თავისი კომპლექსურობითა და მშვენიერებით, არსება, რომელიც საოცარ ვასაქანს აძლევს ფანტაზიას და წარმოუდგენელ არსებებს ახატვინებს: ენით აღუწერიელი ზომებისა თუ მსაძლებლობების ცხენებს.

სწორედ ცხენი უზიბდებს გალილეოს, მსჯელობა თვისებრივად სირბილთან გააიგივოს.

გალილეოს ნაშრომში "დილოგი სამყაროს ორ ძირითად სისტემას შორის" აზრის სისწრაფეს საგრედო განსახიერებს, პერსონაჟი, რომელიც ჰქონლებს მიმდევარ სიმბოლოსა და კოპერნიკის მიმდევარ სალვიატის შორის გამართულ კამათში ერთეგება. სალვიატი და საგრედო გალილეოს ბუნების ორ განსხვავებულ მხარეს განსახიერებენ: სალვიატი მკაცრი, ლოგიკური აზროვნების კაცია, დინჯი, ფრთხილი; საგრედო კი "სხაპასუხით ლაპარაკობს", მდიდარი ნარმოსახვა აქვს, დაუსაბუთებელ მოსაზრებებსაც ხშირად გამოთქვამს და ყოველთვის, ყველანაირ იდეას უკიდურესობამდე ავითარებს: მაგალითად, წარმოიდგენს სიცოცხლეს მთვარეზე ან იმას, თუ რა მოხდება, დედამინამ რომ ბრუნვა შეწყვიტოს.

მაგრამ სწორედ სალვიატი განსაზღვრავს ღირებულებათა სკალას, რომელზეც გალილეოსთვის გონების სისწრაფეა განთავსებული: სწრაფად, მყისიერად, "გადანსლების" გარეშე მხოლოდ ლტოლური გონება აზროვნებს, რომლის შესაძლებლობებიც უსაზღვროდ აღემატება ადამიანის გონებისას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანის გონება მდაბალია: ის ხომ ღმერთის ნაქმნილია და ყოველივე, რასაც ადამიანის გონება შეეძენა-ნაბეჯ აკვლევდა, შეიცნობდა და სწვდებოდა საუკუნეთა მანძილზე, აღფრთოვანებას იმსახურებს. ამ დროს საუბარში საგრედო ერთეგება და ხოტბას ასხამს უდიდეს ადამიანურ გამოგონანს, ანბანს ("დილოგი სამყაროს ორ ძირითად სისტემას შორის", პირველი დღის დასასაბუთო):

განა ნებისმიერ ვასაოცარ აღმოჩენაზე მეტად არ აღგვაფრთოვანებს იმ გონების ბრწყინვალეობა, რომელმაც მოიფიქრა, როგორ გადაეცა თავისი ნააზრევი ნებისმიერი სხვა, თუნდაც დროში უსაზღვროდ დამორბეული, ადამიანისთვის? მოიფიქრო გზა, როგორ ესაუბრო ინდოეთის მცხოვრებთ, ან მათ, ვინც ჯერ არც კი შობილა და შესაძლოა, ათასი, ან სულაც ათი ათასი წლის შემდეგ დაიბადოს? თანაც - ესაუბრო ასე მარტივად... სულ რაღაც ოციოდე ასო-ნიშნის სხვადასხვაგვარად დალაგებით...

სიმსუბუქის შესახებ ჩემს წინა ლექციაში ლუკრეციუსი ვახსენე, რომელიც ანბანის კომბინატორიკაში მატერიის ატომური სტრუქტურის მოდელს ხედავდა; დღეს გალილეოს სიტყვები მომიყვანე, რომელიც ანბანის კომბინატორიკას (...ოციოდე ასო-ნიშნის სხვადასხვაგვარად დალაგებით...) კომუნიკაციის უმაღლეს საშუალებად მიიჩნევდა. გალილეო სივრცესა და დროში დამორბეულ ადამიანებს შორის კომუნიკაციაზე ლაპარაკობს, მე "მყისიერსაც" დავამატებდ: ანბანი, წერის შესაძლებლობა სწორედ მყისიერ კავშირს ამყარებს ყოველივე არსებულსა და ჯერ არარსებულს შორის.

ამ ლექციების მიზანია, მომავალი ათასწლეულისთვის ის ფასეულობები შევარჩიო, რომელიც ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია. ფასეულობა, რომელზეც დღეს მინდა ვილაპარაკო, სწორედ ესაა:

უსაზღვრო არეალის მქონე, უსწრაფესი მედიასა-შუალედების ეპოქაში, როცა არის საშიშროება, რომ ყოველგვარი კომუნიკაცია სწორხაზოვანი და ერთფეროვანი გახდეს, ლიტერატურის ფუნქცია განსხვავებულთან კომუნიკაცია, სწორედ განსხვავებულობის, განსხვავებების მკვეთრად წარმოჩენით, წერილობითი ენის უნიკალური შესაძლებლობებით.

მოტორიზაციის ეპოქამ სისწრაფე გაზოგადებინა მნიშვნელობად აქცია, რომლის რეკორდები ადამიანური და ტექნოლოგიური პროგრესის ისტორიას რჩება. მაგრამ გონების სისწრაფე ვერ გაიზომება და მასში გააპყრობება შეუძლებელი კონკურსის ან შეჯიბრის ფორმით. ისტორიას ვერ შემორჩება მისი რიცხვითი მონაცემები. გონებრივი სისწრაფე თავისთავადაა ღირებული და მხოლოდ იმთა ანიჭებს ტკბობას, ვისაც ამ ტკბობის მიღების უნარი და მგრძობელობა გააჩნია. გონებრივი სისხარტის პრაქტიკული გამოყენება არ არსებობს, სწრაფი აზროვნება სულაც არ ნიშნავს, რომ ის ყოველთვის სჯობა მოზომილსა და ფრთხილს. მაგრამ ასეთი აზროვნება გადმოგვცემს რალაცას, რაც მხოლოდ მის სისხარტშია.

თავიდანვე ვთქვი, რომ ღირებულებები, რომლებიც ჩემი ლექციების თემებზეა ავირჩიე, არავითარ შემთხვევაში არ აკნინებს საპირისპირო ღირებულებას. სიმსუბუქის აპოლოგია გულისხმობდა ჩემს მოწინააღმდეგეს; არც სისწრაფის ხოტბა უარყოფს სიდიდის მშვენიერებას და მისით მიღებულ ნეტარებას. ლიტერატურამ ათასგვარი ხერხი შემოქმედა დროის მსვლელობის შესანელებლად. უკვე ვახსენე გამოკრება. უნდა ვახსენო გადახვევა.

რეალურ ცხოვრებაში დრო სიმდიდრეა, რომლის ფლანგვას ძალიან ვუფრთხობი. ლიტერატურაში კი დრო სიმდიდრეა, რომელსაც ლაღად განცკარავთ: აქ მთავარი მიზანთან სწრაფად მისვლა სულაც არაა. პირიქით, დროის ეკონომია იმიტომაც კარგი, რომ რაც მეტ დროს დაეზოგავთ, მით მეტი დრო გვექნება დასაკარგად. სტილისტური, აზრობრივი სისწრაფე პირველ რიგში ყველაწილობას, სისხარტს, სილაღს ნიშნავს; ყველა ეს თვისება კი წერის ისეთ მანერას ახასიათებს, რომლისთვისაც ნაცნობია ბუნდოვანება, თემასთან დაშორება, ერთი საკითხიდან მეორეზე გადახტომა, თხრობის ხაზის ასჯერ დაკარგვა და ხანგრძლივი ძიების შემდეგ მასთან დაბრუნება.

ლორენს სტერნის დიდი მიგნება იყო მთლიანად გადახვევითი ავტობიოგრაფი; მავალითი, რომელიც მალევე გამოიყენა დიდრომ. თემიდან გადახვევა სტრატეგიაა ფინალის მაქსიმალურად შორს გადასანადგურად, ნაწარმოების შინაგანი დროის გასანელება. გადახვევა გაქცევაა. რისგან? ცხადია, სიკვდილისგან - ამბობს "ტრისტრამ შენდის" ნინათქმაში იტალიელი მწერალი კარლო ლევი, რომელიც სტერნის თავყანსმცემელი ნამდვილად არაა, მაგრამ მისი საიდუმლოც სწორედ გადახვევების სიყვარულია, შეუზღუდავი დროის შევრძენება, მაშინაც კი, როცა სოციალურ პრობლემებზე მსჯელობს.

„საათი შენდის პირველი სიმბოლოა“, წერდა კარლო ლევი. მართლაც, საათი შენდის ყვე-

ლა პერიპეტეიას თან ახლავს, დაბადებიდან მოყოლებული. „სიკვდილი საათებში იმალება“, ამბობდა ბელი. და ადამიანის ცხოვრების - დროის ამ პაქანთან ნახსლეთის - ბედკრულობაც იმაშია, რომ სიკვდილი ვარდაუვალაია. სიკვდილიც ხომ დროა: ერთგვარი გამორკვევის, განმარტოების აბსტრაქტული დრო, რომელიც სადღაც დასასრულისკენ მიდის. ტრისტრამ შენდის დაბადება არ უნდა, რადგან სიკვდილი არ სურს. ყველა საშუალება, ყველა ხერხი მისაღება სიკვდილისაგან, დროისაგან თავის დასაღწევად. სწორი ხარზი ხომ უმოკლესი მანძილია ორ ფაქტურს შორი, გადაუვალ წერტილს შორის: თუ ასეა, მამ გადახვევები ამ მანძილს აგრძელებს. თუ ეს გადახვევები იმდენად რთული, ჩახლართული და სწრაფი იქნება, რომ სიკვდილსაც კვლი აუღრიონ, იქნებ სიკვდილმა ველარც მოგვაცნოს, იქნებ დროს მოვევლით კიდევ და მართაულობა მოვიპოვოთ ხან რომელ და ხანაც - რომელ სამალავს შევარებულებმა.

ეს სიტყვები მაფიქრებს, რადგან ბუნდოვანების, გადახვევ-გადმოხვევის თავყანსმცემელი არ ვარ. მირჩევნია, სწორ ხაზს მივყნო, იმედით, რომ არასოდეს დასრულდეს და ამით გახადოს შეუძლებელი ჩემი მოძებნა. მირჩევნია, სიგარტში გაუთავლო ჩემი გაქცევის ტრაექტორია და იმ მომენტს დაველოდო, როცა შეძლება, ისარივით გავიტყორცნო და პორიზონტს მიძღვა გაუფიხრადე. ან, თუ მეტიც მეტად ბევრი დაბრკოლება გადამივლია, ის სწორი გზები დავინახო, რომლებიც შექმლებისდაგვარად უმოკლეს დროში გამოიყვანს ლაბირინთიდან.

ახალგაზრდობიდანვე ავირჩიე დევიზად უძველესი ლათინური გამოთქმა **Festina lente** - იქაერე ნელა. ალბათ, სიტყვებსა და შინაარსზე მეტად სიმბოლოები მზიზღავდა და მიზიდავდა. გასსოთ ალბათ, დიდი ვნებციელი ჭუმანისედი და გამოცემელი, აღდუს მანუციუსი ყველა ნივინს ყდაზე ათავსებდა ამ გამოთქმას - **Festina lente** - დელფინის გამოსახულებასთან ერთად, რომელიც ლუზას ეთამაშება. მიმივ, შეუპოვარ ინტელექტუალურ შრომას განასახიერებს ეს მოხდენილი გრაფიკული ნიშანი, რომელზეც ვრახზ როტერდამელი თავის უკვდავ ნაშრომში საუბრობდა. მაგრამ დელოფინიც და ლუზაც ზღვასთან დაკავშირებულ, ჰემოციურ სიმბოლოთა სამყაროს ეკუთვნის. მე კი ყოველთვის ისეთი სიმბოლოები მიზიდავდა, რომლებიც ერთმანეთთან შეუთავსებელ, ამოუცნობ სურათ-ხატებს აერთიანებენ, როგორც რტუხუხები. მავალითად, პეპელა და კიბორჩხალა, რომლებიც სწორედ **Festina lente**-ს განასახიერებენ მეთექვსმეტე საუკუნის, პაოლო ჯოვინოს მიერ შედგენილი, სიმბოლოთა კრებულში: ორი ცხოველი, ორივე უცნაური და თან ხიმეტრიული, რომლებიც, ერთად, რალაც იღუბალ, მოულოდნელ ჰარმონიას ქმნიან.

როგორც მწერალი, მუდამ ვაყურადებდი, ვაკვირდებოდი აზრის ელვისებურ გაქცევებს, რომელიც დროსა და სივრცეში დაშორებულ წერტილებს იჭერს და ერთმანეთთან აკავშირებს. სათავგადასავლო სიუჟეტისა და ზღაპრის სიყვარულის გამო

მოდელ ვეებები შინაგანი ენერჯის, გონებრივი მოძრაობის ეკვივალენტს. წარმოსახვაზე, სურათ-ხატზე შეეჯერე ყურადღება: მოძრაობაზე, რომელიც ბუნებრივად იბადება გამოსახულებიდან, თუშეა კარგად ვიცოდ, რომ შეუძლებელია, რამე თქვა ლიტერატურულ შედეგზე იქამდე, სანამ სურათ-ხატების ეს ნაკადი სიტყვად არ იქცევა. პროზაშიც და პოეზიაშიც წარმატება სწორ სიტყვათშეხამებას ნიშნავს, რომელიც ხანდახან სიტყვადღურად, თავისთავად, ბუნებრივად ჩამოიღვრება ქალაქზე, მაგრამ, როგორც წესი, ეს პროცესი "საჭირო სიტყვის" ხანგრძლივ, გულმოდგინე ძიებას ნიშნავს, იმ ფრთხის მიგნებას, რომელშიც თითოეული სიტყვა შეუცვლელია, ჟღერადობისა და აზრის ისეთ ურთიერთშეხამებას, რომელიც ყველაზე ქმედითი და შინაარსით ყველაზე დატვირთულია. დარწმუნებული ვარ, რომ პროზაში წერა ლექსად წერისგან არ განსხვავდება. ირივე შემთხვევაში საჭირო, ერთადერთ გამართმას ეძებ: ერთადერთს, დატვირთულს, ღრმას, მკაფიოს, ნათელს, სხარტსა და დაუფიქრავს.

ძნელია ამ მუხტის შენარჩუნება დიდტანიან ნაწარმოებში. ხასიათიდან გამომდინარე, პირადად მე მოკლე ტექსტში უკეთ გამოხატავს სათქმელს. ამას ნათლად დამოწმებს ჩემი შემოქმედება, რომელიც უმეტესწილად მოთხრობებისა და მცირე ზომის ჩანაწერებისგან შედგება. მაგალითად, იმის გაკეთება, რაც "კოსმოკომიკურ ამბებსა" და "ათვისის წერტილში" ვცადე - თხრობით შემეხსა ხორცი სივრცისა და დროის აბსტრაქტული იდებებისთვის - მხოლოდ მოკლე მოთხრობის უკიდურესად შეკუმშულ დროში იყო შესაძლებელი. თუმცა უფრო მცირე ზომის ტექსტებშიც დამინეროა, სადაც თემა მინიმუმამდეა შეკვეცილი: აპოლოგიები, მატარა პროზაული პოემები. ეს ხერხი თავის დროზე "უხილავ ქალაქებში" გამოიყენე, ბოლოს კი - "პალომარშიც". ცხადია, ტექსტის ზომა გარე კრიტერიუმია, მაგრამ მე განსაკუთრებულ სიმჭიდროვეს, სისავსეს ვვლახებ, რომელიც ვრცელ ნაწარმოებშიც მიიღწევა, მაგრამ არსებითად მაინც ერთი გვერდის მასშტაბში არსებობს.

მოკლე ნარატიული ფორმებისადმი ჩემი სიყვარული იტალიური ლიტერატურის ბუნებას შეესაბამება: ის ხომ ღარიბია რომანებით, მაგრამ უმდიდრესია პოეტებით, რომლებიც პროზაშიც საოცარი ექსპრესიულობით გამოირჩევიან და შინაარსისა და წარმოსახვის მაქსიმუმს რამდენიმე გვერდში ატყვენ. ამის ნიმუშად ლეოპარდის "ეთიკური ნაწარებები" კმარა: სრულიად განსაკუთრებული ნიჭი, რომლის მსგავსი არცერთ სხვა ლიტერატურაში არ მოიძებნება.

ამერიკულ ლიტერატურას მოკლე მოთხრობის წინყინვალე ტრადიცია აქვს, რომელიც დღემდე ცოცხალია. უფრო მეტიც, ვიტყვი, რომ სწორედ ამ ჟანრმა აჩუქა ამერიკულ ლიტერატურას ნამდვილი მარგალიტები. მაგრამ ხისტი საგამომცემლო მიდგომა ("მოკლე მოთხრობა" ან "რომანი") უგულვებელყოფს მცირე ნაწარმოების სხვა შესაძლებლობებს, რომლებითაც ასე მდიდარია დღე ამერიკული პოეტების - უოლტ უიტმენის, უილიამ კარლოს უილიამსისა თუ სხვათა - პროზაული შემოქმედება.

ნიგნის ბაზრის მოთხოვნების გამო არ უნდა შეწყდეს ექსპერიმენტები, არ უნდა გაქვავდეს და მოკვდეს წერის ახალი ფორმები. ორიოდ სიტყვა მინდა ვთქვა მოკლე ტექსტის სტილისტურ და შინაარსობრივ სისავსის, სიმდიდრის სასარგებლოდ. მაგონდება პოლ ვალერის "ბატონი ტესტი" და სხვა ესეები, ფრანსის პონჟის პროზაული პოემები, მიშელ ლიონის ენობრივი ძიებები, ანრი მიშოს უმოკლესი მოთხრობების იდუმალი, ჰალუცინაციური იუმორი კრებულში "პლუმი".

ლიტერატურული ფორმების სამყაროში უკანასკნელი დიდი აღმოჩენა ლაკონური წერის დიდოსტატს, ხორხე ლუის ბორხესს ეკუთვნის: ეს იყო ბორხესის მიერ საკუთარი თავის, როგორც პროზაიკოსის აღმოჩენა. ბორხესმა გადალახა ბარიერი, რომელიც ორმოცი წლის ასაკამდე აბრკოლებდა და არ აძლევდა ესეისტური პროზიდან მხატვრულ პროზაზე გადასვლის საშუალებას და გადანყვიტა, თავისი ნიჭი ვიღაც სხვის მიერ, ოდესღაც, სადაც, სხვა ენაზე, სხვა კულტურის წიაღში დაწერილად ეჩვენებინა მკითხველისთვის, საკუთარი თავი კი ავტორად კი არა, ამ ნიგნის ერთგვარ მიმომხილველად, კომენტატორად წარმოეჩინა. ასე დაწერილი პირველი შთამბეჭდავი ისტორია, "ალოტრასიმთან მიახლოება", რომელიც 1940 წელს ეწერა "სურში" დაიბეჭდა, მკითხველს მართლა ყოვნა უცნობი ინდოელი ავტორის ნიგნის რეცენზია. ბორხესის განხილვისას, როგორც წესი, აღნიშნავენ, რომ მისი ყველა ტექსტი აორზმავს თუ ზრდის საკუთარ სივრცეს რაღაც, წარმოსახვითი თუ რეალური ბიბლიოთეკის კლასიკური, სამეცნიერო თუ მხატვრული ტექსტები. მაგრამ მე ყველაზე მეტად იმაზე მინდა გავამახვილო ყურადღება, თუ როგორ არღვევს ბორხესი უსასრულობას ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, თავისი გამჭვირვალე, მკაფიო, ფხიზელი წერის მანერით. როგორ აყალიბებს მისი ლაკონური, სრულიად განსხვავებული ხედვის რაკურსი თხრობის უზუსტეს, უკონკრეტულეს მანერას, რომლის ეფექტურობა რიტმის მრავალფეროვნებაში, სპეციფიკურ სინტაქსურ სვლაში, სრულიად მოულოდნელ, გამაოგნებელ ზედსართავებში ვლინდება. ბორხესის ხელში ლიტერატურა კვადრატში ადის და ამავე დროს კვადრატული ფესვი ამოჰყავს საკუთარი თავიდან, მის ხელში იბადება "პოეტციური ლიტერატურა", თუ ფრანგებს დავესხებებით გამოთქმას. ეს ტერმინი მოგვიანებით ახსენეს, მაგრამ მისი ჩანასახი უკვე "ფიციებში" გვხვდება, გამოგონილი ავტორის, ჰერბერტ ქუინის, აზრებსა და განმონათქვამებში.

ლაკონურება მხოლოდ ნაწილია იმისა, რაზეც მინდოდა ლაპარაკი. მხოლოდ იმას გეტყვი, რომ ვოცნებობ, შეიქმნას ეპიგრამის ზომის კოსმოლოგიური ნაწარმოები, საცხები და ეპოემები. მომავალში დროის სულ უფრო მწვავე დეფიციტი გველის და ლიტერატურაში მაქსიმალურად უნდა იყოს კონცენტრირებული აზრიცა და პოეზიაც.

ბორხესმა და ბოი კასარესმა "მოკლე და დაუჯერებელი მოხრობების ანთოლოგია" შეადგინეს. მე კი ერთნაზდადებოიანი, ან სულაც ერთსტრიქოინიანი, მოთხრობების კრებულის შედგენაზე ვოც-

ნებოდა. მაგრამ ჯერ არ შემხვედრია ისეთი, გვატყე-  
ნალები მწერლის, აუგუსტო მონტეროსოსას რომ  
სჯობდეს: "გამოღვიძებულს დინობაერი ისევ იქ  
დახვდა".

ვხედობი, რომ ეს ლექცია, რომელიც უხილავ  
კავშირებს მიუძღვენი, მეტისმეტად დაიქაჟსა და  
მეშინია, აზრიც არ დაიფანტოს. ვფიქრობ, მესაძ-  
ლებელია, გაერთიანდეს ყველაფერი, რაზეც ამ ლექ-  
ციამ ვილაპარაკე და ალბათ ისიც, რასაც წინა ლექ-  
ცია მიუძღვანი: ამ ყველაფერს ხომ ოლიმპოს ერ-  
თი ღმერთი განაგებს, რომელსაც განსაკუთრებუ-  
ლად ვეთაყვანები: ჰერმეს-მერკური, ურთიერთო-  
ბისა და შუამავლობის ღმერთი, რომელიც თითქმის -  
დამწერლობის გამომგონებლის - სახელითა ცნო-  
ბილი და რომელიც, როგორც იუნჯე ამბობს თავის  
ნაშრომებში ალქიმის სიმბოლიკაზე, ვერცხლის-  
წყლის ორთქლის სახით, "ინდივიდუალის პრინციპ-  
საც" წარმოადგენს.

ფეხებზე ფრთებგამოსხმული მერკური, მსუბუ-  
ქი, ჰაეროვანი, მოქნილი და ლალი, ღმერთებს ერ-  
თმანეთთან აკავშირებს, ადამიანებს კი - ღმერთებ-  
თან; უნივერსალურ კანონებს - ინდივიდუალურ  
შემთხვევებთან, ბუნების ძალებს - განსხვავებულ  
კულტურებთან, სამყაროში არსებულ საგნებსა და  
ნივთებს - მოაზროვნე არსებებთან. განა მოიძებნე-  
ბა უკეთესი მეთაველი ჩემი ლიტერატურული მო-  
საზრებებისთვის?

ანტიკურ სწავლებლაში, სადაც მიკროკოსმოსი და  
მაკროკოსმოსი ფსიქოლოგიურ და ასტროლოგი-  
ურ შესაბამისობებში აისახება, განწყობების, ტემ-  
პერამენტების, პლანეტებისა და ვარსკვლავების  
მიხედვით, მერკურის მდგომარეობა ყველაზე არამ-  
დგრადი და ბუნდოვანია. თუმცა, გავრცელებული  
მოსაზრების თანახმად, მერკურის ზემოქმედების  
ქვეშ მყოფ ადამიანებს ვაჭრობა, გაცვლა-გამოც-  
ვლა ეხერხებათ, რაც სრულიად უპირისპირდება სა-  
ტურნის ზეგავლენის ქვეშ მყოფთა ხასიათს: მელან-  
ქოლიურს, მჭკრეტელს, მარტოსულს. უძველესი  
დროიდან ითვლება, რომ სატურნის ტემპერამენტი  
ხელოვანებს, პოეტებს, მოაზროვნეებს აქვთ და ეს  
მოსაზრება, ვფიქრობ, მართლა ჰყავს სიმართლეს.  
ექვი არაა, ლიტერატურა არ იარსებებდა, ადამიან-  
თა ნაწილი გულჩახვეული და მარტოსული რომ არ  
ყოფილიყო, გარემომცველი სამყაროთი უკმაყოფი-  
ლო, უდრტყინველა, დღეობით, თეობით უხმოდ  
ჩაჩრებული მუნჯ სიტყვათა უძრავობას. ესადა,  
ჩემი ხასიათიც ირეკლება იმ კატეგორიის ტრადი-  
ციულ მახასიათებლებში, რომელსაც ვეკუთვნი: მუ-  
დამ სატურნის ტიპი ვიყავი, რომელი ნიღბის მორ-  
გავებაც არ უნდა მეცადა ცხოვრებაში. მერკურისად-  
მი ჩემი თაყვანისცემა კი ალბათ უფრო გატაცებით,  
სიყვარულით, ლტოლვით აიხსნება: სატურნის ბი-  
ნადარი ვარ, რომელიც მერკურის თვისებებზე ოც-  
ნებობს და ეს დაუოკებელი სურვილი ყველაფერში  
იგრძნობა, რასაც ვწერ.

სატურნ-კრონოსის ზეგავლენის ქვეშ ვარ, მაგ-  
რამ ის ჩემი ღმერთი არასოდეს ყოფილა. მოკრძა-  
ლებისა და შიშის გარდა, მისდამი არაფერი მიგ-  
რძნია. სამაგიეროდ, არსებობს სხვა ღვთაება, რო-  
მელიც სატურნს ჰყავს, მას ენათესავება და რომე-

ლიც განსაკუთრებულად მიყვარს, ღმერთი, რო-  
მელსაც არც ასტროლოგიური თვალსაზრისით აქვს  
დიდი წონა და, შესაბამისად, არც ფსიქოლოგი-  
ურით, რადგან შვიდი ციური სხეულიდან არცერთს  
არ ჰქვია მისი სახელი. სამაგიეროდ, ეს ღვთაება,  
პრომეოსის დროიდან მოყოლებული, ძალიან უყ-  
ვარს ლიტერატურას: ვულკანოს-ჰეგესტოს ვულ-  
ლისხმობ, ღვთაებას, რომელიც ცაში კი არა, კრა-  
ტერის ფსკერზე ცხოვრობს, სამჭედლოში შექცე-  
ლია და დაუღალავად შრომობს: ათასგანრი ნივთს  
ქმნის ღმერთებისათვის: სამკაულს, ივარს, ფრ-  
ხმალს, ბადესა თუ ხაფანგს. მერკურის მსუბუქ ნა-  
ვარდს ვულკანოსი მძიმე ნაბიჯით, ჩაქურჩის ნელი  
და მონოტონური დარტყვით უპირისპირდება.

ისევ შემთხვევით ნაკითხული უნდა მოვიგვე-  
ლიო. ხანდახან სწორედ შემთხვევით, ზერელედ  
თვალჩაერული უცნაური წიგნი გვეკარნახობს აზრს,  
რომელიც გონებას გაგვიანათებს; წიგნი, რომელსაც  
აკადემიურ გამოცემის შორის ადგილს ვერაფერი  
მიუჩენ. ანდრე ვირელის წიგნს ვგულისხმობ, "ჩვე-  
ნი სურათ-ხატების ისტორია" (ყენებ, 1965). ბან-  
ქის ქალაქის სიმბოლიკაზე რომ ვმუშაობდი, მა-  
შინ ნაკითხე. ავტორი, კოლექტორი (ცნობიერ-  
ების მკვლევარი (ფიქრობ, იუნგის სკოლის), მიჩ-  
ნევს, რომ მერკური და ვულკანოსი ერთმანეთის-  
გან განუყოფელ, ერთმანეთის შემავსებელ სასო-  
ცოცხლო ფუნქციებს განასახიერებენ: მერკური -  
პარმონიას, გარემომცველ სამყაროსთან შეთავსე-  
ბას, ხოლო ვულკანოსი - კონკრეტულობას, ქმედით,  
კონსტრუქციულ ძალისხმევას. მერკურიცა და ვულ-  
კანოსიც იუპიტერის შვილები არიან, მაგრამ ადვილს  
მზრიდან მერკური ურანს ენათესავება და მისგან  
გამოჰყვა "ციკლოპენია", ვულკანოსი კი სატურ-  
ნის შთამომავალია და "შიზოპენია" მისმა მემ-  
კიდრეობამ განაპირობა. მერკურისა და ვულკანოსის  
იუპიტერის წონასწორობა და სინათლე აერთი-  
ანებთ, რომელშიც ინარჩუნებენ შთამომავლობით  
გადმოყოლილ სწულებათა ნიშნებს, მაგრამ აკე-  
თილშობილებენ და ღირსებად - პარმონიად და  
ქმედითობად - გარდაქმნიან მათ.

როცა ვერკურისა და ვულკანოსის დაპირისპი-  
რებისა და ურთიერთშეხვედლობის ეს ახსნა ნაკი-  
თხე, იმას მივხვდი, რასაც ადრე მხოლოდ გუზა-  
ნით, ბუნდოვნად ვგრძნობდი: მივხვდი, როგორი ვარ  
და როგორი მინდა ვიყო, როგორ ვწერ და როგორ  
შემიძლია ვწერდე. ვულკანოსის კონკრეტულობა,  
კონცენტრირებულობა, ხელმარჯვეობა აუცილებე-  
ლია მერკურის თავგადასავლებისა და მეტამორ-  
ფოზების ასაღწერად. მერკურის მორაობა და სის-  
წრაფე კი აუცილებელია იმისთვის, რომ ვულკანო-  
სის ხანგრძლივმა, მძიმე შრომამ შინარსი შეიძი-  
ნოს და უფორმო, მინერალური მასალიდან ღმერ-  
თების განუყოფელი ატრიბუტები შვას: ციტრები  
და სამქილები, შუბები და დაიდებები. მწერლის  
ხელობა დროის სხვადასხვა შრეებს უნდა ითვალის-  
წინებდეს: მისთვის მნიშვნელოვანია მერკურის ტემ-  
პიც და ვულკანოსის ტემპიც; მყისიერებაც, რომელ-  
საც მოთმინებით აღსავსე, ნელი, გაზომილი მოქმე-  
დებები ესწმის ხორცე; ელვისებური ინტუიციაც,  
რომელიც, ჩნდება თუ არა, მამნივე იქცევა რალა-

ცად, რაც სხვაგვარად ვერ იქნებოდა; და დროც, რომელიც მხოლოდ იმიტომ მიედინება, რომ მომნიშვნება, დალექვა აცადოს გრძნობებსა და ფიქრებს: დრო, რომლისთვისაც სრულიად უცხოა ყოველივე, რაც მოუსვენარი, სულსწრაფი და წარმავალია.


ეს ლექცია ამბის მოყოლით დაიწყო და ნება მომეცით, ასევე დავასრულო. ჩინურ ამბავს მოგიყვებით:

ბევრ სხვა ღირსებასთან ერთად ჩუანგ-ცუს ხატ-

ვის ნიჭიც ჰქონდა. მეფემ კიბორჩხალას დახატვა უბრძანა. ჩუანგ-ცუმ ამისთვის ხუთი წელიწადი, ვეებერთელა სასახლე და თორმეტი მსახური ითხოვა. ხუთი წელი რომ მიიღია, აღმოჩნდა, რომ ჩუანგ-ცუს ხატვა არც კი დაეწყო. კიდევ ხუთი წელი მჭირდებაო. მეფემ მისცა დრო. როცა მეათე წელიც მიიწურა, ჩუანგ-ცუმ ფუნჯი აიღო და წამში, ხელის ერთი მოსმით დახატა კიბორჩხალა. ისეთი მშვენიერი, როგორც არასოდეს არავის ენახა.



ქეთო ნინიძე  
Versus ანუ მოქცევა



შალვა ბაკურაძე, დასდებელნი წმინდისა აღდგომისანი (ლექსები), თბ. საუნჯე, 2013.

„პოეზიას არ ვკითხულობთ და ვქმნით იმიტომ, რომ ეს მაგარი რამეა... პოეზიას ვკითხულობთ და ვქმნით იმიტომ, რომ ჩვენ ვართ კაცთა მოდგმის შვილები. კაცთა მოდგმა კი ვენებებითა აღსავსე. მედიცინა, მართლმსაჯულება, ბიზნესი, საინჟინრო ხელობა - ეს კეთილშობილი საქმიანობებია, რაც აუცილებელია სიცოცხლის განგრძობადობისთვის, მაგრამ პოეზია, მშვენიერება, რომანტიკა, ტრფობა, ეს ისაა, რისთვისაც ვცოცხლობთ!“ - ჯონ კიტინგი განუცხადებს ველტონის ელიტური აკადემიის „წარმატებულ მოსწავლეებს“.

ვენებებით და სიცოცხლის წყურვილით იმიტომ დავიწყე, რომ შალვა ბაკურაძის პოეტური კრებული - „დასდებელნი წმინდისა აღდგომისანი“ არტიკულირებს სწორედ ავტორის პერსონალური, ნაციონალური და საკაცობრივი ვენებებით და ამ ხმებს, პლასტებს შორის ზღვარდამდებელი ხაზი რამდენადმე გარდამავალიცაა და პირობითიც, როგორც მისი „წინაპრის“, დავით გურამიშვილის პოეზიაში. თითოეული მეტაფორა, ანდა, უფრო მცირედად პოეტური მოტიფები - სიტყვა, ერთგვარი, ღია ჭრილობაა, რაც ამ ტექსტების სიცოცხლისუნარიანობისა და ავტორის მიდგომის - მისი განცდების სიმძაფრის განმსაზღვრელია. სიტყვას, როგორც მასალას ბაკურაძის პოეზიაში ემოციური, გრძობისმიერი

ჟღერადობა აქვს, რისი მდიდარი გამოცდილება არსებობს ქართულ ლიტერატურაში.

კრებულში პულსირებს ბოლო 20-25 წლის მანძილზე ჩვენი საზოგადოებისთვის მგრძობიარე თემები, რომელთა რეფლექსია ლიტერატურაში, განსაკუთრებით, პოეტურ შემოქმედებაში, მაინცდამაინც დიდი მასშტაბით არ მიმდინარეობდა. ომი კრებულის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა, რომლის სხვადასხვა მოდლობაში, სხვადასხვა ასპექტით წარმოდგენა კონცეპტუალურად ამოლიანებს კრებულს. ომი ხან ტექსტის პროტაგონისტის როლით იჭრება ტექსტში, ან, უბრალოდ, ანტურაჟის ფუნქციას ასრულებს, როგორც კულტურული და უახლოესი ისტორიის მუხსიერების სიმბოლო. ხან პოეტური ტექსტის თემა და ფილოსოფიური გააზრების საგანი. ამ შემთხვევაში, წინ წამოინევა დროის (ყოფიერების დრო, ლიტურგიკული დრო, მარადისობა - ესქატოლოგიური დრო), ამოების, სიკვდილ-სიცოცხლის საზრისში ჩაღრმავების საინტერესო მცდელობები, რაც შუა საუკუნეებისა და რომანტიზმის პოეტურ გამოცდილებებთან კავშირებს წარმოაჩენს, ზოგჯერ კი მცირე ეთნოსისა და პიროვნების, როგორც ინდივიდის, როგორც კულტურის მარგინალური სუბიექტის ეგზისტენციალური შიშების ჟღერადობას იძენს.

„ჩვენ კი ვავიხსენეთ ისტორიის სახელმძღვანელო

და სკოლაში დაზებირებული ლექსები და ყოველ შემხვედრს ცხვირწინ ვუფერიალებდით სამშობლოს სიყვარულს

მოკვდავ მეზობელს ნაჭრის ბურთივით ვტენიდით პირში ჩვენს უმიზეზო უკვდავებას და ნესტიანი სანგრებისაკენ მივთარევედით დასაღვრელ სისხლს საგმირო სხეულებით...“

ეს ალალმართალი განაცხადი განსაკუთრებით მოგვხვდება გულზე შალვა ბაკურაძის ლექსიდან „ქმეზის საკითხავი“, რომელიც ავტორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტექსტია სხვა მრავალი ღირსების გამოც. ამ მონაკვეთში ავტორის სამოქალაქო პოზიცია ჩანს, რაც, ალბათ, საქართველოს უახლესი ისტორიის ტრავმების საუკეთესო ანალიზია ფორმალურ თუ არა, შინაარსობრივი თვალსაზრისით მაინც. ეს მეტაფორები იმ ინფანტილიზმის, ფალსიფიცირებული მესიანისტური რიტორიკისა და ანაკრონული პეროიკის დეკონსტრუქციაა, რაც ხშირად იჩენდა თავს, როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების შეფერხების მიზეზი და რომელზე საუბარიც დიდი სითამამეა ისტორიული მოვლენებისგან ასეთი მცირე დამორჩილების პერიოდში. თუმცა ავტორის მცდელობა, უჭრეტადეს მოვლენებს გარე პერსპექტივით, წარმატებულია, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტებში მისი პირადი ტიპიკულებიც იკითხება. მისი ჭკერება დაუინტერესებელია და არ არის გამუალებული კიტური ანალოგიებით და ბანალური სანტიმენტებით.

თანამედროვე პოეზიას საქართველოში ერთი დიდი ფობია შეეყარა. ძალიან ხშირად ის სირაქლე მასწავლი ვამბედაობით ეცებება აქტუალურ გარემოებებს - რეალებს, პრობლემებს. ის თითქმის ვერ ეკარება ისეთ ღია ჭრილობებს, როგორც არის ომი,

სამოქალაქო დაპირისპირება, კლერიკალიზმი, გაუნათლებლობა, არადა, ამგვარი მცდელობა ჩვენი კულტურული იდენტოფიკაციის ჩამოყალიბების პროცესის საინტერესო ისტორიას შექმნიდა. ეს, ალბათ, რეაქციაა 60-90-იანი წლების ქართულენოვან პოეზიის გამოცდილებაზე, რომელიც დადებითი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ჩივილებით და ქართველური აღტიკინებებით. ამ გამოცდილებამ უარესად უტრირებული და პარადიული ფორმა მიიღო ხმამაღალი კითხვის სალაღობო და ხანადიმე პრაქტიკებში. ეს „დაღლილი სისხლი“ განმწმენდას საჭიროებს, იმიტომ, რომ ეს მყფე პათოზი ადამიანურ ვებებთან, პიროვნების ტკივილებთან არავითარ კავშირში არ არის.


იმ ფონზე, როცა „სამშობლოს“ ცნებას მხოლოდ ნაციონალური და ტერიტორიული მნიშვნელობა ენიჭება და იკარგება სიმბოლური კავშირი „სამშობლოსა“ და „ქვემარტებას“ შორის (გავიხსენოთ მერაბ მამარდაშვილის სიტყვები, რაც მან 1989 წელს ფლარმონიის დიდ დარბაზში წარმოთქვა), ბაკურაძის პოეტური კრებული განსაკუთრებით საყურადღებოა. აქ პირობითია მიჯნა ავტორის პერსონალურ, კულტურულ, საზოგადოებრივ ისტორიებს შორის, რომელთა მიღმა მითოლოგიური და ბიბლიური არქეტიპები ისახება. პერსონალური სანციონებისგან დაცილი „სამშობლო“ უტოპიაა, გამოკონილი „სიცრუის კუნძულია“ ჰუმანისტური პოზიციის პოეტისთვის. „სამშობლო“ შესაძლოა მიწის წინ სასურველი, ან ქვემარტებისკენ ლტოლვის ჭინი უფროა, ვიდრე „დაკარგული ტერიტორია“, როგორც მდგია ენით ჩვენი მესხიერებაში გაფორმდა უკანასკნელი სამოქალაქო ტრავმები.

ფორმალურად და შინაარსობრივად კრებული რელიგიური პოეზიის ტრადიციებიდან იღებს სათავეს. ლექსები აკუსტიკურად ბიბლიის, განსაკუთრებით, ფსალმუნების და ქართული ჰიმნოგრაფიის ენობრივი ველის გავლენითაა შექმნილი. სახეთა პარალელში იმის სამუალებია, რაც ლიტურგიულ ჟღერადობას სძენს ბაკურაძის ტექსტებს. უფრო მეტიც, ხშირად პოეტური ტექსტი და ცნობიერების


ნაკადი, წარმოდგენილი არასაღესო ფორმით, ანტიფონურად ეხმიანება ერთმანეთს. ვერსიფიკაციულად კრებულში წარმოდგენილი სიმღერები (კანცონები) ახლო დგას ქართული მოდერნიზმის პოეტურ გამოცდილებასთან, თუმცა უფრო ხშირად, კონცეპტუალურად - თემატიკით, ტრანზირებად, ტექსტის არქიტექტონიკით რომანტიზმთან კავშირებს ავლენს. გავიხსენოთ შიტმენის შემთხვევა (რომელიც ყველაზე მახლობელია ბაკურაძის პოეტურ პერსპექტივასთან), რომელიც არაერთხელ დაესესხებოდა ბიბლიური ტექსტის კადენსებს.

განსაკუთრებით მთამბეჭდავია ლექსის „საღვთო მან ნისლმან“ რიტმიკა, სადაც პირველ მარცვალზე შეყვება, მონოტონური ფრაზირება და სახეთა პარალელიზმი ზღვის ტალღების მოქცევის ხმაურის ასოციაციას იწვევს მკითხველში: „ზღვამ გამიხილოს მარილი და / ამ მიწიანი ლაყურები / კვლავ ამაძიეროს შენთვის. / რომ შენი ხელი კიდევ ერთხელ, / რომ შენთან ყოფნა კიდევ დიდხანს, / სხვა არაფერი მეტი“. ეს ტექნიკური ილეთი კიდევ უფრო მკაფიოდ აღიქმება, როდესაც ლექსის ავტორისეულ დეკლამაციას ვისმენთ. ზღვა, ისევე როგორც ომი, ბაკურაძის ამ კრებულის ერთ-ერთი მთავარი მეტაფორაა. ზღვა ის ტექსტია, მესხიერებაა, სადაც ცნობიერების ტალღების სახით შემოიჭრება ავტორის ბავშვობა, საქართველოს უახლოესი ისტორია, ადგილობრივი კულტურული არქეტიპები. სხვა ასპექტით, ზღვა იდენტობაა, რაც ამთლიანებს სამშობლოს, პოეზიას, რომანტიზმს, მუსიკას, რელიგიას.

ბაკურაძის საღესო ფრაზები მიზნობრივი, ინტენსიური და მძლავრი ტალღებია. თუკი ზოგადად, საღესო სტრიქონის ეტიმოლოგიას ჩაეხედავთ, ეს შედარება ზუსტად წარმოაჩენს არსს. „სტრიქონი“ მობრუნებას ნიშნავს გარკვეული რიტმული ნაწილის მიმართ, რითიც პოეტური ტექსტი განსხვავდება პროზაული წარწერილი ნარაჯისგან. მიზნობრიობა და ინტენსიობა საოცრად ამთლიანებს კრებულს, რომელიც პოეტური წარმოსახვების მიქცევითა და მოქცევით გადაგვისვის ომისა და ზღვის მესხიერების გაუკვლავ ფსკერზე.



# ჯაბა ზარქუა დიდი უარყოფების ნიგნი



სემუელ ბეკეტი, მოლოი (რომა-ნი). ინგლისურიდან თარგმნეს ზაზა ჭლაძემ და ვიტა ჭუმბურიძემ. თბ. „დიოგენე“, 2014.

ადამიანი სოციალური ცხოველია - როგორ არ მიყვარს ეს მოცემულობა, თუმცა რა გინდა რომ გაანყო. ადამიანები იბადებიან კონკრეტულ გარემოში, კონკრეტული ბეჭკარუნდით. მათი ცხოვრების ფურცელი წინასწარ განერილია და შევსებულია. დიახ, იქ ყველაფერი ააუკვე, ადამიანს ისლა დარჩენია, თითო მიაყოლოს ნაწერს და ჩუმად იდუდღუნოს ტექსტი, რომ რამე არ გამოჩნეს. პო, მასეა - ორ ნელუნადმი ექიმის ლიცენზიას გილებ, ამასობაში ოჯახიც უნდა შეექმნა, შუალედში გერმანიამ ვაპირებთ მინიმუმ ექვსი თვით ნასკლას, სასწავლებლად, ცხადია, მერე იქნება იპოთეკა გავა... ეს ჩემი ფურცელია, რომელსაც ბეჯითად ვასრულებ. ეს მართლაც ასე მოხდება და მე მართლა ბედნიერი ვიქნები, რა სამინებება ამის განალიზება, თუმცა დიდად არ ვნადვლობ, როდესაც ვაცნობიერებ, რომ მართლმე როდი ვარ ასე - ჩვენი, დედამიანის მოსახლეობის აბსოლუტური უმეტესობა, სოციალური ცხოველები, ამგვარად ვცხოვრობთ! ჩვენი ვიბადებით ჩვენი გამზადებული და წინასწარ განერილი ცხოვრებით, სავსე ფურცლებით და ჩვენი არსებობის არ-

სი გახლავით ამ ნაწერის შესრულება, მეტი არაფერი. რაც უფრო იდეალურად შევასრულებთ, მით უფრო კარგ სახელს დავტოვებთ და კმაყოფილები მოვკვებით.

ექიმის ლიცენზია იქით იყოს და რა წერია იმ ფურცელში სხვა? ძირითადად საზოგადოების ყველაზე დამთერუნველი საკითხებია ჩანერილი შიგ. ერთგვარი სტანდარტული, შაბლონური ტექსტია, რომელიც დაახლოებით ასე შეიძლება გამოიყურებოდეს: „ცოლად ქალიშვილი გინდოდეს. ენა, მამული, სარმუნობა. ბინკალზე ისმევა არაყი“ და ა.შ. ეს არის ერთგვარი ჭეშმარიტებების, სიბრძნეებისა და მაქსიმუმის კრებული, რომელიც იძულებული ვართ რომ ვატაროთ და ვავითვალისწინოთ, რადგან ჩვენი ამ კონკრეტული სოციუმის წევრებად ვაგნდით. რაც უფრო კონსერვატიული ღირებულებებით მატარებელია სოციუმი (ვთქვავთ ისეთი, როგორც ბეკეტის ორლანდია იყო ან დღევანდელი საქართველო), მით უფრო მეტად დახუნდულია ეს ფურცელი ჭეშმარიტებებით, გეგმებით, ნორმატივებით... და პირიქით, რაც უფრო ცარიელია ფურცელი, მით უფრო თავისუფალია კონკრეტული ადამიანი და მით ნაკლებადაა სოციალური ცხოველი. სრულიად თავისუფალი ფურცელი არავის აქვს დედამიანის ზურგზე, სამუნხაროდ. სხვა თუ არაფერი, ჩვენი მაინც ვავსებთ მას წინდაწინ (ჩემი ლიცენზიას არ იყოს) და საკუთარ თავს მაინც ვუნესებთ რაღაც ჩარჩოებსა და მოქმედების არეალს.

ამ წერილში მინდა ვესაუბროთ ადამიანებზე, რომლებსაც აბსოლუტურად ცარიელი ფურცლები აქვთ. უფრო სწორი ვიქნები რომ თქვა - ვისაუბროთ ანტიადამიანებზე, ჭეშმარიტ თავისუფლებაზე, ამ თავისუფლების გზაზე და დიდი უარყოფებისა და ეჭვების ნიგნზე, რომელსაც ჰქვია „მოლოი“ და დანერა სემუელ ბეკეტმა. ნიგნი ქართული მშენიერი თარგმანი კი გამოსცა გამომცემლობა „დიოგენე“ 2014 წელს. მორჩა, მსგავსი აუცილებლობებით თავს აღარ შეგანწყენთ, საქმეზე გადავდიეთ.

ნიგნი ორ ნაწილადაა გაყოფილი. პირველ ნაწილში მოლოის ისტორიაა მოთხრობილი, ერთი უცნაური ადამიანის, რომელსაც არაფერი ახსოვს, არაფერი იცის, არაჯანმრთელად გამოიყურება, ძლივს

გადაადგილება გაუმეუბლები ფეხებით და ველოსიპედიით. მოლოის აკვირებული აქვს რომ დედასთან უნდა მივიდეს, თუმცა დედის სახელიც არ იცის წესიერად და, რატომ უნდა მივიდეს მასთან ხომ საერთოდ არა და არ იცის. ამ ნაწილში მოლოი პირველ პირში ყვებათვის მოსაზრებებს უშარავს საკითხთან დაკავშირებით და თან მკითხველი გეგულობს მისი თავგადასავლისა და მოგზაურობის შესახებ. მეორე ნაწილში სხვა პერსონაჟები არიან - მამა-შვილი მორანები. ჟაკ მორანი გეგნტია, რომელსაც დაავალბებენ მოლოის მოძენას. რატომ - კაცმა არ იცის. მამა-შვილი მიემართება მოლოის მოსაძებნად. ეს ნაწილიც პირველ პირშია მოთხრობილი ჟაკ მორანის მიერ და საკმაოდ დინამიურადაა აღწერილი მისი ცხოვრებიდან საინტერესო ეპიზოდები და მათი თავგადასავლები.

როცა იცი - რატომ, ყველაფერი უფრო ადვილია, მაგრამ როცა არ იცი - რატომ? მოლოი არაფერი იცის. მისი მთავარი მამობრებელი ძალა არის დედა, რომელთანაც უნდა მივიდეს. ფრაზა „დედა მისსახულელებად მისვლა“ ჩვენი მზამზარეული კლიშეებია და სტერეოტიპებით რამდენიმე შაბლონს აღვიკვირავს გონებაში - ავადა დედა და უნდა მოინახულოს, უბრალოდ უნდა ნახოს მონატრების გამო, ოჯახური შეკრება და მიდის, კვდება და უკანასკნელად უნდა ნახოს და ა.შ. ყველა ეს სურათ-ხატი ასოცირდება კეთილ და ყურადღებთან შეითან, რომელიც მიდის ასევე კეთილ დედასთან, რომელსაც ან უჭირს, ან არ უჭირს. რა ხდება მოლოის შემთხვევაში? არც არაფერი. მას დედა არ უყვარს. არაფერ უყვარს და ზოგადად მოლოისა და სიყვარული ცალკე ვისაუბრებთ, მაგრამ დედა განსაკუთრებით არ უყვარს. ამცირებს მას, შურაცხყოფს, მაგრამ ის რაც ჩვენივით დამცირებს და შურაცხყოფა, მოლოისთვის შეიძლება არაფერი იყოს. მოლოი აბსოლუტურად სტერილურია დედის მიმართ, პრინციპში ისევე, როგორც სხვა ყველაფრის მიმართ. ყველაზე მთავარია და პარადოქსული - მას ისიც კი არ ახსოვს სად ცხოვრობს დედამისი და უფრო მეტიც, დედა ვინაა ზუსტად, გვეც კი არ იცის. ჩნდება კითხვა - რატომ მიდის აბა დედასთან? თან



ნენის მთელი პირველი ნაწილი მოლოის გზაზეა აგებული. ჩემი აზრით, ეს არის საკვანძო საკითხი ამ ნაწარმოებში და ვეცდები გასაგებად გამოვხატო.

მოლოი არის მექანიკური არსებისა და თავის უფალი ადამიანის იდეალური ნარევი. მისი მექანიკურობა გამოიხატება იმაში, რომ იცის „უნდა“ ნაწილს დედისკენ. ინსტიქტები ექაჩებიან უფრო ან ბიოლოგიური სხვა რამ ნეს-კანონები, ნაკლებად სავარაუდოა „დედა“ სოციალური მნიშვნელობის იპოსტასით იყოს მოლოისთვის მნიშვნელოვანი პერსონა. დედა, როგორც ბიოლოგიური არსება - კი ბატონო. არსება, რომელთანაც ნებისმიერს აქვს მიჯაჭვულობა საკუთარი ნების მიუხედავად. მოლოიმაც კი იცის, რომ სადღაც ვიღაც „დედად“ წოდებული არსებობს და უნდა მივიდეს მასთან. მეტი არაფერი აღნიშნავს. არც იცის რატომ უნდა ქნას ეს, უბრალოდ მოქმედებს. სწორედ ეს „უბრალოდ მოქმედება“ მესახება მექანიკურობისა და მაქსიმალური თავისუფლების ნახევარ. კითხვას „რატომ“ თუ უპასუხებს, აუცილებლად გაავსებს ფურცელს, რომელიც ცარიელი აქვს და დაკარგავს მაქსიმალურ თავისუფლებას, რომელსაც პრინციპში, ვერც ანალოგებს დიდად.

მოლოი ანტიადამიანი თავისი უარყოფებით, ზოგადად ცხოვრებითა და ფიზიკური მახასიათებლებითაც კი. ვერ გადაადგილება, ზოგჯერ დაცოცავს და დახობავს კიდევ, ასოციალურია, ამოვარდნილია ყველანაირი კონტაქტთან, რომელიც შეიძლება ორფეხა და ორხელა ადამიანებმა შექმნიან.

არის თუ არა მოლოი ტრაგიკული? იმდენად, რამდენადაც მკვლევარი შეიძლება იყოს ტრაგიკული - კი, სხვა მხრივ - არა. მოლოი მკვლევარია. იგი იძებს ემპირიულ გამოცდილებას, აკვირდება საკუთარ თავს, გარემოს, აკეთებს დასკვნებს, რომლებიც არის აბსოლუტურად არაორღინარეული და ორიგინალური. იგი არ განიცდის არავის ზეგავლენას. ცდილობს თავადვე დაზეროს ის ცარიელი ფურცელი, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდით. მოლოი ალბათ ადამიანური არის თუ რაღაც ამგვარი მაღალფარდოვანების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მკვლევარია ლი-

ტერატურის ისტორიაში. ის იკვლევს სიყვარულს, იკვლევს ეჭვებს, იკვლევს დედას, საყვარელს და ა.შ. მისთვის ცხოვრება ერთი დიდი უცნობი ტერიტორიაა. ერთად ამბობს, რომ ორი ბრიყვი სახლობსო ჩემში, ერთი ნაცნობ ადგილას დარჩენისკენ მექარება სულ და მეორეს ჭკონია, რომ შორს ცხოვრება უფრო ნაკლებად საზარელი ექნება ალმოწნდესო, ეშინია განადგურების. არ უნდა ფიზიკური ანდებობის შეწყვეტა. ეძებს უსაფრთხო ტერიტორიას და გამოიძინაწარე იქიდან, რომ მსგავსი ტერიტორიის პოვნა შეუძლებელია - დიხა, მოლოი უბედური და ტრაგიკულია.

მოლოის, როგორც ყველაზე დიდი ლიტერატურული უარყოფის დამადასტურებელ არგუმენტად ორ რამეზე მინდა ყურადღება გავამახვილო. ერთი ის, რომ მოლოი ადამიანებისგან განსხვავებით პირდაპირ ამბობს, რომ მისთვის ფიზიკური არსებობაა მნიშვნელოვანი და არა მეტაფიზიკური. არადა, ჩვენ ხომ გვიყვარს ათას ერთი მიზეზის ჩამოთვლა, როდესაც ცხოვრებას სიკვდილი სჯობს. გვიყვარს საკუთარი თავის ჰეროიზაცია და მარტვილობა და ფიზიკურ საბურველს დროებით მოვლენად აღვიქვამთ, რომელსაც არ ღირს ბოლომდე გადაჰყვე. მოლოი კი ნახთ რას ამბობს: „რაც შემიძლება მე, სიკვდილს ყოველთვის მონობა მერჩია - მოკვდინება ვგულისხმობ“. ეს არის ანტიადამიანის მიერ ნათქვამი სიტყვები. ვერცერთი ადამიანი, სიკვდილის საფრთხის წინაშე დამდგარიც კი, ვერ გაბედვს ხმა-მალა თქმას, რომ მონობა უნაჩვენია. ამის დაშვებამაც კი შეიძლება შეზაროს. პარადოქსია, მაგრამ ეს ანტიადამიანი მოლოი, რომელსაც მონობა ურჩევნია სიკვდილს, ერთ-ერთი ყველაზე თავისუფალი ლიტერატურული გმირია ამავედროულად, რადგან აბსოლუტურად სტერილურია საზოგადოებისგან და მათი აზრებისგან. აქვს მხოლოდ პირადი, ემპირიული გამოცდილება და მეტი არაფერი. ეს კი თავისუფლებაა ცალსახად. ასე მაგალითად, ის თვითონვე ცდილობს მიხედოს რა არის სიყვარული. სხვა ადამიანების მზამხარეულ პრინულ მაქსიმუმს და გამოცდილებებს არ იცნობს და არც ცნობს, თავად იკვლევს და მიღის საკმაოდ უცნაურ, გამაღიზიანე-

ბელ, ეპატაურ და ანტიადამიანურ დასკვნამდეც ბოლოს: „ასე გმონია, ჩემთვის უფრო უპირანი ნაკლები ზომის, ნაკლებად გამომშრალი ხვეული იქნებოდა; მაშინ სიყვარულზე, ალბათ, მაინც უკეთესი წარმოდგენა შემიქმნებოდა. რას ვიზამთ, ამასთან შედარებით, თვითმომსახურება მართლა სამოთხე იქნებოდა. მაგრამ ეჭვი არაა, სიყვარული ამ ქვენა მოთხოვნებზე მაღლა დგას: აქ საქმე ის კი არაა, რამდენად უკეთ ახერხებ, მთავარია, შენი გავემუღებო ასო თავშესაფარს დაიქმნდეს, სველ, ნებოვან გარსს პოულმდეს სახახუნოდ და წინააღმდეგობას თუ არ წააწყდება, უკან კი არ იხედვს, უფრო და უფრო სივდებდეს; მაშინ, ეჭვი არაა, ჭეშმარიტი სიყვარული გეზრად აღემატება მკვრივსა თუ მობოშებულ სამყოფელში რადაციის ძენებს, ამ ყველაფერზე მივლდება და სულ მალა-მალა იწყებს ფრენას“.

მოლოიზე უსასრულოდაც შეგიძლია ვილაპარაკოთ გამომდინარე იქიდან, რომ საწყისი და სასრული ამ პერსონაჟს მაინც არა აქვს, მაგრამ, ცხადია, უსასრულოდ არ ვილაპარაკებთ, რადგან ნიგენის მეორე ნაწილი მამა-შვილის გზას ეძღვნება. ვინ არიან მორანები და რა შუაში არიან ისინი ამ ამბავთან?

მოლოის არ იყოს, ჟაკ მორანიც დიდი ეჭვიანი ვინმეა. ის ეჭვიანობს ყველაზე და ყველაფერზე და იტანჯება ამით. თუმცა ისიცაა, რომ ალბათ ეჭვები აძლევენ საშუალებას თავი გამორჩეულ, მნიშვნელოვან ადამიანად იგრძნოს - ყველა მისი წინააღმდეგობა, ის მარტოა თავის უარყოფაში. დიხა, ისიც დიდი უარყოფელია მოლოივით, ერთგად პირდაპირაც ამბობს: „უცნაური ამბავია: არც ადამიანები მიყვარს, არც ცხოველები. რაც შეეხება ღმერთს, ნელ-ნელა მასზე გული მივრუდებ“. საინტერესოა ჟაკი როგორ ახერხებს თავისი უარყოფების გზაზე ბოლომდე გამომას. საინტერესო იმიტომაცა, რომ მოლოისგან განსხვავებით ჟაკს გამოკვეთილი სოციალური როლი და კონტექსტი აქვს, რაც დავალებებს ერთი-ორად ართულებს. მას აქვს პროფესია (გენეტიკა, თუმცა რა ფუნქციები აქისონია და რისი ავტენტია, კაცმა არ იცის), მაგრამ ერთი შეხედვით რაღაც აზრი კი უნდა იღოს ავტენტო-

ბაში), ჰყავს ოჯახი (შვილი, რომელიც ასევე გაენჭტია და რომელსაც უფლისა, აქვს კონტაქტი ადამიანებთან და ა.შ. ასე რომ, ჟაკი მთლად ცარიელი ფურცელი არაა, რომელიც თავად უნდა შეასწავს. მას აქვს ათვლის ნერტილი და კონკრეტული ფონი, მოლოისგან განსხვავებით. მას აქვს ცნობიერება, არც მთავარი.

მოუხედავად ამისა, ჟაკიც ახერხებს შედეგს დიდი უარყოფების და კლევების გზაზე. ის მიდის მოლოის საძებრად. თავად ამ დავალების უაზრობა და ამაფროუფლად მნიშვნელოვნება ასმგავსებს ერთმანეთს ჟაკსა და მოლოის. თუ მოლოის დედა „უნდა“ ენახა, ზუსტად ასევე ჟაკმა მოლი „უნდა“ ნახოს. მოლოის თუ ბიოლოგია ექაჩებოდა ამ გზაზე, ჟაკს სოციალურ-სამსახურებრივი პასუხისმგებლობა ექაჩება (დავალბა ხომ შემოდანს მიიღო), თუმცა არსი ერთი და იგივეა - სრული უაზრობა! ვერც ჟაკი ხვდება რატომ უნდა მოძებნოს მოლი და ვერც მოლი - რატომ უნდა მივიდეს დედასთან. გზაზე შედგომით ჟაკი იკვეთავს სოცელს (მერე რა, რომ სოცელის დავალებით შედგა ამ გზაზე) და რჩება მარტო. ბოლოს კი საერთოდაც, შვილსაც იკვეთავს და აბსოლუტურად მარტო რჩება. ჟაკს სიარული უნარი ეკარგება ნელ-ნელა და ამითაც ემსგავსება ძებნილს. ჩამოყალიბებული ადამიანი ჟაკი, ნელ-ნელა იწყებს გაანადგომებას, დეკომპლუციას. მოლოის შემთხვევაში თუ პირდაპირ მოცემულბა იყო ამგვარი და ცარიელი ფურცლის კითხვა და ცინყეტი, ჟაკის შემთხვევაში შეგვიძლია ვადევნოთ თვალი გაციის ვისუფლებს, ანუ დეგრადაციის დედებულ პროცესს. მისი შინაგანი ხმა ადრეც იყო დიდი უარყოფელი, თუმცა გზაზე შედგომის მერე ეს საბოლოოდ გამოშლენდა, უსმინეთ: „ეგ იმიტომ, ხმა ჩემშია და მომინოდებს, სამარადისოდ დადარჩე იმ საქმის ერთგულ მსახურად, რომელიც ჩემთვის უცხობა; მოთმინებით აღვასრულო ჩემი უბადრულო დანიშნულება - საკუთარი ნებით, როგორც იმ დროს, როცა ნება ჯერ კიდევ გამაჩნდა; შევასრულო როლი, რომელიც, ნესით, სხვებს უნდა შეესრულებინათ და ეს ყოველივე - საკუთარი უფროსისადმი სიძულვილით და მისი ზრახვების ზიზღით“. უარყოფების პიკს ჟაკი ნაწარმოების ფინალისკენ აღწევს, სადაც მისი წარმოქმნილი ანტილოცვა ყველაფერზე ნათლად მეტყველებს. სწორედ ამ აბზაცში იქნება გამოხატული ჟაკის საბოლოო დეგრადაციის, ყველაფრის წაშლის კონდიცია, წმინდა ნერტილი, სადაც ის ხდება აბსოლუტურად თავისუფალი ყველაწიერი უფროსებისგან, რელიგიისგან, სოცელისგან და ა.შ. და რჩება მარტოცა წმინდა სიმარტოვეში. აი ლოცვა: „მერე ვილოცე კიდევ: მამაო ჩვენო, რომელი აღარა ხარ არცა ცათა შინა, არცა მინასა ზედა, და არცა ვსოცენებობ, წმინდა იყოს სახელი შენი, რომელმან უკეთ უწყი, რაი გასურს და ა.შ.“.

ჟაკი და მოლი მიზანს ვერ აღწევენ, თუმცა ეს არც არის აუცილებელი. მთავარი არსიც ხომ ისაა, რომ უწყვეტად ქმნადობა, პროცესისა მიმზიდველი და არა შესრულება. მიზანი თითქოს მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ მოძრაობის მოტივაცია გვექმნას, თორემ სხვა მხრივ მოძრაობა აქ მთავარი და არა „მიზნისკენ მოძრაობა“. ჟაკსაც და მოლოისაც გააადგილებდა უჭერთ, კიდურები თითქოს უუქმდებათ საერთოდაც და ეს არცაა გასაკვირი - კიდურები ხომ ადამიანებს სჭირდებათ „ა“ პუნქტიდან „ბ“ პუნქტში მისასვლელად. ანტიადამიანებს კი კიდურები იმ ანატომიური გაგებით, რა ანატომიური გაგებითაც ჩვენ გვაქვს, დიდად არ სჭირდებათ. მათი ანატომიაც კი, თითქოს ეს ბუნებრივი აქსიომა და ურღვევი მოცემულობა, სხვანაირად და უნდა შეიცვალის. ვითომ ევოლუციის შემდეგი საფეხურია მოლი და ჟაკი? მაქსიმალურად, აბსოლუტურად თავისუფლები და დეგრადირებულიები. აუცილებელია ადამიანის, რა გაგებითაც ჩვენ მას აღვიკვეთთ და წამოვადგენთ, დაშლა მარტივ მამრავლებად, დეკონსტრუქცია, რადგან თურმე ეს არის ნამდვილი თავისუფლების მიღწევის გზა. მოლოისა და ჟაკის გზა, ნაწილებად დაშლის გზა.


„ადრეც ვახსენებ ხმა, რომელიც შეგადამეო ჩამესმობდა ხოლმე. თანდათან მივეჩვიე კიდევ. უკვე ვხვდებოდი, რა უნდოდა. იმ სიტუაციაში არ ამბობდა, რაც მორანისთვის ესწავლებინათ პატარაობისა და მერე, თავის მხრივ, იმას ესწავ-

ლებინა შვილისთვის. ამიტომ თავიდან ვერც ვხვდებოდი, რა სურდა. მაგრამ ბოლო-ბოლო, მაინც მიუხედავად. ყველაფერს მივხვდი, ყველაფერს ვხვდებო, ეგვე - არასწორადაც. თუმცა ეგ არაა მთავარი. მითხრა, ანგარიში დამინიჭა. ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა უფრო თავისუფალი ვარ, ვიდრე ადრე ვიყავი? არ ვიცი. მაგრამ ვავიგებ. აი, შინ შევედი და დაგწერე: შუალაშუა. ფანჯარას წინმა ესტეფა. არ იყო შუალაშუა. არც წვიმა“. - ასე ამითავრებს თხრობას ჟაკი. ჩემი აზრით, აქ ყველაფერი ნათელია და თავის ადგილას დგება, ყველა ბანქო ისხნება და საერთოდაც, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ და დრო ვხარჯეთ, შეგვეძლო ამ ერთ აბზაცად გამოგვეხატა, რადგან წიგნის მთავარი მარგალიტის სწორედ ესაა - ყველაზე დიდი უარყოფა, როგორც ყველაზე დიდი თავისუფლებისკენ მიმავალი გზა.

ბოლოსკენ მინდა დავამატო, რომ „მოლი“ არის ბილია ინტროვერტიზმისთვის, სახელმძღვანელო ტრამაის მგლებლისთვის და თავისუფლებისთვის მებრძოლი ადამიანებისთვის. ეს არის წიგნი ერთისთვის. იმ ერთისთვის, რომელიც არ არის „მევერსი“ შემადგენელი ნაწილი ან არის, მაგრამ არ უნდა რომ იყოს. წიგნი გამოცალკეევაში, როგორც თავისუფლების მოპოვების ერთადერთი გზაზე. მოდი ნავშალით ყველა ფურცელი, რომელსაც ჩვენი ცხოვრება პქვია და რომელიც მეტწილად სხვების დაწერილია და შეუფდგეთ მის წერას აბსოლუტური ნულიდან, არა?! ამას გვეუბნებიან ჟაკი და მოლი, პრინციპში არც არაფერს გვეუბნებიან კონკრეტულად ჩვენ, რადგან დიდად არც ახალელებზე ჩვენ რას ვიზამთ, ისინი ხომ უკვე განცალკეედნენ - ესაა მთავარი. დღეს, როცა ვხვდებით ყოველდღიურად ტუქაში, სოციალურ ქსელში და ტელევიზორში ანდენ გავუფრ ყვირილს, გავუფების დაპირისპირებას, გავუფების გართობას, გავუფების აზროვნებას, გავუფების რწმენას, გავუფების, გავუფებისა, გავუფების, გავუფების, გავუფებად, გავუფებად, გავუფებო, თავიდან - გავუფებ... ჰოდა, იმას მოგახსენებდით, რომ ამ სიტუაციაში და ამ მოცემულობაში, განცალკეევაში მისურვებია თქვენთვის, მარტობის მაღლი შეგნოდეთ, მოლოის ებარებოდეთ.

# პრილის პრილის რჩეულები


ბესიკ ხარანაული თარგმანი  
აპერკულიდან  
თბ, "ინტელექტი", 2014



ბესიკ ხარანაული, ლექსები 2003-2011,  
თბ, "ინტელექტი", 2014




ჯულიან ბარნსი, დასასრულის განცდა,  
მაზა ქილაძის თარგმანი, ინგლისურიდან  
თბ, დიოგენე, 2014.



სულაკაური თარგმანი, თარგმანი  
სულაკაური თარგმანი, თბ, "ბაკურ  
გამომცემლობა", 2014.




სილვია პლათი, ზარბუფი, ლულა  
სამნაშვილის თარგმანი ინგლისურიდან,  
თბ, "დიოგენე", 2014.



ტრუმენ კეპოტი, საუზმე ტიფანისთან,  
თარგმანი ინგლისურიდან, თბ, "ბაკურ  
სულაკაურის გამომცემლობა", 2014




სოლ ბელოუ, ჰედერსონი, წვიმის  
მეფე, ლულა ლუმბაძის თარგმანი  
ინგლისურიდან  
თბ, "დიოგენე", 2014



სოლ ბელოუ, ჰედერსონი, წვიმის  
მეფე, ლულა ლუმბაძის თარგმანი  
ინგლისურიდან  
თბ, "დიოგენე", 2014



ბესიკ ქურხული,  
ჩანაწერები,  
თბ, "საუნჯე", 2013



# ნა პერიკლაზა ყოფილიყო თქვენი რაკლაზა

ტელ: 577 747-719  
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

ნ 138/20

